საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის მექანიზმები

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის მექანიზმები

თბილისი 2011

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

პუბლიკაცია მომზადებულია ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამის შიდა პროექტ – „არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობის ინიციატივის“ – ფარგლებში.

რედაქტორი: ანა ჭაბაშვილი
დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე
კორექტორი: ნინო საითიძე
ბეჭდვა: ფაუნტეინ ჯორჯია

ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ISBN: 978-9941-0-3451-0

სარჩევი

ქეთი ხუციშვილი
წინასიტყვაობა 5

ეკა დათუაშვილი
საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობა – თანამედროვე გამოწვევები 9

რობერტ კოვალკო
დაფინანსების მოზიდვა: ზრდა უფრო მეტ დაფინანსებას მოითხოვს 23

თამარ ცირეკიძე
ქველმოქმედება საქართველოში – საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოცდილება 45

დრაგან გოლუბოვიჩი
სახელმწიფო დაფინანსების ინოვაციური მექანიზმები 63

კამილა ჩერვინსკა, მარია ბალი, ვოიცეხ რუსტეცკი
მოხალისეობა და ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება.....85

მაია მესხი
საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები საქართველოში.....137

ეკა დათუაშვილი
სოციალური მეწარმეობა 155

წინასიტყვაობა

ქეთი ხუციშვილი
ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არსებობის თითქმის ოცწლიანი ისტორია აქვთ. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საქმეში და მოსახლეობას მეტად საჭირო მომსახურებას სთავაზობენ. თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით ჯერ კიდევ სერიოზული გამოწვევაა ფინანსური და ინსტიტუციური მდგრადობა. ორგანიზაციების უმეტესობა ვერ ახერხებს არსებობას ადგილობრივი დაფინანსების წყაროების მეშვეობით და თითქმის მთლიანად დამოკიდებულია საერთაშორისო დონორების მხარდაჭერაზე. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციური და ფინანსური გაძლიერება ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ერთ-ერთი პრიორიტეტია. ფონდი ეხმარება მათ, შეიტანონ თავიანთი წვლილი დემოკრატიულ პრინციპებსა და საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული, მშვიდობიანი ქვეყნის მშენებლობაში, სადაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დონეზე მონაწილეობას მიიღებს სამოქალაქო საზოგადოება.

2010 წლის დასაწყისში ფონდის სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამა – „აღმოსავლეთ-აღმოსავლეთი: პარტნიორობა საზღვრების გარეშე“, ქსელურ პროგრამასთან ერთად შეუდგა „არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობის ინიციატივის“ განხორციელებას. ინიციატივა მიზნად ისახავდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დახმარებას დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციაში. დასახულ ამოცანებს შორის იყო ცნობიერების ამაღლება ისეთ საკითხებში, როგორიცაა კორპორაციული ფილანთროპია, მოხალისე-

ობის ინსტიტუტის ჩამოყალიბება, წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციების განვითარება, სოციალური მეწარმეობა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდამჭერთა მოზიდვა და მათთან მუშაობა. 2010 წლის იანვარში საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები გამოცდილების გასაზიარებლად ჩეხეთსა და სლოვაკეთში გაემგზავრნენ, ხოლო აპრილსა და მაისში არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობის თემაზე თბილისში ჩატარდა ორი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამოქალაქო საზოგადოების 80-მდე წარმომადგენელმა, როგორც საქართველოდან, ისე პოლონეთიდან, ლიტვიდან, ბულგარეთიდან, ჩეხეთიდან და სლოვაკეთიდან.

წინამდებარე პუბლიკაციის მომზადება „არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობის ინიციატივის“ ერთი შემადგენელი კომპონენტია. კრებული განკუთვნილია, როგორც გამოცდილი, ისე ახლად შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის და შედგება ქართველი და აღმოსავლეთევროპელი ექსპერტების სტატიებისგან. სტატიების ავტორები აღწერენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არასამთავრობო ორგანიზაციების წინაშე მდგარ პრობლემებსა და გამოწვევებს და გვთავაზობენ მათი გადაჭრის შესაძლო გზებს. კრებულში შემავალი სტატიები ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა ფონდების მოძიება, სოციალური მეწარმეობა, მოხალისეობა, ქველმოქმედების ხელშემწყობი კანონმდებლობა, სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები და ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება.

იმედი გვაქვს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და საქართველოში ადგილობრივი დაფინანსების მექანიზმების მიმოხილვა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას დაეხმარება საკითხების ახლებურ გააზრებაში და ხელს შეუწყობს გენერირებას ინოვაციური იდეებისა, რომელთა განხორციელება მომავალში არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის გარანტია იქნება.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობა – თანამედროვე გამოწვევები

ეკა დათუაშვილი
საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის
სამოქალაქო განვითარების პროგრამის კოორდინატორი

შესავალი

მესამე სექტორი და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ყოველი დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი შემადგენელია. ნებისმიერ საზოგადოებაში საზოგადოებრივი სექტორი დიდ როლს თამაშობს ადამიანის უფლებების, საზოგადოებრივი მონიტორინგის, კულტურისა თუ სპორტის, გარემოს დაცვის და მრავალ სხვა სფეროში.

საქართველოში თანამედროვე საზოგადოებრივი სექტორის განვითარება 1980-იანი წლების ბოლოდან იწყება. 90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ განვითარების პროგრამებმა, მრავალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ და პროექტმა. ამ პროცესების შედეგად ქვეყანაში გამოჩნდა ახალი ტიპის საზოგადოებრივი ორგანიზაციები (ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები), რომელთა რაოდენობა საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა. ქვეყანაში მათი ფუნქციონირებისათვის „სასათბურე“

პირობები იყო შექმნილი, შედარებით ადვილი იყო პროექტებისათვის დაფინანსების მოპოვება, დაბალი იყო კონკურენცია. შედეგად, ათასობით ორგანიზაცია დარეგისტრირდა, და დღეისათვის მათი რიცხვი სხვადასხვა წყაროს მიხედვით 10 000-ს აჭარბებს, თუმცა ქმედითი ორგანიზაციების რიცხვი დაახლოებით 400-500-ია.

დასავლური განვითარების ორგანიზაციების ინტერვენციის შედეგად ქვეყანაში განვითარდა არასამთავრობო სექტორი, რომელშიც

- ჭარბობს ლიბერალური ღირებულებები
- გამიჯნულია პოლიტიკური პარტიებისაგან
- ორგანიზაციათა საქმიანობის სფეროები მრავალფეროვანია (ადამიანის უფლებების დაცვა, ქალთა და გენდერული საკითხები, გარემოს დაცვა, სოციალური საკითხები, ეროვნული და რელიგიური უმცირესობები, სათემო განვითარება, კვლევითი ორგანიზაციები და სხვა მრავალი)
- განვითარებულია შიდაორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, აგრეთვე პროფესიონალიზმი.

თუმცა ამ პროცესებს თავისი უარყოფითი შედეგებიც მოჰყვა:

- სექტორი გახდა დასავლურ დაფინანსებაზე დამოკიდებული, რაც ორგანიზაციათა გრძელვადიან მდგრადობას საფრთხეს უქმნის
- დასავლურ დაფინასების წყაროებზე დამოკიდებულობის გამო საზოგადოების ნაწილი მიიჩნევდა მათ გრანტის მიღებისთვის შექმნილ სექტორად, რომლის უპირველესი ინტერესი ფინანსურია
- ადგილობრივი ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობას ხშირად არგებდნენ დონორთა პრიორიტეტებს.

2003-2004 წლებიდან თანდათან გაიზარდა კონკურენცია დაფინანსებისათვის სექტორს შიგნით. ზოგიერთმა დონორმა ორგანიზაციამ პრიორიტეტები შეიცვალა და დაასრულა განვითარების პროგრამები საქართველოში. პარალელურად, გაიზარდა მოთხოვნები საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის დასავლური ორგანიზაციების მხარდაჭერით სექტორი სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს და გარკვეულ შედეგებსაც აღწევს, ორგანიზაციული და ფინანსური მდგრადობის საკითხი მისთვის განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მდგრადობა – აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა ქვეყნების გამოცდილება

ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის მიღწევა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, ისე აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში.

„არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობის ინდექსის“ (აომ ინდექსი)[1] კვლევას აშშ განვითარების სააგენტო 1998 წლიდან ახორციელებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის და ევრაზიის 29 ქვეყანაში. 2009 წელს (ისევე, როგორც წინა წლებში) ორგანიზაციათა ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელი უმეტეს ქვეყნებში ორგანიზაციული მდგრადობის 7 მაჩვენებელს შორის ყველაზე დაბალია. გამონაკლისს მხოლოდ ბელარუსი წარმოადგენს, სადაც ფინანსური მდგრადობის ძალიან დაბალ მაჩვენებელზე (6.6) კიდევ უფრო დაბალია საკანონმდებლო გარემოს მაჩვენებელი (6.9).[2]

აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნებში, აომ ინდექსი საკმაოდ მაღალია და უკანასკნელი წლების მანძილზე სტაბილურობას ინარჩუნებს. ყველაზე მაღალი მაჩვენებლებია ესტონეთსა (2.0) და პოლონეთში (2.2), საქართველოს მაჩვენებელი კი 4.2-ია. აღსანიშნავია, რომ ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელი საქართველოში ამავე კვლევის მიხედვით 5.3 იყო. შედარებისთვის: ესტონეთში ეს მაჩვენებელი 2.4-ია, ხოლო პოლონეთში 2.7.

აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ ქვეყნებში, სადაც აომ ინდექსი მაღალია, წლების მანძილზე საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შეძლეს შეექმნათ ადგილობრივი ბაზა ფინანსური მხარდაჭერისათვის. ძირითადად ეს არის ადგილობრივი ხელისუფლება და ადგილობრივი ფონდები, ბიზნესსექტორი და მოქალაქეები. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები აქვთ ცენტრალური ევროპისა და, აგრეთვე, ბალკანეთის ქვეყნებს.

თუმცა სექტორის სტაბილურობას გარკვეული საფრთხე შეუქმნა 2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა, მათ შორის აღმოსავლეთ ევროპის

1 NGO Sustainability Index - 2009. 13th edition, 2010. USAID

2 არასამთავრობო ორგანიზაციათა მდგრადობის ინდექსი ფასდება 7-ქულიან სკალაზე, რომელზეც 1 არის მდგრადობის უმაღლესი მაჩვენებელი, ხოლო 7 – ყველაზე დაბალი მაჩვენებელი.

ქვეყნებშიც, სადაც სექტორის ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები საკმაოდ მაღალი იყო.

დაფინანსება ხელისუფლებისგან მნიშვნელოვნად შემცირდა. ამის მწვავე მაგალითია ესტონეთი, სადაც ადგილობრივი ხელისუფლებისგან დაფინანსების ერთ-ერთი ძირითადი წყარო – გადასახადი აზარტული თამაშებიდან – 30%-ით შემცირდა, ხოლო ლიტვაში ხელისუფლებისგან მხარდაჭერა დაახლოებით 25%-ით შემცირდა.

კრიზისმა აგრეთვე გავლენა მოახდინა ბიზნესსექტორიდან დაფინანსებაზეც. ეკონომიკური ვითარების გაუარესების შემდეგ ბიზნესორგანიზაციებმა შეაჩერეს ან შეამცირეს თანხის გაცემა საქველმოქმედო მიზნით. ეს ტენდენცია შედარებით ნაკლებად იგრძნობოდა პოლონეთში, უფრო მეტად ჩეხეთში, სლოვაკეთსა და სერბეთში და, განსაკუთრებით მწვავედ – უკრაინაში.

დონორთაგან დაფინანსების კლება კრიზისის პირობებში ამ ქვეყნებში ნაკლებად საგრძნობი იყო, რადგან დონორები, განსაკუთრებით განვითარების სააგენტოები, რომლებიც სამთავრობო წყაროებიდან ფინანსდება, ოპერირებენ გრძელვადიანი, 4-5-წლიანი გეგმების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში სტაბილური დარჩა ინდივიდუალური შემოწირულობები. მიუხედავად სირთულეებისა, აღმოსავლეთევროპელთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა გააგრძელა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის რეგულარული შემოწირულობების გაცემა.[3]

კრიზისის გავლენა სექტორისთვის მწვავე აღმოჩნდა. ფინანსური სტაბილურობის მიღწევა ბევრი ორგანიზაციისთვის უმთავრესი გამოწვევა გახდა.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, იმ ქვეყნებში, სექტორის განვითარების დონე მაღალი იყო, ორგანიზაციებმა მოახერხეს ფუნქციონირების გაგრძელება. თუმცა, ამისათვის საჭირო გახდა ორგანიზაციული მოქნილობა, ხშირად თანამშრომელთა შემცირება. ამ პირობებში მოხალისეობრივი რესურსები გარკვეულ სტაბილურობას უნარჩუნებს საქმიანობებს.

ორგანიზაციათა ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ზოგადად მის ორგანიზაციულ განვითარებასა და ეფექტურობაზე. ამიტომ, სანამ ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის საკითხებზე გადავიდოდეთ, მოკლედ განვიხილოთ, რას ნიშნავს ორგანიზაციული მდგრადობა.

3 NGO Sustainability Index - 2009. 13th edition, 2010. USAID

ორგანიზაციული მდგრადობა

ბევრი ადამიანი ორგანიზაციის მდგრადობას (სტაბილურობას) მის ფინანსურ სიძლიერეს უკავშირებს. მაგრამ ფინანსური სტაბილურობა დამოუკიდებლად არასაკმარისი და არასრულია გრძელვადიან პერიოდში. თუ ორგანიზაციაში არ ხდება მისი უნარების გაძლიერება, არ არის დანერგილი ეფექტური მმართველობა და შესაბამისი ტექნიკური შესაძლებლობები, მომავალში ასეთ ორგანიზაციას გაუჭირდება ფინანსების წარმატებულად მოძიება დონორებისაგან ან სხვა წყაროებიდან.

ორგანიზაციული მდგრადობა განისაზღვრება, როგორც ორგანიზაციის უნარი

- განავითაროს ინსტიტუციური შესაძლებლობები, რათა გააგრძელოს საქმიანობა სამიზნე ჯგუფებთან გრძელვადიანი პერიოდის მანძილზე;
- გაზარდოს გავლენა ხარისხიანი სერვისებისა და პროცედურების მიწოდებით;
- შეამციროს ფინანსური დაუცველობა;
- განავითაროს ინსტიტუციური და ფინანსური მხარდაჭერის დივერსიფიცირებული წყაროები.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის საზოგადოებრივი ორგანიზაციის უნარი, განსაზღვროს შესატყვისი მისია, განახორციელოს მართვის კარგი პრაქტიკა, მოახდინოს შემოსავლების წყაროების დივერსიფიკაცია და უზრუნველყოს ხარისხიანი სერვისების მიწოდება და საქმიანობა სამიზნე ჯგუფებისათვის.

ორგანიზაცია მდგრადია, თუ მას შეუძლია შეინარჩუნოს არსებული სერვისები შემდგომი წლების მანძილზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გარედან დაფინანსება შეწყდება.

ორგანიზაციის მდგრადობის საფუძველი ისაა, რომ მისი ძირითადი დაინტერესებული პირები (ბენეფიციარები, თანამშრომლები, დონორები) თვლიდნენ, რომ ორგანიზაციის საქმიანობის გაგრძელება მნიშვნელოვანი და ფასეულია.

ამ მხრივ, ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არცთუ სახარბიელო მდგომარეობა აქვთ. სექტორის საქმიანობას არა აქვს ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა და ცნობადობა. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი (40%) არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობას დადებით შეფასებას აძლევს, ნათლად ჩანს სექტორის ნაკლები ხილვადობა, რადგან გამოკითხულთა 44.7 პროცენტს

გაუჭირდა შეფასების გაკეთება, და მხოლოდ 12.5%-ს შეუძლია დაასახელოს ორგანიზაცია, რომელიც მოსწონს.[4]

არასამთავრობო სექტორის საზოგადოებრივი იმიჯის მაჩვენებელი აომ ინდექსის მიხედვით საქართველოში 4.2-ია. ამ ნიშნით სექტორის მდგომარეობა ჰგავს მოლდოვაში არსებულ მაჩვენებელს, ხოლო უკრაინას და სომხეთს საქართველოზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ (3.8 და 3.9 შესაბამისად).

აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი ასევე უმაღლესია იმ ქვეყნებში, სადაც სექტორის ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელი მაღალია. მაგ. ესტონეთში საზოგადოებრივი იმიჯის მაჩვენებელია 1,9, ხოლო პოლონეთში 2.2.

ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობა

ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობა ხშირად გაიგივებულია მის მდგრადობასთან ზოგადად. დროის გარკვეულ პერიოდში შესაძლოა ორგანიზაცია ფინანსურად უზრუნველყოფილი იყოს, თუმცა ორგანიზაციული მდგრადობის სხვა კომპონენტების გარეშე ძნელად წარმოსადგენია ფინანსური მდგრადობის ხანგრძლივად შენარჩუნება.

ამ მხრივ უნდა გავარჩიოთ ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობა და ფინანსური დაცულობა. შესაძლოა, დროის გარკვეულ მომენტში ორგანიზაციას ჰქონდეს გრძელვადიანი დაფინანსება (3- ან 4-წლიანი პროექტის სახით). ამ შემთხვევაში ორგანიზაცია ფინანსურად დაცულია. ხოლო ორგანიზაცია ***ფინანსურად მდგრადია***, თუ მას აქვს საკმარისი მიმდინარე სახსრები ორგანიზაციის ხელმძღვანელობის და მიზნების განსახორციელებლად, დაფინანსების არც ერთი წყარო არ იძლევა სახსრების 40%-ზე მეტს, და მისიის შესაბამისად, არსებობს ყველა პროექტის დაფინანსების გრძელვადიანი გეგმა. აგრეთვე, არსებობს და მოქმედებს ადგილობრივი რესურსების მობილიზების სტრატეგია და წლიური შემოსავლების ნაწილი ადგილობრივი რესურსებიდან შემოდის.[5]

ამ მხრივ, ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სხვა განვითარებადი ქვეყნების საზოგადოებრივი ორგანიზაციების მსგავსად, საკმაო სირთულეებს განიცდის.

4 მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში: სასურველი და რეალიზებული. ნანა სუმბაძე, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2010; http://www.osgf.ge/files/publications/2010/sumbadze%20qartuli_Layout%201.pdf

5 IDF (Institutional Development Framework)

ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდი უმრავლესობისათვის შემოსავლის მთავარ წყაროს კვლავ დონორებისგან მიღებული გრანტები წარმოადგენს. 2010 წლის მონაცემებით, ორგანიზაციათა 72,9%-ისათვის გრანტებით მიღებული შემოსავალი ბიუჯეტის 50-100%-ს შეადგენს.[6] ეს ფაქტორი მათ ფინანსურ სტაბილურობასა და დაცულობაზე არასახარბიელოდ აისახება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დაფინანსების წყაროების რაოდენობის თვალსაზრისით, ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებშიც არასახარბიელო მდგომარეობაა. ორგანიზაციების უმეტესობას (61,3%) დაფინანსების მხოლოდ ერთი ტიპის წყარო აქვს.

საერთაშორისო დონორებზე დამოკიდებულების საფრთხეები

მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებაზე დამოკიდებულება გარკვეულ საფრთხეებსაც მოიცავს. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ დაფინანსებაზე მოთხოვნა მსოფლიო მასშტაბით იზრდება. ფინანსები, რომელიც ხელმისაწვდომი იყო საქართველოში არცთუ ისე დიდი ხნის წინ, განვითარებული ქვეყნების ხელისუფლების გადაწყვეტილებით შესაძლებელია გადაამისამართონ სხვა ქვეყნების საჭიროებებზე. გარდა ამისა, სხვადასხვა პოლიტიკური ცვლილებების დროს, შესაძლოა, დონორთა მხრიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების წილი შემცირდეს და შესაძლოა, დაფინანსება ხელისუფლების გავლით განხორციელდეს ქვეყანაში, რისი მაგალითებიც საქართველოში უკვე გვაქვს.

ამასთანავე, დონორთა მხრიდან დაფინანსება შემოიფარგლება მათთვის პრიორიტეტული მიმართულებებით, რაც, შესაძლოა, არ თანხვდებოდეს ორგანიზაციის პრიორიტეტებს. ამ დროს არასამთავრობო ორგანიზაციებს, დონორთა დაფინანსებაზე დამოკიდებულების გამო უყალიბდებათ მიდგომა – თუ არ არის დონორთა დაფინანსება ხელმისაწვდომი რაიმე მიმართულებით, ამ მხრივ საქმიანობაც აღარ ხორციელდება.

და კიდევ, საერთაშორისო დონორების დაფინანსება ხშირად მოითხოვს საკმაოდ რთული და კომპლექსური განაცხადის ფორმების მომზადებას; აქვს მკაცრი ვადები.

6 საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება საქართველოში, 2010. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

საერთაშორისო დონორებზე საგრძნობი დამოკიდებულება და კონკურენცია ლიმიტირებული რესურსებისათვის, რომელიც დიდ დროს მოითხოვს, ხშირად იწვევს იმას, რომ ორგანიზაცია ამცირებს ძალისხმევას (ან საერთოდ აღარ უთმობს დროს და ყურადღებას) ადგილობრივი რესურსების მობილიზებისათვის; თავის მხრივ, ეს კიდევ უფრო მეტ დამოკიდებულებას იწვევს.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ამ ფაქტორების გათვალისწინებით, უფრო სერიოზული ყურადღება და მეტი დრო უნდა დაუთმონ ორგანიზაციის ფინანსურ მდგრადობაზე ზრუნვას. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დონორების დაფინანსება დღეს საქართველოში კვლავაც ძალიან მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ორგანიზაციებისათვის, ორგანიზაციის მმართველებს უნდა ახსოვდეთ, რომ ეს არ არის დაფინანსების ერთადერთი შესაძლო წყარო. ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს ფონდების მოძიების გეგმა (რესურსების გამრავალფეროვნების გეგმა). სასურველია, რესურსების გამრავალფეროვნების მიზნით ორგანიზაციამ იმუშაოს რამდენიმე მიმართულებით და იზრუნოს დაფინანსების მოპოვებაზე, როგორც უცხოური დონორებისგან, ასევე ადგილობრივი წყაროებიდან.

როგორ უზრუნველვყოთ ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობა

ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობა – ეს არის ორგანიზაციის გრძელვადიანი ფინანსური უსაფრთხოება, რომელიც ემყარება დაინტერესებულ პირებთან მყარ ურთიერთობებს, დივერსიფიცირებულ დაფინანსების წყაროებს და ფინანსების რეზერვებს.

ორგანიზაცია შეიძლება ჩავთვალოთ ფინანსურად სტაბილურად, თუკი მას:

- აქვს დაფინანსების დივერსიფიცირებული (მრავალფეროვანი) ბაზა
- აქვს თავისუფალი სახსრები – ფინანსური სახსრები, რომელთა მოხმარებაც შეუძლიათ შეუზღუდავად (unrestricted funds)
- აქვს ფინანსების რეზერვები.[7]

ფინანსური მდგრადობის კომპონენტები მოიცავს, როგორც ორგანიზაციის რესურსებს: ინფრასტრუქტურას; მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, დაფინანსების წყაროებსა და კავშირებს დონორებთან; გადახდისუნარიანობას; საკუთარ შემოსავლებს; ასევე ფინანსური მართვის სისტემებს, გამჭვირვალობასა და აუდიტს.

7 Mango's Guide to Financial Management for NGOs. http://www.mango.org.uk/Guide

ცალ-ცალკე განვიხილოთ ფინანსური მდგრადობის კომპონენტები.

დაფინანსების დივერსიფიცირებული (მრავალფეროვანი) ბაზა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ორგანიზაციების უმეტესობისათვის დაფინანსების ძირითადი, ხშირად კი ერთადერთი წყარო საერთაშორისო დონორებია. ორგანიზაციამ რომ შემდგომაც იფუნქციონიროს, საჭიროა სერიოზული ძალისხმევა და ინოვაციური მიდგომების ძიება ფინანსური სტაბილურობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის საქართველოში საერთაშორისო დონორების მხრიდან დაფინანსების შესაძლებლობები კვლავაც რელევანტურია და ორგანიზაციებმა არ უნდა შეასუსტონ ძალისხმევა ამ მიმართულებით, ის არ უნდა რჩებოდეს ორგანიზაციის დაფინანსების ერთადერთ წყაროდ.

გარემოში არსებობს დაფინანსების მოპოვების სხვადასხვა შესაძლებლობები. პირობითად ეს შესაძლებლობები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ[8]:

თვითდაფინანსება

თვითდაფინანსება გულისხმობს შემოსავლების და მხარდაჭერის გენერირებას თავად საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ. ამ კატეგორიაში შედის:

- საწევრო გადასახადები;
- გადასახადები სხვადასხვა მომსახურებისათვის (მაგ. ტრენინგებისა და კონსულტაციებისთვის);
- შემოსავლის მომტანი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციის საქმიანობასთან – მაგ., წიგნის გამოცემა და გაყიდვა;
- შემოსავლის მომტანი საქმიანობა, რომელიც არ არის დაკავშირებული ორგანიზაციის საქმიანობასთან – მაგ., უძრავი ქონების გაქირავება, დამხმარე საწარმოს დაარსება;
- შემოსავლები რეზერვებიდან და ენდოუმენთიდან.

ადგილობრივი დაფინანსება

ადგილობრივ დაფინანსებაში იგულისხმება ფინანსების მოპოვება ადგილობრივი თემიდან და ინსტიტუტებიდან:

- ფონდების მოძიება მოსახლეობისგან;

8 Mango's Guide to Financial Management for NGOs. http://www.mango.org.uk/Guide

- დაფინანსება ადგილობრივი ხელისუფლებისგან;
- დაფინანსება ეროვნული მთავრობისგან – მაგ., სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა;
- რესურსების მობილიზება ბიზნესსექტორიდან – მაგ., სპონსორობა, შემოწირულობა, კონსულტირება ან რესურსებით დახმარება.

ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჩამოთვლილი წყაროებიდან თითქმის ყველა წყაროს იყენებენ, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ორგანიზაციათა მხოლოდ ნაწილსა აქვს შედარებით მრავალფეროვანი დაფინანსების ბაზა. ამასთანავე, ამ წყაროებიდან დაფინანსების წილი ჯამურ ბიუჯეტში ხშირად არც ისე დიდია (იხ. დიაგრამა). ჯამური ადგილობრივი დაფინანსება (საწევრო, შემოწირულობა კერძო პირისგან და ბიზნესიდან, სახელმწიფო შეკვეთა, საკუთარი შემოსავალი) ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემოსავლებში საშუალოდ 25%-ს შეადგენს, რაც ფინანსური სტაბილურობისა და დაცულობისთვის არც ისე მაღალი მაჩვენებელია.[9]

დიაგრამა 1

საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების წყაროები, 2005–2010 წლებში (%)



9 საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება საქართველოში, 2010. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2010 წლის მონაცემებით 2005 წელთან შედარებით გაიზარდა იმ ორგანიზაციათა წილი (22%), რომელთაც სახელმწიფოს შეკვეთა/გრანტი მიუღიათ ბოლო 2 წლის განმავლობაში. თუმცა ამ ორგანიზაციების წლიურ ბიუჯეტში დაფინანსების ამ წყაროს მოცულობა, როგორც წესი, 30%-ს არ აღემატება.

აგრთვე საყურადღებოა, რომ მნიშვნელოვნად შემცირებულია ორგანიზაციათა რაოდენობა, რომელთა ბიუჯეტის ერთ-ერთი წყარო საწევრო გადასახადია.

ორგანიზაციამ ყურადღებით უნდა გააანალიზოს საკუთარი დაფინანსების წყაროების მრავალფეროვნება (ამაში დაგეხმარებათ დაფინანსების მრავალფეროვნების ანალიზის ფორმა, რომელიც მოცემულია დანართში №1), და შეიმუშაოს დაფინანსების სასურველი წყაროების მოძიების გზები.

ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანია, დაგეგმოს, თუ როგორ უნდა, რომ მიაღწიოს დაფინანსების დივერსიფიცირებას დროის გარკვეულ პერიოდში.

სქემა 1

დაფინანსების წყაროები ბიუჯეტში წვლილის მიხედვით[10]

თავისუფალი სახსრები

თავისუფალი სახსრები – ეს არის სახსრები, რომელთა გამოყენებისას ორგანიზაცია არ არის შეზღუდული, თუ რაში დახარჯავს მას, იმ პირობით, რომ ისინი ემსახურება ორგანიზაციის მიზნებს. ეს ძირითადად არის ისეთი სახსრები, რომელთა გენერირებასაც ორგანიზაცია ახდენს საკუთარი ძალისხმევით. ასეთია საწევროები, ფანდრაიზინგის

10 Mango's Guide to Financial Management for NGOs. http://www.mango.org.uk/Guide

ღონისძიებებით მოპოვებული თანხები, ზოგადი შემოწირულობები, ბანკის დეპოზიტის პროცენტი.

რეზერვები

რეზერვები – ეს არის ფინანსური რესურსები, რომელსაც ორგანიზაცია ქმნის (ან უნდა ქმნიდეს) თავისი არსებობის პირველივე დღეებიდან თავისუფალი სახსრებით და მათგან მიღებული მოგებით, და ინახავს მათ გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის. ეს არის ორგანიზაციის დანაზოგი, რომელიც ეხმარება ორგანიზაციას, დააფინანსოს ისეთი საქმიანობები, რასაც არ აფინანსებს დონორი. რეზერვები ეხმარება ორგანიზაციას ნაღდი ფულის დროებითი ნაკლებობისას, აგრეთვე ამცირებს მათ დამოკიდებულებას დონორებზე.

რეზერვები მიიღება თავისუფალი სახსრების აკუმულირებით და ამ თავისუფალი სახსრების მოგების აკუმულირებით. „არამომგებიანი ორგანიზაცია“ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ორგანიზაციას არა აქვს უფლება, რომ ჰქონდეს მოგება.

ხშირად, სასურველია, დავგეგმოთ რეზერვების მოცულობა სპეციფიკურ დანახარჯებთან მიმართებაში. მაგ.:

- საკმარისი თანხები ორგანიზაციის საქმიანობის შესანარჩუნებლად 2-3 თვის მანძილზე;
- ორგანიზაციის დახურვისათვის საკმარისი თანხები (არენდის გადასახადების, თანამშრომლების კონტრაქტების დახურვის ხარჯები).

ზოგადად, სასურველია, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შექმნან რეზერვი 3 თვის ფუნქციონირებისათვის.

ორგანიზაციის რეზერვები არ არის მხოლოდ მისი ფინანსური დანაზოგები. რეზერვი შესაძლოა აგრეთვე იყოს ინვესტირებული ქონებაში (შენობა, ტექნიკური საშუალებები, სატრანსპორტო საშუალებები).

რეზერვები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ხარჯების დასაფარად, რასაც არ აფინანსებს დონორი. მაგ., დეკრეტული შვებულებები, დაზიანებული ტექნიკის შეცვლა, იურიდიული მომსახურება, წარმომადგენლობითი ხარჯები და სხვ. გარდა ამისა, დონორები ხშირად მოითხოვენ პროექტებში თანადაფინანსების უზრუნველყოფას. ზოგიერთი დონორის პოლიტიკით კი 5-10% მთლიანი პროექტის ბიუჯეტისა ორგანიზაციას ერიცხება პროექტის დასრულების და საბოლოო

ანგარიშის წარდგენის შემდეგ. შესაძლებელია, ორგანიზაცია ასეთ ხარჯებსაც სარეზერვო ფონდიდან უზრუნველყოფდეს.

დასკვნა

ფინანსური მდგრადობა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის მუდმივი გამოწვევა და საზრუნავია მთელ მსოფლიოში. საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას განვითარებადი ქვეყნების საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის. იმ ქვეყნებში, სადაც სექტორმა წარმატებას მიაღწია ამ გამოწვევის დაძლევაში, საზოგადოებრივი ორგანიზაციები წარმატებით იყენებენ ფინანსებისა და რესურსების მოზიდვის მრავალფეროვან მექანიზმებს, რაც მათ აძლევს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის საშუალებას. ამ ქვეყნების გამოცდილება იმასაც აჩვენებს, რომ სექტორმა ხელისუფლებასთან ერთად უნდა იზრუნოს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის მრავალგვარი დაფინანსების წყაროების არსებობისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე, რაც შეიძლება მოიცავდეს ფილანთროპიის პოპულარიზაციას, სახელისუფლებო დაფინანსების გაუმჯობესებულ მექანიზმებს, მოხალისეობის ხელშემწყობ ნორმატიულ ბაზას, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობ კანონმდებლობას და სხვა მსგავს ინიციატივებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Mango's Guide to Financial Management for NGOs. Retrieved from http://www.mango.org.uk: http://www.mango.org.uk/Guide
2. USAID. (2009). NGO Sustainability Index. Washington DC: USAID.
3. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. (2010). საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება საქართველოში. თბილისი: სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.
4. სუმბაძე, ნ. (2010). მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში: *სასურველი და რეალი ზებული.* თბილისი: საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი.

დანართი 1

დაფინანსების მრავალფეროვნების ანალიზი

დაფინანსების ტიპი	დაფინანსების ხანგრძლივობა	% მთლიან ბიუჯეტში
1. გრანტები		
1.1. საერთაშორისო დონორები		
დონორი 1		
დონორი 2		
დონორი 3		
1.2. ადგილობრივი ხელისუფლების გრანტები		
2. შემოწირულობები		
2.1. მოსახლეობისაგან		
2.2. ადგილობრივი ბიზნესი		
2.3. სხვა		
3. ფასიანი მომსახურება		
3.1. სამიზნე ჯგუფი 1		
3.2. სამიზნე ჯგუფი 2		
4. გაყიდვები		
5. სხვა		
5.1. საწევროები		
5.2.		

დაფინანსების მოზიდვა – ზრდა უფრო მეტ დაფინანსებას მოითხოვს

რობერტ კავალკო
პოლონეთის ფანდრაიზერთა ასოციაციის პრეზიდენტი,
ევროპის ფანდრაიზერთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ბოლო ოცი წლის მანძილზე არაკომერციული ორგანიზაციები საკმაოდ განვითარდა. საკმარისია დავაკვირდეთ, მაგალითად, ჰოსპისებს (დაწესებულებები, რომლებიც უკურნებელი სენით დაავადებულებს სამედიცინო-სოციალურ დახმარებას უწევენ), რომელთა განვითარებაც საკმაოდ კარგად ასახავს ამ სფეროში მომხდარ ცვლილებებს. 80-იან წლებამდე საკუთარი თვალით ნანახი მქონდა მხოლოდ ერთადერთი ჰოსპისი, რომლის გუნდშიც თავად ვგალობდი. იმ წლებში წმ. ლაზარეს ჰოსპისისათვის დაფინანსების მოსაზიდად საქველმოქმედო კონცერტებს ვმართავდით. მახსოვს, რომ ყოველი კონცერტი იმის ახსნით იწყებოდა, თუ რა მოიაზრებოდა ჰოსპისის საქმიანობად, ვინაიდან მაშინ ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

ახლა კი თითქმის ყველამ იცის, თუ რა დანიშნულება აქვს ჰოსპისებს, რადგან ისინი პოლონეთის ჯანდაცვის სისტემის განუყოფელ ნაწილად იქცა. მსგავსი დაწესებულებებისათვის ფონდების მოძიების გზები

საკმაოდ განვითარდა და უკვე დიდი ხანია, განსხვავდება დაფინანსების მოზიდვის ე.წ. პარტიზანული ინიციატივებისაგან. პოლონეთში არსებული ჰოსპისების უმეტესობას არასამთავრობო ორგანიზაციები მართავენ, ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული ჯანდაცვის ეროვნულ ფონდთან, აქვთ დაფინანსების მრავალი წყარო და ხშირად საკმაოდ ფართომასშტაბიან სოციალურ კამპანიებს მართავენ მაშინ, როცა საშემოსავლო გადასახადის ერთი პროცენტის მოპოვება სურთ.[1] ჰოსპისებში დასაქმებულია ათასობით ადამიანი (მაგალითისათვის, კრაკოვის წმინდა ლაზარეს ჰოსპისში დღესდღეობით ასამდე სამუშაო ადგილია) და ასეთ დაწესებულებებს დახმარებას ათასობით დონორი ორგანიზაცია უწევს. ამგვარი მოძრაობების მიღწევები, მათ შორის ეკონომიკურიც, ჭეშმარიტ აღფრთოვანებასა და დაფასებას იმსახურებს: ისინი ხომ ისეთი ენთუზიასტი თავდადებული ადამიანების შექმნილია, რომელთაგან ძალიან ცოტას თუ აქვს მენეჯერის კვალიფიკაცია. უმეტეს შემთხვევაში, სწორედ დახმარების უდიდესი სურვილი აღმოჩნდა ისეთი ძლიერი მამოძრავებელი ძალა, რომ ჰოსპისების ხელმძღვანელებმა ყოველგვარი დახმარების გარეშე მოახერხეს მსგავსი დაწესებულებებისათვის საუკეთესო მოდელის მოძიება, როგორც საკუთარ ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთაც და მრავალი დაბრკოლების მიუხედავად აამუშავეს ისინი.

მაგრამ დრო იცვლება და არა მხოლოდ ჰოსპისების, არამედ სხვა ორგანიზაციების მმართველი საბჭოებიც უფრო დიდი გამოწვევების წინაშე დგებიან, რაც მათი ინსტიტუციების მომწიფებითა და განვითარებით არის გამოწვეული. ის, რაც საწყის ეტაპზე საკმარისი იყო, ახლა უკვე აღარ არის დამაკმაყოფილებელი, კერძოდ: არცთუ ისე ძველი, სულ რამდენიმე წლის წინ აშენებული შენობებიც საჭიროებს რემონტს ან გაფართოებას, ხოლო თანამშრომელთა მრავალრიცხოვან შტატს შესაბამისი ანაზღაურება სჭირდება. მუდმივი განვითარება კი აღჭურვილობის შესაძენად და ტრენინგების ჩასატარებლად ხარჯის გაღებას მოითხოვს. გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კონკურენციაც იზრდება, ვინაიდან მათი უმეტესობა ერთი და იმავე წყაროდან დაფინანსებისათვის იღვწის, ამიტომ დონორებთან ურთიერთობა მეტ რესურსს მოითხოვს. განვითარება უფრო და უფრო მეტ თანხებს საჭიროებს და საბჭოც იძულებულია, რომ საკუთარი მოღვაწეობის დასაფინანსებლად ახალი, უფრო ეფექტური მეთოდები მოიძიოს. შესაბამისად, თუკი ვინმე დაფინანსების მოზიდვაზე იმდენივეს ხარჯა-

1 იხ. გვ. 68 – საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო დაფინანსების ინოვაციური მექანიზმები

ვს, რასაც, მაგალითად, ხუთი ან ათი წლის წინ ხარჯავდა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ორგანიზაციის შემოსავალი წლიდან წლამდე კლებულობს და რეცესიას განიცდის.

ორგანიზაციის ფინანსური საჭიროებების ზრდის პასუხია დაფინანსების მოზიდვა, ანუ სხვადასხვა მეთოდებით სახსრების სისტემატური მოპოვება ეთიკური ნორმების დაცვით. ტერმინი „დაფინანსების მოზიდვა“ ბევრისთვის კვლავ ახალ ცნებად რჩება, მაგრამ მსოფლიოში არსებული მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია უკვე რამდენიმე ათეული წლის მანძილზე წარმატებით ახორციელებს ამ გზით სახსრების მოზიდვას. მრავალ ქვეყანაში ფანდრაიზერები, ანუ თანხების მოზიდვის სპეციალისტები, საკმაოდ მაღალი რეპუტაციის მქონე პროფესიონალებით დაკომპლექტებულ ჯგუფს წარმოადგენენ. ჩემს სავიზიტო ბარათებს შორის მრავალი ეკუთვნის „ფანდრაიზერებს“ „ახალი ევროპის“ ზოგიერთი ქვეყნიდან: უკრაინიდან, ჩეხეთის რესპუბლიკიდან, სლოვაკეთიდან და უნგრეთიდან, რაც იმის ნიშანია, რომ ეს პროფესია ჩვენს რეგიონში თანდათანობით ფეხს იკიდებს და დარწმუნებული ვარ, რომ ასევე იქნება საქართველოშიც.

ჰობი თუ პროფესია?

რიგითი ორგანიზაციის საქმიანობაში არის ისეთი სფეროები, რომლებიც ზედმიწევნით პროფესიონალიზებულია, ანუ კონკრეტული დარგის პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული; მაგალითად, ელექტროსადგური: ელექტროენერგიის მიმწოდებელი, ელექტროენერგიისა, რომლის გამომუშავება დამოუკიდებლად არავის ძალუძს; ასევე წყლით მომარაგების სისტემა და პროფესიონალი ბუღალტრებიც, ჩვეულებრივ, ბუღალტერიითა და გადასახადებით არიან დაკავებულნი.

მიუხედავად ამისა, არსებობს სხვა სფეროებიც, რომლებშიც პროფესიონალიზმის დანერგვა შეუძლებელია. ეს ჩამონათვალი შეიძლება მმართველი საბჭოებით დავიწყოთ, სადაც იშვიათადაა ისეთი წევრი, რომელსაც მენეჯერის განათლება ჰქონდეს მიღებული. მსგავსი სიტუაციაა ორგანიზაციის იმიჯის შექმნასთან დაკავშირებით: საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხები იშვიათად თუ შედის ერთი კონკრეტული ადამიანის მოვალეობებში. საჭიროებიდან გამომდინარე, ის, ვისაც ხელი მიუწვდება ინფორმაციაზე, ხდება ორგანიზაციის პრესმდივანი; ცოტა ორგანიზაციას თუ აჰყავს შტატში წერის პროფესიული უნარებისა და მედიასთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე ადამიანე-

ბი. ყოველ შემთხვევაში, ადვილი ასახსნელია, თუ რატომ არ არიან საჭირო პროფესიონალი სპეციალისტები, სანამ ორგანიზაცია განვითარების პროცესშია და მედია მხოლოდ ფრაგმენტულად აქცევს მას ყურადღებას. მაგრამ საქმე ისაა, რომ თუ საზოგადოებასთან ურთიერთობისადმი ასეთ მიდგომას მხარს დავუჭერთ, ჩვენი ორგანიზაციის განვითარების რეალური პოტენციალი არასდროს გვეცოდინება. ერთი შეხედვით, მმართველი საბჭოს წევრებს თითქოს ძალუძთ ასეთ სპეციალისტებად წარმოგვიდგნენ, მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბევრი ფუნქციის შეთავსება არასასურველია და წლების განმავლობაში ასეთი პრაქტიკის დამკვიდრებამ ცხადყო, რომ სამუშაო საათების შემდეგ შესრულებული სამუშაოს ხარისხი ჩამოუვარდება სამუშაო დღის განმავლობაში მიღწეულ პროდუქტიულობას.

პოლონეთში ჩატარებულმა მრავალმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ხალხი არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან პროფესიონალიზმს ითხოვს. როდესაც ჩვენს ოფისში რეკავენ, უნდათ, რომ მათ თავაზიანი და კომპეტენტური პასუხი მიიღონ, ხოლო როდესაც ჩვენს ოფისში მოდიან, უნდათ, რომ კომფორტული სავარძელი, ყავა და სასაუბროდ მოსახერხებელი ადგილი შესთავაზონ. სურვილი აქვთ, რომ ვინმემ მოუსმინოს, საკმარისი დრო დაუთმოს, ხოლო როდესაც ინფორმაციას ეძებენ, მოელიან ვიზუალურად კარგი ვებ-გვერდის ნახვას, რომელიც სწრაფად იხსნება, მუდმივად განახლებადი და ნავიგაციისათვის მოსახერხებელია.

არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია, ყურადღება არ მიაქციოს საზოგადოების ამგვარ მოთხოვნებს და თავი იმით გაიმართლოს, რომ ეს ფუფუნებაა და თავისი საქმიანობის მოკრძალებულ და საზოგადოებრივ ხასიათს გაუსვას ხაზი. თუმცა, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ, თუკი არასამთავრობო ორგანიზაცია ზემოთ აღნიშნული მოლოდინების გამართლებას შეძლებს და ამ თვალსაზრისით ადამიანების ცნობიერებაში საუკეთესო ბიზნესებს გაუტოლდება, მთელი ეს ძალისხმევა დაფასდება და დონორები მას ნდობასაც გამოუცხადებენ და მხარს დაუჭერენ.

ვინაიდან დღეს არავინ გეკითხებათ, როგორ მოიპოვებთ რესურსებს ყველა ამ ხარჯის დასაფარად, შესაბამისად, არავინ ინტერესდება, ვინ არის თქვენი ავეჯის ან ყავის მოსადუღებელი აპარატის დამფინანსებელი. აქ მოქმედებს წმ. მათე მახარებლის პრინციპი: „მიეცი და მოგეცეს“. შეიძლება ვინმეს უსამართლოდ მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენც ხომ სწორედ ასე ვიქცევით: როდესაც თითოეული ჩვენგანი არჩევანის წინაშე დგება, თავის შვილს საუკეთესო სკოლაში გზავნის და ავადმყოფ ნათესავს საუკეთესო საავადმყოფოში ათავსებს, მიუხედავად ფინანსური მდგომარეობისა.

ფულისა და კეთილდღეობის მოთხოვნაც არასინდისიერი საქციელი იქნებოდა, ვინაიდან იმისთვის არ ვაფუძნებთ ორგანიზაციას, რომ მთელი დღეები გრანტისათვის განაცხადის წერაში, სპონსორებთან საუბარსა და ეკლესიის წინ ფულის შეგროვებაში (მოწყალების თხოვნაში) გავატაროთ. როგორც წესი, ჩვენი მისია განსხვავებულია. ერთი რამ კი ნამდვილად უნდა აღინიშნოს: საჭიროა, ყველამ ის აკეთოს, რაც კარგად გამოსდის. ამიტომ, თუკი ექიმი სიცოცხლის გადარჩენის მაგივრად, მეტ დროს სპონსორებს დაუთმობს, ხოლო ექთანი პაციენტების მოვლის ნაცვლად გრანტის გამცემთათვის ანგარიშის წერაში გაატარებს დროს, ამით ისინი თავიანთ მისიასა და მოწოდებას უღალატებენ. ამიტომაც ფანდრაიზერები მოღალატეებად თვლიან თავს და მათზე დაკისრებულ ვალდებულებას სრულიად უხალისოდ ასრულებენ, ანუ საქმისადმი ერთგულებით არ არიან განმსჭვალულნი. უმჯობესია, გყავდეს ისეთი ადამიანი, რომელსაც ეხალისება დონორებთან შეხვედრა, გრანტისათვის განაცხადების შევსება ანდა საქველმოქმედო წვეულებების მოწყობა – ასეთი ადამიანები ყველაფერს რწმენითა და გატაცებით აკეთებენ და ამიტომაც მათი მუშაობა, ჩვეულებრივ, გაცილებით უფრო ეფექტურია.

მიზანშეწონილია დაფინანსების მოზიდვის პროფესიონალებისათვის მინდობა. ისინი ხომ ბუღალტრებს ემსგავსებიან, რომლებიც მხოლოდ ანგარიშით არიან დაკავებული. დაფინანსების მოზიდვით დაკავებულ ადამიანებს იმაზე მნიშვნელოვანი საქმე არ ექნებათ, ვიდრე ფულის მოძიებაა და ამიტომაც, ისინი შეძლებენ, მთელი თავიანთი ძალისხმევა ამ საქმისკენ მიმართონ. საუკეთესო შემთხვევაში ეს ისეთი მუშაკი იქნება, რომელიც აღნიშნულ საქმიანობას დღეში მინიმუმ 8 საათს, კვირაში კი ხუთ დღეს დაუთმობს. ასეთი ადამიანისგან შეგვიძლია მოვითხოვოთ შედეგები და იმედი ვიქონიოთ, რომ პასუხად არ მივიღებთ, რომ ამ თვეში მას საკმარისი დრო არ ჰქონდა დონორებთან სალაპარაკოდ, ვინაიდან, ვთქვათ, ტრენინგის ჩატარებით იყო დაკავებული.

ფანდრაიზერი, როგორც თანამშრომელი, მისი შერჩევა, ანაზღაურების პრინციპები, ურთიერთობა დამსაქმებელსა და ფანდრაიზერს შორის

ფანდრაიზერის მუშაობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დამქირავებელი ორგანიზაცია მაქსიმალურად დააახლოოს დონორს. თუ ორგანიზაციის ურთიერთობებს შევადარებთ მანქანას, რომელსაც

ამოძრავებს ბენეფიციართა საჭიროებები და დონორთა დახმარება, დაფინანსების მოზიდვა დონორთა და მოცემულ ორგანიზაციას შორის არსებული კბილანას სახით წარმოგვიდგება. კბილანას წყალობით ხდება მათ შორის ინფორმაციის გაცვლა, ურთიერთობების გაღრმავება, რაც კეთილგანწყობას და პატივისცემას იწვევს, რომელი ნელ-ნელა ერთგულებასა და მყარ ურთიერთობაში გადაიზრდება.



მიუხედავად ამისა, არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ ფანდრაიზერი, რაოდენ წარმატებულიც უნდა იყოს ის, შეძლებს სიძნელეებისათვის თავის დამოუკიდებლად გართმევას. ეს არის ფონდების მოძიების შესახებ არსებული ყველაზე დიდი მითი და გაუგებრობა, როცა ჰგონიათ, რომ თანხის შეგროვება ორგანიზაციის მთელი გუნდის მონაწილეობის გარეშეა შესაძლებელი.

ამ მცდარი მოსაზრების უკეთ გასაგებად, მაგალითად მოვიყვანოთ ბუღალტერთან თანამშრომლობის პრინციპი. ვფიქრობთ, ნებისმიერი ხელმძღვანელი ან თანამშრომელი თვლის, რომ ორგანიზაციაში თუნდაც ორი ან სამი ბუღალტრის დასაქმების შემთხვევაშიც კი, მისი საბუღალტრო აღრიცხვასთან ურთიერთობა მხოლოდ ამით არ ამოიწურება, არამედ პირიქით: ბუღალტერი უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს და თითქოს მაღაზიაში საყიდლების შესაძენად გამგზავრების წინ რჩევა-დარიგებებს აძლევს, განუმარტავს ანგარიშ-ფაქტურების ან გადარიცხვების მნიშვნელობას. საჭიროა უბრალოდ თანამშრომლობა ბუღალტერთან, მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ასეთი თანამშრომლობის

გარეშე შეუძლებელია ორგანიზაციის ფინანსური მხარე გამართული იყოს, რამაც შეიძლება საგადასახადო უწყებებთან ურთიერთობის გაუარესება გამოიწვიოს.

იგივე პრინციპი მოქმედებს ფონდების მოძიების შემთხვევაშიც. ფანდრაიზერის დაქირავება არ შემოიფარგლება დაფინანსების მოზიდვასა და დონორებთან ურთიერთობის დამყარებასთან დაკავშირებული მოვალეობების დეტალური აღწერით. ბუღალტრის მსგავსად, ფანდრაიზერიც წამოწყების ინიციატორი, კოორდინატორი და მონიტორი და კარგი შედეგის თავდებია. ფანდრაიზერის თანამდებობაზე დაქირავებისას კანდიდატი უნდა გაეცნოს ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა მოვალეობას, ანუ მზად უნდა იყოს, შეხვდეს განსაკუთრებულ დონორებს, გაეცნოს გეგმებსა და ანგარიშებს, დაესწროს საქველმოქმედო ღონისძიებებს და შემოწირულობის ყუთთანაც კი გაატაროს გარკვეული დრო. განსხვავება კი ისაა, რომ ეს საქმიანობა ფანდრაიზერის მიერ კარგად უნდა იყოს ორგანიზებული, რადგანაც შედეგზე პასუხისმგებლობაც სწორედ მას ეკისრება და არა ხელმძღვანელსა თუ ვინმე სხვას. დაფინანსების მოზიდვა ერთგვარი „გუნდური სპორტის სახეობაა“ და მასში ორგანიზაციის მთელმა კოლექტივმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, მმართველი საბჭოს, თანამშრომლებისა და მოხალისეების ჩათვლით. მხოლოდ ასეთი ქმედებით იქნება შესაძლებელი სასურველი შედეგის მიღწევა.

სქემა 2



მთელი ორგანიზაცია აგროვებს თანხას. ფონდების მოძიებაში ჩართული არიან, როგორც მმართველობითი საბჭო, ასევე თანამშრომლები და მოხალისეებიც, ხოლო ფანდრაიზერი პასუხისმგებელია კოორდინაციასა და ფონდების მოძიებასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობის შედეგზე.

სხვა საკითხია ფანდრაიზერის ადგილი კოლექტივში. რაც უფრო მეტად შეერწყმება ის გუნდს და რაც უფრო კარგად მიიღებს მას კოლექტივი, მით უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება მას წარმატების მისაღწევად. თუმცა, აქ რამდენიმე საშიშროება არსებობს, კერძოდ: როდესაც ფანდრაიზერს სამუშაოზე იყვანენ, ეს თითქოს თავისთავად გულისხმობს, რომ „დღეიდან ბევრი ფული გვექნება და ამ ყველაფერს ნინო უზრუნველყოფს“. ფანდრაიზერი მარტო რჩება, განსაკუთრებით მაშინ, როცა თანამშრომლები შენიშნავენ, რომ მისი ანაზღაურება მიუღებელია ან ორგანიზაციის თანამშრომელთა საშუალო ანაზღაურებაზე საგრძნობლად მაღალია. შეიძლება ეს ზოგჯერ სავსებით სამართლიანიც იყოს, მაგრამ მას გუნდის დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ნათლად აჩვენებენ თავიანთ დამოკიდებულებას „ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს“. ფანდრაიზერის შემოსავალის გამოვლენამ ამგვარ სიტუაციაში შესაძლოა პოზიტიური როლი ითამაშოს, რაც შეესაბამება ფონდების მოძიების ეთიკურ პრინციპებს („ფანდრაიზერი ვალდებულია, დამქირავებლის, დონორისა და ბენეფიციარისათვის, მათი მოთხოვნის შესაბამისად, უზრუნველყოს ანაზღაურების თაობაზე ნებისმიერი შეთანხმების გამჭვირვალობა“). ასევე მიზანშეწონილია ისეთი სამოქმედო გეგმის შექმნა, რომლის მიხედვითაც, მთელ კოლექტივს ეცოდინება, რა სახის დახმარებისათვის შეუძლია ფანდრაიზერს, მიმართოს მათ.

არსებობს კიდევ სხვა საშიშროება, კერძოდ, როდესაც ფანდრაიზერის როლი ბუნდოვანია, ანუ მას ისეთი ვალდებულებები ეკისრება, რომლებიც არ უკავშირდება დაფინანსებას. ასეთ ადამიანს დროთა განმავლობაში ემატება ამოცანები, მას თანდათანობით დონორებთან ურთიერთობისათვის სულ უფრო ნაკლები დრო რჩება და ის პროექტის მენეჯერი ხდება. ერთი მხრივ, ამის მიზეზი შეიძლება იყოს ადამიანის საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, ხოლო მეორე მხრივ – ორგანიზაციაში მისი ნაადრევად დასაქმება. კრიტიკული სიტუაციების მართვის პირობებში, როცა ძველი ვალდებულებების დასასრულებლად საჭიროა ყველა არსებული ადამიანური რესურსის ჩართვა, დონორებთან მშვიდი და დაგეგმილი ურთიერთობების შესაბამისი პირობები ვერ შეიქმნება. საჭიროა ჯერ „ცეცხლის ჩაქრობა“, ანუ სირთულეების დაძლევა, და შემდეგ ახალი სტრატეგიის შემუშავება. ასე რომ, დარწმუნდით, რომ თქვენი ორგანიზაცია მზად არის, მიიღოს პროფესიონალი ფანდრაიზერი, ვიდრე არასწორ ნაბიჯს გადადგამდეთ და მას ნაადრევად დაიქირავებდეთ.

ვინ შეიძლება გახდეს ფანდრაიზერი?

როდესაც ორგანიზაცია მომწიფდება ფანდრაიზერის დასაქირავებლად, უმალ ცხადი ხდება, რომ შესაფერისი ადამიანის პოვნა არცთუ ისე ადვილია. ნაცნობებში მოძიება, ჟურნალ-გაზეთებსა თუ ინტერნეტში განთავსებული განცხადება, შესაძლოა, უშედეგო აღმოჩნდეს, ვინაიდან გამოხმაურება ხშირად იმ ადამიანებისაგან მოდის, ვისაც არც გამოცდილება აქვს და არც შესაბამისი ცოდნა, თუმცა შეიძლება დაგპირდნენ, რომ დაფინანსებას აუცილებლად მოიზიდავენ.

თავი, ალბათ, შეიძლება იმით ვინუგეშოთ, რომ ორგანიზაციებს მსოფლიოს მასშტაბით აქვთ მსგავსი პრობლემა. შეერთებულ შტატებშიც კი არ არის საკმარისი რაოდენობა ფონდების მოძიების სფეროში მომუშავე პროფესიონალებისა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ფანდრაიზერების პროფესიონალთა ასოციაციაში (AFP) დაახლოებით 30 000 წევრი ირიცხება. პოლონეთში პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ დგას, ვინაიდან ჩვენში ეს ახალი პროფესიაა და ჯერ ფანდრაიზერთა პირველი თაობაც კი არ გამოზრდილა. ისევე როგორც საქართველოში, პრაქტიკულად, ამ დარგის გამოცდილი პროფესიონალები არ გვყავს. აღნიშნული მიმართულებით მომუშავე ადამიანები ახალი პროფესიის სულის ჩამდგმელები არიან. თუ ოფისი ორი-სამი დიდი ქალაქიდან რომელიმეში არ მდებარეობს, სპეციალისტი, რომელიც ორგანიზაციაში მუშაობას შეძლებს, სამსახურიდან 200 კილომეტრში ცხოვრობს. ასეთ შემთხვევაში კონკრეტული დაწესებულებისათვის რთულია, სასურველ ფაინდრაიზერს საცხოვრებელი ადგილის შეცვლისაკენ უბიძგოს. ამიტომ იძულებული ვხდებით, სხვა გამოსავალი მოვნახოთ. ასეთი მინიმუმ სამია, კერძოდ:

1. შიდა რესურსები

ვფიქრობთ, კიდევ კარგა ხანს მრავალი ორგანიზაციისათვის საუკეთესო გამოსავალი ფანდრაიზერთა საკუთარ ადამიანურ რესურსებში მოძიება იქნება. ანუ, შესაძლოა, ორგანიზაციაშივე მომუშავე ადამიანებისგან ისეთების შერჩევა, რომლებიც მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს თავს დაანებებენ და ფონდების მოძიებაზე ზრუნვას შეუდგებიან. ეს შეიძლება იყოს მმართველი საბჭოს წევრი ან სხვა თანამშრომელი, რომელიც გამოავლენს დონორებთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს, აქვს საუბრის სასიამოვნოდ წარმართვის უნარი, არის პოზიტიურად განწყობილი და მოწესრიგებული. ეს ზოგჯერ კარგი შესაძლებლობაა ორგანიზაციის შიგნით დაწინაურებისა და განვითარებისათვის მათთვის, ვინც თავს გადატვირთულად გრძნობს და სხვა

სამსახურს ეძებს. ასეთი გადაწყვეტილების მიღმა საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ უწინდელი მოვალეობები კვლავ ტვირთად აწვება ადამიანს და აშორებს მას დონორებს. დადებითი მხარე აშკარაა: კარგად ვიცით, რომ, თუ ადამიანი მანამდე სხვა სფეროში მუშაობისას პირნათლად ასრულებდა საკუთარ მოვალეობებს, ის ახალი ვალდებულებების დაკისრებისას იმედებს არ გაგვიცრუებს. მიზანშეწონილია, გადაწყვეტილების მიღებამდე ასეთი თანამშრომლის ფონდების მოძიების ტრენინგზე გაგზავნა, რათა ის აღნიშნული პროფესიის ძირითად საიდუმლოებებს გაეცნოს და გააცნობიეროს, თუ რა პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს.

2. ძებნა მომიჯნავე სფეროებში

რომელი პროფესიები დგას ყველაზე ახლოს ფანდრაიზერის საქმიანობასთან? მათი რიცხვი საკმაოდ დიდია. ესენია: საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, გაყიდვების აგენტი, მრჩეველი და მთავარი ბუღალტერი, პროექტის მენეჯერი, მარკეტინგის სპეციალისტი, ანუ ყველა ის სპეციალობა, რომლის ძირითად მოთხოვნას ადამიანებთან ურთიერთობა წარმოადგენს, ხოლო შედეგი პირდაპირ გავლენას ახდენს ანაზღაურებაზე. სხვადასხვა კორპორაციაში მომუშავე უფრო მეტი და მეტი ადამიანი იმდენად დაიღალა და სურს, მატერიალურის გარდა სხვა, გაცილებით უფრო დიდი სიამოვნება მიიღოს, რომ მზად არის, დაუნანებლად უკან მოიტოვოს თავისი კორპორაციული მანქანები, ფუფუნებაში ცხოვრება და ისეთი სამუშაო მოძებნოს, სადაც მოემსახურება გაჭირვებულთ. ასეთი თანამშრომლის დაკმაყოფილება არც ისე იოლია, რადგან ის, როგორც წესი, მიჩვეულია ეფექტურ მენეჯმენტს, გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებას და კომფორტულ სამუშაო გარემოს, მაგრამ, თუკი თავიდანვე ავუხსნით, თუ რას უნდა მოელოდეს ის და შევთანხმდებით ანაზღაურების თაობაზე, არის იმის შესაძლებლობა, რომ ასეთი ადამიანი კარგ ფანდრაიზერად ჩამოყალიბდეს. მენეჯმენტის ცოდნა და გამოცდილება შეიძლება დამატებითი სარგებლის მომტანი აღმოჩნდეს, რადგანაც გადაწყვეტილების მიღების ზოგიერთი მექანიზმი მის ახალ ორგანიზაციასაც შეიძლება მოერგოს.

3. შტატგარეშე/თავისუფალი გრაფიკით მომუშავე ადამიანი – დაქირავებული სპეციალისტი, რომელიც ორგანიზაციასთან თანამშრომლობს

ორგანიზაციის გარეთ ფანდრაიზერის დაქირავება თანამშრომლობის შეთანხმებას ემყარება, რაც ორგანიზაციის მართვისთვის დიდი გამოწვევაა. ამგვარი მაცდური გადაწყვეტილების მიღებას იწვევს: თანხების ნაკ-

ლებობა, უსაფრთხოების მოთხოვნილება („ჩვენ არ გადავიხდით მხოლოდ დაპირებისთვის, არამედ შედეგის შემთხვევაში“) და სულსწრაფობა („ვიმედოვნებთ, რომ ის, ვინც სხვა მომხმარებელს მოემსახურა, ჩვენთვისაც შეძლებს სწრაფად და ეფექტურად მოიპოვოს დაფინანსება“). შტატგარეშე თანამშრომელთან ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას ორგანიზაცია, ჩვეულებრივ, მას საკომისიო პროცენტს სთავაზობს და მთავარი რისკის ფაქტორი სწორედ აქ იმალება. თუ ჩვენ დარწმუნებულები არა ვართ მისი საქმიანობის ეფექტურობაში, მაშინ ვთავაზობთ 20%-ს, ხოლო თუკი ვიცით, რომ ის დაფინანსების მოპოვებაში ძლიერია, მაშინ ვცდილობთ, მისი საკომისიო 10%-ს არ აღემატებოდეს. ამავდროულად, ჩვენმა ვარაუდმა შესაძლოა, სულაც არ გაამართლოს და რამდენიმე თვის შემდეგ აღმოჩნდეს, რომ ფანდრაიზერს 50 000 ლარი უნდა გადავუხადოთ, თუმცა კარგად ვიცით, რომ ეს გასამრჯელო მან მხოლოდ ორი კვირის ეფექტური მუშაობით დაიმსახურა. შეიძლება პირიქითაც მოხდეს: დაბალი საკომისიო გადასახადის შემთხვევაში სპეციალისტი არ არის საკმარისად მოტივირებული და მოსალოდნელი მილიონების მაგივრად დროდადრო მიღებული შემოწირულობები შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ასობით ლარს შეადგენდეს, მაშინ როცა მისი ყოველთვიური ანაზღაურება ჩვეულებრივად გასაწევი ხარჯია.

ფანდრაიზინგის ეთიკური პრინციპების დეკლარაციის მიხედვით, სახელფასო განაკვეთის მოპოვებული დაფინანსებიდან გარკვეული პროცენტის ოდენობით განსაზღვრა უნდა განიხილებოდეს, როგორც აუცილებელი „ბოროტება“. თუ თქვენს ორგანიზაციას იმის ფული არა აქვს, რომ ფანდრაიზერთან ჩვეულებრივი შრომითი კონტრაქტი გააფორმოს და მისთვის გასამრჯელოს გადახდის ერთადერთი საშუალება საკომისიო გადასახადია, მაშინ უმჯობესი იქნება, რომ ეს გარკვეული დროის ფარგლებში მოაქციოთ. მაგალითად, პირველი 6 თვის განმავლობაში დათანხმდეთ საკომისიოს გადახდას, ხოლო შემდეგ უკვე ჩვეულებრივი შრომითი კონტრაქტი გააფორმოთ.

საკომისიო გადასახადის შემთხვევაში, საუკეთესო გამოსავალია კონკრეტულ რაოდენობრივ ანაზღაურებაზე შეთანხმება. მაგალითად, თუკი მოცემულ თვეში მოზიდული დაფინანსება 50 000 ლარს შეადგენს, საკომისიო გადასახადი 4 000 ლარის ოდენობით უნდა განისაზღვროს, უფრო მსხვილი თანხის მოზიდვის შემთხვევაში, საკომისიო 5 000 ლარით განისაზღვრება, რაც საკომისიო გადასახადის მაქსიმალურ ოდენობას წარმოადგენს. ამგვარად, ანაზღაურების ეთიკის ნორმები შენარჩუნებულია და ყოველთვის შესაძლებელია მაქსიმალური თანხის გამოთვლა, რომელსაც ფანდრაიზერი გამოიმუშავებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსე-

ბობს იმის რისკი, რომ მოგვიწევს უხერხულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა და ახსნა-განმარტების მიცემა იმის თაობაზე, თუ რატომ დაიხარჯა შემოწირულობის გარკვეული თანხა ფანდრაიზერზე ბენეფიციართა ნაცვლად.

იმისდა მიუხედავად, თუ როგორ შეარჩევთ ფანდრაიზერს (გვჯერა, რომ რამდენიმე წელიწადში ისინი ყველა სერიოზულ ორგანიზაციას ეყოლება), მაინც მნიშვნელოვანია, რომ მათ ჩაუტარდეთ ტრენინგი. შეთანხმებაზე ხელის მოწერამდე მათი პროფესიონალიზმის შესამოწმებლად სავალდებულოა ორი ამოცანის შესრულება. ესენია:

- დაფინანსების მოპოვების სამოქმედო გეგმა პირველი წლისათვის, ან ნახევარი წლისათვის მაინც;
- და პირველი დაფინანსების მოპოვების გეგმა, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში ერთი თვის ხელფასის ტოლი მაინც უნდა იყოს. თუმცა, იმის მოლოდინი, რომ კანდიდატმა აღნიშნული თანხა დადგენილ დროში მოიძიოს, არც ისე სამართლიანი მიდგომა იქნება, რადგანაც წარმატება ფანდრაიზერზე მხოლოდ ნაწილობრივ არის დამოკიდებული. მაგალითისათვის, თუ ბუღალტერი ან მმართველობითი საბჭოს სხვა წევრი გადაწყვეტს, თავიდანვე დაანახოს ფანდრაიზერს, „ვინ არის აქ უფროსი“, ასეთ შემთხვევაში, მისი ბედი ხშირად უკვე გადაწყვეტილია, ასობით ტრენინგიც რომ ჰქონდეს გავლილი და მილიონობით თანხა ჰქონდეს მოპოვებული.

აუცილებელი პირობები დონორების მოსაძიებლად

დაფინანსების მოზიდვის წარმატებით დასაწყებად და შემდგომში მის სამართავად ორგანიზაციამ მინიმუმ 9 პირობა უნდა შეასრულოს. ქვემოთ ჩამოთვლილ პირობებს შემდეგში სათითაოდ და უფრო დაწვრილებით განვიხილავთ:

ა. გარემოს ცოდნა;

ბ. მისია და სამოქმედო გეგმა;

გ. კარგი სახელწოდება და ლოგო;

დ. ლაკონიური გზავნილი;

ე. განმასხვავებელი ნიშანი;

ვ. თხოვნების პოზიციონირება/გამიზვნა;

ზ. კარგი პირობები წამოწყებისათვის;

თ. დისციპლინა და შეუპოვრობა;

ი. პირდაპირი ურთიერთობა დონორებთან.

აი, რას ვგულისხმობ:

ა. გარემოს ცოდნა

არსებობს პროექტები და ორგანიზაციები, რომელთა გაუჩინარებასაც ვერავინ შეამჩნევს, რადგანაც ისინი უბრალოდ უსარგებლოა. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ იმიტომ დაარსდა, რომ ვიღაცას დავა ჰქონდა ვიღაცასთან და ამით რაღაცის დამტკიცება სურდა. ზოგი რომელიმე ლიდერის წამიერი გატაცების ან ახირების შედეგია. ზოგი კი იმიტომ შეიქმნა, რომ ვიღაცამ არ იცოდა, რომ მსგავს საქმეს სხვა უკვე ასრულებდა.

სხვა, არცთუ ისე სახარბიელო მაგალითია ის ორგანიზაციები, რომლებიც ძალიან იშვიათი სენით დაავადებული ავადმყოფებისათვის მუშაობს და უამრავ პაციენტს ემსახურება. ასეთ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ ძალისხმევის გაერთიანება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთმანეთს ებრძვიან თითოეული კაპიკისთვის. ასეთი ბრძოლა კონკურენციისთვის ხშირად დროის, ფულისა და ენერგიის ფუჭად ხარჯვაა.

ასეთი მაგალითების თავიდან აცილება შესაძლებელი იქნება, თუკი ხელმძღვანელები შეისწავლიან „კონკურენტს“, ანუ ორგანიზაციებს, რომლებიც იმავე სფეროში საქმიანობენ და მსგავსი მისწრაფებები აქვთ. მაშინ ისინი თავიდან აიცილებდნენ იდეათა დუბლირებას, ქადაგებას ვინმეს დასარწმუნებლად და ხარჯების მრავალგზის ზრდას. ამის ცოდნა აუცილებელია, რათა საუკეთესოებისაგან ვისწავლოთ და შესადარებლადაც საუკეთესო მაგალითი ავიღოთ, რათა ბენეფიციარებს უკეთ მოვემსახუროთ. ამას „ბენჩმარკინგი“ (ეფექტური მეთოდების მოძიება, შესწავლა-შედარება და ადაპტაცია) ეწოდება და ის მენეჯმენტის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს.

არსებობს რამდენიმე კითხვა, რომელიც თქვენს სფეროში მომუშავე საუკეთესო ორგანიზაციებს ეხება და მასზე პასუხის ცოდნა საინტერესოა, კერძოდ:

რა სახის მომსახურებას სთავაზობს და როგორ ეხმარება თავის ბენეფიციარებს? რა მიღწევები და ჯილდოები აქვს? ვისთან თანამშრომლობს? რას, როგორ და რამდენად შედეგიანად უწევს მხარდაჭერას? რას ფიქრობენ მის შესახებ მისი წევრები, ბენეფიციარები და მედია? საიდანაა მოპოვებული დაფინანსების წყაროები, რამდენია და რა დანიშნულება აქვს? როგორია ოფისი და მისი აღჭურვილობა? რამდენი ადამიანი მუშაობს და როგორია მათი ანაზღაურება? როგორ გამოიყურება მისი ვებ-გვერდი და რა სახის ინფორმაციაა განთავსებული მასზე? რა გზით ემსახურება მომხმარებელს: ელექტრონული ფოსტით, ტელეფონით თუ პირადი შეხვედრებით? რა გეგმები აქვს სამომავლოდ?

შეგვიძლია, მოვიყვანოთ იმის მაგალითი, თუ რამდენად მომგებიანი შეიძლება იყოს თქვენი გარემოს კარგი ცოდნა. პოლონეთის კათოლიკურმა მამათა სამონასტრო ორდენმა აღმოაჩინა, რომ მის მონასტერთაგან თითოეული ერთსა და იმავე პროდუქციას უკვეთავდა (მაგ.: საწვავს, ფქვილს, სარეცხ საშუალებებს), რამაც ჯამში საკმაოდ დიდი თანხა შეადგინა. ამიტომ, ისინი შეთანხმდნენ ეკონომიკურ საკითხებზე და შექმნეს შესყიდვების ერთიანი პლატფორმა. ერთიანმა შეკვეთამ მომარაგებაზე პასუხისმგებელ პირებს საშუალება მისცა, ეწარმოებინათ მოლაპარაკება, რის შედეგადაც მათ საკმაოდ დიდი ფასდაკლება და გადახდის ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობები მიიღეს, რადგანაც, იყვნენ რა დიდ მომხმარებელთა წარმომადგენლები, მომწოდებელთა უმრავლესობისათვის მსხვილ და მნიშვნელოვან კლიენტებად იქცნენ.

ძალიან მნიშვნელოვანია კარგი ურთიერთობა იმათთან, ვისაც ჩვენ, ხშირად უსაფუძვლოდ, კონკურენტებად აღვიქვამთ, მაშინ, როცა მათთან კარგი ურთიერთობის დამყარებით გაცილებით მეტი მოგების მიღება შეგვიძლია.

ბ. მისია და სამოქმედო გეგმა

ჯეკ უელჩი თავის ცნობილ წიგნში „გამარჯვება“ წერდა, რომ ყველა ორგანიზაციაში შეიძლება იყოს ისეთი ადამიანი, რომელსაც წარმოდგენაც კი არა აქვს, თუ საერთოდ რას წარმოადგენს მოცემული ორგანიზაციის მისია, მიუხედავად იმისა, რომ გუშინ შეხვედრა სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ყოფილიყო გამართული.

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციის მისია აერთიანებს მთელ გუნდს და მისი ცოდნა მისწრაფებათა ერთიანობის გარანტი და უპირობო შეთანხმებაა, როცა საქმე ეხება არჩევანს ფულსა და მომსახურებას შორის. მოქმედება სწორედ მისიიდან აღმოცენდება. იგი ასევე მოტივაციის მთავარი წყაროა მაშინ, როდესაც ჩნდება ეჭვი და იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამუშაო ძალზე დიდ ძალისხმევას მოითხოვს. დაფინანსების მოპოვებისას მისია ჯანსაღი განვითარების საფუძველია.

როგორ უნდა შევამოწმოთ, თუ რამდენად ქმედითია ჩვენი ორგანიზაციის მისია? შეიძლება ვთხოვოთ მმართველი საბჭოს წევრებს, თანამშრომლებსა და წევრებს, დაწერონ საკუთარი აზრი ორგანიზაციის მისიის შესახებ. შემდეგ თავი უნდა მოვუყაროთ პასუხებს და შევადაროთ, შევაგროვოთ ეს ფურცლები და შევადაროთ ნაწერები. თუკი პასუხებს შორის ძალიან დიდი სხვაობა იქნება, სპეციალური შეხვედრა უნდა დავნიშნოთ იმის გადასაწყვეტად, თუ როგორ უნდა ჟღერდეს ის ფრაზა, რომელთანაც ჩვენი ორგანიზაცია არის ასოცირებული.

გ. კარგი სახელწოდება და ლოგო

არსებობს ორგანიზაციები, რომელთა სახელწოდების დამახსოვრება უბრალოდ შეუძლებელია. ის ძალიან გრძელია, ზედმეტად ჰგავს სხვა ორგანიზაციის სახელწოდებას, ან ძალიან უცნაურია. ასეთმა დასახელებამ შეცდომაშიც კი შეიძლება შეგვიყვანოს, რადგანაც ისეთ სიტყვებს შეიცავს, რომელიც სხვა ორგანიზაციასთან ასოცირდება. პოლონეთში, მაგალითად, დაახლოებით 5 ორგანიზაცია მაინც არის, რომლის დასახელება შეიცავს გამოთქმას: „პრო ბონო“ და თითოეული მათგანი საშემოსავლო გადასახადის ერთი პროცენტის მოპოვებისთვის იბრძვის. წარმოიდგინეთ რა დამაბნეველია ეს დონორებისათვის!

ცუდი, ძნელად დასამახსოვრებელი სახელწოდება ასუსტებს ორგანიზაციის ცნობადობას და ართულებს ურთიერთობასა და რეპუტაციის დამკვიდრებას. ერთ დღეს შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ასეთმა ორგანიზაციამ უნებლიეთ სხვა ორგანიზაციას გაუწია მომსახურება. ამიტომ, საჭიროა ამაზე დაფიქრება და, თუ სახელწოდება კომუნიკაციის სუსტი მხარეა, ის უნდა შეიცვალოს ან შეიქმნას ახალი ბრენდი, რომელიც დროთა განმავლობაში ორგანიზაციის ჭეშმარიტი სიმბოლო გახდება.

იანინა ოჩოისკას ორგანიზაციის ისტორია ასეთი პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაგალითია. თავდაპირველად მის ფონდს „ეკვილიბრი“ ერქვა, მაგრამ, ვინაიდან ის ფრანგულ ფონდთან ასოცირდებოდა, ამიტომ 1994 წლიდან მან ფონდს სახელწოდება შეუცვალა და მას შემდეგ ფონდს „პოლონეთის ჰუმანიტარული ორგანიზაცია“ ეწოდება.

იგივე შეიძლება ითქვას ლოგოსთან დაკავშირებითაც: ის შეიძლება ან ხელის შემწყობი, ან, პირიქით, ზიანის მომტანი აღმოჩნდეს, როგორც რეპუტაციის, ასევე ფონდების მოზიდვის მხრივაც. საკმარისი იქნება ვიკითხოთ: რამდენი ქართული ორგანიზაციის ლოგო გახსოვთ, რომ მათი დახატვა შეძლოთ? რომელი მათგანი გახსოვთ ყველაზე უკეთ და რატომ? იგივე რომ სთხოვოთ უცხო ადამიანს, უბრალო გამვლელს, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს თქვენს ორგანიზაციასთან, ის რას დახატავდა?

კარგი ლოგო ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებულ ასოციაციებს უნდა იწვევდეს და მცდარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას გამორიცხავდეს. ის უნდა იყოს ორიგინალური, რათა სხვა ლოგოების ფონზე არ დაიკარგოს. უნდა იყოს პრაქტიკული, რათა მოსახერხებელი იყოს მისი გამოქვეყნება ინტერნეტით, ქაღალდზე ამობეჭდვა, ქვაზე ან ლი-

თონზე ამოტვიფვრა. ის იმდენად მარტივი უნდა იყოს, რომ ზომაში შემცირების ან დაბალი რეზოლუციით ამობეჭდვის შემდეგაც კი, ცნობადი იყოს. დასასრულ, უნდა იყოს ლამაზი, მიმზიდველი და ადვილად დასამახსოვრებელი.

ლოგოსთან დაკავშირებით გირჩევდით, რომ დახმარებისათვის პროფესიონალს მიმართოთ. თუ გინდათ, რომ თქვენი ორგანიზაციის ან ახალი კომპანიისათვის კარგი ლოგო გქონდეთ, მიბრძანდით სახვითი ხელოვნების რომელიმე სკოლაში, დაელაპარაკეთ გრაფიკის ან ინდუსტრიული ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორს და სთხოვეთ, კონსულტაცია გაგიწიოთ და ნიჭიერ ხელოვანთან მიგავლინოთ. შესაძლოა, ასეთმა პროფესიონალმა ანაზღაურებაც მოგთხოვოთ, თუკი მოცემული პროექტისათვის თავისუფალი დრო არ გააჩნია. მაგრამ, მიუხედავად ხარჯისა, ეს ფინანსების კარგი დაბანდება იქნება. ეს ლოგო უამრავ დონორს მოიზიდავს წლების განმავლობაში და მის შექმნაში დახარჯულ თითოეულ ლარს ასმაგად ამოიღებთ.

ამერიკის შეერთებული შტატების „კვების ბანკების“ (არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც უპოვართათვის საკვების მოპოვებით არის დაკავებული) ქსელმა 30 წლის მოღვაწეობის შემდეგ გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ დონორებთან მისი ურთიერთობა არცთუ ისე წარმატებული იყო და მივიდა დასკვნამდე, რომ ამის ერთ-ერთ მიზეზს მისი სახელწოდება ([America's Second Harvest] ამერიკის მეორე მოსავალი) და ლოგო წარმოადგენდა, რომელზეც მხოლოდ წარწერა და ამერიკის პატარა დროშა იყო გამოსახული. ამიტომ, მან გაბედული ნაბიჯი გადადგა და 2008 წლის სექტემბერში შეიცვალა როგორც სახელი, ასევე ლოგო. ახლა ორგანიზაციას ჰქვია Feeding America (ვასაზრდოებთ ამერიკას) და მის ახალ ლოგოზე გამოსახულია ხორბლის თავთავი. იხ.: http://feedingamerica.org/about-us/our-brand.aspx

America's Second Harvest The Nation's Food Bank Network

IS NOW

FEEDING AMERICA

დ. ლაკონიური გზავნილი

შეგწევთ იმის უნარი, რომ 30 წამში უცხო ადამიანი დაარწმუნოთ, თქვენი დონორი გახდეს? თუ ფიქრობთ, რომ ეს ძალიან ცოტა დროა, მაშინ მინდა შეგახსენოთ, რომ სატელევიზიო თუ რადიო სარეკლამო რგოლების ხანგრძლივობა სწორედ 30 წამია და ბევრი მათგანი გასაოცარ ეფექტს ახდენს: ხალხი ყიდულობს პროდუქტს, რომლის ვარგისიანობაშიც მას რეკლამა არწმუნებს. ეს რომ სიმართლეს არ შეეფერებოდეს, ტელევიზორში რეკლამის ყურებას ამდენ დროს არ დავუთმობდით. რეკლამა ეფექტურია, ამიტომაც მას კვლავინდებურად მიმართავენ.

რეკლამა ძალიან მოკლეა, ვინაიდან სატელევიზიო დრო ძალიან ძვირი ღირს. ერთი წამი რამდენიმე ათასი ლარიც კი შეიძლება ღირდეს. თუ ჩვენი მომავალი დონორების დროსაც იმავე პატივისცემით მოვეპყრობით და გავუფრთხილდებით, უფრო მეტი მოტივაცია გვექნება, მოთხოვნა ლაკონიურად და ზუსტად ჩამოვაყალიბოთ და გულდასმით დავფიქრდეთ, რისი თქმა გვინდა.

ფონდების მოძიებაში ჩართულმა ყველა ადამიანმა უნდა მოამზადოს მოკლე განცხადება ორგანიზაციის საჭიროებების შესახებ, რომელსაც „ლიფტში სიტყვით გამოსვლასაც“ უწოდებენ, რადგან მის წარმოთქმას სწორედ ის დრო სჭირდება, რაც ლიფტით მგზავრობას. ეს შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი წინადადება, მაგრამ საუბრისას მასზე ისეთი აქცენტები იქნება გაკეთებული, რომ რესპონდენტს ის დაამახსოვრდეს. მაგალითად: „მომავალ თვეში ჩვენს სკოლას უნდა, რომ დაიწყოს სავარჯიშო მოედნის მშენებლობა, რომლის საფასური ორი მილიონი ლარია. ამიტომ, გთხოვთ, შეიძინოთ ერთი აგური 10, 20, 50 ლარად, მიიღოთ ჩვენი მოწვევა და გაწევრიანდეთ სკოლის მხარდამჭერთა კლუბში“ – გზავნილი უნდა იყოს ლაკონიური, მოკლე და ხალისიანი. შემდეგ თავისუფლად შეგვიძლია ვისაუბროთ იმ სარგებელზე, რომელსაც კლუბის წევრები იღებენ.

კლუბში გაწევრიანების შეთავაზების შემცველი ეს მოკლე წინადადება განთავსდება ჩვენს ბროშურებზე, ვებ-გვერდზე და სავიზიტო ბარათის მეორე მხარეს. გადავწყვიტეთ, რომ ყოველდღე, ჩვენს ჰოსპისში ყველამ მინიმუმ 5 ადამიანს მაინც უთხრას ან ელექტრონული ფოსტით აცნობოს სავარჯიშო მოედნის მშენებლობის შესახებ. ასე დაიწყება კარგი კამპანია დაფინანსების მოსაზიდად.

ე. განმასხვავებელი ნიშანი

საქველმოქმედო საქმიანობისათვის კონკურენცია სასარგებლოა. მისი წყალობით ვსწავლობთ ბენეფიციარებისა და დონორების დაფა-

სებას, თანდათანობით მათ ისევე ვექცევით, როგორც მომხმარებელს. კმაყოფილი მომხმარებელი კი დააფასებს ჩვენს ძალისხმევას და გვერდში დაგვიდგება, მზად იქნება, დაგვიცვას გაჭირვების ჟამს და იზეიმოს ჩვენთან ერთად, როცა წარმატებას მივაღწევთ. ურთიერთდაფასებაზე დამყარებული კარგი დამოკიდებულების წყალობით, ჩვენი ორგანიზაციისათვის განვავითარებთ საზოგადოებრივ მხარდაჭერას და უზრუნველვყოფთ მის მომავალს.

სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების არსებობა გვაცნობიერებინებს, რომ ადამიანების ნდობა უნდა გავამართლოთ, ისინი ხომ აფრიკაში შიმშილის აღმოსაფხვრელად გასაგზავნ ფულს ჩვენ გვანდობენ, ვინაიდან სჯერათ, რომ ჩვენ უკეთ დავეხმარებით გაჭირვებულებს.

ვიდრე თითოეული ქართველი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნის თითოეული მოქალაქე, აქტიურად არ ჩაებმება რომელიმე საქველმოქმედო ორგანიზაციის საქმიანობაში ან რეგულარულად არ დაუთმობს მას დროს ან თანხებს, მანამდე ყველა ორგანიზაციამ ერთობლივად უნდა იმოქმედოს ქვეყანაში „ფილანთროპიის კულტურის“ ჩამოსაყალიბებლად. როცა დონორთა რიცხვი საქართველოში, რომლებიც რეგულარულად, ყოველთვიურად გამოყოფენ ფულად სახსრებს, მილიონს მიაღწევს, კონკურენციის დროც მაშინ დადგება, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც კი, ის სამართლიანი და ეთიკური უნდა იყოს. გავიხსენოთ, რომ საუკეთესო რესტორნები სწორედ ისინია, რომლებიც სხვა რესტორნებით არის გარემოცული. ქალაქში არსებულ ერთადერთ რესტორანს, როგორც წესი, კონკურენციას არავინ უწევს, და იქ კერძებიც ძალიან დაბალი ხარისხისაა.

დაფინანსების მოძიების გამოწვევას წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის მახასიათებლის, ჩვენი ორგანიზაციის უნიკალურობის განმასხვავებელი ნიშნის აუცილებლობა. რატომ ირჩევთ ერთ რესტორანს და არა მეორეს? რატომ ატარებთ ამ მანქანას და არა სხვას? რამ გიბიძგათ, გაგეტარებინათ თქვენი დასვენების ბოლო დღეები ერთ კონკრეტულ ადგილას და არა სადმე სხვაგან? ხშირად მხოლოდ ფასი როდი განსაზღვრავს, თუ სად ვივახშმებთ, ან რომელ მანქანას ავირჩევთ, არამედ სწორედ ზემოხსენებული კონკურენტუნარიანობის მახასიათებელი: კარგი მომსახურება, ინტერიერის ფერი ან ის, რომ ჩვენმა საყვარელმა მსახიობმაც სწორედ ეს ადგილი აირჩია.

რა არის თქვენი ორგანიზაციის მახასიათებელი? გაქვთ ისეთი რამ, რაც სხვა ორგანიზაციებს არ გააჩნიათ და ამის გამო, ცოტა არ იყოს, შურთ კიდეც თქვენი? გაქვთ გაცნობიერებული, რა არის ეს „რაღაც“ და ცდილობთ, გამოაჩინოთ ის, როგორც კი საშუალება მოგეცემათ?

თითქმის ყველა ცნობილი მსახიობი ატარებს მანქანას, მაგრამ ამა თუ იმ მსახიობის მანქანას მხოლოდ მაშინ ვაქცევთ ყურადღებას, როცა მისი მწარმოებელი იწყებს მის შესახებ ლაპარაკს და მიგვითითებს სარეკლამო პოსტერზე გამოსახულ ამ ცნობილ ადამიანზე.

ვ. თხოვნების პოზიციონირება/გამიზვნა

იპოვეთ თქვენი მხარდამჭერები – ეს ფანდრაიზერის კიდევ ერთი ამოცანაა. როგორ მოვიძიოთ ისინი? შემდეგი უნარი, რომელსაც ჩვენ საქმიდან გამომდინარე ვისწავლით, არის პოზიციონირება.

მარკეტინგის ერთ-ერთი ანდაზა ამბობს: „როდესაც მივმართავთ ყველას – არავის მივმართავთ“. სწორედ ასე ხდება, როცა ადამიანების დიდ ჯგუფს არ ესმის, რაზე ველაპარაკებით. ის ან უგულებელყოფს ჩვენს ნათქვამს, ან არაფერი ახსოვს. გამოდის, რომ ბროშურებში, წვეულებებსა და რეკლამაში დახარჯული თანხა ქარისთვის გაგვიტანებია.

ასეთი სიტუაციის თავიდან ასაცილებლად აუდიტორია ერთგვაროვან სამიზნე ჯგუფებად უნდა დავანაწევროთ და ამ ჯგუფთაგან თითოეულისათვის მოვამზადოთ განსხვავებული გზავნილი, რომელიც სწორედ მათ მოლოდინს გაამართლებს. მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ კომუნიკაციის ეფექტურობას.

როგორ უნდა განხორციელდეს ეს პრაქტიკულად? სკოლის მოსწავლეებისათვის საპრიზო გათამაშებასა და ლატარიას მოვაწყობთ. მათი მშობლები კი მიიღებენ ჩვენს ორგანიზაციაში გაწევრიანების ან საკონცერტო დარბაზში გამართული საქველმოქმედო მუსიკალური წარმოდგენის მოსაწვევს (ან ორივეს). ბიზნესის წარმომადგენლები კი მოწვეულები იქნებიან სადილზე, რომელიც ერთ-ერთი მათგანის დაფინანსებული იქნება, ხოლო ახლო-მახლო მცხოვრები ოჯახებისათვის მოვაწყობთ პიკნიკს სპორტული შეჯიბრით. თუ ყველაფერი წინასწარ იქნება მომზადებული და მსმენელიც კმაყოფილი დარჩება, ჩვენი მხარდამჭერების რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება.

ზ. კარგი პირობები წამოწყებისათვის

დონორებთან ურთიერთობა თავიდან პატარა ნერგს მოგვაგონებს. იმისათვის, რომ მისგან ლამაზი ყვავილი აღმოცენდეს, საჭიროა ზრდისათვის კარგი პირობების შექმნა. ასეთებია: მორწყვა, სინათლით უზრუნველყოფა, ნაყოფიერი ნიადაგი და დიდი მოთმინება. სწორედ ასევეა დაფინანსების მოპოვებაც: თვით საუკეთესო გეგმაც კი შეიძლება ჩავარდეს, თუკი სათუთად არ მოვექეცით და წინასწარ არ განვსაზღვრეთ ყოველგვარი სიძნელე.

ფანდრაიზერმა უნდა გამოიმუშაოს რისკის ანალიზის უნარი. რაც უფრო მეტ დროსა და ფულს ვაბანდებთ კამპანიაში, მით უფრო საჭიროა მოულოდნელობისა და მარცხისაგან თავის დაზღვევა.

წარმოვიდგინოთ სიტუაცია: ადამიანებს არ უყვართ, როცა მათ ფულს სთხოვენ. ისინი, როგორც წესი, უარს ამბობენ საუბარზე, რადგან ეჩქარებათ, მშივრები არიან, მზად არ არიან ამგვარი საუბრისათვის, სხვა უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები აქვთ გადასაჭრელი, არ გვიცნობენ ან არ ესმით, რატომ ვაკეთებთ ამას მაშინ, როდესაც მათ თავზე აწვიმთ ან ქუჩაში საშინელი ხმაურის გამო ძლივს ესმით ჩვენი ნათქვამი. ასეთი დამაბრკოლებელი მიზეზი საკმაოდ ბევრია, მაგალითად: ბანკში არა აქვთ საკუთარი ანგარიში, ხელი არ მიუწვდებათ ინტერნეტზე, ფოსტაში რიგში დგომა ფულის გადასახდელად დროს მოითხოვს, ხოლო თანხა, რომელსაც ვითხოვთ, ძალიან მცირეა, ან ძალიან დიდი. ხანდახან ჯიბეში ხელსაც კი არ იყოფენ, ვინაიდან მძიმე ჩანთებითა აქვთ ხელები დაკავებული; ზოგჯერ უჭირთ გადაწყვეტილების მიღება და არასდროს ხარჯავენ ფულს, სანამ მეუღლეს არ ჰკითხავენ. ამისათვის საჭიროა, დავადგინოთ დაბრკოლებები მათ აღმოსაფხვრელად და, შესაბამისად, რისკის დონეც შემცირდება.

თ. დისციპლინა და შეუპოვრობა

მრავალი ორგანიზაცია დაფინანსების მოპოვების თვალსაზრისით ბევრს ვერ აღწევს, რადგანაც ძალიან ყოყმანობს, ბევრ რამეში ეჭვი ეპარება, პირველივე დიდი პრობლემის წინაშე უკან იხევს და ვერ ეგუება ვერც მარცხსა და ვერც დანაკარგებს. მარცხი ფანდრაიზერის მუშაობაში წააგავს საუკეთესო ფეხბურთელის სხეულის ტრავმას ან დაჟეჟილობას. ვისაც ფულის შეგროვება სურს, უარს და იმედგაცრუებასაც წინასწარ უნდა შეეგუოს.

რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარე კამპანიებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ საკუთარ პოტენციალს ისინი სრულად 4-5 წელიწადზე ადრე ვერ აღწევენ. ამისათვის საკმარისი იქნება დავაკვირდეთ პოლონეთში არსებულ კამპანიას საშემოსავლო გადასახადის ერთპროცენტიანი განკარგვის შესახებ, რომელიც უკვე 6 წელია გრძელდება, მაგრამ ამ სახით თანხებს გადამხდელთა მხოლოდ ნახევარი იყენებს. პირველ წელიწადს ძალზე მცირე იყო ასეთი დონორების რაოდენობა – მხოლოდ 6%. იმ ადამიანთა უმრავლესობამ, ვინც თანხა არ გაიღო (46%), არ იცოდა, როგორ გაეკეთებინა ეს, ზოგმა კი აღიარა, რომ პროცედურა ზედმეტად რთული იყო. თუმცა, ახლა არსებობს ორგანიზაციები, რომლებიც ასეთი სახით წელიწადში დაახლოებით 16 მილიონ

ზლოტს (7 მილიონი ლარი) იღებენ და ეს იმიტომ, რომ ისინი მომდევნო წლებშიც გამუდმებით იმეორებდნენ თავიანთ კამპანიას და ცდილობდნენ, გაეუმჯობესებინათ პროცედურები, რომლებიც მხოლოდ ახლახან გამარტივდა და უფრო ეფექტური გახდა.

შეუპოვრობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია ხალხთან უშუალო კონტაქტის დროს, კერძოდ: ფულის შეგროვებისას, ტელეფონზე საუბრისას თუ მათთან სახლში მისვლისას. უარი ხშირი მოვლენაა, მაგრამ ფანდრაიზერმა ამის გამო თავი დამარცხებულად არ უნდა იგრძნოს. პირიქით, ყოველ ახალ რესპონდენტს დიდი ენთუზიაზმითა და კეთილგანწყობით უნდა შეხვდეს.

ყოველივე ეს შეიძლება სოკოს მოკრეფას ან თევზაობას შევადაროთ. თუკი ძალისხმევას არ დაიშურებთ, იშვიათად დაბრუნდებით ცარიელი კალათით. ამიტომაც არის, რომ მილიონობით ადამიანს მოსწონს ეს საქმიანობა, ათასობით ადამიანი კი მსოფლიო მასშტაბით მუშაობს ფანდრაიზერად.

ი. პირდაპირი ურთიერთობა დონორებთან

ფანდრაიზერს, ძირითადად, ორი ამოცანა აქვს შესასრულებელი: თხოვნა და მადლობის გადახდა, რაც დონორებთან ყოველდღიურ ურთიერთობას გულისხმობს. მაგრამ კარგი მუშაობის ერთ-ერთი საზომი პირდაპირი თხოვნების და შემდეგ მათზე მადლობის გადახდის დიდი რაოდენობაა. ოფისში ჯდომა უამრავ ქაღალდს შორის ხალხთან უშუალო ურთიერთობის სრულიად საპირისპირო რამ არის. ზოგი იმდენ დროს ანდომებს მომზადებას, რომ ორგანიზაციას იმედი აღარა აქვს, რომ დაფინანსების მოთხოვნა ოდესმე შესრულდება. ამიტომაც ხდება, რომ ასეთი ადამიანი რეალური სამუშაოს დაწყებამდე კარგავს სამსახურს.

პოლონეთში ფანდრაიზერთათვის ტრენინგების ჩატარებისას თითოეულ მათგანს ევალება ტესტის ჩაბარება, რაც შემდეგში მდგომარეობს: ლექციის დაწყებიდან რამდენიმე წუთში ისინი ქუჩაში უნდა გავიდნენ, გაესაუბრონ უცნობებს და ნახევარ საათში მოახერხონ საჩუქრებით დაბრუნება. თავიდან ძნელად თუ ვინმეს სჯერა, რომ ეს შესაძლებელია. ამიტომ თავიდან შიში, საკუთარ თავში რწმენის ნაკლებობა და ტრენერის მიმართ მტრული დამოკიდებულება ერთმანეთს ერწყმის, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ 30 წუთიც საკმარისი დროა და ტრენინგის თითქმის ყველა მონაწილე ფრთაშესხმული ბრუნდება, ვინაიდან ვინც ითხოვს, ის, როგორც წესი, იღებს კიდეც. შედეგიც არ აყოვნებს და ტრენინგის მონაწილეები ბრუნდებიან, ზოგი – ყვავილების

თაიგულით, ზოგი – ბოსტნეულით სავსე ჩანთებით, ზოგიც – ახალი თევზით ხელდამშვენებული, ხან კი სარკით, პრინტერით და ბევრი სხვა ორიგინალური ნივთით. ყველაფერ ამას იღებენ იმ პატარა მარცვლის სანაცვლოდ, რასაც ღიმილი და საუბარი ჰქვია. ე.წ. მარცვლის ტესტი ჩვენი ჩეხი კოლეგებისგან წამოვიდა. 2010 წელს ის თბილისშიც განხორციელდა და ქართველმა ფანდრაიზერებმა ამ სავარჯიშოს ძალიან კარგად გაართვეს თავი.

პირდაპირ ურთიერთობაში იგულისხმება შეხვედრები, საუბრები, ელექტრონული და ჩვეულებრივი მიმოწერა, სოციალური ვებ-გვერდების ქსელები, როგორებიცაა Facebook, Twitter და სხვა. ეს არის ურთიერთობა, სადაც ფანდრაიზერები ორგანიზაციების ელჩებად წარმოგვიდგებიან და არ არიან ამოფარებული ლოგოსა თუ ვებ-გვერდს. ურთიერთობის უშუალობა ასევე გულისხმობს, რომ ფანდრაიზერი სრულად არის ჩართული საქმიანობაში და თავის ქმედებაზე საკუთარ სახელსა და გვარს აწერს.

არ ღირს ლოდინი, ვიდრე უკეთესი დრო დადგება. მისი შექმნა ყოველდღიურად არის საჭირო, დანარჩენი კი ადამიანებს უნდა მივანდოთ და ყველაფერი თავისთავად აეწყობა. ჰენრი ფორდმა თქვა: „რეპუტაციას მხოლოდ განზრახვებით ვერ შექმნი“. ამიტომ, საჭიროა, შევწყვიტოთ დაფინანსების მოზიდვაზე საუბარი და ის ყოველდღიურ პრაქტიკაში განვახორციელოთ!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bauley, J. (2001). Successful Fundraising. Bibliotek Books; 2nd edition.
2. Bray, I. (2010). Effective Fundraising for Nonprofits: Real-World Strategies That Work. NOLO; 3rd edition.
3. Burnett, K. (2002). Relationship Fundraising: A Donor Based Approach to the Business of Raising Money. San Francisco, CA: Jossey-Bass; 2nd edition.
4. Klein, K. (2006). Fundraising for Social Change (Kim Klein's Fundraising Series). San Francisco, CA: Jossey-Bass; 5th Edition.
5. Ogilvy, D. (1985). Ogilvy on Advertising. Vintage.
6. Weinstein, S. (2009). The Complete Guide to Fundraising Management. Wiley; 3rd edition.

ქველმოქმედება საქართველოში – საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოცდილება

თამარ ცირეკიძე
„კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის“ მომსახურების
განყოფილების ხელმძღვანელი; ტრენერ-კონსულტანტი

სტატიის მიზანია საქართველოში ქველმოქმედების ისტორიული განვითარების მოკლე მიმოხილვა და არსებული სიტუაციის ანალიზი – როგორი იყო წარსული, რა სიტუაციაა დღეს და რა ტენდენციები იკვეთება მომავალში. სტატიაში გამოყენებულია 2009 წელს ფონდ „კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის“ შეკვეთით მარკეტინგული კვლევებისა და კონსულტაციის კომპანია „ეი-სი-თის“ (ACT) მიერ ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგები. სტატიაში აღნიშნულ კვლევის შედეგებში ყოველთვის მოცემული კვლევა იგულისხმება. შესაბამისად, სტატია სამ ნაწილად იყოფა:

1. ისტორიული რაკურსი
2. რა სურათი გვაქვს დღეს. სტატიის ამ ნაწილში გამოყენებულია, როგორც კვლევის შედეგები, ასევე ინფორმაცია ფონდ „კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის“ მიერ დაფინანსებული ღონისძიებების გამოცდილების შესახებ
3. მომავლის პერსპექტივები

ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღელისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თვისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თავის-თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან.[1]

/ილია ჭავჭავაძე/

2007 წელს ბაკურიანში ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საიას, სენის, ჩეხური ორგანიზაციის „რესურსების ალიანსი" და ფონდ „ღია საზაოგადოება – საქართველოს" მხარდაჭერით ჩაუტარდათ ტრენინგი ფონდების მოძიებაში. აქცენტი განსაკუთრებით ორ მიმართულებაზე იყო აღებული: როგორ უნდა მოიძიოს საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ თანხები ფართო საზოგადოებისგან ან/და საკუთარ ქვეყანაში არსებული კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულებებიდან. ტრენერმა, პროფესიონალმა ამერიკელმა ფანდრაიზერმა ქალბატონმა კეი სპრინკელ გრეისმა საკუთარი გამოცდილება გაიხსენა. ამერიკაში, ერთ-ერთ ორგანიზაციაში მუშაობისას, მისვლისთანავე მოუთხოვია ყველა იმ ადამიანისა თუ ორგანიზაციის სია, რომლებმაც წლების განმავლობაში გარკვეული დახმარება გაუწიეს ორგანიზაციას და შესაბამისი მადლობის წერილის თანხლებით ვებ-გვერდზე განუთავსებია. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, ბევრი ის ადამიანი, ვისი სახელიც სიაში იყო მითითებული, ისევ გამოჩნდა. განსაკუთრებით საინტერესო იყო ერთი სატელეფონო ზარი. აღმოჩნდა, რომ კერძო საოჯახო ფონდის მფლობელმა ცოლ-ქმარმა სიაში ოჯახის უფროსის მამის სახელი ნახა. ეს ინფორმაცია მათ ადრე არ ჰქონიათ, არც იცოდნენ, თუ მამა არსებულ ორგანიზაციას ეხმარებოდა და გულაჩუყებულებმა ორგანიზაციას თანხა თვითონაც გადაურიცხეს – არც მეტი, არც ნაკლები... ერთი მილიონი დოლარი! ამბავმა, რომლის მთავარი დანიშნულება ის იყო, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გამართული ვებ-გვერდის, ყველა დონორის სიის და მადლობის წერილების აუცილებლობა ეჩვენებინა, გარკვეულწილად ქართველი მონაწილეების დემოტივაცია გამოიწვია. თანხის სიდიდემ, ისევ ჩვენს იმდროინდელ სინამდვილეში და ტრადიციულ კითხვებთან დაგვაბრუნა: „ჩვენთან ეს არ გამოვა. ვისა აქვს ფული? ოჯახს და ნათესაობას ან ქუჩაში მათხო-

1 გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი 1987, ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი IV, პუბლიცისტური წერილები, წოდებათა თანასწორობა, გვ. 19.

ვარს კი, მაგრამ უცხო ადამიანებს და ორგანიზაციებს ქართველები ნაკლებად დაეხმარებიან; არც ბიზნესი – ეს ჩვენს ბუნებაში არ არის“ და ა.შ. „ჩვენს ბუნებაში არ არის.“ – ეს ფრაზა ძალიან ხშირად გვესმის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. და მაინც, არის თუ არ არის ეს ჩვენს ბუნებაში?

ისტორიული რაკურსი

რა თქმა უნდა, სხვისი დახმარების სურვილი ადამიანებს ძირითადად მაშინ უჩნდებათ, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობა და შედარებით სტაბილური პოლიტიკური სიტუაციაა. საქართველოს წარსულს თუ გადავხედავთ, ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთი) ასეთი პერიოდი XI-XII საუკუნეებია. გაჭირვებული ადამიანების (და არა მარტო სანათესაოს) დახმარების მაგალითს მოსახლეობას საქართველოს მეფეები და ეკლესიის წარმომადგენლები აძლევდნენ: „ისტორიკოსები გადმოგვცემენ, რომ დავით აღმაშენებელს, სასახლიდან რომ გამოდიოდა, თან მიჰქონდა ფულით გატენილი ქისა ღარიბებისათვის დასარიგებლად. ამავე დროს ისტორიკოსი დასძენს: მეფე ამ ქველმოქმედებას ეწეოდა არა სახელმწიფოს შემოსავლის და არც თანამდებობის პირთა შემოტანილი თანხებიდან, არამედ თავისი ხელით გაწეული შრომის საშუალებით შეძენილი თანხებიდან... ამავე დროს, გარდა კერძო ქველმოქმედებისა, ჯერ კიდევ IX საუკუნიდან საქართველოში არსებობდა ღარიბთა და დავრდომილთა დამხმარე სახელმწიფო ორგანიზაცია. ამ მიზნით საქართველოს სახელმწიფოს შემოსავალთა ათი პროცენტი იყო გამოყოფილი. ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი ირწმუნება, რომ ამ სახელმწიფო დახმარების ორგანიზაცია თამარ მეფის დროს ისეთი მტკიცე კონტროლის ქვეშ მუშაობდა, რომ პურეულის არც ერთი მარცვალი არ იკარგებოდა“.[2]

რაც შეეხება საზოგადოების მხრიდან რეალურ მეცენატობასა და ფილანთროპიას, საქართველოს ისტორიული ბედუკულმართობის ფონზე, ასეთი მაგალითები მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-20 საუკუნის დამდეგს თუ მოიძებნება. ქველმოქმედება განსაკუთრებით განათლების სფეროს ეხებოდა. ამ პერიოდში ძნელად თუ მოიძებნება

2 გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1983 წელი, ივანე ჯავახიშვილი – თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი II, გვ. 410, „საქართველოს მიღწევათა მოკლე მიმოხილვა პოლიტიკურს, სოციალურსა და კულტურულ სფეროში XI საუკუნის ბოლოდან XIII ს. დასაწყისამდე“.

ქართველი საზოგადო მოღვაწე, რომელიც რომელიმე სასწავლებლის საბჭოში არ ყოფილიყოს არჩეული და თავისი ამაგი არ დაედოს სკოლების განვითარებისთვის, რაც უდიდეს ეროვნულ საქმედ აღიქმებოდა. ეს პერიოდი რუსეთის იმპერიაში და შესაბამისად საქართველოში კაპიტალისტური წყობის განვითარებას ემთხვევა და გასაგები მიზეზების გამო მსგავსი საქმიანობები მეოცე საუკუნის დასაწყისში შეწყდა.

რა სურათი გვაქვს დღეს?

ბოლო 8 წლის განმავლობაში ბევრი საგაზეთო სტატია თუ ინტერნეტში განთავსებული მასალა, საქველმოქმედო კონცერტები თუ სხვა ღონისძიებები, ბიზნესსექტორის მიერ დაფინანსებული პროექტები და საზოგადოების აქტიურობა ნამდვილად გვაძლევს იმის საშუალებას, რომ თამამად ვთქვათ – საქართველოში ქველმოქმედება ფეხს იკიდებს. აქ იგულისხმება, როგორც საზოგადოების ცალკეული წევრების მიერ გაწეული დახმარებები, ასევე კორპორაციული ქველმოქმედება. შეიძლება თუ არა გარკვეული ანალიზი გაუკეთდეს არსებულ სიტუაციას? მოცემულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2009 წელს მარკეტინგული კვლევებისა და კონსულტაციის კომპანია „ეი-სი-თიმ“ (ACT) ფონდ „კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის“ შეკვეთით ჩაატარა თვისებრივი კვლევა.

კვლევის მიზნებს წარმოადგენდა:

1. ბიზნესკომპანიების ფინანსური რესურსების გაცემის გამოცდილების, კერძოდ, მათ მიერ სოციალური, საგანმანათლებლო და კულტურული სფეროების დაფინანსების პრაქტიკის შესწავლა.

2. ბიზნესის სექტორიდან და ფართო საზოგადოებისგან დონაციების მოძიების შესახებ საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოცდილების შესწავლა.

ჩვენ მხოლოდ კვლევის შედეგების რამდენიმე ასპექტზე შევჩერდებით:

- რატომ გასცემს ბიზნესი ფულს – ფინანსური რესურსების გაცემის მოტივატორები
- როგორ და რა ფორმით გასცემენ ბიზნესკომპანიები თანხებს – ფინანსური რესურსების გაცემის სტრატეგია
- ბიზნესკომპანიების საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება

- როგორ და რა ფორმით მოიძიებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები რესურსებს ბიზნესკომპანიებიდან და ფართო საზოგადოებისაგან.

რატომ გასცემს ბიზნესი ფულს – ფინანსური რესურსების გაცემის მოტივატორები

სოციალური, საგანმანათლებლო და კულტურული სფეროებისათვის ფინანსური რესურსების გაცემის მოტივი, უმეტეს შემთხვევაში, კომპანიის ცნობადობის გაზრდა და მისთვის პოზიტიური იმიჯის შექმნაა.

არსებული თემების დაფინანსებას ბიზნესკომპანიები ძირითადად სპონსორობის ან სოციალური პასუხისმგებლობის სახელით ახორციელებენ. ამავე დროს, სპონსორობას აქტიურ მარკეტინგად მოიაზრებენ, მაშინ როდესაც სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებულ პროექტს ნაკლებად განიხილავენ მარკეტინგულ აქტივობად.

აღსანიშნავია, რომ სოციალური პასუხისმგებლობის სახელით განხორციელებული აქტივობების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული ამ აქტივობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება საინფორმაციო საშუალებებით. ამასთან, მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა ამ აქტივობების გაშუქება, საბოლოო ჯამში, ისინი მაინც დადებითად აისახება კომპანიის იმიჯზე.

როგორ და რა ფორმით გასცემენ ბიზნესკომპანიები თანხებს – ფინანსური რესურსების გაცემის სტრატეგია

ბიზნესკომპანიების ფინანსურ რესურსებს გასცემენ კომპანიის შიდა რესურსებით, კომპანიასთან არსებული ფონდების მეშვეობით ან სოციალური პარტნიორობის მოდელის გამოყენებით.

კომპანიის შიდა რესურსებით ფინანსური სახსრების გაცემის მენეჯმენტს კომპანია ამჯობინებს იმ შემთხვევაში, თუ მას საკმარისი რესურსი აქვს ამ პროექტების დამოუკიდებლად განხორციელებისთვის. ამ მიდგომის უპირატესობას წარმოადგენს კომპანიის თანამშრომლების მიერ პროექტის მიზნების უფრო ნათელი ხედვა და მიზნების მიღწევისთვის საჭირო აქტივობების უკეთესი დაგეგმვა და მენეჯმენტი

კომპანიასთან არსებული ფონდის მეშვეობით ფინანსური რესურსების გაცემისას შესაძლებელი ხდება კომპანიის შიდა რესურსის დაზოგვა, რაც ამ მიდგომის ერთ-ერთ უპირატესობად განიხილება. ფონდის ჩამოყალიბების სხვა უპირატესობებია კომპანიის საქველმოქმედო საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, კონკრეტული პროექტებისთვის უფრო მეტი დონორის მოზიდვის შესაძლებლობა და საგადასახადო თვალსაზრისით გარკვეული ოდენობის თანხის დაზოგვა.

სოციალური პარტნიორობის მოდელის გამოყენების უპირატესობას წარმოადგენს პროცესში ჩართული საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ საკითხის სიღრმისეული ცოდნა და პროექტის განხორციელების აპრობირებული მექანიზმების ფლობა. ბუნებრივია, სოციალური პარტნიორობის, ისევე როგორც ფონდის შემთხვევაში, ხდება ბიზნესკომპანიის შიდა რესურსის დაზოგვა, რადგან პროექტის უშუალო განხორციელებაში ჩართული არ არიან ბიზნესკომპანიის წარმომადგენლები.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სამივე გზას დადებითთან ერთად, უარყოფითი მხარეებიცა აქვს. კომპანიის შიდა რესურსებით პროექტების განხორციელება, მით უმეტეს, თუ ეს კომპანიის ერთ-ერთი მუდმივი საქმიანობაა, ბევრ დროსა და ძალას ართმევს ორგანიზაციის თანამშრომლებს და, შესაძლებელია, მათი ძირითადი საქმიანობის განხორციელებაში ხელის შემშლელი ფაქტორიც გახდეს.

რაც შეეხება ფონდის ჩამოყალიბებას, ნაკლებად სავარაუდოა, ერთმა ბიზნესკომპანიამ სხვა ბიზნესკომპანიის ფონდში გადარიცხოს მნიშვნელოვანი თანხები. ამ შემთხვევაში ყველა დიდი ბიზნესი თავის საკუთარ ფონდს შექმნის. ფონდი კანონით გათვალისწინებულ ვადებში საქველმოქმედო სტატუსს მიიღებს და არსებული ბიზნესი თვითონ ისარგებლებს საკუთარ ფონდში იმ საგადასახადო შეღავათით, რაც სხვასა აქვს. საქართველოში არსებული ბანკები ამის კარგი მაგალითია. სხვა დონორების მოზიდვა მხოლოდ ქვეყანაში არსებული ფორსმაჟორული სიტუაციების დროს არის შესაძლებელი და ისიც შეზღუდული რაოდენობით. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ თიბისი ბანკმა დააფუძნა იძულებით გადადგილებულ პირთა დახმარების ფონდი და ფონდში პირველი შენატანიც შეიტანა – 5 მლნ. ლარი. შთამბეჭდავი თანხა 1 მლნ. დოლარის ოდენობით „ბაგრატიონმა“ დაამატა. თიბისი ბანკის ფონდის ვებ-გვერდზე ყველა კომპანიის და კერძო პირის მონაცემი და შეტანილი თანხის რაოდენობაა მითითებული. დანარჩენი შენატანები ერთად მილიონ ლარს არ აღემატება. გასაგები მიზეზების გამო არც ერთ ბანკს არსებულ ფონდში თანხა არ გადაურიცხავს. „საქართველოს ბანკმა“ ასევე დააფუძნა მსგავსი მისიის მქონე ფონდი.

სავარაუდოდ, როგორც კი არსებული ფონდების ანგარიშებზე თანხები ამოიწურება, ორივე ფონდი შეწყვეტს არსებობას.

სოციალური პარტნიორობის მოდელის გამოყენებისას დგება ორი საკითხი. პირველი – საგადასახადო: ბიზნესკომპანია ვერ სარგებლობს საგადასახადო შეღავათით, თუ პარტნიორ ორგანიზაციას საქველმოქმედო სტატუსი არა აქვს, და მეორე და შეიძლება უფრო მნიშვნელოვანიც – მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცნობადობა და მისდამი ნდობა.

კვლევამ აჩვენა, რომ, ჩვეულებრივ, ყოველ ბიზნესკომპანიასა აქვს წინასწარ გაწერილი ბიუჯეტი, როგორც სპონსორობის, ისე სოციალური პასუხისმგებლობისათვის. ასევე, კომპანიებს გამოყოფილი აქვთ პრიორიტეტული სფეროები, რომელთა დაფინანსებაც კომპანიის მიერ უპირატესად განიხილება.

ბიზნესკომპანიების მიერ პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა ძირითადად ხდება მათი საქმიანობის სფეროს შესაბამისად. ასევე, ბიზნესკომპანიამ პრიორიტეტად შეიძლება ქვეყანაში პოლიტიკურად თუ სოციალურად აქტუალური საკითხიც შეარჩიოს.

საგულისხმოა, რომ ბიზნესკომპანიები საკმაო მოქნილობით გამოირჩევიან და რაიმე აქტუალური საკითხის გამოჩენის შემთხვევაში შესაძლებლობა აქვთ, წინასწარ გაწერილ სტრატეგიას გადახედონ და სპონტანურად გაჩენილი და აქტუალური თემატიკის მქონე პროექტი დააფინანსონ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბიზნესკომპანიების ვებ-გვერდებზე არც არსებული სოციალური პასუხისმგებლობის გაწერილი სტრატეგიები ჩანს და არც ის ფორმა, რომლის შევსებაც აუცილებელია გარკვეული პროექტის და/ან თხოვნის წარსადგენად. ზოგიერთი ფონდის შემთხვევაში ეს ინფორმაცია საერთოდ დახურულია. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მოსახლეობაც და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც ყველა ბიზნესკომპანიას ყველაფერზე მიმართავენ თხოვნით, დაწყებული სამკურნალო ხარჯებით და უცხოეთში სწავლის გაგრძელებისთვის აუცილებელი თანხით დამთავრებული.

კვლევაში მონაწილე ბიზნესკომპანიები ამა თუ იმ პროექტის დაფინანსების გადაწყვეტილების მიღებისას ორი ძირითადი სქემით ოპერირებენ. გადაწყვეტილების მიღება ხდება კომპანიის ტოპ-მენეჯმენტის ან კომპანიის საბჭოს გამგეობის მიერ.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კომპანიის მიერ ამა თუ იმ პროექტის დაფინანსება ერთპიროვნული გადაწყვეტილების შედეგს არ წარმოადგენს. იმ კომპანიებშიც კი, სადაც გადაწყვე-

ტილებას ტოპ-მენეჯმენტი იღებს, ეს თანამშრომლებთან კონსულტაციის შედეგად ხდება.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ამავე დროს მხოლოდ თბილისის სათავო ოფისში ზის და რეგიონის მოსახლეობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ხშირად მათთვის ხმის მიწვდენაც კი ძალიან ძნელია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ელექტრონული ფოსტით ურთიერთობას აზრი ეკარგება, როცა არ იცი, ვის შეიძლება მიმართო, რომელ მისამართზე და რა ფორმით.

ბიზნესკომპანიების საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხულ ბიზნესკომპანიებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკმაოდ მწირი გამოცდილება აქვთ. შესაბამისად, ისინი ნაკლებად იცნობენ მათ სპეციფიკას და ნაკლებად შეუძლიათ, ზოგადად, საზოგადოებრივი სექტორის საქმიანობის ობიექტური შეფასება.

ის კომპანიები, რომლებსაც სოციალური პარტნიორობის გამოცდილება აქვთ, საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის უპირატესობად განიხილავენ მათ კონკრეტული სფეროების შესახებ უკეთეს ინფორმირებულობას და ფართო გამოცდილებას.

კვლევის შედეგად არ გამოვლინდა სოციალური პარტნიორობის ნაკლოვანებები. ეს გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ბიზნესკომპანიების სოციალური პარტნიორობის კუთხით პასიურობა გამოწვეული არ არის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ნეგატიური გამოცდილებით (მაგალითად, რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის ცუდი მუშაობით).

ბიზნესკომპანიები საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ მიმართავენ უბრალოდ იმიტომ, რომ კომპანიის შიგნით აქვთ აწყობილი ფინანსური რესურსების გაცემის სისტემა, რომელიც მათთვის უფრო კომფორტულია.

ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ არც საზოგადოებრივი ორგანიზაციები გამოირჩევიან განსაკუთრებული აქტიურობით. „კარგ საქმეს ვაკეთებ და დამეხმარე“ არ არის ის ფორმა, რომელიც პოტენციურ დონორში ქველმოქმედების სურვილს აღძრავს. ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების როგორც არსებულ გამოცდილებას, ასევე ფონდების მოძიების საკითხში არსებულ სუსტ მხარეებს.

როგორ და რა ფორმით მოიძიებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები რესურსებს ბიზნესკომპანიებიდან და ფართო საზოგადოებისგან

კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესიდან ფინანსური რესურსების მოძიების ხელშემწყობი ფაქტორებია გავლენიანი ნაცნობობა, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ავტორიტეტი, საზოგადოებრივი ორგანიზაციის მაღალი ცნობადობა და პოზიტიური იმიჯი, ბიზნესკომპანიის უცხოური მენეჯმენტი.

ბიზნესიდან ფინანსური რესურსების მოძიების ხელის შემშლელი ფაქტორებია: ბიზნესკომპანიებთან კომუნიკაციის დამყარების სირთულე, ქართული ბიზნესსექტორის სამოქალაქო ცნობიერების დაბალი დონე, ბიზნესმენების მხრიდან საზოგადოებრივი სექტორისადმი ნდობის ნაკლებობა, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არარსებობა და ფინანსური კრიზისის გამო კომპანიების მარკეტინგული და საქველმოქმედო ბიუჯეტების შემცირება.

თუმცა რესპონდენტებს არ დაუზუსტებიათ, თუ რას ნიშნავს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არარსებობა.

კვლევაში მონაწილე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაწილს აქვს დანერგილი ფართო საზოგადოებიდან ფინანსური რესურსების მოძიების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმები გულისხმობს რესურსების მოძიებას ინდივიდუალური შემოწირულობების სახით, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ფინანსური ან არაფინანსური (ტანსაცმლით, საკვები პროდუქტებით) დახმარების სახე.

ცალკეულ ადამიანებს თუ იურიდიულ პირებს სურვილის შემთხვევაში აქვთ საშუალება, საკუთარი ინიციატივით გაიღონ რესურსები საზოგადოებრივი ორგანიზაციის სასარგებლოდ. საქართველოში ყოფილა შემთხვევები, როცა ქველმოქმედების მსურველ ადამიანებს თვითონ მოუძებნიათ მათთვის საინტერესო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დახმარება გაუწევიათ. გაცილებით უფრო ეფექტური და გავრცელებულია შემოწირულობების სტიმულირების ისეთი გზები, როგორიცაა:

- ფართომასშტაბიანი საქველმოქმედო ღონისძიებები
- საქველმოქმედო საღამოები
- შემოწირულობის ყუთები
- სატელეფონო ზარები/მოკლე ტექსტური შეტყობინებები
- ონლაინ გადარიცხვები
- პლასტიკური ბარათის მუდმივი დავალების სისტემა

ფონდების მოძიების კამპანიის განხორციელებისას ორგანიზაციამ,

შესაძლებელია, სხვადასხვა გზებიც გამოიყენოს. ცნობილ საქველმოქმედო ორგანიზაცია „იავნანას“ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ფართომასშტაბიანი ღონისძიებების ორგანიზება თანხების მოზიდვის ეფექტური გზაა. ამავე დროს ღონისძიება არის იმპულსი, რომელიც ონლაინ გადარიცხვების, სატელეფონო ზარების, შემოწირულობების ყუთების გამოყენების აქტიურ სტიმულირებას ახდენს – ღონისძიების დროს და მის შემდგომ პერიოდში დონორების აქტივობა საგრძნობლად მატულობს. „იავნანას“ წარმატება ძირითადად ბატონ პაატა ბურჭულაძის ავტორიტეტის დამსახურებაა. გარდა ამისა, თითოეული ღონისძიების მიზანიც ნათელია და ორგანიზაციისთვის შესაწირის გაღებაც ადამიანებისგან დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს. თუმცა თანხების მოძიების თვალსაზრისით ფართომასშტაბიანი ღონისძიების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, როცა ორგანიზაციას მაღალი ცნობადობა და იმიჯი აქვს.

საქველმოქმედო საღამოები/მიღებები შეიძლება ბიზნესიდან და საზოგადოებისგან თანხების მოზიდვის შერეულ მოდელად განვიხილოთ, რადგან მასში მონაწილეობენ, როგორც კომპანიების წარმომადგენლები, ისე დამოუკიდებელი პიროვნებებიც. ერთი შეხედვით, საღამოს მოწყობა დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს, თუმცა სინამდვილეში ის საკმაოდ დიდ ძალისხმევას მოითხოვს. შეიძლება ორგანიზაციამ თავისთვის მნიშვნელოვანი ადამიანური და ფინანსური რესურსი ჩადოს და წარმატებას მაინც ვერ მიაღწიოს. რა არის ამის მიზეზი და, საერთოდ, რა შეიძლება ჩაითვალოს ამ შემთხვევაში წარმატებად?

წარმატება თუ წარუმატებლობა პირველ რიგში საქველმოქმედო ღონისძიების მიზანთან მიმართებაში უნდა განვიხილოთ. მხოლოდ ერთი საქველმოქმედო საღამოს საშუალებით შეუძლებელია ერთდროულად ორგანიზაციის ცნობადობის გაზრდა, ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის გადაცემა, მხარდამჭერთა ჯგუფის ჩამოყალიბება და მნიშვნელოვანი ფინანსური თუ სხვა სახის დახმარების მოპოვება. დასახული მიზანი რეალური უნდა იყოს.

მეორე და არა ნაკლებად მნიშვნელოვანი საქველმოქმედო საღამოს მიზნობრივი ჯგუფის განსაზღვრაა. მიზნიდან გამომდინარე ვინ უნდა დავპატიჟოთ, როგორ და როდის უნდა დავუკავშირდეთ, რა უნდა ვუთხრათ? ამ კითხვებზე პასუხი რომ გავცეთ, ისიც უნდა ვიცოდეთ, სად ვეპატიჟებით და რას ვთავაზობთ. ეს მხოლოდ არასრული ჩამონათვალია იმ საკითხებისა, რომლის გათვალისწინება სჭირდება ორგანიზაციას. ღონისძიების საქმიანობების დაგეგმვასა და განხორციელებაში ჩართული უნდა იყვნენ არა მარტო საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმას-

რულებელი დირექტორი და შტატი, არამედ გამგეობა და წევრებიც.

2010 წელს ფონდ „კონსულტაციებისა და ტრენინგის ცენტრის“ (CTC) და გერმანულ ორგანიზაცია EED-ს მხარდაჭერით სამმა საზოგადოებრივ-მა ორგანიზაციამ: საპატრიარქოს საქველმოქმედო ორგანიზაცია „ლაზარემ“, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ბათუმის ორგანიზაცია „თანამ“ და ქუჩის ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაციამ „ბავშვი და გარემო“ თანხების მოძიების მიზნით საქველმოქმედო ღონისძიებები ჩაატარეს. „ლაზარეს“ – სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისთვის ახალი სახელოსნოს გახსნა, „თანას“ – ორგანიზაციისთვის მიწის ნაკვეთის შესყიდვა, ხოლო „ბავშვსა და გარემოს“ დღის ცენტრ „ბელურების“ ორი თვის ოპერაციული ხარჯების დაფარვა სჭირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც დაგეგმვის, ასევე განხორციელების ეტაპებზე ბევრი შეცდომა იყო დაშვებული, მიზანი სამივე შემთხვევაში მიღწეულ იქნა. რა იყო ამ ორგანიზაციების წარმატების მიზეზი და რა როლს თამაშობდა ამ წარმატებაში მათ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული საქველმოქმედო ღონისძიება? „ლაზარეს“ შემთხვევაში ფინანსური დახმარება ძირითადად ორმა ორგანიზაციამ გაიღო – თვით საპატრიარქომ და „თელასმა“. დამსწრე საზოგადოებას საპატრიარქოსა და თელასის წარმომადგენლების გარდა ძირითადად ბავშვები, ახალგაზრდები, საკონცერტო პროგრამაში მონაწილე ბავშვების ახლობლები, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების და უცხოური დონორი ორგანიზაციების თანამშრომლები წარმოადგენდნენ. შეიძლება გაჩნდეს კითხვა – რომ არა საქველმოქმედო ღონისძიება, ნუთუ „თელასი“ და საპატრიარქო „ლაზარეს“ ფინანსურ მხარდაჭერას არ აღმოუჩენდნენ? ალბათ მაინც აღმოუჩენდნენ. ამ შემთხვევაში ღონისძიების ძირითადი სარგებელი საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის აუცილებელი მასალების შექმნა და დარიგება, ღონისძიების გაშუქება, მსგავსი ღონისძიების ჩატარების გამოცდილების მიღება და, როგორც შიდა, ასევე გარე დონორებისთვის ორგანიზაციის საქმიანობის უკეთ გაცნობა იყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – ცნობადობის და ინფორმირებულობის გაზრდა.

ბათუმის ორგანიზაციას ძირითადი ფინანსური მხარდაჭერა იმ ადამიანებმა და ორგანიზაციებმა აღმოუჩინეს, ვინც ღონისძიებაზე არც მისულან. როგორც ღონისძიებამდე, ასევე ღონისძიების მერე, ყველაზე შედეგიანი პირისპირ შეხვედრები აღმოჩნდა. ორგანიზაციას მხარში აჭარის მთავრობაც ამოუდგა. ისევე როგორც „ლაზარეს“ შემთხვევაში, ორგანიზაციამ მეტ-ნაკლებად მოაწესრიგა საზოგადოებასთან ურთიერთობის აუცილებელი მასალები და შეიძინა გარკვეული გამოცდილება.

სრულიად განსხვავებული სურათი იყო „ბავშვი და გარემოს“ სა-

ქველმოქმედო საღამოს შემთხვევაში. დანარჩენი ორი ორგანიზაციისგან განსხვავებით, ღონისძიების დაგეგმვაზეც მთელი ჯგუფი მუშაობდა და განხორციელებაშიც არსებულმა ჯგუფმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. გაიყიდა კორპორაციული მაგიდის ბილეთები, გათამაშდა ლატარია, ჩატარდა ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. ამჯერად ბილეთების გაყიდვა არ გართულებულა, თუმცა წინა წლებში მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის სურვილს უცხოური ორგანიზაციების წარმომადგენლები უფრო გამოთქვამდნენ და საკმაოდ რთულად ჩანდა მსგავსი ტრადიციის ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრება.

„საქმე ის არის, რომ ძირითადად ამ ღონისძიებებს უცხოელი სტუმრები ესწრებოდნენ და ორგანიზატორულ საქმიანობაშიც ის უცხოელები იყვნენ ჩართული. ისინი სხვადასხვა ორგანიზაციებში მუშაობდნენ და ეს ინფორმაცია გაჰქონდათ. ბილეთებს ყიდულობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, უცხოელები და მხოლოდ ის ქართველები, რომლებიც მათთან მუშაობდნენ. ქართული ბიზნესის წარმომადგენლები არ მოდიოდნენ, მოდიოდნენ მხოლოდ ისინი, რომლებსაც ქართულ-უცხოური ბიზნესი ჰქონდათ, მაგალითად, ირლანდიურ-ქართული ან თურქულ-ქართული“. (საზოგადოებრივ ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“ წარმომადგენელი). როგორც უკვე აღვნიშნეთ, წინა წლებში სიტუაცია განსხვავდებოდა. 2011 წლის 18 მარტს ორგანიზაციამ მასშტაბური საქველმოქმედო საღამო მოაწყო, ახლა უკვე გაცილებით ფართო მასშტაბით. შემოსული თანხა ახალი ცენტრის შენობის გარემონტებას მოხმარდება.

შემოწირულობის ყუთები სხვადასხვა საზოგადოების თავშეყრის ადგილებსა და სავაჭრო ობიექტებში თანხების მოგროვების კიდევ ერთი მექანიზმია, რომელსაც ორგანიზაციების გარკვეული ნაწილი მიმართავს. თუმცა ამ შემთხვევაშიც პრობლემას სავაჭრო ობიექტების თუ სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მენეჯმენტთან კომუნიკაციის სირთულე წარმოადგენს.

სატელეფონო ზარების/მოკლე ტექსტური შეტყობინებების შემთხვევაში შეიძლება სირთულეს წარმოადგენდეს მობილურ თუ სატელეფონო ოპერატორებთან კომუნიკაციის დამყარება და მათი დათანხმება. მათი დაინტერესება ამ შემთხვევაშიც შეიძლება მათი ბრენდების „გაპიარების“ შეთავაზებით მოხდეს.

თანხების აკუმულირების კიდევ ერთ მექანიზმს წარმოადგენს ონლაინ გადარიცხვები, რომელიც საშუალებაც აძლევს დახმარების მსურველებს, საკუთარი საბანკო ანგარიშიდან გადარიცხონ თანხა. აღნიშნული მექანიზმის უპირატესობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საზოგადოებრივ

ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა, მოიცვას არა მარტო საქართველოს, არამედ საქართველოს საზღვრებს გარეთ მაცხოვრებელი სეგმენტი.

პლასტიკური ბარათის მუდმივი დავალება გულისხმობს ინდივიდუალური დონორების მფლობელობაში არსებული პლასტიკური ბარათების საქველმოქმედო სისტემაში ჩართვას, რის შედეგადაც მათ შეეძლებათ ავტომატურად გადაურიცხონ საზოგადოებრივ ორგანიზაციას სასურველი ოდენობის თანხა. შესაბამის საფინანსო ინსტიტუტებთან მსგავსი ერთობლივი პროექტის განხორციელება საკმაოდ ეფექტიან სტრატეგიად მოიაზრება. ეს გზა საქართველოში თითქმის არ გამოიყენება.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწევრო – კვლევაში მონაწილე ერთ-ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას აქვს დანერგილი საწევროების სისტემა, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციის წევრობას და მისთვის სისტემატურად გარკვეული თანხის გადარიცხვას. მექანიზმის გამოყენების ხელის შემშლელი ფაქტორი, კვლევის მონაწილის აზრით, ქართული საზოგადოების სამოქალაქო ცნობიერების დაბალი დონეა.

„ძალიან რთულია წევრების გაჩენა ქართულ საზოგადოებაში. საზღვარგარეთ ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის დაფინანსების 80% არის საწევროები. 50 თეთრიც რომ იყოს საწევრო, არც იმის მოცემა უნდათ, ვერ ხვდებიან – რატომ“. (საზოგადოებრივი ორგანიზაცია)

ქუჩის აქციები და გამოფენა-გაყიდვები საზოგადოებიდან თანხების მოზიდვის კიდევ ერთი აპრობირებული მექანიზმია. გამოფენა-გაყიდვებზე შეიძლება მოხდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მათი ბენეფიციარების მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია.

ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია იყენებს ავტომატური ზარების მექანიზმს. ფინანსების მოძიების ეს საშუალება გულისხმობს ფიქსირებულ ტელეფონებზე ავტომატურ ზარს, რომლითაც აბონენტს ინფორმაცია მიეწოდება ორგანიზაციის რაიმე აქციის შესახებ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, ამგვარი ავტომატიზებული სახით რესურების მოპოვება მიუღებელი და, ამავე დროს, ნაკლებად ეფექტიანია.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული თანხების აკუმულირების ნებისმიერი მექანიზმის გამოყენებისას მნიშვნელოვანია ფართო საზოგადოების სრულფასოვანი ინფორმირება. საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია არა მარტო მექანიზმის არსებობის შესახებ, არამედ მისი გამოყენების დეტალური ინსტრუქციებიც.

კვლევაში მონაწილე საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოცდილებით ორგანიზაცია უნდა შეეცადოს, საზოგადოებამდე ინფორმაცია მიიტანოს ფინანსური დანახარჯის გარეშე და უფასოდ განახორციელოს

სარეკლამო აქტივობები შესაბამის კომპანიებთან თუ ორგანიზაციებთან შეთანხმების საფუძველზე.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ფინანსური რესურსების მოძიებისთვის აუცილებელია საზოგადოებრივ ორგანიზაციას ჰყავდეს ფინანსური რესურსების მოძიების სპეციალისტი – ფანდრაიზერი.

აღნიშნული პირის პირდაპირ მოვალეობას უნდა წარმოადგენდეს ინფორმაციის მოძიება პოტენციური დონორების შესახებ, მათთან კონტაქტის დამყარება და შეხვედრების ორგანიზება. ასევე ზოგიერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ამ სპეციალისტის მოვალეობად მიიჩნევს სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას და მათი წარმატებული ჩატარების მონიტორინგს.

ფონდების მოძიების სპეციალისტი მუდმივად უნდა აწარმოებდეს იმ ბიზნესკომპანიების აღრიცხვას, რომლებთანაც საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ კონტაქტი დაამყარა. მსგავსი აღრიცხვის წარმოება ხელს შეუწყობს იმას, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ გამორჩეს მხედველობიდან რესურსების მოძიების არც ერთი შესაძლებლობა.

კვლევის მონაწილეების აზრით, სასურველია, ფანდრაიზერმა იცოდეს უცხო ენა და აუცილებელი საოფისე პროგრამები, უნდა შეეძლოს გამართული მეტყველება, პრეზენტაციის გაკეთება და ადამიანების დარწმუნება, იყოს კომუნიკაბელური, დიპლომატიური, ორგანიზებული, კრეატიული და ჰქონდეს პიროვნული მომხიბვლელობა. ამგვარი ადამიანები საქართველოში ნამდვილად არსებობენ, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია მათ დაქირავებას შეძლებს. ბოლო 10 წლის განმავლობაში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ძირითადად უცხოელი დონორები აფინანსებდნენ. დღეს სიტუაცია შეიცვალა. დღის წესრიგში დადგა ფანდრაიზერის საჭიროების საკითხი, რადგან ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ორგანიზაციის ბევრი ხელმძღვანელი და თანამშრომლები სამწუხაროდ ვერ აკმაყოფილებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროება კი არსებობს, მაგრამ მოთხოვნა არ არის.

კონტაქტებისა და ადგილობრივი ფონდების მოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ორგანიზაციების წევრების (წევრობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციებში), დამფუძნებლებისა და გამგეობის წევრების აქტიურობაც. აქ უკვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდი ნაწილის სხვა სისუსტე იჩენს თავს – წევრები ცოტანი არიან და/ან ორგანიზაციის საკანონმდებლო და აღმასრულებელ სტრუქტურებში ერთი და იგივე ადამიანები სხედან. ბევრ სოციალურ თემაზე მომუშავე ორგანიზაციას და ორგანიზაციათა ქსელს, რომლებიც უდავოდ ძალიან მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობენ, არა აქვთ დაგეგმილი და გაწერილი ფონდების

მოძიების სტრატეგია. უფრო მეტიც, ხშირად ის დოკუმენტაციაც არ არის მოწესრიგებული, რომლის გარეშეც ორგანიზაცია არათუ ფონდების მოძიების, არამედ უბრალოდ ვერანაირ სტრატეგიას ვერ დაწერს: არ არის ჩამოყალიბებული ორგანიზაციის მისია, ძირითადი საქმიანობები, შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა და ა.შ. ხშირად ორგანიზაციაში ეს ყველაფერი არის, მაგრამ არ არის თავმოყრილი, არა აქვს პრეზენტაბელური სახე და, შესაბამისად, ძნელია იმის ახსნა თუ რატომ უნდა დავეხმაროთ ამა თუ იმ ორგანიზაციას. გამოხმაურება დახმარებაზე – მადლობის წერილები და ვებ-გვერდზე დამფინანსებლის შესახებ ინფორმაციის განთავსებაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქილევსის ქუსლად რჩება. თუ დონორს სხვადასხვა მიზეზების გამო არ უნდა, რომ მის შესახებ ინფორმაცია ვებ-გვერდზე დაიდოს, გასაგებია, მაგრამ მადლობის წერილს მაინც რაღა უდგას წინ?

რა სახის დახმარებები შეიძლება სჭირდებოდეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს? ფულადი სახსრები თავისთავად, ტექნიკა და აღჭურვილობის ჩუქება (აღარაფერს ვამბობ საკვებსა და ტანსაცმელზე), ექსპერტების კონსულტაცია და მოხალისეობრივი შრომა. აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სახის საჩუქრებზე ორგანიზაციებს არსებული საკანონმდებლო ბაზის გამო უარიც კი უთქვამთ, თუმცა საკანონმდებლო ბაზის განხილვა ჩვენი სტატიის მიზანს არ წარმოადგენს.

მომავლის პერსპექტივები

ბევრმა დონორმა, რომელიც საქართველოში სოციალურ თემებზე მომუშავე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აფინანსებდა, საქართველო ან დატოვა ან წელს ტოვებს (ჰოლანდიური განვითარების ფონდები – CORDAID, NOVIB, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო – NRC, გერმანიის ევანგელისტური ეკლესიების სოციალური ფონდი DiakonischesWerk). მნიშვნელოვანია ისიც, რომ დონორი ორგანიზაციების პოლიტიკაც და პრიორიტეტებიც შეიცვალა. ნაკლებად იფარება გრანტებით ორგანიზაციების კომუნალური, ადმინისტრაციული და უშუალოდ სერვისის ხარჯები.

რა თქმა უნდა, საქართველოში სიტუაცია შეიცვალა, მაგრამ მასობრივი უმუშევრობისა და ეკონომიკური გაჭირვების ფონზე მოსახლეობას უჭირს მომსახურების ღირებულების გადახდა. სახელმწიფო ბიუჯეტი ყველაფერს ვერ სწვდება. მხოლოდ კერძო ან ბიზნესის ფონდების და ფართო საზოგადოების მიერ გაწეული დახმარებაც საქართველოში საკმარისი არ არის. რამდენი კერძო ან ბიზნესკომპანიის ფონდი გვაქვს? ჩვენ ამერიკა

არა ვართ. სახელმწიფო სტრუქტურები, ორგანიზაციის წევრები, ბიზნესმენები, ეკლესია, სასწავლო დაწესებულებები, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კერძო პირები – ყველა თავისი ცოდნის, გამოცდილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში უნდა ჩაერთოს ქვეყანაში არსებული პრობლემების მოგვარებაში. საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც უნდა ეცადონ, რომ დაფინანსების წყაროები გაამრავალფეროვნონ.

ქვემოთ წარმოდგენილია ცხრილი: არაკომერციული ორგანიზაციების შემოსავლები სხვადასხვა ქვეყანაში. მოყვანილი მონაცემები ნათლად გვიჩვენებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების წყაროების თანაფარდობას სხვადასხვა ქვეყანაში.

შემოწირულობების ყველაზე დიდი პროცენტი ტრადიციულად ამერიკის შეერთებულ შტატებშია. ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც სოციალური დაცვის სისტემები უფრო განვითარებულია (გერმანია, საფრანგეთი), სახელმწიფო დაფინანსება ჭარბობს. შემოწირულობების მაღალი პროცენტი უნგრეთში სავარაუდოდ იმით აიხსნება, რომ უნგრეთში, ისევე როგორც პოლონეთში, მოსახლეობას აქვს უფლება, საშემოსავლო გადასახადის 1% მათთვის სასურველ საზოგადოებრივ ორგანიზაციას გადაურიცხოს.

დიაგრამა 1

არაკომერციული ორგანიზაციების შემოსავლები სხვადასხვა ქვეყნებში



Jan Kroupa: Fundraising Workshop for Georgian NGO's, April 2007

ჩვენს ქვეყანაშიც რიგ საკითხებზე მომუშავე საზოგადებრივი ორგანიზაციები უკვე იღებენ დაფინანსებას სახელმწიფო სტრუქტურებიდან. სასურველია, სახელმწიფომ დახვეწოს საკანონმდებლო ბაზა და ხელი შეუწყოს სამთავრობო სტრუქტურების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოების ისეთ თანამშრომლობას, რომელიც უფრო ეფექტურს გახდის მოწყვლადი ჯგუფების დახმარებას.

ეკლესია-მონასტრების აქტიური მშენებლობის პარალელურად ქართულ ეკლესიას უდიდესი როლის შესრულება შეუძლია თითოეული თემის განვითარებაში – იქნება ეს გაჭირვებული მოყვასის დახმარება თუ თემის ადგილობრივი პრობლემების მოგვარება.

ეჭვს არ იწვევს, რომ ბიზნესორგანიზაციები და კერძო ფონდები განაგრძობენ კულტურული და სპორტული ღონისძიებების სპონსორობას. რაც შეეხება წმინდა სახის ქველმოქმედებას, სასურველია, მოსახლეობამ და საზოგადოებრივმა სექტორმა წინასწარ იცოდნენ, რისთვის შეიძლება მათი შეწუხება და რისთვის – არა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბენეფიციარებსაც შეუძლიათ, თავისი წვლილი შეიტანონ. შეიძლება ხშირად ძნელია, ან სრულიად გამორიცხულია როგორც ფინანსური (თუნდაც მცირედი) შენატანის გაკეთება, ასევე ფიზიკური შრომა – მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შემთხვევაში, მაგრამ მათ მშობლებს და ოჯახის წევრებს ხომ შეუძლიათ? თუ ორგანიზაციას თანხით ვერ ეხმარებიან, ხომ შეიძლება დალაგებაში დაეხმარონ ან მცირე სარემონტო სამუშაოებში? მართალია, ვისაც საბჭოთა პერიოდი კარგად ახსოვს, „შაბათობები“ ახსენდება, მაგრამ ახლა ხომ კომკავშირის ცეკა და პარტია არ გვავალებს ამის გაკეთებას? ბიზნესორგანიზაციების თანამშრომლებიც ეხმარებიან ხშირად საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ფიზიკური შრომით. საქართველოში ამის მაგალითებიც მოგვეძევება. ფიზიკური შრომის გარდა, ორგანიზაციას ხშირად სჭირდება დახმარება ინფორმაციის მოძიებაში, კავშირების დამყარებაში ან თუნდაც ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვაში.

ქვეყანაში თითქმის არ არის ათვისებული პოტენციურ მოხალისეთა დიდი არმია – სტუდენტობა და მოსწავლე-ახალგაზრდობა. არც მოხალისეთა ორგანიზაციების შესაძლებლობებს ვიყენებთ, მაგალითად, სკაუტების ორგანიზაციას.

სასურველია, საქართველოში მომუშავე დონორმა ორგანიზაციებმა ისეთი პროექტების დაფინანსებას შეუწყონ ხელი, რომლებიც, ერთი მხრივ, ქველმოქმედების გარემოს ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაეხმარება იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრაში, რაც მათ ფონდების მოძიებაში უშლის ხელს.

პრობლემის მოგვარებას პირველ რიგში პრობლემის დანახვა სჭირდება, რაშიც ჟურნალისტებმა და ზოგადად მედიამ უნდა შეიტანოს უდიდესი წვლილი.

ეს სტატია ილიას სიტყვებით დავიწყეთ და მისივე სიტყვებით დავამთავროთ, მით უმეტეს, რომ ეს სიტყვები პირდაპირ ეხმიანება ჩვენს დღევანდელ რეალობას:

„ამ ბოლო დროს, ჩვენდა სანუგეშოდ და სასიხარულოდ, მრავალი სხვადასხვა საზოგადოება სდგება ხოლმე ჩვენში სხვადასხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ერთის სიტყვით, ჩვენს ხალხში გაღვიძებულია და ფეხზედ წამომდგარი სურვილი, რომ ერთმანეთის შემწეობით გზა გაიხსნან უკეთესის ცხოვრებისათვის.

სასიხარულო ეს არის, რომ ყოველ ამაში კერძოობით სარგებლობა კი არ არის საფუძვლად დადებული, არამედ საყოველთაო. ღმერთმან ჰქმნას, რომ ამ გზაზედ ჩვენს კეთლის–მყოფელთ დაბრკოლება არა დახვდეთ–რა; ღმერთმან ჰქმნას, რომ ამ კეთილის სურვილით ადუღებულს კაცებს ჩვენმა გულგრილობამ ხალისი არ მოუკლას.[3] /ილია ჭავჭავაძე/

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kroupa, J. (2007). Georgia Fundraising Principles and Strategies, Fundraising Workshop for Georgian NGOs - Fundraising: Art and Craft.
2. „ეი-სი-თი“ მარკეტინგული კვლევა და კონსულტაცია. (თებერვალი/მარტი, 2009). *დონაციის მოძიების და გაცემის პრაქტიკის კვლევის ანგარიში.*
3. ჭავჭავაძე, ი. (1987). პუბლიცისტური წერილები, საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი IV. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
4. ჭავჭავაძე, ი. (1987). პუბლიცისტური წერილები, წოდებათა თანასწორობა, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი IV. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
5. ჯავახიშვილი, ი. (1983). საქართველოს მიღწევათა მოკლე მიმოხილვა პოლიტიკურს, სოციალურსა და კულტურულ სფეროში XI საუკუნის ბოლოდან XIII ს. დასაწყისამდე. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

3 გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, თბილისი 1987, ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი IV, პუბლიცისტური წერილები, საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის, გვ. 236.

სახელმწიფო დაფინანსების ინოვაციური მექანიზმები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის

დრაგან გოლუბოვიჩი
ბუდაპეშტში (უნგრეთი) „არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრის“ უფროსი მრჩეველი სამართლის დარგში და ნოვი სადში (სერბეთი) ედუკონის უნივერსიტეტის პროფესორი სამართლის სპეციალობით

შესავალი

ფინანსური სტაბილურობა განვითარებად და გარდამავალ საფეხურზე მყოფ ქვეყნებში არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ გამოწვევად აღიქმება; განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც უცხოური დაფინანსება კლებულობს.[1] აღნიშნულ ქვეყნებში ქველმოქმედებისა და კორპორაციული ფილანთროპიის კულტურა ჩამოყალიბების პროცესშია. შესაბამისად, სახელმწიფო დაფინან-

1 ტერმინი - საზოგადოებრივი ორგანიზაციები - რომელიც ნახსენებია ამ სტატიაში, სხვადასხვა ინსტიტუციონალურ ფორმას მოიცავს და შემდეგი საერთო ნიშნებით ხასიათდება: 1) ისინი დაარსდა არაკომერციული მიზნების განსახორციელებლად საზოგადოების ან ორმხრივი სარგებლისათვის; 2) ჩამოყალიბდა მოხალისეობრივ საწყისზე; 3) კერძო სამართალში წარმოადგენს უფრო სამართლებრივ ერთეულს, ვიდრე საზოგადოებრივ ორგანოს და, ამრიგად, არც სამთავრობო სტრუქტურაა; 4) დაარსებულია უფრო კონტრაქტის ან რეგისტრაციის აქტით, ვიდრე კანონით ან სხვა რეგულაციით; 5) ისინი შეიძლება იყოს წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციები – universitas personam (როგორებიცაა ასოციაციები), ან ორგანიზაციები, რომლებიც არ არის წევრობაზე დაფუძნებული – universitas rerum (როგორებიცაა: ფონდები, საქველმოქმედო ფონდები, ტრესტები, არაკომერციული კორპორაციები, დაწესებულებები და სხვ.). ტერმინები: სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები, სტატიაში ერთი და იმავე მნიშვნელობითაა გამოყენებული.

სების მექანიზმები განსაკუთრებულ როლს ასრულებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.[2] ამ სტატიაში განხილულია, თუ რა შინაარსი დევს საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების (საჯარო პოლიტიკის) საფუძველში და მათი დაფინანსების ინოვაციური მექანიზმები, რომლებმაც ცენტრალურ ევროპაში მთავრობის დონეზე იჩინა თავი. აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ დაფინანსების ეს მექანიზმები წარმოიშვა, როგორც მთავრობებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისათვის ინსტიტუციური სტრუქტურის შექმნაზე მიმართული ძალისხმევის შემადგენელი ნაწილები, რომლებიც ასევე მოიცავს საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების შესახებ სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის სამსახურების ან ცენტრალური რგოლის ჩამოყალიბებას, როგორც სხვადასხვა სამინისტროს, ასევე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის და სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მრჩეველთა საბჭოს შექმნას.[3]

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო დაფინანსების მიზეზები და მნიშვნელობა

უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ასოციაციის თავისუფლების საერთაშორისო ინსტრუმენტი (მათ შორის: ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური დეკლარაციის, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დაცვის საერთაშორისო შეთანხმებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ჩათვლით), რომელიც სახელმწიფოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსებას ავალდებულებს. მარ-

2 მაგალითად, უნგრეთში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო დაფინანსება, როგორც შემოსავლის წყარო, 10 წლის განმავლობაში სამჯერ გაიზარდა; თუკი 1993 წელს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთლიანი შემოსავალი 16 პროცენტს შეადგენდა, 2003 წელს მან 42%-ს მიაღწია. ხორვატიაში 1999 წლიდან 2009 წლამდე საზოგადოებრივი ორგანიზაციების 27. 543 პროექტი დაფინანსდა სახელმწიფოს მიერ, რაც 320 მილიონ ევროზე მეტია. 2008 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ჩატარებული კვლევის შედეგად, ხორვატიულ ორგანიზაციათა თითქმის 70% დამოკიდებულია ცენტრალური და რეგიონული/ადგილობრივი სამთავრობო ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხაზე, როგორც დაფინანსების მთავარ წყაროზე.

3 უფრო დაწვრილებით იხილეთ: Katerina Hadzi-Miceva: Legal and Institutional Mechanisms for NGO-Government Cooperation in Croatia, Estonia and Hungary, www.ecnl.org

თალია, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2007)14, რომელიც წევრი სახელმწიფოებისთვისაა განკუთვნილი და ევროპის არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიულ სტატუსს ეხება, ადგენს: „არასამთავრობო ორგანიზაციებს მიზნების განხორციელებაში დახმარება უნდა გაეწიოს სახელმწიფო დაფინანსებისა და აგრეთვე სხვა სახის მხარდაჭერით...", ამასთან: „არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ნებისმიერი ფორმით გაწეული სახელმწიფო მხარდაჭერა უნდა იმართებოდეს ნათელი და ობიექტური კრიტერიუმებით".[4] მიუხედავად ამისა, რეკომენდაცია სამართლებრივი ვალდებულების მატარებელი ინსტრუმენტი არ არის. ის წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ მზაობას უფრო გამოხატავს, რათა მათ თავიანთი კანონმდებლობის, სტრატეგიის და პრაქტიკული ქმედებების წარმართვისას იხელმძღვანელონ „მოცემული რეკომენდაციით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტებით".[5] თუმცა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსება ნორმა უფროა, ვიდრე გამონაკლისი, ყოველ შემთხვევაში, გარკვეულწილად მაინც; შესაბამისად, მთავარი კითხვა, რომელიც ჩნდება, არის – საერთოდ რატომ უნდა დააფინანსოს მთავრობამ საზოგადოებრივი ორგანიზაციები? ამის მრავალი სხვადასხვა მიზეზი არსებობს, რომელთა თავმოყრა შეიძლება ორ დიდ კატეგორიად:

(1) სიცოცხლისუნარიანი სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობა: ხელისუფლება ისეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უჭერს მხარს (გრანტები, იხ. გვ. 66), რომლებიც „საზოგადოებრივ სიკეთეს" ქმნიან (მაგალითად: ისეთ ღირებულებებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, კონსტიტუციაშია გაწერილი), როგორიცაა ადამიანის უფლებათა დაცვა, ხელოვნება, კულტურა, სამოყვარულო სპორტი, მოხალისეობა, სოციალური განვითარება და ა.შ. ამგვარად, სიცოცხლისუნარიანი სამოქალაქო საზოგადოებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

(2) საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორც მომსახურების მიმწოდებლები: ხელისუფლება აცნობიერებს, რომ ხშირად, უკეთესი ხარისხისა და შედარებით იაფი სოციალური მომსახურების მიწოდებას საზოგადოებრივი ორგანიზაციები უკეთესად ახერხებენ, ვიდრე სახელმწიფო დაწესებულებები, მაშინ, როცა ამ მომსახურებაზე ეს უკანასკნელნი არიან პასუხისმგებელნი (მაგ.: მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა,

4 რეკომენდაცია № 57-58. აღნიშნული რეკომენდაცია მინისტრთა კომიტეტმა 2007 წლის 10 ოქტომბერს მიიღო.

5 იხ.: რეკომენდაცია, გვ. 2.

სამედიცინო მომსახურების მიწოდება და სხვა). გარდა ამისა, ხელისუფლებას შეუძლია, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ისეთი კონკრეტული სახის ექსპერტიზის გაწევა დაავალოს (კვლევითი ცენტრები, ზედამხედველობითი ორგანიზაციები და ა.შ.), როგორიცაა ანგარიშების წერა, კვლევის ჩატარება ან უნარების ასამაღლებელი ტრენინგების მოწყობა მთავრობის წევრებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის (მომსახურების საფასური, იხ. გვ. 67).

ზემოხსენებული მიზეზების გარდა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო დაფინანსების გამოსაყოფად შესაძლოა არსებობდეს სხვა, ნაკლებად მიმზიდველი მიზეზები. ასე მაგალითად, ზოგიერთი მთავრობა დაფინანსების ისეთ მექანიზმებს იყენებს, რომლებიც, ერთი მხრივ, შესაძლოა, საკმაოდ პროგრესული ჩანდეს, მაგრამ რეალურად მიმართული იყოს მათზე კონტროლის გაძლიერებისა და განსხვავებული აზრის ჩახშობისაკენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო დაფინანსების ნებისმიერი მექანიზმი შეფასდეს მისი განხორციელების ფონზე.[6]

3. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო დაფინანსების ფორმები: გრანტები, მომსახურების ანაზღაურება და სუბსიდიები

საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსება, როგორც წესი, ხორციელდება სხვადასხვა სახის გრანტის, მომსახურების ანაზღაურების და სუბსიდიების სქემათა მეშვეობით. გრანტი განიმარტება, როგორც: „სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომლის მთავარი მიზანია ფულადი სახსრების, ქონების, მომსახურების ან სხვა რაიმე ფასეულის გადაცემა მიმღებისათვის, რათა მიღწეულ იქნეს წესდებით მინიჭებული მხარდაჭერისა და სტიმულირების საზოგადოებრივი მიზანი, სადაც მთავრობის მხრიდან არსებითი მონაწილეობა არ არის მოაზრებული“.[7] გრანტები ხშირად მთავრობის მიერ წინასწარ განსაზღვრული გარკვეული სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად გამოიყენება, ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კონკრეტული პროექტები ამ სტრატეგიული მიზნების მიღწევის საშუალებაა. სუბსიდიებისაგან განსხვავებით (სუბსიდიები, იხ.

6 Elizabeth Warner: Public Financing Mechanisms and Their Implications for NGO Sustainability, in: 2008 NGO Sustainability Index for Central and Eastern Europe and Eurasia (2009), გვ. 45 და შემდგომ, იხ.: http://www.enl.ee/UserFiles/kasulikku/NGOsustainabilityindex.pdf

7 United States Agency for International Development: "Glossary of ADS Terms." Washington, DC: USAID. 2001, გვ.81, ასევე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://www.usaid.gov

გვ. 68), გრანტები ზოგადად არ გამოიყენება საოპერაციო ხარჯების დასაფარად, არამედ გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობა ჯდება იმ სამთავრობო უწყებათა პროგრამების ფარგლებში, რომლებიც დაფინანსებას უზრუნველყოფს.[8]

მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში, მთავრობამ შეიძლება შეისყიდოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების სერვისები, ან ფულადი მხარდაჭერა აღმოუჩინოს მას გარკვეული (სოციალური) მომსახურების კუთხით (მაგ.: „უსაფრთხო სახლები“), კერძოდ, გაწეული მომსახურების საფუძველზე გამოყოს დაფინანსება. ამ უკანასკნელის შემთხვევაში მათ შეიძლება იგივე თანხა გამოუყონ, რაც სამთავრობო ინსტიტუციებს, რომლებიც იმავე ან მსგავს სამუშაოს ასრულებს (ე.წ. ნორმატიული მხარდაჭერა). თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მრავალ ქვეყანაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაწეული სოციალური მომსახურების შესყიდვას (შესყიდვის კონტრაქტები) ისეთი ინსტიტუციონალური დაბრკოლებები ექმნება, როგორებიცაა: ბარიერის შექმნა ბაზარზე შესასვლელად; უსაფრთხოების დეპოზიტი, როგორც კონკურენციის ერთ-ერთი მთავარი პირობა (რისი ფუფუნებაც ბევრ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ გააჩნია) ან საქმიანობის შეზღუდვა. მაგალითად, უკრაინასა და სომხეთში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეკრძალებათ სოციალური მომსახურების მიწოდება, რაც ადგილობრივი სახელმწიფო მოხელეების განმარტებით, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება და ამიტომ ასეთ ორგანიზაციებს უფლება არა აქვთ პირდაპირ ჩაერთონ აღნიშნულ საქმიანობაში. ბულგარეთში კი საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აკრძალული აქვთ სამედიცინო მომსახურების მიწოდება.[9] ინსტიტუციონალური შეზღუდვებისა და დაბრკოლებების მიუხედავად, სოციალური მომსახურებიდან შემოსული თანხა სახელმწიფო დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება. მაგალითად, 2007 წელს უნგრეთში საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მთავრობისგან შესყიდვის კონტრაქტებით 196 მილიონი აშშ დოლარი მიიღეს. ნორმატიული (თანაბარი წილით) მხარდაჭერიდან შემოსულ თანხებთან (რომელმაც დამატებით 377.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა) ერთად დაფინანსების ამ წყარომ 2007 წელს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთლიანი შემოსავლების 12,5% შეადგინა.

8 თუმცა, როგორც წესი, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უფლება ეძლევა, მიღებული დაფინანსებიდან გარკვეული პროცენტი გამოიყენონ ადმინისტრაციული ხარჯებისათვის, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს განსაკუთრებული პროექტების განხორციელებისას.

9 Bulgarian Center for Not-for-Profit Law: Contracting of Social Services Between the State and NGOs (2004), www.bcnl.org

დასასრულ, შესაძლებელია, მთავრობის მხრიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების სუბსიდიების ფორმით დაფინანსება. სუბსიდიები შემდეგნაირად განიმარტება: „პირდაპირი სამთავრობო დაფინანსება, რომელიც არც ერთ კონკრეტულ პროექტს თუ საქმიანობას არ უკავშირდება და, ზოგადად, ორგანიზაციის დასახმარებლადაა განკუთვნილი“.[10] ამგვარი სახის მხარდაჭერა, როგორც წესი, შემოიფარგლება გარკვეული ტიპის საზოგადოებრივი ორგანიზაციებით (მაგ.: უსინათლოთა ასოციაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ასოციაცია და სხვ.). ხშირად დგება საკითხი, თუ რამდენად გამჭვირვალე და სამართლიანი პროცესების შედეგად მოხდა ასეთი ორგანიზაციების არჩევა ბენეფიციარებად.[11]

4. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო დაფინანსების ინოვაციური მექანიზმები

4.1. საშემოსავლო გადასახადის 1%–იანი სქემა

სახელმწიფო დაფინანსების ერთ-ერთი პირველი ინოვაციური მექანიზმი, რომელიც საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის იქ განხორციელებული დემოკრატიული ცვლილებების შემდეგ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში შეიქმნა, იყო ე.წ. საშემოსავლო გადასახადის 1%-იანი სქემა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა უნგრეთში 1996 წელს. ამ სქემის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებს საშუალება მიეცეთ, დასაბეგრი შემოსავლების 1% გამოყონ საზოგადოებრივი კეთილდღეობისაკენ მიმართული ორგანიზაციებისათვის/მიმღებებისათვის (როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ტიპისა), რომლებიც დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, ხოლო დამატებით 1% – ე.წ. ტრადიციული ეკლესიებისათვის. 1%-იანი სქემა არ წარმოადგენს (ბეგარას დაქვემდებარებულ ან მისგან გათავისუფლებულ) შემოწირულობას (რადგანაც შემოსავლის გამოყოფილი ნაწილი უკვე გადარიცხულია სახელმწიფო ბიუჯეტში). იგი გადასახადების გადამხდელთა მხრიდან უფრო საბიუჯეტო დახმარების ფორმას ემსგავსება, რომელიც განკუთვნილია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სხვა მიმღებთათვის, რომლებიც შესაბამის მოთხოვნებს აკმაყოფილე-

10 International Center for Not-for-Profit Law: Preliminary Study of the Legal Frameworks for Public Financing of NGO Activities in Bulgaria, Croatia, Hungary, Romania and Slovakia (2001), გვ. 6, www.icnl.org

11 იქვე

ბენ. აღნიშნული სქემა დაინერგა აგრეთვე სლოვაკეთში, ლიტვასა და რუმინეთში, თუმცა გარკვეული სახეცვლილებებით. ასე მაგალითად, პოლონეთში საშემოსავლო გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებს შეუძლიათ გამოყონ საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე მიმართული ორგანიზაციებისათვის თავიანთი დასაბეგრი შემოსავლების 1%, ხოლო ეკლესიებისათვის – 2%. რუმინეთში საშემოსავლო გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებს შეუძლიათ დასაბეგრი შემოსავლის 2%-ის გამოყოფა, ხოლო სლოვაკეთში სქემა იმდენად გაფართოვდა, რომ გადასახადის გადამხდელი იურიდიული პირებიც კი მოიცვა. ნებისმიერ გადამხდელს შეუძლია გამოყოს დასაბეგრი შემოსავლების 2% ორგანიზაციებისათვის. მიუხედავად განსხვავებებისა, პროცენტული მექანიზმი ქვემოთ მოყვანილ საერთო მახასიათებლებს ატარებს:

(1) საშემოსავლო გადასახადის პროცენტული სქემა, სავარაუდოდ, თანამონაწილეობრივ დემოკრატიას უჭერს მხარს, ვინაიდან ის საშუალებას აძლევს გადასახადის გადამხდელს, უშუალო გავლენა იქონიოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი რესურსების ხარჯვაზე;

(2) პროცენტული მექანიზმი მოიცავს მიმღებთა ფართო სპექტრს, რომელთა საქმიანობის მიზანსაც საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმის კეთება წარმოადგენს. ეს არის მართებული ლიბერალური მიდგომა, რადგანაც არც სახელმწიფოს და არც კერძო სექტორს არ უნდა გააჩნდეს მონოპოლია საზოგადოებრივ კუთვნილებაზე;[12]

(3) პროცენტული მექანიზმი საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის კონკურენციის თვალსაზრისით წამახალისებელ როლს თამაშობს და ხელს უწყობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაახლოებას საზო-

12 უნგრეთში აღნიშნული პროგრამის მონაწილეთა შორის ასევე დაიშვება: ასოციაციები, ფონდები, საზოგადოებრივი ფონდები, სახელმწიფო დაწესებულებები, როგორებიცაა: უნგრეთის მეცნიერებათა აკადემია, სამეცნიერო კვლევის ეროვნული ფონდი, უნგრეთის ოპერის თეატრი, ეროვნული მასშტაბის ნაციონალური მუზეუმები, ასევე კულტურის სფეროში მომუშავე გარკვეული დაწესებულებები, რომლებიც ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობის ხელშეწყობით სარგებლობს. პოლონეთში კი მიმღებთა სია მოიცავს: ფონდებს ან ასოციაციებს; ეკლესიებს, რომელთა საქმიანობის სფეროც საზოგადოებრივ სარგებელს მოიცავს; ადგილობრივი მმართველობის კავშირებს. ლიტვაში სქემის ბენეფიციარები არიან: სოციალური ორგანიზაციები, ასოციაციები, საქველმოქმედო და სპონსორთა ფონდები, საზოგადოებრივი სააგენტოები – რელიგიური თემები, საზოგადოებები და ცენტრები, პროფესიული კავშირები, ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია (სკოლები, მუზეუმები, ჯანდაცვის დაწესებულებები და ა.შ.). სლოვაკეთში კანონიერი მიმღებები არიან: სამოქალაქო ასოციაციები, ფონდები, არასაინვესტიციო ფონდები, ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის კომუნალურ მომსახურებას, საეკლესიო და რელიგიური თემების დაწესებულებები (რომლებიც კულტურის სამინისტროშია რეგისტრირებული), საერთაშორისო კომპონენტის მქონე ორგანიზაციები და სლოვაკეთის წითელი ჯვარი.

გადოებასთან, რადგანაც ის პირველთ უბიძგებს, უკეთ გააცნობიერონ საკუთარი საქმიანობის დანიშნულება და მოიპოვონ ფართო მხარდაჭერა, რათა სქემამ მათ სარგებელი მოუტანოს;

(4) პროცენტული მექანიზმი შემოსავლების წყაროა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო სპექტრისათვის. მაგალითად, უნგრეთში 2006 წელს გადანაწილებული თანხების რეალური ღირებულება ორჯერ აღემატებოდა 1997 წლის იმავე მაჩვენებელს (ზრდამ 9.23 მილიონი აშშ დოლარიდან 38.6 მილიონ აშშ დოლარამდე შეადგინა). შესაბამის გადამხდელთა თითქმის ნახევარი აქტიურად ჩაერთო სქემაში და შესაბამის ორგანიზაციათა მესამედზე მეტმა მიიღო გამოყოფილი სახსრები (ამ ორგანიზაციათა რიცხვი 1997 წელს დაახლოებით 8,400-ს შეადგენდა, ხოლო 2006 წლისათვის 20,000-მდე გაიზარდა). 2007 წელს ლიტვაში 500.000 მოქალაქეზე მეტმა გამოყო დასაბეგრი შემოსავლების 2%, რამაც 53.5 მილიონი ლიტი შეადგინა, ხოლო 12,000-ზე მეტმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მიიღო სარგებელი სქემის ფარგლებში. 2004 წელს (როდესაც სქემა დაინერგა) პოლონეთში სქემაში მონაწილე გადამხდელთა რიცხვი 80,194-ს შეადგენდა, ხოლო იგივე მაჩვენებელი 2007 წლისათვის 1, 546, 480 გადამხდელამდე გაიზარდა (რაც გადამხდელთა მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 5%-ს შეადგენდა). სლოვაკეთში კი, სადაც გამოყოფილი სახსრების მისაღებად საზოგადოებრივი ორგანიზაციის წინასწარი რეგისტრაციაა აუცილებელი, აღმოჩნდა, რომ რეგისტრირებულ ორგანიზაციათა 97-99% ბენეფიციარია. 2002-2006 წლების შუალედში ბენეფიციართა რიცხვი 3,827-დან 7,062-მდე გაიზარდა, რაც მთლიანი სექტორის დაახლოებით 9-15% წარმოადგენს.[13] დასასრულ, 2008 წელს რუმინეთში ზემოთ აღნიშნულ სქემაში 1,300,000-ზე მეტმა გადასახადის გადამხდელმა მიიღო მონაწილეობა. საშუალო შემოწირულობა 19.6 ევროს, ხოლო საბოლოო ჯამი 26 მილიონ ევროს შეადგენდა.

ზემოთ მოყვანილი მონაცემების მიუხედავად, ამ პროცენტულმა სქემამ საკმაოდ მნიშვნელოვანი სისუსტეებიც გამოავლინა. პირველ რიგში, სადავოა, თუ რამდენად წარმოადგენს სინამდვილეში ეს პროგრამა ქველმოქმედების კულტურის განვითარების მხარდაჭერას, ვინაიდან, იმის მაგივრად, რომ გადამხდელმა ორგანიზაციას ფული საკუთარი შემოსავლებიდან შესწიროს, ის უბრალოდ განკარგავს სახელმწიფო დაფინანსების გამოყოფას აღნიშნული სქემის მიხედვით. უნგრეთში ჩატარებული გამოკითხვების გარკვეულმა რაოდენობამ სრულიად საპი-

13 მეტი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე: www.onepercent.hu

რისპირო სურათი აჩვენა, თუმცა: პროცენტული სქემის დანერგვის შემდეგ კერძო ქველმოქმედება/შემოწირულობები სტაბილურად, თუმცა მოკრძალებული ტემპებით იზრდებოდა,[14] უკანასკნელმა მონაცემებმა გამოავლინა, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მხოლოდ 16%-მა მიიღო ორივე: 1% გადასახადი და კერძო შემოწირულობა; შესაბამისად, შეუძლებელია იმის გადაჭრით დასაბუთება, რომ 1%-იანი სქემა, ზოგადად, ფილანთროპიას წაახალისებს.[15] მეორე არგუმენტი გახლავთ ის, რომ, თუმცა გადამხდელებისათვის ამ სქემაში მონაწილეობა პროცედურულად მეტ-ნაკლებად იოლია, ხელისუფლების მხრიდან ტრანსაქციის თვალსაზრისით მას შეიძლება მნიშვნელოვანი ხარჯები მოჰყვეს, რადგანაც საჭიროა დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის ფორმისა თუ განაცხადის შევსება, რომელთა დამუშავებაც კომპეტენტური უწყების მიერ უნდა ჩატარდეს. ამან კი, თავის მხრივ, სხვა, მომიჯნავე პრობლემა გამოიწვია – ბევრი განაცხადის დამუშავება შეუძლებელი გახდა მათი არასრული სახით ან შეცდომით შევსების გამო. ამის შედეგად საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის „განკუთვნილი“ თანხის გადარიცხვა შეუძლებელი გახდა კონკრეტული ბენეფიციარებისათვის. მესამე გახლავთ ის, რომ გადარიცხვა ანონიმურად ხდება, რაც საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ართულებს დაფინანსების მოპოვების სტრატეგიის შემუშავებას. მეოთხე: თუმცა სქემის ფარგლებში მოპოვებული მთლიანი თანხა გაიზარდა, მაგრამ ასევე გაიზარდა მიმღებთა რაოდენობაც, რის შედეგადაც გამოყოფილი სახსრების საშუალო მაჩვენებელი იგივე რჩება ან სულაც კლებულობს. მაგალითად, 2008 წელს უნგრეთში მიმღებთა 52%-მა მიიღო 476 აშშ დოლარზე ნაკლები და 95%-მა 4,760 აშშ დოლარზე ნაკლები. აღნიშნულ სქემაში მონაწილე მთელი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხოლოდ 5%-მა მიიღო 4,760 აშშ დოლარზე მეტი 1%-იანი სქემის შედეგად მაშინ, როცა მხოლოდ 14-მა ორგანიზაციამ მიიღო 238,000 აშშ დოლარზე მეტი. ამ მონაცემების საფუძველზე სავარაუდოა, რომ მაშინ, როდესაც სქემა ითვალისწინებს ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფინანსური მდგრადობის განსაკუთრებულ ხელშეწყობას, რეალურად, სქემის ბენეფიციარები

14 იხილეთ: Balázs Gerencsér, Judit Oprics:The Role of Percentage Designation in Creating a Culture of Giving, http://www.onepercent.hu/Dokumentumok/role_of_percentage_designation.pdf. ავტორები ამტკიცებენ 1%-იანი სქემის ეფექტურობას ქველმოქმედების კულტურის წახალისების თვალსაზრისით, რადგანაც მისი დანერგვის შემდეგ კორპორაციული და ინდივიდუალური ქველმოქმედება აღმავლობის გზაზე დადგა.

15 Eva Kuti: Differences and similarities between corporate, individual and 1% philanthropy – Their relevance to fund raising efficiency, http://www.onepercent.hu/Dokumentumok/KUTI-2007web.pdf

მსხვილი საზოგადოებრივი ორგანიზაციები გახდებიან, რომელთაც საზოგადოებრივ ურთიერთობათა კამპანიაში ჩასართავად აქვთ ფინანსური რესურსები, საჭირო უნარები და შტატი და რომლებიც პოპულარული მიზნებისათვის (მიზნებისათვის, რომლებსაც სხვა შემთხვევაში სახელმწიფო მნიშვნელოვანწილად აფინანსებს – ბავშვთა ონკოლოგია, ცხოველთა დაცვა, საავადმყოფოების ფონდები) იღვწიან. ამის შედეგად, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ნაკლებად მიმზიდველ მიზნებს ემსახურებიან, მაგალითად, ადამიანის ან უმცირესობათა უფლებებს, ამ სქემის წყალობით მნიშვნელოვანი დაფინანსების მიღება რთულდება. ამასთან, რამდენიმე წლის შემდეგ სისტემის ახალი „დონორებით“ დაკომპლექტების თვალსაზრისით გარკვეული შეზღუდვა გამოვლინდა და ახლა მათი რაოდენობა გადამხდელთა დაახლოებით 50%-ს შეადგენს. დასასრულ, ეს სისტემა ზოგ ქვეყანაში, კერძოდ, სლოვაკეთსა და ლიტვაში, მთავრობის მიერ გამოიყენება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გაცემულ ქველმოქმედებაზე გადასახადების შემსუბუქების გაუქმების მიზნით. მიმდინარე ფინანსური კრიზისის გათვალისწინებით, სლოვაკეთის ფინანსთა სამინისტრომ ასეთი წინადადებაც კი შემოიტანა, რომ 2019 წლამდე იურიდიული პირებისათვის სქემით გათვალისწინებული პროცენტი 0.5%-მდე შემცირებულიყო.

რომ შევაჯამოთ, მიუხედავად იმისა, რომ საპროცენტო მექანიზმმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ახალი დაფინანსების საშუალება შეუქმნა, მან მნიშვნელოვანი სუსტი მხარეებიც გამოავლინა. ამიტომ, საჭიროა, სქემის დანერგვასთან დაკავშირებული სარგებელი და რისკები ფრთხილად შეფასდეს.

4.2. სამოქალაქო საზოგადოებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსება

4.2.1. უნგრეთი

ცენტრალურ ევროპაში აღმოცენებული სახელმწიფო დაფინანსების კიდევ ერთი ინოვაციური მექანიზმია სამოქალაქო საზოგადოებისათვის განკუთვნილი საზოგადოებრივი ფონდები (სამოქალაქო საზოგადოების ფონდები), რომლებიც დაარსდა უნგრეთში, ხორვატიასა და ესტონეთში. 2003 წელს უნგრეთის პარლამენტმა მიიღო კანონი სამოქალაქო ეროვნული ფონდების შესახებ, რითაც ჩაანაცვლა მანამდე არსებული მექანიზმი, რომელიც პარლამენტის მხრიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის საოპერაციო მხარდაჭერას ითვალისწინებდა. როგორც ბულეინმა აღნიშნა, „ფონდების ჩამოყალიბება ინიცირებული იყო რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობით, რომელთაგან მთავარია:

- მთავრობის მხრიდან საჭიროება და სურვილი, რომ სამოქალაქო საზოგადოებას უფრო ფართო მასშტაბით შეუწყოს ხელი (არჩევნების შემდეგ, რომლის დროსაც სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ნათლად გამოიხატა მთავარი ოპოზიციური პარტიის მხარდაჭერა);
- არასამთავრობო ორგანიზაციების ხანგრძლივი მოთხოვნა, რომ ხელახლა გადანაწილდეს გადამხდელთა მიერ გამოუყენებელი შემოსავლების პროცენტული სქემა;
- იმის აღიარება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების საოპერაციო ხარჯები უნდა დაფინანსდეს, ვინაიდან არც სხვა დონორების მხრიდან ხდება ამ ხარჯების სრული დაფარვა, ხოლო მათი ორგანიზაციული შესაძლებლობები კვლავ სუსტია".[16]

სამოქალაქო ეროვნული ფონდი წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის 1%-იანი სქემის დანამატს იმ თვალსაზრისით, რომ მთავრობა ავსებს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის განკუთვნილ სახსრებს აღნიშნული მექანიზმის ფარგლებში. ფონდის ბიუჯეტის 60% გამოყოფილია საზოგადოებრივი ორგანიზაციების საოპერაციო ხარჯების დასაფარად, ხოლო დანარჩენი თანხა გამოიყენება განვითარების პროგრამების ხელშესაწყობად (კვლევები, განათლება, საერთაშორისო წარმომადგენლობა). ეს ფონდს საშუალებას აძლევს, ფინანსური მხარდაჭერა გაუწიოს ისეთ საკითხებს, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, არ იქნებოდა განხილული შესაბამისი სამინისტროების მიერ და რომელთაც ზოგადად სამოქალაქო სექტორის განვითარებასთან პირდაპირი კავშირი აქვს.[17]

16 Bullain Nilda: Learning Points from the National Civil Fund in Hungary, გვ. 1, www.ecnl.org

17 კანონის შესაბამისად, სამოქალაქო ეროვნული ფონდი დაარსდა, რათა მხარი დაუჭიროს: სამოქალაქო ორგანიზაციების საოპერაციო ხარჯების მართვას; სამოქალაქო ორგანიზაციების საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე მიმართულ საქმიანობას; სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ დღესასწაულების, ფესტივალების, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარებას; უნგრეთის სამოქალაქო ორგანიზაციების წარმოდგენას საერთაშორისო სამოქალაქო ურთიერთობებში; სამოქალაქო სექტორის შესახებ სამეცნიერო კვლევების ჩატარებას; რეგისტრაციასთან დაკავშირებული საქმიანობებისა და ამოცანების შესრულების მონიტორინგის მხარდაჭერას; საგანმანათლებლო, მომსახურების სფეროს, საკონსულტაციო, განვითარებისა და დახმარების აქტივობებს, ასევე სამოქალაქო სექტორთან დაკავშირებული დაწესებულებების საქმიანობას; სამოქალაქო სექტორის სარეკლამო მასალის შექმნას, აღნიშნულ სფეროში სპეციალიზებულ ელექტრონულ და ბეჭდვით მედიას; სამოქალაქო ორგანიზაციებს, რათა გაიზარდოს მათი თანმხვედრი წვლილი ტენდერებში; გრანტის გამცემ ორგანიზაციებს, ფონდის პროგრამული საბჭოსა და კოლეგიების გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლებიც მიიღება საერთო პრინციპების საფუძველზე დაყრდნობით რესურსების ავტომატური გაცემის თაობაზე; ფონდის პროგრამის საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვას; სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლობის საქმიანობას.

მართვის სტრუქტურის მხრივ ფონდი მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა სამთავრობო სააგენტოებისგან/ერთეულებისგან, რადგანაც მის საბჭოში გარანტირებულია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა უმრავლესობის არსებობა. საბჭო გახლავთ სტრატეგიული ორგანო, რომელიც ფონდის პრიორიტეტებს განსაზღვრავს, ანაწილებს რესურსებს სხვადასხვა მიზნებისათვის და ასრულებს სხვა მმართველობით ფუნქციებს. ის 17 წევრისაგან შედგება (2 მათგანი სამოქალაქო საზოგადოების საკითხებზე საპარლამენტო კომიტეტს წარმოადგენს, 3 – სამინისტროს, ხოლო 12 წევრი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელია: აქედან 5 არჩეულია სხვადასხვა სფეროში მომუშავე ეროვნული მასშტაბის ორგანიზაციებიდან, ხოლო 7 – რეგიონულიდან). საბჭოსთან ერთად ასევე არსებობს რეგიონული კოლეგიები, რომლებიც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს წარმოადგენს და რომელთა კომპეტენციაშიც შედის კონკრეტული საგრანტო განაცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. ის მოწყობილია რეგიონული და პროფესიული წარმომადგენლობის პრინციპით. კოლეგია შედგება 5-11 წევრისაგან, რომელთა უმეტესობაც საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან არის შერჩეული. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მხრიდან ფონდის მმართველობასა და საოპერაციო სტრუქტურაში ასეთმა ძლიერმა მონაწილეობამ ინტერესთა კონფლიქტის პრობლემა წარმოშვა (იხ. გვ. 75). თავისი მუშაობის პირველ წელს ფონდმა დაახლოებით 3,500 საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის 28 მილიონი ევროს ოდენობის თანხა გასცა საოპერაციო ხარჯების ხელშეწყობის მიზნით. ხოლო 2009 წელს ფონდის მთლიანი აქტივების ჯამმა დაახლოებით 25.3 მილიონი ევრო შეადგინა, რაც ტენდერებით გადანაწილდა. 2009 წლის ბოლოსათვის 10,276 საზოგადოებრივი ორგანიზაცია გახდა ზემოთ აღნიშნული მექანიზმის ბენეფიციარი. 2010 წლის ივლისიდან კი ფონდი, რომელსაც ადრე შრომისა და სოციალურ საქმეთა სამინისტროსთან არსებული სოციალური დიალოგის დეპარტამენტი უწევდა ხელმძღვანელობას, ადმინისტრაციისა და იუსტიციის სამინისტროს ექვემდებარება.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მიესალმნენ ფონდის შექმნას. ისინი დიდი ხნის განმავლობაში იღვწოდნენ ისეთი საზოგადოებრივი მექანიზმის ჩამოყალიბებისათვის, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი სექტორის საოპერაციო და ზოგად მხარდაჭერას (რაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფის წამყვან ფაქტორებად აღიქმებოდა). მართლაც, ფონდი საჭირო დახმარებას უწევდა მთელ რიგ ორგანიზაციებს კეთილშობი-

ლური მიზნების განხორციელებაში. მიუხედავად ამისა, ის მაინც წააწყდა გარკვეულ გამოწვევებს, რადგანაც მისი რეალური გავლენა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მდგრადობაზე ეჭვებს იწვევდა.

ითვლება, რომ განაცხადით გათვალისწინებული მოთხოვნები იმთავითვე ბუნდოვანი, მოუქნელი და მძიმეა. ეს, მეტწილად, მიეწერებოდა, როგორც სამინისტროს თანამშრომელთა, ასევე კოლეგიის წევრების გამოუცდელობას. შედეგად, განაცხადების დაახლოებით 70-90% დაიწუნეს. ბევრ შემთხვევაში საზოგადოებრივ საქმეთა სამინისტრო იძულებული გახდა, საქმეში ჩარეულიყო, რათა უზრუნველეყო ზოგიერთი მოთხოვნის უფრო ლიბერალური ინტერპრეტაცია (მათ შორის იმის განმარტება, თუ კონკრეტულად რომელი ელემენტები შეადგენს საოპერაციო ხარჯებს) და ამ გზით გაეღვივებინა კონკურენცია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის. ყოველივე ამან გამოიწვია ფინანსების დაგვიანებული გადანაწილება, ხოლო რიგ უკიდურეს შემთხვევებში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიეცათ ერთი თვე ერთ წელიწადზე გათვლილი თანხების დასახარჯად.[18] თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შესამჩნევ პროგრესს ჰქონდა ადგილი ფონდების წესებისა და პროცედურების კუთხით და 2007 წლიდან გრანტები ცალკე შექმნილი საზოგადოებრივი სარგებელის კომპანიის მიერ იმართება. მიუხედავად ამისა, პროცედურული წესების თვალსაზრისით კვლავ იჩენს თავს გარკვეული სიძნელეები, რამაც გამოიწვია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის განაცხადისა და ანგარიშის ჩაბარების პროცედურასთან დაკავშირებული საოპერაციო ხარჯების ზრდა.

ამასთანავე, ინტერესთა კონფლიქტის საკითხიც არსებობდა. 2006 წლის სექტემბერში სახელმწიფო აუდიტორულმა ოფისმა აღმოაჩინა, რომ ფონდი სერიოზული გამოწვევის წინაშე იდგა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით. სხვა პრობლემათა შორის აღმოჩნდა, რომ მინისტრსა და საბჭოს არ ჰქონდათ შემუშავებული სექტორის განვითარების სტრატეგია და შესრულებული სამუშაოს შეფასების ინდიკატორები, რომ შერჩევის კრიტერიუმები კვლავ ბუნდოვანი რჩებოდა და რომ საბჭომ და კოლეგიებმა ინტერესთა კონფლიქტის მოგვარების შესაბამისი პროცედურებიც კი ვერ შეიმუშავეს. ამის შედეგად გამოიკვეთა მოდელი, რომლის მიხედვით, სწორედ საბჭოსა და კოლეგიებში გადაწყვეტილების მიმღებებთან ასოცირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები აღმოჩნდნენ უმეტესწილად მექანიზმის მთავარი ბენეფიციარები, რასაც პროცესის მეთვალყურე მინისტრის საჯა-

18 Katrerina Hadzi Miceva: Legal and Institutional Mechanism for NGO-Government Collaboration in Croatia, Estonian and Hungary, გვ. 18. www.ecnl.org. Bullain Nilda: Learning Points from the National Civil Fund in Hungary, გვ. 2.

რო რეაქციაც მოჰყვა.[19] აღნიშნული მექანიზმის კრიტიკა ინტერესთა კონფლიქტისა და ფინანსების თვითნებური განკარგვის რეგულირების წესების შემდგომმა ჩამოყალიბებამაც ვერ ჩაახშო. მართლაც, უკანასკნელმა კვლევამ ცხადყო, რომ ინტერესთა კონფლიქტსა და ფინანსების თვითნებურ განკარგვასთან დაკავშირებული პრობლემები კვლავაც აქტუალურია, რაც თანამოაზრეთა ჯგუფის შექმნასთან იყო კავშირში, ანუ იმ ფაქტთან, რომ კოლეგიები დაკომპლექტებული იყო მმართველ კოალიციასთან დაახლოებული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთაგან.[20] სხვათა შორის, ექსპერტები ეჭვის ქვეშ აყენებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობითი სისტემის უნარს, საერთოდ გათავისუფლდეს თანდაყოლილი სისუსტეებისაგან და უფრო სანდო მეთოდსაც სთავაზობენ (ექსპერტთა დანიშვნა), რომელიც ხორვატიასა და ესტონეთშია წარმატებით დანერგილი (იხ. გვ. 78).

გარდა ამისა, როგორც ეტყობა, ფონდმა უპირველესი მიზნის შესრულება ვერ მოახერხა. არ არის ნათელი, თუ რამდენად შეუწყო მან ხელი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ მხარი დაეჭირა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო სპექტრის საოპერაციო ხარჯებისათვის, რასაც დიდწილად გამოუცდელობას, ისევე როგორც ნათელი ხედვისა და აუცილებელი სტრატეგიული დოკუმენტაციების არქონას უკავშირებენ. 2006 წელს სახელმწიფო აუდიტორული ოფისის ანგარიშში აღნიშნულია: „საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის საოპერაციო ხელშეწყობა საერთო ჯამში კანონის ფარგლებში ჩატარდა, თუმცა ამან ვერ გამოიწვია სამოქალაქო ორგანიზაციების, როგორც სოციალური ცვლილებების განმაპირობებლების, როლის გაფართოება“.[21] ამ პრობლემაზე საუბრისას ზოგი ექსპერტი აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საოპერაციო ხარჯების მხარდასაჭერად დაფინანსების უბრალოდ გადაცემის ნაცვლად (რაც დამოკიდებულებისა და სტაგნაციის კულტურის ჩამოყალიბებას უწყობს

19 ეროვნულ სამოქალაქო ფონდთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ იხ. პრესრელიზი: Kinga Göncz, Minister of Youth, Family and Social Affairs, August 30, 2005; in Bullain, იქვე, გვ. 3, სქოლიო 5.

20 ბულეინის მიხედვით: „მიუხედავად იმისა, რომ წევრები სახელდებიან და აირჩევიან თავად არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, პარტიების ადგილობრივმა განყოფილებებმა, როგორც ჩანს, მიაგნეს ამ პროცესზე გავლენის მოპოვების გზას, მაგალითად, თავიანთი რჩეული არასამთავრობო ორგანიზაციის აქტიური მონაწილეობის წახალისება ან კოლეგიის ისეთი წევრების კანდიდატურის წამოყენება, რომლებიც პოლიტიკოსებიც არიან და, ამავდროულად, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც. Bullain Nilda: Learning Points from the National Civil Fund in Hungary, გვ. 4.

21 ამონარიდი: Report of the State Audit Office on the first two years of operation of the National Civil Fund (September, 2006), იხ.: Bullain, იქვე, გვ. 3.

ხელს), ფონდმა უნდა შემოიღოს დამატებითი კრიტერიუმები, რომლებიც ამ ხარჯებს დაუკავშირებს კონკრეტული პროგრამების განვითარებას და, სავარაუდოდ, დააწესოს საზოგადოებრივი ორგანიზაციის მხრიდან სქემით სარგებლობის ხანგრძლივობის ლიმიტი. თუმცა, ამ რეკომენდაციებზე დადებითი პასუხი საბჭოს ჯერ კიდევ არ გაუცია.[22]

ფონდის სხვა სტრუქტურული სისუსტე ეფუძნება ფაქტს, რომ ის ინსტიტუციონალური მხარდაჭერის გასაწევად დაარსდა არა მხოლოდ ისეთი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციებისათვის, რომელთა ძირითადი მიზანი საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელებაა (ამ სტატუსის მოპოვება შედარებით ადვილია), არამედ იმ ორგანიზაციებისთვისაც, რომლებიც ამგვარი სტატუსით არ არის რეგისტრირებული – უფრო კონკრეტულად, პატარა, სათემო ორგანიზაციები, რომლებიც, შესაძლოა, დიდ საქმეს აკეთებდნენ დაბალ დონეზე, მაგრამ საკმარისი უნარი და რესურსები არ აქვთ, რათა დაფინანსება სხვა დონორებისაგან მოიპოვონ. ამან კი გზა გაუხსნა არა მხოლოდ მცირე ორგანიზაციებს, რომელთათვისაც ფონდები ხელმისაწვდომი გახდა და რომელთა მიზნებს საზოგადოებირივი კეთილდღეობა წარმოადგენდა (მაგრამ არ უძებნია გზები ამ სტატუსის მოსაპოვებლად), არამედ საერთო სარგებელზე ორიენტირებული ასოციაციებისათვისაც (მაგ.: სახალხო კლუბები, მოტოკროსის (მოტორბოლის ერთ-ერთი სახეობა) ასოციაციები, ასევე პროფესიული ასოციაციები და ა.შ.). ორგანიზაციებს, რომლებიც უპირატეს ყურადღებას საკუთარი წევრების ინტერესებს უთმობენ, ვიდრე საზოგადოებრივ სიკეთეს, ხშირ შემთხვევაში ნაკლები გამჭვირვალობის მოთხოვნები აქვთ, ვიდრე საზოგადოებრივ სარგებელზე ორიენტირებულ კვალიფიციურ ორგანიზაციებს.

დაბოლოს, ფონდის ჩამოყალიბებამ გამოიწვია შესაბამისი სამინისტროების მხრიდან მათ იურისდიქციაში მყოფი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობის შემცირება; მან აგრეთვე გამოიწვია ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულების კულტურის განვითარება. ამის გამო ფონდის მექანიზმმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვა წყაროებისაგან დაფინანსების მოძიების სტიმული დააქვეითა, რითაც საფრთხე შეუქმნა ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობას.[23]

22 Bullain Nilda: Learning Points from the National Civil Fund in Hungary, გვ 4.

23 Bullain, იქვე, გვ. 5.

4.2.2 ხორვატია

ხორვატიაში არსებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ეროვნული ფონდი (შემდგომში: ფონდი) ცენტრალურ ევროპაში[24] სახელმწიფო დაფინანსების ინოვაციური მექანიზმის, ალბათ, ყველაზე წარმატებული მაგალითია. ფონდის გრანტების გაცემის სტრატეგია და პროცედურათა გამჭვირვალობა, მიუხედავად დასაწყისში არსებული გამოწვევებისა, რეგიონში არსებულ სხვა ქვეყნებს კარგ მაგალითს აძლევს. ფონდი დაარსდა 2003 წელს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო დაფინანსების უფრო მეტად დეცენტრალიზებული მექანიზმის შექმნის მიზნით. ფონდის დაარსების მიზანი იყო სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა ისეთი პროექტების პროფესიული და ფინანსური დახმარების გაწევის გზით, რომლებიც აძლიერებს და ხელს უწყობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სექტორთა შორის თანამშრომლობის, სამოქალაქო ინიციატივების, ფილანთროპიის, განსაკუთრებით კი მოხალისეობისა და დემოკრატიული ინსტიტუციების მდგრადობას. ფონდის მთავარი საქმიანობა ასევე მოიცავს განათლებასა და საგამომცემლო საქმიანობას, გრანტების გაცემას, კამპანიებს საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად, შეფასების მომსახურებას, კვლევას და რეგიონულ განვითარებას. ფონდი დიდი ინსტიტუციონალური სისტემის ნაწილია, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას ხორვატიის მთავრობასთან აკავშირებს. ეს არის ე.წ. სამმხრივი სისტემა, რომელიც ასევე მოიცავს ასოციაციებთან თანამშრომლობის სამთავრობო ოფისს და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების საბჭოს, რომელიც, თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების საკითხებზე ხორვატიის მთავრობის საკონსულტაციო უწყებას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ, თუმცა ფონდი საჯარო იურიდიული პირია, მას მმართველი საბჭო ხელმძღვანელობს, რომლის 3 წევრი მთავრობას წარმოადგენს, 1 ადგილობრივ ხელისუფლებას, 5 კი სამოქალაქო საზოგადოებას.

ფონდის შემოსავლის პირველადი წყარო ლატარიაა. აზარტული და მომგებიანი თამაშების შესახებ 2002 წლის აქტით, შემოსავლის სრული ოდენობის 50% უნდა მოხმარდეს საზოგადოებრივი სარგებლის რვა განსხვავებულ სფეროს, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ჩა-

24 უფრო დეტალურად ეროვნული ფონდის შესახებ იხ.: Igor Vidacak Developing standards and mechanisms for public financing of NGOs in Croatia, the International Journal of Not-for-Profit Law (IJNL), Volume 12, issue 4, November 2010. Katrerina Hadzi Miceva: Legal and Institutional Mechanism for NGO-Government Collaboration in Croatia, Estonian and Hungary, www.ecnl.org

თვლით. მთავრობა ყოველწლიურად განსაზღვრავს ზუსტ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც უნდა გადანაწილდეს ამ რვა სფეროს შორის, რომლებიც დადგენილ კრიტერიუმებს შეესაბამება. გარდა ამისა, ფონდის შემოსავლების წყაროებია კერძო თუ საზოგადოებრივი შემოწირულობები, ეკონომიკური საქმიანობა და სხვა ლეგიტიმური გზები. 2006 წელს ფონდის შემოსავლების ოდენობა დაახლოებით 4.300.000 ევროთი განისაზღვრა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფონდების დაარსების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო უფრო გამჭვირვალე და ეფექტური სტრუქტურის უზრუნველყოფა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო დაფინანსების უფრო დეცენტრალიზებული სისტემის შესაქმნელად. ფონდის ჩამოყალიბებამდე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო დაფინანსების უმეტესობა ასოციაციებთან თანამშრომლობის სამთავრობო ოფისის გავლით მიდიოდა, რომელმაც, თავის მხრივ, დაფინანსების საჯარო აუქციონისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ პროექტების შეფასების სისტემა დანერგა. გარდა ამისა, შესაბამისი სამინისტროები თავიანთ იურისდიქციაში გამოყოფდნენ დაფინანსებას საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის. თუმცა, ისეთი მნიშვნელოვანი მაგალითების გამონაკლისით, როგორიცაა სოციალურ უზრუნველყოფაზე სამინისტროს პასუხისმგებლობა, ეს პრაქტიკა ფართოდ დანერგილი არ ყოფილა. დამატებით უნდა ითქვას ისიც, რომ სამინისტროების მიერ გრანტების განაწილების რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა მძლავრ კორუფციას. ამას ხელს უწყობდა გრანტების გაცემის სუსტი კონტროლი (შეიძლება ითქვას, თუკი საერთოდ არსებობდა ეს კონტროლი) და პროცედურათა გამჭვირვალობის ნაკლებობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფონდმა არ ჩაანაცვლა სამინისტროები სახელმწიფო დაფინანსების განაწილების კუთხით, არამედ ამ მხრივ საკუთარი დამატებითი ნიშა შექმნა. ფონდი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის საოპერაციო და ინსტიტუციონალური გრანტების ყველაზე დიდი მიმწოდებელია; ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც ერთი კონკრეტული სამინისტროს იურისდიქციაში არ შედის, სათემო და მოსახლეობის ფართო მასებისგან მომდინარე ინიციატივების ჩათვლით. ფონდმა ასევე ხელი შეუწყო მრავალწლიანი დაფინანსების პრაქტიკას და ოთხ რეგიონულ ფონდთან შეთანხმებაზე ხელმოწერით, რომლებიც სათემო გრანტების მართვის პროგრამებზეა პასუხისმგებელი, საკუთარი დეცენტრალიზებული დაფინანსების სისტემა ჩამოაყალიბა. ამასთან, ის მხარს უჭერს საზოგადოებრივი ორგანიზაციების პარტნიორთა ქსელს ხუთ რეგიონში, რომელიც ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სხვადასხვა სა-

ხის მომსახურებას უწევს, ტექნიკური დახმარების, ტრენინგებისა და ქსელების შექმნის ჩათვლით.

ფონდის მიერ გრანტის გაცემის პროცედურის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია სხვადასხვა საშუალებით. პირველი: „ბრძანება ფონდის მიზნებისათვის ფინანსების გამოყოფის პირობებისა და პროცედურების შესახებ“, რომელიც ფონდის სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო გრანტების გაცემის პირველ ეტაპზე გამოვლენილი პრობლემების შემდეგ.[25] ბრძანება აყალიბებს გრანტის გაცემის მკაფიო პროცედურებს, ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული წესების ჩათვლით. ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის მიზნით, ბრძანების საფუძველზე შედგენილ იქნა პოტენციური ინტერესთა კონფლიქტების სია, რომელიც არ არის ოფიციალური/იურიდიული დოკუმენტი, მაგრამ შესაძლებელია მისი, როგორც წყაროს, წარდგენა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნისამებრ.

მეორე საშუალება, რომელიც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, არის საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროგრამებისა და პროექტებისათვის დაფინანსების გამოყოფის კარგი პრაქტიკის, სტანდარტებისა და კრიტერიუმების კოდექსი, რომელიც 2007 წელს ხორვატიის პარლამენტმა აამოქმედა.[26] აღნიშნული კოდექსი ადგენს ნებისმიერი დონის სახელმწიფო ორგანოს მიერ გრანტების გაცემის პრინციპებსა და სტანდარტებს. ესენია: (1) საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროგრამებისა და პროექტების დაფინანსების პრიორიტეტების დადგენა საბიუჯეტო წლისათვის; (2) სახელმწიფო ტენდერების გამოცხადება, სადაც ნათლად იქნება ჩამოყალიბებული განაცხადების შეფასების პირობები და კრიტერიუმები და გრანტის გაცემის პროცედურა (განაცხადის პრიორიტეტული სფეროს, პოტენციური ინტერესთა კონფლიქტების თავიდან აცილების გზების და შეფასების პროცედურის საჯაროობის შესაძლებლობის ჩათვლით). განაცხადის შესატანად საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უნდა მიეცეთ არანაკლებ 30 დღისა სახელმწიფო ტენდერის გამოცხადებიდან; (3) განაცხადის ამანათების გახსნა კომისიის მიერ; (4) პროექტებისა და პროგრამების შეფასება ექსპერტი უწყებების მიერ; (5) ყველა განაცხადზე წერილობითი პასუხის გაცემა, ხოლო უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, უარის მიზეზის

25 პრობლემა წამოიჭრა მაშინ, როდესაც გაირკვა, რომ ერთ-ერთი გრანტის მიმღები იყო ფონდის მმართველი საბჭოს (მაშინდელ) პრეზიდენტთან მჭიდროდ დაკავშირებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია. თუმცა, გადაწყვეტილების მიღების აღნიშნულ პროცესში მონაწილეობისაგან პრეზიდენტმა თავი შეიკავა.

26 კოდექსის ამოქმედება გათვალისწინებული იყო 2001 წლის კანონმდებლობით ასოციაციების შესახებ, ისევე როგორც 2006 წლის სამოქალაქო საზოგადოებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის ეროვნული სტრატეგიით.

განმარტება; (6) ტენდერის შედეგების გამოქვეყნება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, დაჯილდოებული პროექტებისა და გრანტის ოდენობის შესახებ ინფორმაციის ჩათვლით; (7) ხელშეკრულების დადება გამარჯვებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან კონკურსის დამთავრებიდან 60 დღის განმავლობაში; (8) დამტკიცებული პროექტების განხორციელების მონიტორინგი და მათი საბოლოო შედეგების შეფასება.

კოდექსი ასევე ადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების მოპოვებისათვის აუცილებელ ძირითად კრიტერიუმებს, ანგარიშის ჩაბარების ვალდებულებასა და სანქციებს გრანტების არასწორი გამოყენების შემთხვევაში. სახელმწიფო ორგანოებისათვის აუცილებელია ზემოხსენებული პროცედურებით ხელმძღვანელობა. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსი არ წარმოადგენს სავალდებულო იურიდიულ ინსტრუმენტს, მისმა ამოქმედებამ შედეგად მიიღო სახელმწიფო დაფინანსების უფრო გამჭვირვალე პროცედურები. დღესდღეობით საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო დაფინანსების 99%-ის გადაცემა სწორედ სახელმწიფო აუქციონის გზით ხდება.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2009 წელს ფონდის გრანტებმა სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული გრანტების საერთო რაოდენობის 5.6% შეადგინა (42.4 მილიონი ევრო). დაარსების შემდეგ პირველი წლების განმავლობაში დაგროვილი სახსრების წყალობით ფონდმა თავისი საწყისი კაპიტალი მნიშვნელოვნად გაზარდა უძრავი ქონების შეძენის გზით, რითაც დიდი ხნით უზრუნველყო სიცოცხლისუნარიანობა.

4.2.3. ესტონეთი

ესტონეთის სამოქალაქო საზოგადოების ეროვნული ფონდი 2008 წელს ჩამოყალიბდა, რაც ესტონეთის არაკომერციული ორგანიზაციების ქსელის (NENO) მიერ შემუშავებული კონცეფციის დოკუმენტის შექმნას მოჰყვა. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესში მთავარი დაინტერესებული მხარეები მონაწილეობდნენ. ფონდი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილ ამ ტიპის ორგანიზაციებს შორის უახლესია, რამაც მისი ჩამოყალიბების პროცესში უნგრეთისა და ხორვატიის გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობა შექმნა. ფონდი სამოქალაქო სამართლის საზოგადოებრივი ინტერესების გამტარებელი არაკომერციული იურიდიული პირია. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ესტონეთში არსებული საზოგადოებრივ სარგებელზე მიმართული ორგანიზაციების (როგორც ასოციაციების, ასევე ფონდების) შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა მათ წვლილი შეიტანონ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში და ასაზრდოონ სამოქალაქო ინიციატივებისათვის ხელსაყრელი გარემო.

მიზნის მისაღწევად ფონდი ისახავს შემდეგ ამოცანებს: აყალიბებს და ახორციელებს პროგრამებს, რომლებიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების საოპერაციო შესაძლებლობების განვითარებასა და მათი მიზნების მიღწევას უწყობს ხელს; მხარს უჭერს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის საჭირო კვლევებს; ხელს უწყობს ესტონეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორმხრივ და მრავალმხრივ თანამშრომლობას; მხარს უჭერს სამოქალაქო საზოგადოების შესახებ ცნობიერების ამაღლებას ინფორმაციის გავრცელების გზით, ისევე როგორც ამ მიზნის მისაღწევად სხვა აუცილებელი გზებით.

ფონდის უმაღლეს მმართველ ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც 10 წევრისაგან შედგება (დაკომპლექტებულია საზოგადოებრივი სექტორისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებით). აღნიშნული საბჭო პასუხისმგებელია სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაზე და როგორც სტრუქტურის, ასევე თანამშრომელთა რაოდენობის განსაზღვრაზე, ხოლო ყოველდღიური საქმიანობა ბიუროს პასუხისმგებლობას წარმოადგენს. ხორვატიის ეროვნული ფონდის მსგავსად, განაცხადებს განიხილავს დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც აფასებს მათ და დაფინანსებისათვის საბჭოს წარუდგენს. ექსპერტთა ჯგუფის მექანიზმის ჩამოყალიბება მიზნად ისახავს გრანტის ობიექტურად და დამოუკიდებლად განაწილებისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების უზრუნველყოფას. განაცხადებისა და საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი დოკუმენტების შეფასებაში მინიმუმ 2-3 ექსპერტი მონაწილეობს.[27]

მოღვაწეობის პირველ წელს ფონდი ორიენტირებული იყო პროგრამებზე, რომლებიც სამ სფეროს მოიცავს: საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის საოპერაციო შესაძლებლობების ხელშეწყობას, როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონულ დონეზე; ინოვაციური იდეებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებს; სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებელი ადვოკატირებისა და ხელშეწყობის პროგრამას. ჯამში ფონდმა მხარი დაუჭირა 85 პროექტს, რომლის ოდენობაც დაახლოებით 1.5 მილიონი ევროთი განისაზღვრა.

თუმცა, ჯერ კიდევ ნაადრევია მსჯელობა იმაზე, თუ რამდენად წარმატებული იყო ფონდი მისი ძირითადი მისიის შესრულებაში, ინსტიტუციონალური თვალსაზრისით მაინც. ნათელია, რომ მან წარმატებით აიცილა თავიდან ზოგიერთი გამოწვევა, რომელიც მის წინამორბედ ორ

27 www.kysk.ee

ქვეყანას შეექმნა. კერძოდ, ფონდი მხოლოდ იმ ორგანიზაციებს აფინანსებს, რომელთა მუშაობაც საზოგადოების სასარგებლოდაა მიმართული, და არა საერთო სარგებელზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს (მაგ., უნგრეთის შემთხვევაში). გარდა ამისა, ფონდმა გრანტის გაცემის პროცედურაში მთავარი როლი ექსპერტებს მიანიჭა, რითაც თავიდან აიცილა გამოუცდელი თანამშრომლების მიერ გრანტების გაცემა და ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული პრობლემები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gerencsér, B., Oprics, J. (2007). The Role of Percentage Designation in Creating a Culture of Giving. http://www.onepercent.hu/Dokumentumok/role_of_percentage_designation.pdf. Nonprofit Information and Training Centre (NIOK) Foundation.
2. Bulgrian Center for Not-for-Profit Law. (2004). Contracting of Social Services Between the State and NGOs. www.bcnl.org.
3. Bullain, N. Learning Points from the National Civil Fund in Hungary. www.ecnl.org.
4. Hadzi-Miceva, K. (2008). Legal and Institutional Mechanisms for NGO-Government Cooperation in Croatia, Estonia and Hungary. In Volume 10, Issue 4. International Center for Not-for-Profit Law.
5. International Center for Not-for-Profit Law. Preliminary Study of the Legal Frameworks for Public Financing of NGO Activities in Bulgaria, Croatia, Hungary, Romania and Slovakia. 2001.
6. Kuti, E. Differences and Similarities between Corporate, Individual and 1% Philanthropy - Their Relevance to Fundraising Efficiency. http://www.onepercent.hu/Dokumentumok/KUTI2007web.pdf.
7. United States Agency for International Development. Glossary of ADS Terms. Washington, DC: USAID. http://www.usaid.gov.
8. Vidacak, I. (2010). Developing Standards and Mechanisms for Public Financing of NGOs in Croatia. International Journal of Not-for-Profit Law (IJNL), Volume 12, Issue 4.
9. Warner, E. (2009). Public Financing Mechanisms and Their Implications. In 2008 NGO Sustainability Index for Central and Eastern Europe and Eurasia. http://www.usaid.gov/locations/europe_eurasia/dem_gov/ngoindex/2008/article2.pdf.

მოხალისეობა და ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება

რა სარგებლობა შეიძლება ნახოს ამაში საქართველომ?

მარია ბალი
სოციოლოგი, ამჟამად ევროპის 2012 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის პოლონეთის მოხალისეობის პროგრამის მოხალისეთა კოორდინატორი

კამილა ჩზერვინსკა
მოხალისეობის ექსპერტი, წარსულში მოღვაწეობდა მოხალისეობის ევროპულ ცენტრსა და ევროკომისიაში, ამჟამად ევროპის 2012 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის პოლონეთის მოხალისეობის პროგრამის მოხალისეთა მენეჯერი

ვოიცეკ რუსტეცკი
სოციალური ინოვაციისა და კვლევის ჯგუფის „SHIPYARD“ გენერალური დირექტორი

„გაერთიანება დასაწყისია,
ერთად მუშაობა – პროგრესი,
ერთიანობის შენარჩუნება კი წარმატებაა“.

მოხალისეობის ევროპული ცენტრის კონფერენცია „თანამშრომელთა მოხალისეობის განვითარების“ მონაწილე, პრაღა, 2009 წელი

1. შესავალი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მოხალისეობა და მისი შესაძლებლობების განვითარება პოლონეთში. ეს გახლავთ გაგრძელება ანგარიშისა, რომელიც წარვუდგინეთ მოხალისეობის ევროპულ ცენტრს. აქ აღწერილია პოლონეთის მოხალისეობის სექტორის ინფრასტრუქტურის ამჟამინდელი მდგომარეობა. ნაშრომი სამი ნაწილისაგან შედგება.

პირველ ნაწილში ზოგადად არის მიმოხილული მოხალისეობის არსი, მას მოსდევს პოლონეთში მოხალისეობის დეტალური აღწერა, ისტო-

რიული ფონი, ლანდშაფტი, მოხალისეობის მოტივაცია და განმარტებულია გამოყენებული ტერმინები. ეს ნაწილი ძირითადად კლონ-იავორის ასოციაციისა და სოციალური ინოვაციისა და კვლევის ჯგუფ „Shipyard"-ის კვლევებს ემყარება.

მეორე ნაწილში დეტალურადაა აღწერილი პოლონეთის მოხალისეობის ინფრასტრუქტურა. იურიდიული ბაზის, დაინტერესებულ მხარეთა, დაფინანსების, კვლევისა და ხარისხის სტანდარტების აღწერა წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდებოდა მოხალისეობის სექტორი დღემდე.

მესამე ნაწილში პოლონეთის გამოცდილების საფუძველზე საქართველოს ვუწევთ რეკომენდაციებს ზოგიერთი პრობლემის გადასაჭრელად.

დოკუმენტში მკითხველი ნახავს ამ პრობლემების წარმატებით გადაჭრის მაგალითებსაც.

ავტორები იმედს გამოთქვამენ, რომ პოლონეთის გამოცდილების პოზიტიური მაგალითები და რეკომენდაციები საქართველოს მოხალისეებს დაეხმარება ამ საქმისათვის ხელსაყრელი გარემოსა და მოხალისეთა ორგანიზაციების შექმნაში, იმისათვის რომ მათ წარმატებით შეასრულონ ნაკისრი ფუნქციები.

ზოგადი მიმოხილვა – მოხალისეობა ევროპაში

მოხალისეობა ძალზე მრავალფეროვანი ჰეტერორგანული ფენომენია. ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში შეიმუშავეს მოხალისეობის საკუთარი გაგება, რომელშიც ასახულია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული თავისებურებები, დამოკიდებულება და განსხვავებები ცნობიერებაში. შესაბამისად, მოხალისეობის ერთიანი ევროპული ხედვის შექმნის მცდელობა გარკვეულ სირთულეებს წააწყდა. იურიდიული ბაზის ანალიზი ცხადყოფს, რომ ევროპული ქვეყნების მხოლოდ ნახევარსა აქვს მოხალისეობის დამკვიდრებული, ოფიციალური განმარტება. თუმცა, იურიდიული ბაზებისა და მოხალისეთა პროფილების მრავალფეროვნების მიუხედავად, ტერმინის განსხვავებული ადგილობრივ-ეროვნული განმარტებების გაანალიზების შედეგად შესაძლებელია მისი საერთო მახასიათებლების დანახვა. მოხალისეობა, ჩვეულებრივ, განიმარტება, როგორც:

- მოხალისეობრივი ხასიათისა და პიროვნების მხრიდან კეთილი ნების მატარებელი საქმიანობა – ის არ შეიძლება წარმოადგენდეს სავალდებულო მომსახურებას ან მოქალაქის მოვალეობას;

- სხვების ან, ზოგადად, საზოგადოების სასარგებლოდ, და არა პირადი ინტერესებისათვის, წამოწყებული საქმიანობა – თუმცა მისი წვლილი მოხალისის პიროვნულ განვითარებაში უდავოა;
- უანგარო საქმიანობა – თუმცა მოხალისეებმა საკუთარ თავზე არ უნდა აიღონ მოცემულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები; ასეთ შემთხვევაში მათ მიერ გაწეული ხარჯები შეიძლება და უნდა ანაზღაურდეს;
- საქმიანობა სტრუქტურულ ჩარჩოში – მიუხედავად იმისა, რომ მოხალისეობა ხშირად სპონტანური ხასიათისაა, განსაკუთრებით სტიქიური უბედურებების შემთხვევაში, მოხალისეობისათვის უფრო დამახასიათებელია დაგეგმილი მოქმედება ორგანიზაციაში, ასოციაციაში, პლატფორმაში, ჯგუფში და სხვ. მოცემული სტრუქტურის, განრიგისა და სიხშირის ფარგლებში.

როდესაც ევროპაში მოხალისეობის სტრუქტურას განვსაზღვრავთ, გაცნობიერებული უნდა გვქონდეს ამ კონცეფციაში მოქცეულ საქმიანობათა მრავალფეროვნება. მოხალისეებს შეხვდებით განათლებისა და მომსახურების, ჯანდაცვისა და სოციალური მზრუნველობის, სპორტული და კულტურული ღონისძიებების, საზიარო დახმარებისა და თვითდახმარების, ადვოკატირების, ადამიანის უფლებების კამპანიების, მენეჯმენტის, სამშვიდობო ოპერაციებისა და არჩევნების დროს გაწეული დახმარების, განვითარებაზე მიმართული თანამშრომლობის (განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევა), სიღარიბის აღმოფხვრის, ჰუმანიტარული დახმარებისა და გარემოს დაცვის აქციების, ცხოველთა დაცვისა და სხვა სფეროებში.

მოხალისეობის არსის გააზრებისას მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, თუ რა არ არის ის: მოხალისეობამ არსებითად არ უნდა ჩაანაცვლოს მომსახურება, რომლის მიწოდება მთავრობის მოვალეობაა. ის აგრეთვე უნდა განვასხვაოთ საქმიანობის ისეთი „უსასყიდლო“ სახეებისაგან, როგორებიცაა სტაჟირება, ტრენინგი და სხვა საქმიანობა, რომლებში ჩართვაც მხოლოდ პირადი სარგებლის მიზნით ხდება.

წარსულში მოხალისეობის ცნება უმეტესწილად რელიგიურ საქმიანობასა და ქველმოქმედებასთან იყო დაკავშირებული. დღეს კი ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ის სახეს იცვლის. წარმოდგენა მოხალისეობის შესახებ ბევრ ქვეყანაში იცვლება, განსაკუთრებით ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში, ხოლო მოხალისეობის ღირებულება და წვლილი საზოგადოებისა და სახელმწიფოს კეთილდღეობაში მეტ აღიარებას ჰპოვებს.

მოხალისეობის მრავალმა საერთაშორისო პროექტმა წარმოაჩინა ნათლად მოხალისეების წვლილი ისეთ სხვადასხვა სფეროებში, როგორებიცაა: ეკოლოგია, ჰუმანიტარული დახმარება, სოციალური სფერო და მრავალი სხვა. ის ითვლება განათლების არატრადიციულ ინსტრუმენტად, რომელიც მიმართულია ახალგაზრდების,[1] უმუშევრების,[2] შეზღუდული უნარების მქონე ადამიანების, მიგრანტებისა[3] და მარგინალური ჯგუფების წარმომადგენლების[4] გაძლიერებისაკენ და ზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობას სხვადასხვა უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებით. მოხალისეობა გავლენას ახდენს საზოგადოების რეგიონულ და სოციალურ განვითარებაზე,[5] სოციალური კაპიტალის ზრდაზე (ურთიერთქმედება სოციალური ქსელების წიაღში და ამ ქსელების ურთიერთობა საზოგადოებასთან ზოგადად), აქტიური სიცოცხლის გახანგრძლივებაზე,[6] მხარს უჭერს კულტურათაშორის დიალოგს[7] და ხელს უწყობს მდგრად განვითარებას. უფრო მეტიც, მოხალისეობას შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მშვიდობის მშენებლობასა და დემოკრატიულ პროცესებში.[8] საერთოდ, კვლევამ ცხადყო, რომ მძლავრი სამოქალაქო საზოგადოებისა და განვითარებული მოხალისეობის საქმიანობის მქონე რეგიონები უფრო მდიდარი და ინტეგრირებულია (პ. დეკერი).

ეს წვლილი ხშირად არ არის სათანადოდ დაფასებული ფართო საზოგადოების მიერ, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი კვლევა ადასტურებს მოხალისეების მიერ საზოგადოების სასარგებლოდ გაწეულ განსაკუ-

1 მაგალითისათვის იხ.: Decision of the European Parliament and of the Council establishing an Action Programme in the field of Lifelong Learning [Decision No 1720/2006/EC]; ან ევროპული ახალგაზრდობის ცენტრის (The European Youth Centre) ნაშრომი.

2 მაგალითისათვის იხ.: the European Volunteer Centre (CEV) position paper on role of volunteering to fight the economic crisis, http://www.cev.be/data/File/CEV_Position_Paper_ECOFINCrisis_Dec_2010.pdf [12.03.2011]

3 INVOLVE project შედეგებისათვის იხ.: http://www.cev.be/43-involve_integration_of_migrants_through_volunteering_-EN.html [12.03.2011]

4 მაგალითისათვის იხ.: Council of the European Union, Resolution on the participation of young people with fewer opportunities [C141/1]

5 მაგალითისათვის იხ.: Report on the role of volunteering in contributing to economic and social cohesion, [A6-0070/2008], European Parliament, Committee on Regional Development, Rapporteur: Marian Harkin

6 ELLA project შედეგებისათვის იხ.: http://www.cev.be/57-ella_lifelong_learning_for_senior_citizens-EN.html and Think Future Volunteer Together project http://www.cev.be/101-think_future_volunteer_together_(senior_volunteering)-EN.html [12.03.2011]

7 იხ.: CEV report on 'Volunteering and Intercultural dialogue' http://www.cev.be/data/File/GA_Luxembourg_Final_Report.pdf [12.03.2011]

8 მაგალითისათვის იხ. CEV V::I::P project ' The Role of volunteering in peace-building and conflict resolutions' შედეგები: http://www.cev.be/103-vip_volunteering_in_peace_building_and_conflict_resolution_-EN.html [12.03.2011]

თრებულ ღვაწლს. ყველაზე ნაკლებად დაფასებული მოხალისეობის ეკონომიკური ღირებულებაა.[9] ერთ-ერთმა პირველმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, რომელმაც გამოიკვლია სამოქალაქო სექტორის და მოხალისეობის წვლილი ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკაში და მათ მთლიან შიდა პროდუქტში (არაკომერციული სექტორის შედარებითი პროექტი), ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტმა (Johns Hopkins University) 37 ქვეყანაში ჩაატარა კვლევა, რომელმაც უჩვენა ქვემოთ მოყვანილი შთამბეჭდავი შედეგები:

- მოხალისეები წარმოადგენენ მრავალი ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის თითქმის 5%-ს და გლობალურ ეკონომიკაში შეაქვთ, მინიმუმ, 400 მილიარდი დოლარის ოდენობის წვლილი;
- მოხალისეები წარმოადგენენ 20.8 მლნ. სრული განაკვეთის ანაზღაურებადი სამუშაო ადგილის ეკვივალენტს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება კვლევაში მონაწილე 37 ქვეყნის კომუნალური მომსახურების სექტორში დაკავებულ პირთა რაოდენობას და ოდნავ ჩამორჩება ტრანსპორტისა და სამშენებლო სექტორში დასაქმებულთა რიცხვს;
- მოხალისეთა რიცხვი, რომლებიც სრული განაკვეთის სამუშაოს ეკვივალენტს ასრულებენ, დაახლოებით 140 მილიონს შეადგენს. მოხალისეები ერი რომ ყოფილიყვნენ, მათი ქვეყანა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში მეცხრე ადგილზე იქნებოდა![10]

ასე რომ, მოხალისეობა გამორჩეული და ღირსშესანიშნავი ფენომენია, რომლის უგულებელყოფა პოლიტიკოსთა, კერძო სექტორისა და მესამე (არასამთავრობო) სექტორის მიერ დაუშვებელია.

მოხალისეობა პოლონეთში

მოხალისეობა პოლონეთში ძალიან რთული საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს კანონმდებლობა განაგებს, საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი სფერო, რომლებშიც პოლონელები კონცენტრი-

9 დაწვრილებით მოხალისეობის ეკონომიკური სარგებლის შესახებ იხ. მოხალისეობის ევროპული ცენტრის (CEV) ვებ-გვერდი: http://www.cev.be/113-economic_value_of_volunteering-EN.html და მოხალისეობის ევროპული ცენტრის (CEV) ანგარიში "Putting volunteering on the economic map of Europe", 2007 http://www.cev.be/data/File/GA_Ljubljana_FINALReport.Complete.pdf [12.03.2011]

10 http://www.ccss.jhu.edu

რებულნი და აქტიურნი არიან, კვლავ აუთვისებელია. მრავალი პროსოციალური საქმიანობა, რომლებიც დაფუძნებულია თვითდახმარებისა და სპონტანური ინიციატივების პრინციპებზე, არ არის შესული სამართლებრივი რეგულირების ბაზაში და არა აქვს მინიჭებული მოხალისეობის ინსტიტუციალიზებული საქმიანობის ფორმა.

ისტორიული ფონი, განვითარება და განმასხვავებელი ნიშნები

სოციალური საქმიანობის ფესვები პოლონეთში შორეულ შუა საუკუნეებში უნდა ვეძებოთ, როცა გაჭირვებულებს დახმარებას ეკლესია უწევდა. მეცხრამეტე საუკუნესა და მეოცე საუკუნის დასაწყისში პოლონეთის ოკუპაციის დროს სოციალური საქმიანობა სულაც არ შესუსტებულა. ამ პერიოდში ფილანთროპია და სოციალური თვითდახმარება პატრიოტიზმის გამოხატულება და ოკუპანტთა წინააღმდეგ მიმართული საზოგადოებრივი ფრონტი იყო. არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი განვითარება მსოფლიო ომებს შორის პერიოდში მოხდა, როცა პოლონეთმა აღიდგინა დამოუკიდებლობა (1918-1939). ომისა და ოკუპაციის შედეგად გაჩანაგებულ ქვეყანაში საზოგადოების მხარდაჭერის საჭიროება უსაზღვრო იყო და ამ საჭიროებაზე პასუხი სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების სწრაფი განვითარება გახლდათ: ამ პერიოდში 10 ათასზე მეტი ასოციაცია და 3 ათასზე მეტი ფონდი დაარსდა. მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანული ოკუპაციის პერიოდში ყველა რელიგიური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფუნქციონირება აკრძალული იყო. მიუხედავად ამისა, სოციალური სოლიდარობისა და ერთგულების მაღალი დონე შენარჩუნდა პატრიოტული თვითდახმარებისა და უკიდურესად ერთიანი წინააღმდეგობის მოძრაობის სახით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კომუნისტურმა რეჟიმმა ბოლო მოუღო ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციების ტრადიციას: ასეთი სახის ყველა საქმიანობა აიკრძალა, კერძო ქონებას სახელმწიფო დაეუფლა და დარჩენილი რამდენიმე ორგანიზაცია იძულებული გახდა, ჩართულიყო ოფიციალურ კომუნისტურ პროპაგანდაში. მოსახლეობას ეკრძალებოდა ორგანიზაციებად გაერთიანება, ხოლო არსებულმა ორგანიზაციებმა დაკარგეს უწინ არსებული საზოგადოებრივი ნდობა. ყოველივე ამან დაღი დაასვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რაც დღემდე შესამჩნევია.

უნდა აღინიშნოს, რომ მომდევნო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში არსებობდა მაგალითები ორგანიზაციებისა, რომლებიც გამო-

ნაკლისს წარმოადგენდნენ: 1956 წელს გამოიცა ოფიციალური ბრძანება, რომლის მიხედვითაც ზოგიერთ საერო და საეკლესიო ასოციაციას საქმიანობის განახლების უფლება ეძლეოდა. მათ შორის კათოლიკური ინტელიგენციის კლუბი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ახალგაზრდებში პატრიოტიზმისა და ეროვნული კუთვნილების გრძნობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში.

სამოცდაათიანი წლები იყო პერიოდი, როცა არაეფექტურმა კომუნისტურმა სახელმწიფომ ვერ დააკმაყოფილა ძირითადი სოციალური მოთხოვნები, რამაც „ალტერნატიული საზოგადოების" შექმნა გამოიწვია – პოლონური საზოგადოების თვითორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებული იყო ურთიერთდახმარებასა და არაოფიციალურ მხარდაჭერაზე.

1980 წელს მოხდა ლეგალიზაცია საზოგადოებრივი მოძრაობისა „სოლიდარობა" (Solidarność), რომელიც კომუნისტურ მმართველობას ოპოზიციაში ედგა და მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში წამყვან როლს ასრულებდა დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმართულ პროცესში. 1980 წელს „სოლიდარობა" იქცა 2 მლნ. წევრისაგან შემდგარ ძლიერ საზოგადოებრივ მოძრაობად. 1981 წლის დეკემბერში სამხედრო მდგომარეობის შემოღებამ შეაჩერა დაუოკებელი ოპტიმიზმი და ენერგიული ურთიერთქმედებისაკენ ლტოლვა, თუმცა ვერ შეძლო დემოკრატიული ცვლილებების სწრაფი ზრდის შეჩერება.

1989 წელს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საზოგადოებას კვლავ მიეცა ორგანიზაციებად გაერთიანების უფლება. მას შემდეგ მესამე სექტორი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, აყვავების გზაზეა. სულ რაღაც რამდენიმე წლის განმავლობაში დაარსდა ათიათასობით არასამთავრობო ორგანიზაცია, ხოლო ომამდე არსებულმა ორგანიზაციებმა განაახლეს თავიანთი საქმიანობა.

როგორც ისტორიამ დაგვანახა, რთულ პირობებში ათწლეულობით ცხოვრება, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, მაგრამ ამავდროულად ყოველდღიური ცხოვრების ირაციონალურობასთან თავის გართმევა სასწაულებრივად დაეხმარა პოლონელებს ურთიერთდახმარების უნიკალური შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებაში. თუმცა ეს დახმარება ინსტიტუციური ფორმების მიღმა არსებობდა, საიდანაც შეიძლება გამომდინარეობდეს დებულება, რომ დღესაც, ტრანსფორმაციიდან 20 წლის შემდეგ, საზოგადოებრივი საქმიანობა უმეტესწილად ორგანიზაციული სტრუქტურებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს, როგორც ურთიერთდახმარებისა და არაოფიციალური სოციალური სტრუქტურების გამოხატულება.

ტერმინ „მოხალისეობის“ განმარტება

კანონი (აქტი საზოგადოებრივ სარგებელზე მიმართული საქმიანობისა და მოხალისეობის შესახებ, რომელიც ქვევით იქნება განხილული) შემდეგნაირად განმარტავს ცნებას „მოხალისე“: *„პიროვნება, რომელიც კანონით განსაზღვრულ წესებზე დაყრდნობით ნებაყოფლობით და უსასყიდლოდ ახორციელებს მომსახურებას“ (მუხლი 2.3).*

მიუხედავად მოხალისეობის კანონით განსაზღვრული ოფიციალური განმარტების არსებობისა, სამოქალაქო სექტორში სხვა განმარტებებიც არსებობს. მოხალისეთა ცენტრების ქსელი ცნება „მოხალისეს“ ასე განმარტავს: „პირი, რომელიც ნებაყოფლობით და უსასყიდლოდ უწევს მომსახურებას ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და ცალკე პირებს, რომლებთანაც მას ოჯახური ან მეგობრული ურთიერთობა არ აკავშირებს“. კლონ/იავორის ასოციაცია (Klon/Jawor Association), რომელიც რეგულარულად აწარმოებს პოლონეთში მოხალისეობის კვლევებს, კვლევის მიზნებისათვის იყენებს ცნება „მოხალისის“ უფრო ფართო განმარტებას და მოხალისეობას განმარტავს, როგორც „საკუთარი დროის მიძღვნას უსასყიდლო საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, რომელიც ნებაყოფლობითაა შესრულებული არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რელიგიური ან საზოგადოებრივი მოძრაობებისათვის“.

მოხალისეობის ლანდშაფტი

მოხალისეობაში ჩართულობის შესახებ ოფიციალური მონაცემების სისტემატური შეგროვება პოლონურ საზოგადოებაში არ წარმოებს. შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი მონაცემები დაფუძნებულია სამოქალაქო სექტორის ან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, მაგრამ დამოუკიდებელი, საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევებზე.

საერთო ჯამში პოლონეთის მესამე სექტორი შედგება 130 000 ერთეულისაგან (ასოციაციები, ფონდები, სახანძრო დახმარების მოხალისეთა ბრიგადები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, რელიგიური ორგანიზაციები). კვლევამ ცხადყო, რომ ამ ორგანიზაციების ¾-ს არ ჰყავს ხელფასიანი თანამშრომლები. ორგანიზაციების 44% იყენებს მოხალისეთა შრომას და ამ 44%-ის მხოლოდ ნახევარი თანამშრომლობს ათზე მეტ მოხალისესთან. პოლონური არასამთავრობო ორგანიზაციების მხოლოდ 2% თანამშრომლობს ასზე მეტ მოხალისესთან (კლონ/იავორის ასოციაცია, 2007 წელი).

2002 წლიდან მოყოლებული პოლონელთა ნახევარზე მეტი აცხადებს, რომ საზოგადოებრივ საქმიანობაშია ჩართული. უფრო მეტიც, *„ადგილობრივი თემებისა და გაჭირვებულთათვის გაწეული ნებაყოფლობითი და უსასყიდლო საქმიანობები მონაწილეების უფრო მეტ ჩართულობას იწვევს (2001 წელს მათ საზოგადოებრივ საქმიანობას დაუთმეს საშუალოდ 18 დღე, 2003 წელს – 20 დღე, ხოლო 2006 წელს – 21.5 დღე)“* (საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრი, 2006 წელი). თუმცა, ეს მონაცემები ეხება საზოგადოებრივ საქმიანობას ზოგადად და არა მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებში გაწეულ მუშაობას. *„პოლონელთა აბსოლუტური უმრავლესობა (77%) არ ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას არც ერთ სამოქალაქო ორგანიზაციაში. სხვანი უმეტესწილად საზოგადოებრივი საქმიანობის ერთ რომელიმე სფეროში მუშაობენ (14%), იშვიათად ორ (4%), სამ ან მეტ (5%) სფეროში“*. 2007 წელს ზრდასრული პოლონელების 14.1% იყო ჩართული ადგილობრივი თემების (მუნიციპალიტეტი, რაიონი, ქალაქი) სასარგებლოდ მოწყობილ საზოგადოებრივ საქმიანობებში, 2008 წელს – 15.6% (2005 წელს – 13.6%, 2003 წელს – 12.9%, ხოლო 2000 წელს – 8%) (Czapiński J., Panek T. ,“Social Diagnosis“, 2009).

დიაგრამა 1

მოხალისეების ჩართულობა



დიაგრამა: კლონ/იავორის ასოციაცია, 2010 წელი

კლონ/იავორის ასოციაციის მიერ 2001 და 2010 წლებს შორის ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, რომელიც სამოქალაქო საქმიანობაში პოლონელთა ჩაბმულობის დონის მონიტორინგს ითვალისწინებდა, სამოქალაქო საქმიანობაში ჩართულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2005 წელს, როცა მოსახლეობის 23%-ზე მეტმა მიიღო მონაწილეობა ასეთი სახის საქმიანობაში. 2010 წელს საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობა დაადასტურა მოსახლეობის მხოლოდ 16%-მა (დაახლოებით 6 მლნ. პოლონელი).

მოხალისის პროფილი

საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულ 6 მლნ. პოლონელს შორის წარმოდგენილია ყველა სოციალური ფენა, ასაკობრივი ჯგუფი და მამაკაცთა და ქალთა თანაბარი რაოდენობა. თუმცა, განათლების დონე ძლიერ ფაქტორად გვევლინება, რომელიც ადამიანის მხრიდან საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობა-არჩართულობის გადაწყვეტილებაზე ახდენს გავლენას. იმათ უმეტესობას, ვინც მოხალისეობისათვის მზაობა გამოხატა, უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს, ხოლო პროფესიული განათლების მქონენი ნაკლებად არიან წარმოდგენილნი.

	მოხალისეები						
	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
გამოკითხულ ახალგაზრდათა რაოდენობა	10%	11.1%	17.7%	18.3%	23.2%	21.9%	13.2%
25 წლამდე ასაკის	81.%	11.9%	22.5%	23.8%	25.2%	22.1%	13.9%
26-35 წლის ასაკის	7.8%	9.6%	19.4%	16.3%	21.0%	21.3%	10.4%
36-45 წლის ასაკის	10.4%	13.6%	18.6%	17.2%	26.8%	22.4%	16.1%
46-55 წლის ასაკის	14.5%	13.6%	20.5%	18.0%	22.5%	26.3%	13.0%
55+ წლის ასაკის	10.1%	7.1%	8.3%	15.0%	20.7%	18.1%	12.7%

ცხრილი: კლონ/იავორის ასოციაცია, 2010 წელი

ახალგაზრდობა, სხვა ასაკობრივ ჯგუფებზე უფრო აქტიურად არის ჩართული მოხალისეობაში. ამ ჯგუფის ჩართულობის ასეთი მაღალი დონე შეიძლება აიხსნას პრაგმატული მიზეზებით: მოხალისეობა იძლევა დამატებითი უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მიღების საშუალებას, რომლებიც ახალგაზრდებს ეხმარება მომთხოვნ და კონკურენტულ დასაქმების ბაზარზე წარმატების მიღწევაში. ამასთან, ახალგაზრდებს

მეტი თავისუფალი დრო და ენერგია აქვთ, რომელიც უფრო ეფექტურად შეიძლება იყოს გამოყენებული საზოგადოებრივ საქმიანობაში. დაბოლოს, მოხალისეობის პროგრამების უმეტესობა სწორედ ახალგაზრდებზეა გამიზნული, რათა მათ უფრო ადვილად მოიძიონ მოხალისეობის შესაძლებლობები.

უფრო ასაკოვანი ადამიანები ნაკლებად არიან წარმოდგენილი და მათთვის სულ რამდენიმე მოხალისეობის პროგრამა არსებობს. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს იმ ფაქტთან, რომ მოხალისეობა საზოგადოებრივი საქმიანობის შედარებით ახალი სფეროა, ის ხომ კომუნიზმის 50 წლის შემდეგ, 1989 წელს იშვა ხელახლა. ამის გამო ეს ცნება საკმაოდ უცნობია უფროსი თაობებისათვის და მათ მიერ არ არის სათანადოდ გაცნობიერებული და შედეგად, სრულიად უარყოფილია, როგორც მათთვის მიუღებელი და მათ წარმოდგენაში საზოგადოებრივ საქმიანობასთან შეუფერებელი რამ.

კვლევა ასევე ცხადყოფს, რომ ახალგაზრდები უფრო აცნობიერებენ საკუთარ ქმედებებს, როგორც „მოხალისეობას“. კლონ/იავორის ასოციაციის გამოკითხვებში შეტანილია კითხვები, რომლის დახმარებითაც ვლინდება მოხალისეობის გაცნობიერების დონე. ახალგაზრდები უფრო არიან მიდრეკილი, თავი „მოხალისეებთან“ გააიგივონ, რადგანაც განათლების მიღების პერიოდში მათ მოხალისეობასთან შეხების უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგალითად, მეტ-ნაკლებად ახლად ჩამოყალიბებულ მოხალისეობის სასკოლო კლუბში, ან ახალგაზრდობაზე გამიზნულ მოხალისეობის პროგრამებსა თუ აქციებში მონაწილეობის გზით.

მოხალისეობის მოტივაცია

სხვადასხვა კვლევების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ კითხვარის დონეზე მოხალისეობა მნიშვნელოვან და საჭირო საზოგადოებრივ საქმიანობად აღიქმება, ის არ არის პრესტიჟული, ალბათ იმიტომ, რომ მოხალისეობის საქმიანობათა უმეტესობა არ მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციას. ასევე, არ არის განვითარებული გრძელვადიანი ჩართულობა. მოხალისეობას უფრო ერთჯერადად მონაწილეობის სახე აქვს, ან არასათანადოდ დაფინანსებულ არაკომერციულ სექტორს ამარაგებს ადამიანური რესურსებით.

კვლევის თანახმად, სავარაუდოა, რომ ადამიანები უმეტესწილად მოხალისეები იმიტომ ხდებიან, რომ ეს საქმიანობა მათ სიამოვნებას

ანიჭებს. უფრო მეტიც, მათი მოტივაცია ურთიერთგაცვლითი ხასიათისაა, ანუ ისინი თვლიან, რომ თუ თვითონ სხვებს დაეხმარებიან, გარკვეულ მომენტში მათაც დაუჭერენ სხვები მხარს. მოხალისეთა მიერ დასახელებულ მოხალისეობის მოტივაციათაგან უმთავრესია: ღირებულებები, რომლებისაც ადამიანებს სწამთ, ადამიანების გაცნობის შესაძლებლობა, რაიმე ახლის შესწავლის სურვილი და ის ფაქტი, რომ სხვები/მეგობრები ასევე მოხალისეობენ. ეს მოტივაციები განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, მაგრამ არსებითად მსგავსია ორივე სქესის წარმომადგენლებში (კლონ/იავორის ასოციაცია, 2003-2010 წლები).

იმათი უმეტესობა, ვინც მონაწილეობას არ იღებს მოხალისეობაში, ამის მიზეზად ასახელებს დროის უკმარისობას (49%) ან იმას, რომ ამაზე არასოდეს დაფიქრებულა. სხვა მიზეზები მოიცავს: „ჩემთვის არავის უთხოვია“, „პირველ რიგში ჩემს ოჯახს უნდა მივხედო“ და „მოხალისეობის უნარი არ გამაჩნია“ (კლონ/იავორის ასოციაცია, 2010 წელი). ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა ასახავს მიზეზების პროცენტულ შეფარდებას სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით.

დიაგრამა 2



დიაგრამა: კლონ/იავორის ასოციაცია, 2010 წელი

2. მოხალისეობის ინფრასტრუქტურა და ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება პოლონეთში

ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია, რომელიც გვიჩვენებს ევროპის მოხალისეობის ინფრასტრუქტურის ცნებას და გვთავაზობს მისი განვითარების რამდენიმე მაგალითს, გვეხმარება პოლონეთის მოხალისეობის ინფრასტრუქტურისა და შესაძლებლობების ზრდის უკეთესად გაცნობაში.

ევროპის მოხალისეობის ინფრასტრუქტურა – პოზიტიური გამოცდილება

ტერმინი „მოხალისეობის ინფრასტრუქტურა“ ევროპის სამოქალაქო სექტორში მხოლოდ ახლახან გაჩნდა. მოხალისეობის ევროპული ცენტრი იყენებს მოხალისეობის ინფრასტრუქტურის ზოგად განმარტებას, რომელიც მოხალისეობის ინფრასტრუქტურას მოიაზრებს, როგორც მოხალისეობის და მისი განვითარების მხარდამჭერი სისტემის ერთიანობას.

მოხალისეობის ასეთი ეფექტური სისტემა უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

1. პოლიტიკური, იურიდიული და ეკონომიკური ბაზა, ანუ კანონი, სტრატეგიები, აქტები, არასავალდებულო აქტები, რეზოლუციები, ინვესტიციები მოხალისეობაში, მთავრობის ანგარიშები და სტრატეგიები, დაფინანსება და პროგრამები;

მაგალითები:

- ხორვატია – ეროვნული კანონი მოხალისეობის შესახებ (2007 წელი), სამოქალაქო საზოგადოებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის ეროვნული სტრატეგია;
- დიდი ბრიტანეთი – მოხალისეობა – კარგი პრაქტიკის მოკლე კოდექსი (1998): შეთანხმება ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ მთავრობასა და არაკომერციულ და სამოქალაქო სექტორს შორის; მრავალი ადმინისტრაციული ერთეულის ადგილობრივ საბჭოებსა და სამოქალაქო სექტორს აქვს მოკლე კოდექსი;
- შოტლანდია – ედინბურგის მოხალისეობის სტრატეგია;
- პოლონეთი – სამოქალაქო ინიციატივების ეროვნული ფონდი (FIO).

2. დაწესებულებები, ორგანიზაციები და უწყებები, რომლებიც მოიცავს შემდეგს:

- სპეციფიკურად მოხალისეობის სფეროში აქტიური ორგანიზაციე-

ბი, რომელთა (ერთ-ერთ მთავარ) მიზანს/მიზნებს წარმოადგენს მოხალისეობის საქმიანობის მხარდაჭერა და განვითარება. ასევე ორგანიზაციები (არასამთავრობო ორგანიზაციები), რომლებიც სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს უჭერენ მხარს: მოხალისეობის ცენტრები, მოხალისეობის განვითარების ცენტრები, ფონდები, ფედერაციები დ სხვა ქსელები;

მაგალითები:

- იტალია: SPES – Centro di Servizio per il Volontariato del Lazio – ლაციოს რეგიონში მოხალისეობის მხარდაჭერისა და კვალიფიკაციის ცენტრი;
- პოლონეთი: არასამთავრობო ორგანიზაციების ეროვნული ფედერაცია (OFOP);
- ორგანიზაციები, რომლებიც იყენებენ მოხალისეებს, მაგრამ აქვთ მოხალისეობის განვითარებისაგან განსხვავებული მიზნები, ანუ სხვა მისიის მქონე ორგანიზაციები;
- სახელმწიფო მმართველობის ყველა დონე, სამინისტროების, განსაკუთრებული უწყებების, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის (მაგალითად, თვითმმართველობის სტრუქტურა) ჩათვლით;

მაგალითები:

- დიდი ბრიტანეთი – მესამე სექტორის ოფისი;
- ხორვატია – არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სამთავრობო ოფისი;
- გერმანია – სამოქალაქო საზოგადოებისა და სამოქალაქო საქმიანობის საკოორდინაციო ოფისი, რაინლანდის სახელმწიფო კანცელარია;
- ბიზნეს-დაწესებულებები, რომლებიც მოხალისეობას მხარს უჭერენ თანამშრომლობის გზით ან/და აქვთ თანამშრომელთა მოხალისეობის პროგრამები;

მაგალითები:

- BITC – ბიზნესი თემში/საზოგადოებაში [დიდი ბრიტანეთი];
- პოლონეთი – თანამშრომელთა მოხალისეობის პროგრამების მქონე კომპანიების ქსელი;
- მედია, ანუ სამოქალაქო საზოგადოების/მოხალისეობის საკითხებში სპეციალიზებული მედია:

მაგალითად:

- პოლონეთი – პორტალი www.ngo.pl; ჟურნალი „მესამე სექტორი“.
- მოხალისეობისა და საზოგადოებრივი კვლევის სფეროში აქტიურად ჩართული საგანმანათლებლო დაწესებულებები:

მაგალითად:

- აშშ – ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტი;
- სამოქალაქო საზოგადოების კვლევების ცენტრი;
- დიდი ბრიტანეთი – მოხალისეობის კვლევის ინსტიტუტი;
- სამთავრობო/სახელმწიფო უწყებები:

მაგალითი: აქტიური ახალგაზრდობის პროგრამის ეროვნული სააგენტო.

3. მოხალისეობის კვლევა და შეფასება: ჩატარებული როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო და საგანმანათლებლო სექტორის მიერ;

4. მედია, საზოგადოებრივი ურთიერთობები და ცნობიერების ამაღლების მექანიზმები: პრომოაქციების, ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული კამპანიების, მედიასთან დაკავშირებული საქმიანობისა და პოზიციონირების ჩათვლით;

მაგალითად:

- რუმინეთი, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, აშშ, კანადა და სხვ. – მოხალისეობის კვირეული;
- პოლონეთი – OFIP – სამოქალაქო ინიციატივების კვირეული.

5. დამხმარე ინსტრუმენტები და შესაბამისობის სისტემები (მოხალისეთა შესახებ ინფორმაციისა და მოხალისეობაზე მოთხოვნის შესაბამისობის სისტემა – მოხალისეობის მოთხოვნა-მიწოდების რეგულირების სისტემა): მოხალისეთა ბანკები, ვებ-გვერდები, მონაცემთა ბაზები, ტრენინგის შესაძლებლობები როგორც მოხალისეთათვის, ასევე მათი სუპერვაიზერებისათვის და ა.შ.

მაგალითად:

- პორტუგალია – მოხალისეთა ბანკები;
- პოლონეთი – V4Sport – ვებ-გვერდი, შესაბამისობის სისტემა და მონაცემთა ბაზა სპორტის სფეროში მოხალისეთათვის.

და ყველა ზემოთ მოყვანილ ელემენტს შორის ურთიერთქმედება.

მოხალისეობის ინფრასტრუქტურას აქვს ორი ძირითადი ფუნქცია:

- ქმნის მოხალისეობისათვის ხელსაყრელ გარემოს, იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს და განვითარდეს მისი როლი და ფუნქციები;
- საშუალებას აძლევს ადამიანებს, ჩაერთონ, მონაწილეობა მიიღონ და გაძლიერდნენ მოხალისეობრივ საქმიანობაში.

პოლონეთის მოხალისეობის ინფრასტრუქტურის ცნება ოფიციალურად განმარტებული არასდროს ყოფილა არც ერთ იურიდიულ დოკუმენტში. ამასთან, ეს ტერმინი იშვიათად თუ გამოიყენება სამოქალაქო სექტორის ექსპერტებისა და სექტორში დასაქმებულთა მიერ. ამ კონტექსტში ისინი უფრო ზოგად ცნება „სექტორს“ იყენებენ. პოლონეთის მოხალისეობის ინფრასტრუქტურა ნელი, მაგრამ მუდმივი ცვლილების პროცესშია და ბევრ ზემოთ მოყვანილ ელემენტს სჭირდება შემდგომი განვითარება და მხარდაჭერა.

იურიდიული ბაზა

პოლონეთის არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ იურიდიული რეგულაციები დამკვიდრდა 2004 წელს ამოქმედებული აქტით საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისა და მოხალისეობის შესახებ. ამ კანონპროექტის სამუშაო ვარიანტი პირველად 2001 წელს წარადგინეს. კანონი საბოლოოდ რატიფიცირებულ იქნა 2003 წლის 23 აპრილს, ორი წლის კონსულტაციებისა და შესწორებების შემდეგ. 2010 წელს სამოქალაქო სექტორის მოთხოვნით და მთელი რიგი კონსულტაციების ჩატარების შემდეგ, მიიღეს აქტის შესწორებული ვარიანტი.

რეკომენდაცია:

კანონი მოხალისეობის შესახებ მოხალისეობისა და სოციალური ქმედების მძლავრ საფუძველს იძლევა. ის უნდა განვითარდეს თანამონაწილეობის გზით, ანუ სამოქალაქო სექტორთან კონსულტაციების შედეგად და მისი საჭიროებების მიხედვით. მოხალისეობის სამოქმედო პრინციპების, სტრატეგიებისა და პროგრამების ჩამოყალიბება სასარგებლოა და ეფექტური მხოლოდ მაშინ, როცა ისინი კვლევასა და ადგილობრივი საჭიროებების შეფასებას ემყარება.

ეს კანონი ეხება რამდენიმე საკითხს არასამთავრობო ორგანიზაციების კუთხით. მოხალისეობასთან დაკავშირებით კანონი ადგენს მოხალი-

სეთა ჩართვის ისეთ სპეციფიკურ წესებს, როგორებიცაა:

- მოხალისეთა მოვალეობები;
- ბენეფიციართა ვალდებულებები მოხალისეთა წინაშე;
- მოხალისეობის კონტრაქტი;
- მოხალისეთა დაქირავების პრინციპები;
- მოხალისეობის სამუშაო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება;
- გაწეული მომსახურების სერტიფიცირება;
- წესები მოხალისეთათვის, რომლებიც მომსახურებას ეწევიან საზღვარგარეთ.

მოხალისეობის იურიდიული განმარტება (ზემოთ აღწერილ) კანონშიც არის მოცემული. ასევე კანონის თანახმად, მოხალისეს, უნდა ჰქონდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და შესაბამის მოთხოვნებს უპასუხებდეს. ასეთი სახის კვალიფიკაციისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება სხვა იურიდიული აქტებითაც არის გათვალისწინებული. 2003 წლის 23 აპრილს მიღებული კანონის თანახმად, პირები, რომლებიც გადაწყვეტენ ასოციაციის შექმნას ან ასეთში გაწევრიანებას, არ ჩაითვლებიან მოხალისეებად, რადგანაც მათ მიერ გაწეული მომსახურება მოცემული ასოციაციის სარგებელს ისახავს მიზნად. 2010 წლის 12 მარტს მიღებულმა აქტის შესწორებულმა ვარიანტმა შეცვალა ეს განსაზღვრება და დღეს ასოციაციების წევრებს უფლება აქვთ, აღიარებულნი იყვნენ მოხალისეებად.

კანონის თანახმად, მოხალისეობა შესაძლებელია არასამთავრობო ორგანიზაციების, სახელმწიფო დაწესებულებებისა და ადგილობრივი მმართველობების, სახელმწიფო მმართველობის უწყებების და, რაც უფრო იშვიათია, არაკომერციული ორგანიზაციების მსგავსად მოქმედი კომპანიების სასარგებლოდ. აქტი კრძალავს მომსახურების გაწევას ბიზნესისა თუ სხვა რაიმე დაწესებულების მიერ წამოწყებული კომერციული საქმიანობის სასარგებლოდ.

ეს კანონი მხოლოდ მოხალისეობის საკითხებს კი არ განიხილავს, არამედ განსაზღვრავს „საზოგადოებრივ სარგებელზე მიმართული საქმიანობისა და ორგანიზაციის“ სტატუსსაც (OPP პოლონურად და PBO ინგლისურად – Public Benefit Organization) და ამკვიდრებს 1%-იან მექანიზმს, რომელიც მოქალაქეებს აძლევს საშუალებას, მიმართონ თავიანთი საშემოსავლო გადასახადების 1% თავისი შერჩეული არასამთავრობო ორგანიზაციის სასარგებლოდ, რომელსაც მინიჭებული აქვს საზოგადოებრივ სარგებელზე მიმართული ორგანიზაციის სტატუსი და აქვს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო მმართველობის თანამშრომლობის საპროცედურო ბაზა და წესები.

კანონის თანახმად, თვითმმართველობის უწყებებს შეუძლიათ დაეხმარონ არასამთავრობო ორგანიზაციებს ან შექმნან სტრუქტურები სხვა ორგანიზაციების მხარდასაჭერად (მოხალისეობის ორგანიზაციების ჩათვლით).

ამ კანონის შესრულების მთავარი პასუხისმგებლობა შრომისა და სოციალური სტრატეგიის სამინისტროსა და მის საზოგადოებრივი სარგებლის განყოფილებას აკისრია. ეს აქტი აგრეთვე ითვალისწინებს საზოგადოებრივ სარგებელზე მიმართული საქმიანობის საბჭოს ჩამოყალიბებას, რომელიც სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე პასუხისმგებელი მინისტრის საკონსულტაციო უწყებას წარმოადგენს. საბჭო:

- აყალიბებს აზრს ამ საკანონმდებლო აქტისა და საზოგადოებრივი სარგებლისა და მოხალისეობის საქმიანობის სფეროში სამთავრობო კანონპროექტების საკითხების შესახებ;
- გავლენა აქვს ახალი კანონების შექმნაზე;
- აკონტროლებს, არღვევს თუ არა მოქმედი კანონი მასში შეტანილ ცვლილებებს და სთავაზობს ახალ ცვლილებებს.

საბჭო წარმოადგენს სახელმწიფო ადმინისტრაციასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ინსტიტუციონალურ ფორმას ეროვნული მასშტაბით. საბჭოს არჩევა ხდება სამი წლის ვადით. საბჭო უზრუნველყოფს პლატფორმას არასამთავრობო სექტორის ინტერესებისა და საჭირბოროტო საკითხების ნათლად განცხადებისათვის სახელმწიფო ხელისუფლებასთან სათანადოდ ორგანიზებული და არსებული იურიდიული საფუძვლის პარამეტრების ფარგლებში მიმდინარე უშუალო ურთიერთობისას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს ფუნქციები კონსულტაციებითა და მოსაზრებების ჩამოყალიბებით შემოიფარგლება, ის წარმოადგენს ინსტიტუციონალიზებული სამოქალაქო დიალოგის მნიშვნელოვან ფორმას, რომელიც სხვა არსებულ ორ ფორმას ავსებს – სოციალურ და ეკონომიკურ სამმხრივ კომისიასა და ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივ კომისიას.

ეს კანონი მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევს პოლონეთში მოხალისეობისა და სამოქალაქო საქმიანობის განვითარებას.

პოლონეთის მოხალისეობის სექტორში დაინტერესებული მხარეები

პოლონეთში მოხალისეობის მხარდაჭერის, თანამშრომლობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის გაცვლის, ასევე შესაძლებლობების ზრდის მიზნით შეიქმნა ორგანიზაციული ფორმები:

- ადგილობრივი და რეგიონული მოხალისეობის ცენტრები, მათი ქსელები, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების ფედერაციები და ეროვნული მასშტაბის მოხალისეობის ფედერაციები;
- ამასთან ერთად, მრავალი ადგილობრივი ინიციატივა და არასამთავრობო ორგანიზაცია, მოხალისეთა ყველაზე მძლავრი ჩართულობის მქონე ორგანიზაციებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოხალისეობის მხარდაჭერაში;
- ბოლო ხანებში მოხალისეობამ განვითარება იწყო კერძო სექტორში თანამშრომელთა მოხალისეობის სქემების მეშვეობით;
- უფრო მეტიც, სახელმწიფო ხელისუფლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო სექტორის განვითარებასა და შესაძლებლობების განვითარებაში;
- ამასთან, მოხალისეობის საქმიანობა მზარდი პოპულარობით სარგებლობს განათლების ფორმალურ სექტორში;
- დაბოლოს, აღსანიშნავია მედიის, სარეკლამო კამპანიების და შეთანხმების ინსტრუმენტების როლი.

მომდევნო თავში მოცემულია თითოეული დაინტერესებული მხარის მოკლე აღწერა.

მოხალისეობის ცენტრები

რაც შეეხება მოხალისეობის ცენტრებს, პირველი მათგანი ვარშავაში დაარსდა სწრაფად მზარდი არასამთავრობო სექტორის პარალელურად, რადგანაც ამ უკანასკნელს საქმიანობის ეფექტური წარმართვისათვის მოხალისეების დახმარება ესაჭიროებოდა. ცენტრის მთავარი მიზანი იყო საკონტაქტო და თავშეყრის ცენტრის ჩამოყალიბება, სადაც მოხალისეები და მათი საქმიანობით დაინტერესებული პირები ერთმანეთს შეხვდებოდნენ. მას შემდეგ პოლონეთის ტერიტორიაზე რამდენიმე რეგიონული და ადგილობრივი მოხალისეთა ცენტრი ჩამოყალიბდა. თითოეული რეგიონული მოხალისეობის ცენტრი არასამთავრობო ორგანიზაციაა. მისი, როგორც დარეგისტრირებული ასოციაციის, სტატუსი აღიარებულია ეროვნული სასამართლო რეესტრის მიერ.

ცენტრების მთავარ ამოცანას წარმოადგენს:

- უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით მოხალისეთა დასაქმება;
- მოხალისეობის იდეის პოპულარიზაცია;
- მოხალისეობის თემატური პროგრამების განხორციელება;

- მოხალისეობის ახალი ცენტრების შექმნის მხარდაჭერა;
- მოხალისეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და კონსულტაციების ჩატარება;
- ქვეყანაში მოხალისეობის განვითარებასთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობის მხარდაჭერა.

მოხალისეობის ცენტრთაგან ზოგიერთი დღეს მოხალისეობის ცენტრების ქსელის ფარგლებში ფუნქციონირებს. პოლონეთის მოხალისეობის ცენტრების ქსელი იყოფა რეგიონულ მოხალისეობის ცენტრებად (ასოციაციის რიგითი წევრები) და ადგილობრივ მოხალისეთა ცენტრებად (ასოციაციის მხარდამჭერი წევრები). მოხალისეობის ცენტრების ქსელის მთავარი მისიაა ახალი ცენტრების ჩამოყალიბების მხარდაჭერა, კონსულტაციების გაწევა და იდეათა გაზიარება. ის აგრეთვე წარმოადგენს პლატფორმას, რომელიც უზრუნველყოფს მოხალისეთა ახალი ნაკადების მოზიდვას (არ არის აუცილებელი, ეს ნაკადები მხოლოდ დიდი ქალაქებიდან მოედინებოდეს).

რეკომენდაცია:

პოლონეთის მოხალისეობის ცენტრების ქსელის მაგალითი ცხადყოფს, რომ ქსელების შექმნა მხარს უჭერს მათი წევრი ასოციაციების განვითარებას და უზრუნველყოფს ეფექტურ და წარმატებულ ადვოკატირებას მთავრობასთან.

მოხალისეობის ცენტრების წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ რიგით სხდომებზე, რათა განიხილონ საკითხები, რომლებიც, სხვა საკითხებს შორის, მოიცავს: თანამშრომლობას სხვა ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან, სამართლებრივ საკითხებს და მოხალისეობის ცენტრების საქმიანობის ზრდას არასამთავრობო და სახელმწიფო მმართველობის სექტორის ფარგლებში. მართალია, მოხალისეობის ცენტრები დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ, მათ ფუნქციას ქსელის ფარგლებში წარმოადგენს რეგიონული და სხვა ტიპის მოხალისეობის ცენტრებისათვის საოპერაციო სტანდარტების დანერგვა. საკუთარი სტანდარტების შესაბამისად, ცენტრები ვალდებულნი არიან, მომსახურებათა გარკვეული სპექტრით უზრუნველყონ პირები, ვისაც მოხალისეობის ტიპის წვლილის შეტანა სურს, მაგალითად, დახმარება გაუწიონ მოხალისეობის საქმიანობის განვითარებისათვის აუცილებელი ადგილის პოვნაში. დაბოლოს, სპეციალური ცენტრების წარმომადგენლები უზრუნველყოფენ მოხალისეობის ახალი ცენტრების შექმნის მხარდაჭერას მათი იურისდიქციის არეალში.

მოხალისეობის ცენტრების ქსელის საბჭო წარმოადგენს მმართვე-

ლობის უმაღლეს ინსტანციას, რომელიც შედგება ორ-ორი წარმომადგენლისაგან თითოეული რეგიონული ერთეულიდან. საბჭოს სხდომები ტარდება წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ. საბჭო პასუხისმგებელია შემდეგზე:

- ქსელის საქმიანობის მიმართულების წარმართვა;
- ქსელის სტანდარტების დადგენა;
- ბიუროს შერჩევა და დათხოვნა;
- თანხმობის გაცემა წევრთა მიღება/დათხოვნის შესახებ.

მოხალისეობის ცენტრების ქსელის მიმდინარე საქმიანობებს კოორდინირებას უწევს ბიურო, რომელიც ამჟამად შედგება საბჭოს მიერ არჩეული ქსელის სამი წარმომადგენლისაგან. ბიუროს წევრების (განსაკუთრებით კი მისი პრეზიდენტის) კომპეტენციაში შედის თანამშრომლობაზე შეთანხმების პირობების შესრულებისა და ქსელის გარე ურთიერთობების უზრუნველყოფა. მოხალისეობის ცენტრების ქსელს აქვს საკუთარი პორტალი www.wolontariat.org.pl, რომელიც ამავდროულად მოხალისეობის შესაძლებლობებისა და მოხალისეობის სხვადასხვა პროექტების ძიების კომპიუტერულ პროგრამას წარმოადგენს.

დღეისათვის მოხალისეობის ცენტრების ქსელის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევას საზოგადოებრივი სარგებლისა და მოხალისეობის საქმიანობის შესახებ კანონში მოხალისეობასთან დაკავშირებული საკითხების დამატება წარმოადგენს.

პოლონეთის მოხალისეობის ყველა ცენტრი არ არის ჩართული ქსელის მუშაობაში. არსებობს ცალკეული ორგანიზაციები, რომლებიც საკუთარ პროექტებს ახორციელებენ.

ორგანიზაციები, რომლებსაც ყველაზე მეტი მოხალისე ჰყავთ

სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციულ სტრუქტურასთან დაკავშირებით აღსანიშნავია კიდევ ორი ინიციატივა, რომელთა საქმიანობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მეტი მოხალისეა ჩართული. ორივე ფუნქციონირებს, როგორც ფონდი, თუმცა ისინი ერთჯერად და მოკლევადიან ღონისძიებებს ატარებენ, განსაკუთრებით შობის დღესასწაულის პერიოდში. ესენია: WOŚP (საშობაო ქველმოქმედების დიდი ორკესტრი) და Wiosna (ასოციაცია „გაზაფხული“).

საშობაო ქველმოქმედების დიდი ორკესტრი (Wielka Orkiestra Świątecznej Pomocy) არის ფონდი, რომელიც ჯანდაცვისა და განა-

თლების სფეროში საქმიანობს. 17 წლის განმავლობაში ფონდი ყოველწლიურად აწყობს საშობაო ქველმოქმედების დიდი ორკესტრის დასკვნით გამოსვლას, ეროვნული მასშტაბის ღონისძიებას, რომელიც სახსრების მოზიდვაზეა გამიზნული. იდეა მარტივია: ამ დღეს წითელ მაისურში გამოწყობილი ათასობით მოხალისე ამა თუ იმ მიზნისათვის აგროვებს შემოწირულობას. მიზანი ყოველ წელს განსხვავებულია, თუმცა ყოველთვის დაკავშირებულია ახალგაზრდობასთან. დასკვნითი გამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ღონისძიებაა, რომელიც მილიონობით ადამიანს აერთიანებს, რისი მიზეზიც, სხვა მიზეზებს შორის, ფონდის ქარიზმატული ლიდერი, იურეკ ოვშიაკი, გახლავთ. მთელს ქვეყანაში ეწყობა წარმოდგენები, აუქციონები, კონცერტები და ღონისძიებები, რომელთაგანაც ზოგიერთი საჯარო ტელევიზიითაც გადაიცემა. 2011 წლის 9 იანვარს, მეცხრამეტე დასკვნითი გამოსვლის დღეს, 120 000-მა მოხალისემ ერთ დღეში შეაგროვა თითქმის 37 მლნ. პოლონური ზლოტი (დაახლოებით 9.2 მლნ. ევრო). 2010 წლის 10 იანვარს, მეთვრამეტე დასკვნითი გამოსვლის დღეს, მოხალისეთა იმავე რაოდენობამ (120 000) ერთი დღის განმავლობაში შეაგროვა თითქმის 43 მლნ. პოლონური ზლოტი (დაახლოებით 11 მლნ. ევრო). მომდევნო, 2011 წლის 9 იანვარს გამართული მეცხრამეტე დასკვნითი გამოსვლის ფარგლებში მოხალისეთა იმავე რაოდენობამ საერთო ჯამში 47 მლნ. პოლონური ზლოტი (დაახლოებით 12 მლნ. ევრო) შეაგროვა.

გარდა ფინანსების მოზიდვისა, ფონდი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს ახალგაზრდობისათვის, ტრენინგებს სამედიცინო დარგში და მართავს მოხალისეობის ტრენინგის ცენტრს.

დაბოლოს, ფონდი მუსიკალური ფესტივალის „გაჩერება – ვუდსტოკი“ (Przystanek Woodstock) ორგანიზატორია. ფესტივალი, რომელიც 1995 წლიდან იმართება, ეწყობა იანვრის დასკვნითი გამოსვლის ყველა მოხალისისა და მხარდამჭერისათვის. ყოველ ფესტივალზე ათობით პოლონური თუ საერთაშორისო ჯგუფი გამოდის. ფესტივალის ფარგლებში გამოყოფილია სექტორი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის და ფართი დებატებისათვის, რომელსაც „ხელოვნების აკადემია“ ეწოდება და რომელიც ფესტივალის სტუმრებს ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ჟურნალისტებსა და მედიის სხვა მუშაკებთან დისკუსიაში ჩართვისკენ მოუწოდებს. ასევე ეწყობა პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგები. 2009 წელს 500 ათასზე მეტმა ადამიანმა ისიამოვნა ფესტივალით.

ორგანიზაცია, რომელიც თავის საქმიანობაში ჩართული მოხალისე-

ორგანიზაციებს, რომლებიც ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე საქმიანობენ და მხარს უჭერს მათ. წევრი ორგანიზაციები სხვადასხვა სფეროში ფუნქციონირებენ, რაც გახლავთ მიზეზი იმისა, რომ OFOP ასოციაციების, ფონდებისა და ალიანსების უნიკალურ ფედერაციას წარმოადგენს. OFOP-ის საქმიანობა შემდეგი გზებით ხორციელდება:

- კანონმდებლობაში ცვლილებების მხარდაჭერით, იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს მესამე სექტორის ფუნქციონირების პირობები;
- ადვოკატირების გაძლიერებით სექტორის შიგნით კონსულტაციებისა და სხვა სფეროებთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის მეშვეობით.

ყოველივე ამის შედეგად OFOP არის არასამთავრობო სექტორის ერთადერთი ქოლგა-ორგანიზაცია პოლონეთში.

მეორე რიგში, არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის ქსელი (SPLOT). მისი მისიაა სამოქალაქო საზოგადოების, ისევე როგორც სამოქალაქო ინიციატივებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების მხარდაჭერა. ქსელის ძირითადი საქმიანობები მოიცავს:

- ადგილობრივი ქსელების შექმნასა და ინფორმაციის გაცვლას;
- არასამთავრობო ორგანიზაციების მენეჯმენტის განვითარებას;
- არასამთავრობო სექტორის ინტეგრაციას და ორგანიზაციების ფედერაციის შექმნის ინიციაციას;
- არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის პრინციპების ჩამოყალიბებასა და რეალობაში გატარებას;
- არასამთავრობო სექტორის კვლევისა და ანალიზის ჩატარებას;
- წარსულში: არასამთავრობო სექტორის ჩართვას ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში, ხოლო ამჟამად: მის გახსნას ევროპული თანამშრომლობისათვის.

დაარსების დღიდან ფედერაცია SPLOT-მა წამოიწყო და მხარი დაუჭირა არაკომერციული სექტორის ისეთი სხვა მნიშვნელოვანი ორგანიზაციებისა და ორგანიზაციათა ქსელების განვითარებას, როგორებიცაა: მოხალისეობის ცენტრი, ადგილობრივი ფონდები (ფილანთროპიის განვითარების აკადემიასთან ერთად), მოქალაქეთა საკონსულტაციო ბიურო (მოქალაქეთა საკონსულტაციო ბიუროების ასოციაციასთან ერთად) და ადგილობრივი საქმიანობის ცენტრი.[11]

11 http://siecsplot.pl/

მესამე რიგში, არსებობს მოხალისეობის მომსახურების განვითარების ფონდი, რომელიც მხოლოდ მოხალისეობის საკითხების მოგვარებაზეა კონცენტრირებული. ფონდი ახორციელებს პროგრამას „მოხალისე სტუდენტები“. თუმცა ეს ინიციატივა ჯერ კიდევ „ნორჩია“, ის 2010 წელს დაიწყო და მის შედეგებს მომავალი გვიჩვენებს.

რეკომენდაცია:

ქსელებმა მხარი უნდა დაუჭირონ თანამშრომლობას არა მხოლოდ ეროვნული მასშტაბით, არამედ ხელი შეუწყონ ორგანიზაციების მუშაობას საერთაშორისო დონეზეც.

უფრო მეტიც, ქსელების დანიშნულებაში ასევე შედის სექტორსა და ბიზნესს ან/და სახელმწიფო მმართველობას შორის საბროკერო/საშუამავლო პოზიციის დაკავება.

ინტერნეტ-პორტალი www.ngo.pl განსაკუთრებულ ინიციატივას წარმოადგენს, რომელიც ინფორმაციას, მოხალისეობის შესახებ ინფორმაციის ჩათვლით, აწვდის პოლონეთის ყველა არაკომერციულ ორგანიზაციას. მოხალისეებს სასურველი ორგანიზაციის პოვნის საშუალება ეძლევათ და პირიქით. თუკი გავითვალისწინებთ პორტალის მასშტაბსა და მოხალისეობის შესაძლებლობების რაოდენობას, შეიძლება ითქვას, რომ ის პოლონეთის ინტერნეტ-სივრცეში შესაბამისობის, ქსელების შექმნისა და ინფორმაციის ყველაზე ცნობილი ინსტრუმენტია.

ამ ორგანიზაციის გარდა არსებობს მოხალისეობის სფეროს არაოფიციალური სამუშაო ჯგუფები. ერთ-ერთი მათგანი შეიქმნა 2009 წელს შრომისა და სოციალური სტრატეგიის სამინისტროს საზოგადოებრივი სარგებლის დეპარტამენტის მიერ 2011 – ევროპის მოხალისეობის წლისათვის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და კოორდინირების მიზნით. ჯგუფი შედგება სხვადასხვა სფეროს ათობით ორგანიზაციისაგან და რამდენიმე თვეში ერთხელ აწყობს რეგულარულ სხდომებს. ის აქტიურად იყო ჩართული 2011 – ევროპის მოხალისეობის წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში.

მეორე ჯგუფია „მოხალისეობა სპორტის სფეროში 2012+“ (Wolontariat Sportowy 2012+). ის 2010 წელს დაარსდა 2012 წლის სოციალური პროექტის, 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ადგილობრივი საორგანიზაციო კომისიის, PL.2012 (პოლონეთის ეროვნული სააგენტო, რომელიც კოორდინირებას უწევს ჩემპიონატის მასპინძელი ქალაქების საორგანიზაციო უწყებებს) და „Shipyard“-ის (სოციალური ინოვაციისა და კვლევის ჯგუფი) მიერ. მის მისიას წარმოადგენს სხვადასხვა დაინ-

ტერესებული მხარის გაერთიანება, რათა მათ შეიმუშაონ ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის (რომელიც პოლონეთსა და უკრაინაში 2012 წელს ჩატარდება) პოტენციალის გამოყენების სტრატეგია სოციალური ცვლილებებისა და პოლონეთში მოხალისეობის განვითარების (სპორტის სფეროში) სასარგებლოდ. ეს ჯგუფი აერთიანებს ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, სპორტის სფეროში მოხალისეობის თვალსაზრისით აქტიურ სამინისტროებს. ჯგუფის წევრებმა ერთად შეიმუშავეს რეკომენდაციები სპორტის სფეროში მოხალისეობის განვითარების შესახებ, რომლებიც გამიზნული იყო მთელი პოლონეთის მასშტაბით სპორტის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებისა და ასოციაციებისათვის.[12]

რეკომენდაცია:

ქსელების ჩამოყალიბება ხელს უწყობს პროექტების ხარისხისა და ინიციატივების მდგრადობის გაუმჯობესებასაც, რადგანაც ორგანიზაციებისათვის უფრო ადვილია ერთმანეთის მაგალითზე სწავლა.

ბიზნესი და მოხალისეობა

ბიზნესების მოხალისეობა კორპორაციული საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის (CSR) სპეციფიკური ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთში კორპორაციული მოხალისეობის პროგრამების რიცხვი მატულობს, კომპანიებს იშვიათად თუ აქვთ ასეთი სახის პროგრამები. კომპანიების მხოლოდ 7% აცხადებს, რომ აქვს ბიზნესის მოხალისეობის პროგრამა (მოხალისეთა ცენტრის კვლევა, 2008), რაც ცხადყოფს, რომ ბიზნესი საკმარისად არ არის წარმოდგენილი პოლონეთში მოხალისეობის ხელშეწყობაში. თუმცა ზოგიერთი პროგრამა კარგადაა ორგანიზებული და საყოველთაოდაა აღიარებული, მაგალითად, CITI BANK, TP SA (პოლონეთის ეროვნული ტელეკომუნიკაციები), KREDYT BANK და WARTA (KBC ჯგუფის ბანკი და სადაზღვევო კომპანია) პროგრამები, შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, რომ ეს არის უფრო მსხვილი და მდიდარი კომპანიების, კორპორაციების სამფლობელო, რომლებსაც უცხოელი მეწილეები/დაინტერესებული მხარეები ჰყავთ.

ზოგიერთი კომპანია, რომელსაც აქვს თანამშრომელთა მოხალისეობის სქემები, წლების განმავლობაში მონაწილეობას იღებს ვარშავის მოხალისეობის ცენტრის ასოციაციის პროგრამაში „ბიზნეს-მოხალისეობა“. ამ ქსელური პროგრამის მისიაა ადგილობრივი თანამშრომლობის

12 http://www.ps2012.pl/index.php

ჩამოყალიბება ბიზნესსექტორს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს შორის, რათა კომპანიები ადგილობრივ თემებად იქცნენ; პროგრამის მისიას ასევე წარმოადგენს კომპანიების კორპორაციული კულტურის გაძლიერება[13]. ქსელი თანამშრომლობს საერთაშორისო კორპორაციული საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ისეთ ქსელებთან, როგორებიცაა ENGAGE[14] და ბიზნესი თემში/საზოგადოებაში (BITC).[15]

არ არსებობს ბიზნესმოხალისეობის, როგორც ასეთის, არც რეგულარული კვლევა და არც ანალიზი. ამგვარი სახის უკანასკნელი კვლევა, რომელშიც მხოლოდ 207 სუბიექტმა მიიღო მონაწილეობა, 2008 წელს გამოაქვეყნა ვარშავის მოხალისეობის ცენტრმა. ცენტრი ახალი კვლევის ჩატარებას გეგმავდა 2010-2011 წლებში და მისი შედეგები 2011 წელს უნდა გამხდარიყო ხელმისაწვდომი. კვლევის პირველადი შედეგების თანახმად, კომპანიების ძალიან მცირე რაოდენობა თანამშრომლობს სამოქალაქო სექტორთან და, სამწუხაროდ, ისინი არ ხელმძღვანელობენ პოზიტიური გამოცდილების მაგალითებით.[16] ძნელი სათქმელია, პოლონეთში ბიზნესმოხალისეობა უბრალოდ სარეკლამო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, თუ ის მართლაც ჭეშმარიტი საზოგადოებრივი შეგნებითაა გამოწვეული. ასეა თუ ისე, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ კორპორაციული მოხალისეობა აღმავლობის გზაზეა.

რეკომენდაცია:

ბიზნესი წამყვანია მოხალისეობის განვითარების მხარდაჭერაში და ეს მხოლოდ დაფინანსებაში არ გამოიხატება. თანამშრომელთა მოხალისეობის სქემები წარმოადგენს კერძო და სამოქალაქო სექტორს შორის ურთიერთნდობის ჩამოყალიბების საშუალებას. ისინი საფუძველს უმზადებენ ისეთ საზოგადოებას, რომლის ყველა სექტორი ერთმანეთს ავსებს და იზიარებს საერთო ღირებულებებს.

13 იხილეთ პროგრამის ვებ-გვერდი: http://www.wolontariatpracowniczy.pl/ [12.03.2011]

14 იხილეთ ENGAGE ინიციატივის ვებ-გვერდი: www.engageyouremployees.org [12.03.2011]

15 იხილეთ BITC-ის ვებ-გვერდი: http://www.bitc.org.uk/ [12.03.2011]

16 For the good practices on employee volunteering schemes see for example CEV final report "Developing Employee Volunteering. A joint venture between volunteer organisations and companies", 2009 http://www.cev.be/68-cev_publications_-EN.html [12.03.2011]

ების რაოდენობით მეორე ადგილზეა, არის ასოციაცია „გაზაფხული“. ამ ასოციაციის ლოზუნგია: „ჩვენ ვეხმარებით ადამიანებს, რათა ისინი უფრო ეფექტურად დაეხმარონ ერთმანეთს“. ორგანიზაცია დაარსდა კრაკოვში 2001 წელს. განხორციელებული პროგრამების დახმარებით ის ცდილობს გაჭირვებულთა ცხოვრების დონის ეფექტურად ამაღლების მექანიზმის შექმნას. ასოციაცია წარმოადგენს შუამავალს მოხალისეებს, სპონსორებსა და გაჭირვებულებს შორის. შერჩეული საქმიანობები მოიცავს შემდეგს:

- „კეთილშობილური ძღვენი“ – ეს აქცია ტარდება ყოველწლიურად, შობის დღესასწაულის წინ. მოხალისეები თავიანთ თემებში აგროვებენ ინფორმაციას გაჭირვებულთა შესახებ, მათი სიები ანონიმური სახით განთავსდება ინტერნეტ-მონაცემთა ბაზაში. სპონსორებს, ანუ ყველას, ვისაც სურს უპოვარი ადამიანის ან ოჯახის მხარდაჭერა, შეუძლია განაცხადოს კონკრეტული პირებისათვის დახმარების გაწევის განზრახვის შესახებ. შემდეგ სპონსორის მიერ მომზადებულ ამანათებს მოხალისეები აწვდიან მიმღებებს. 2008 წელს 112 000 სპონსორისა და თითქმის 5 000 მოხალისის წყალობით, მთელი ქვეყნის მასშტაბით სულ 6.4 პოლონური ზლოტი (1.6 მლნ. ევრო) გადაეცა 8 000 ოჯახს (48 000 ადამიანი);
- „მომავლის აკადემია“ – გაჭირვებულ თემებში მომუშავე მოხალისე მასწავლებლები, რომლებსაც გავლილი აქვთ ასოციაციის ტრენინგი, დახმარებას უწევენ სწავლაში ჩამორჩენილ ბავშვებს. პროგრამა ამჟამად 830 ბავშვს მფარველობს პოლონეთის 12 ქალაქში.

არსებობს სხვა ორგანიზაციებიც, რომელთა საქმიანობაში ჩართულია მოხალისეთა დიდი რაოდენობა, მაგალითად, პოლონეთის წითელი ჯვარი (PCK), „კარიტას – პოლონეთი“ (Caritas - Poland) და სამოქალაქო მომსახურების განვითარების ფონდი.

ქსელები

პოლონეთში მოხალისეობაში ჩართული ყველა ორგანიზაციისათვის არსებობს ეროვნული „ქოლგა-ორგანიზაცია“. ზემოხსენებული მოხალისეობის ცენტრების ქსელის გარდა არსებობს კიდევ რამდენიმე სხვა ინიციატივა, რომელთა მიზანია სამოქალაქო სფეროში აქტიურად მოქმედი ორგანიზაციების გაერთიანება.

პირველ რიგში, არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციათა ეროვნული ფედერაცია (OFOP). ფედერაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით აერთიანებს

საჯარო ადმინისტრირება

მთავრობის მხრიდან მოხალისეობის მხარდაჭერაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის შრომისა და სოციალური სტრატეგიის სამინისტროს, განსაკუთრებით კი მის საზოგადოებრივი სარგებლის დეპარტამენტს, რომელსაც სტრატეგიულად წამყვანი პოზიცია უჭირავს მესამე სექტორთან თანამშრომლობის თვალსაზრისით. კანონი საზოგადოებრივი სარგებლისა და მოხალისეობის შესახებ კონტროლს უწევს პოლონეთში საზოგადოებრივი სარგებლისაკენ მიმართულ ორგანიზაციებს, ატარებს ანალიზს და ექსპერტიზას. ამჟამად ის კოორდინირებას უწევს სამუშაო ჯგუფს, რომელიც ამზადებს მოხალისეობის პოლიტიკის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიას, რომელიც დაერთვება კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის მიერ მომზადებულ სოციალური კაპიტალის განვითარების სტრატეგიას. დაბოლოს, დეპარტამენტი ასევე წარმოადგენს 2011 წლის, როგორც ევროპული მოხალისეობის წლის აღნიშვნის პოლონეთის საკოორდინაციო უწყებას.

რეკომენდაცია:

უნდა არსებობდეს კონტაქტის ერთი ცენტრალური წერტილი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობაზე, ანუ უზრუნველყოს უკეთესი თანამშრომლობა, უფრო მკაფიო კომუნიკაცია და უკეთესი მუშაობა სექტორის განვითარებისათვის. ამ უწყებამ უნდა იმუშაოს სამოქალაქო სექტორთან ერთად და მის სასარგებლოდ, ანუ მისი ინიციატივები, აქტები და საქმიანობა უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობასა და საჭიროებების შეფასებას.

გარდა ამისა, შრომისა და სოციალური საკითხების სამინისტრო განაგებს სამოქალაქო ინიციატივის ფონდს (CIF; პოლონურად – FIO). ფონდი წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის სამთავრობო გრძელვადიანი გრანტების პროგრამას, რომლის მიზანი არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით სამოქალაქო ინიციატივების (და მოხალისეობის) წამოწყება და გაძლიერებაა. ის ავსებს ამ სფეროში უკვე მოქმედ პრაქტიკას. 2011 წლის საგრანტო განაცხადის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი გახლდათ კონცენტრაცია მოხალისეობის განვითარებაზე საგანმანათლებლო ღონისძიებების, პოპულარიზაციისა და თანამონაწილეობის მეშვეობით.

კანონით აგრეთვე გათვალისწინებული იყო ზემოხსენებული (ეროვნული და რეგიონული) საზოგადოებრივ სარგებელზე მიმართული საქმიანობის საბჭოს დაარსება, რომელიც წარმოადგენს სოციალური

უზრუნველყოფის საკითხებზე პასუხისმგებელი მინისტრის საკონსულტაციო უწყებას. საბჭო წარმოადგენს ეროვნული მასშტაბით სახელმწიფო ადმინისტრაციასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ინსტიტუციონალურ ფორმას. საბჭოს არჩევა ხდება სამი წლის ვადით. საბჭო ქმნის პლატფორმას არასამთავრობო სექტორის ინტერესებისა და საჭირბოროტო საკითხების გამოხატვისათვის.

მოხალისეობაში ჩართული სახელმწიფო ადმინისტრაციის სხვა უწყებებია ადგილობრივი თვითმმართველობები. თითოეულ რეგიონულ ადმინისტრაციაში არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი განყოფილება. უფრო მეტიც, მსხვილი ქალაქების უმეტესობა ასახელებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე პასუხისმგებელ სრულუფლებიან კონკრეტულ პირს, რომლის მთავარი მისია ადგილობრივ სამოქალაქო სექტორთან კონტაქტის უზრუნველყოფაა. კანონი განყოფილებებს ავალდებულებს, რომ მათ ჩამოაყალიბონ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ყოველწლიური გეგმა, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების შედეგად გათვალისწინებული იქნება მოხალისეობის სტრატეგიების განხორციელების შესაძლებლობა.

თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორსა და თვითმმართველობებს (რეგიონული სახელმწიფო ადმინისტრაცია) შორის ყველა რეგიონში თანაბრად არ არის განვითარებული. ყველა თვითმმართველობა არ ადგენს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ყოველწლიურ გეგმას, მიუხედავად იმისა, რომ ეს მათ კანონით ევალებათ. შესაბამისად, ყველა არაკომერციულ დაწესებულებას, განსაკუთრებით მცირე თემებში, არ ეძლევა საქმიანობის დაფინანსების მოპოვების საშუალება. მიუხედავად ამისა, მოხალისეობით დაინტერესება ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან ყოველწლიურად მატულობს.

რეკომენდაცია:

ადგილობრივ ხელისუფლებას გადამწყვეტი როლი ენიჭება ადგილობრივად სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაში. ხელისუფლებას უნდა ევალებოდეს ქსელებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობის წლიური პროგრამების შექმნა. ეს პროგრამები ცენტრიდან კი არ უნდა იყოს ნაკარნახები, არამედ ადგილობრივი თემების რეალურ საჭიროებებზე დაყრდნობით უნდა იყოს შექმნილი. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია ხელისუფლებასა და ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისათვის ორმხრივი ურთიერთობისა და საფუძვლის შექმნა.

მოხალისეობა და სკოლები

სანამ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოხალისეობის საკითხს განვიხილავთ, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას პოლონეთის განათლების სისტემის შესახებ. ექვსი წლის ასაკიდან ბავშვები გადიან დაწყებითი განათლების 6 კლასს. გამოცდის შემდეგ ისინი სწავლას სამი წლის განმავლობაში განაგრძობენ საშუალო სკოლის (გიმნაზიის) დაბალ – მე-7, მე-8 და მე-9 – კლასებში, რომელთა დამთავრების შემდეგ ისინი, კვლავ გამოცდების ჩაბარების შემდეგ, საშუალო სკოლის მაღალ კლასებში (ლიცეუმში ან ტექნიკურ სასწავლებელში) სწავლობენ კვლავ 3 წლის განმავლობაში. ორივე შემთხვევაში სწავლება „სიმწიფის“ გამოცდით მთავრდება, რასაც შეიძლება ე.წ. მესამე საფეხურის განათლება მოჰყვეს, კოლეჯსა თუ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უნივერსიტეტში) სწავლის ჩათვლით. ახალგაზრდებისათვის მოხალისეობის შესაძლებლობას უზრუნველყოფს კანონი საზოგადოებრივი სარგებლისა და მოხალისეობის შესახებ.

დაწყებითი განათლების დაწესებულებებს და საშუალო სკოლებს განაგებს განათლების სამინისტრო, ხოლო „მესამე საფეხურის“ განათლებას – მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სამინისტრო. ამ სამინისტროთაგან არც ერთს არ გააჩნია სპეციალურად გამოყოფილი მოხალისეობის განყოფილება. ამ საკითხს განაგებს საზოგადოებრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი. მოხალისეობის საკითხებზე პასუხისმგებელი დეპარტამენტი (საზოგადოებრივი სარგებლის დეპარტამენტი) ექვემდებარება შრომისა და საზოგადოებრივი სტრატეგიის სამინისტროს. განათლების სამინისტრო მხარს უჭერს სკოლებში მოსწავლეთა შორის მოხალისეობის პოპულარიზაციას, რაც 2002 და 2013 წლების პოლონეთის ახალგაზრდული სტრატეგიის თანახმად ხორციელდება. ეს დოკუმენტი დეტალურად განიხილავს პოლონეთის ახალგაზრდული სტრატეგიის გამოწვევებსა და მიზნებს, მოუწოდებს ახალგაზრდებს, უფრო აქტიურად ჩაებან საჯარო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, (არასამთავრობო) ორგანიზაციებში მონაწილეობის ჩათვლით, თუმცა სიტყვა „მოხალისეობა“, როგორც ასეთი, მასში ნახსენები არ არის.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ დონეზე მოხალისეობას საკმაოდ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აქვს,[17] პოლონეთში არ არსებობს სისტემატური და „ზევიდან მომავალი“ პროგრამა, რომელიც რომელიმე დონეზე მაინც ეხება მოხალისეობას სკოლებში. ამასთან, სამინისტრო არ

17 პროგრამის: Youth in Action; სტრატეგიების: Open Method of Coordination და მრავალი ნორმატიული დოკუმენტის მეშვეობით. რეკომენდაციები, რეზოლუციები და ა.შ. იხ.: http://ec.europa.eu/youth/

აგროვებს სისტემატურ მონაცემებს. ზოგიერთი რეგიონი აწარმოებს კვლევებს მოხალისეობის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ, რის მაგალითადაც შეიძლება მოვიყვანოთ 2009 წელს ჩატარებული „პირველი კვლევა მოხალისეობის შესახებ ვარიმასა და მაზურიას რეგიონების სკოლებში“.[18]

მეორე მხრივ, არსებობს რამდენიმე „ქვევიდან მომავალი“ პროგრამა და აქცია, რომლებიც პოპულარიზაციას უწევენ ამ იდეას მოსწავლეთა, სტუდენტთა და მასწავლებელთა შორის. დაწყებითი და საშუალო განათლების სფეროში ესენია:

- ტრენინგი სკოლაში მოხალისეობის კოორდინატორებისათვის;
- მოხალისეთა კლუბები სკოლაში;
- ევროპული სკოლის კლუბები;
- პროგრამა „აქტიური ახალგაზრდობა“;
- სხვა პროგრამები და აქციები, რომლებიც მოსწავლეებისათვის/სტუდენტებისათვის მოხალისეობის კუთხითაა გამიზნული, მაგალითად, სკოლა ძალადობის გარეშე, PROJEKTOR – მოსწავლეთა/სტუდენტთა მოხალისეობა, თანაბარი შესაძლებლობები.

სამოქალაქო სექტორი სულ უფრო და უფრო აქტიური ხდება ადგილობრივ დაწყებითი სწავლებისა და საშუალო სკოლებთან თანამშრომლობაში. ის მხარს უჭერს სკოლებში მოხალისეობის განვითარებას შემდეგი გზებით:

- ტრენინგების მოწყობით სკოლებში მასწავლებლებისა და მოხალისეობის კოორდინატორებისათვის;[19]
- მოხალისეთა ცენტრების მხარდაჭერით სკოლებში მოხალისეთა კლუბების დაარსება-ჩამოყალიბებაში, პუბლიკაციებით უზრუნველყოფის ჩათვლით.

მოხალისეთა ცენტრების ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 2006 წელს პოლონეთის სკოლებში 125 მოხალისეთა კლუბი (VCS) იყო, რომლებიც საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში იღვწოდნენ. სკოლებში მოხალისეთა კლუბები წარმოადგენს სამოქალაქო სულისკვეთებისა და გაჭირვებულთა დახმარების პოპუ-

18 http://www.mzpitu.pl/

19 მაგალითად, ორი პროგრამის დასახელება შეიძლება: the Volunteer Centre and Centre for Self-Development of Teachers programme "Open eyes", და პროგრამა "Associations" Together, in Volunteer Center "Spinacz in Olsztyn project" Support for volunteer coordinators in schools is the province of Warmia and Mazury.

ლარიზაციაზე მიმართულ სხვადასხვა საქმიანობაში ნებაყოფლობით ჩართული აქტიური მოსწავლეებისაგან შემდგარ არაოფიციალურ ჯგუფებს. ასეთი კლუბები დაკომპლექტებულია სკოლის ფარგლებში და სკოლების მიერ. მას უნდა ჰყავდეს კოორდინატორი და ჰქონდეს ისეთი სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების მომზადებასა და მზაობას, მონაწილეობა მიიღონ ასეთი სახის საქმიანობაში. ეს კლუბები ახორციელებენ პროექტებს, ეხმარებიან გაჭირვებულ თანატოლებს, პოპულარიზაციას უწევენ საყვარელ საქმეში (ჰობიში) ჩართულობას, მხარს უჭერენ (არატრადიციული) განათლების პროცესს. შესაბამისად, მათი სამიზნეები მოცემული სკოლისა და ადგილობრივ თემში მცხოვრები მოსწავლეები არიან. კლუბების მოღვაწეობაში ჩართული მასწავლებლები ხაზს უსვამენ სკოლებში მოხალისეთა კლუბების დადებით გავლენას ახალგაზრდების თვითგანვითარებაზე, მათი პროსაზოგადოებრივი დამოკიდებულების გაძლიერებასა და მათთვის არატრადიციული განათლების მნიშვნელობაზე.[20] საჭიროა სკოლებში კლუბების განვითარების შემდგომი პოპულარიზაცია, რადგანაც, თუკი მხედველობაში მივიღებთ ქვეყნის სიდიდეს და მოსახლეობას, ცხადი გახდება, რომ კლუბების ამჟამინდელი რაოდენობა ოპტიმალური არ არის.

სკოლებში კლუბების კიდევ ერთი ტიპი, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდობის ჩართულობას სამოქალაქო საქმიანობაში, არის ევროპული სკოლის კლუბი. ისინი ჩამოყალიბდა 1990-იანი წლების დასაწყისში, როგორც ევროპული საგნებით დაინტერესებული მოსწავლეებისათვის განათლების გაღრმავების არატრადიციული საშუალება. ევროპული სკოლის კლუბების ჩამოყალიბებასა და მუშაობას მხარს უჭერს ევროპული საკითხების კომისია და რობერტ შუმანის პოლონური ფონდი. კლუბი წარმოადგენს შიდა ნორმატიული აქტისა და პროგრამის თანახმად და მინიმუმ 3 მოსწავლის/სტუდენტის და ერთი ან მეტი მასწავლებლისაგან შემდგარ ჯგუფს. კლუბების უმეტესობა საშუალო სკოლებში გვხვდება, თუმცა არსებობს აქტიური კლუბები დაწყებითი განათლების სკოლებში, რამდენიმე კი საბავშვო ბაღშიც ფუნქციონირებს.

დღეს პოლონეთში დაახლოებით 2000 კლუბია შექმნილი, სადაც მოსწავლეები ევროპისა და ევროკავშირის შესახებ სწავლობენ. იმ პერიოდში, როცა პოლონეთი ჯერ კიდევ ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში იმყოფებოდა, ევროპული სკოლის კლუბების საქმიანობა უმეტესწილად კონცენტრირებული იყო ევროკავშირის, მისი წევრი სა-

20 იხ.: "Volunteering in schools – organisation and management of school volunteer club" Volunteer Centre Association, ვარშავა, 2009; http://www.wolontariat.org.pl/repository/Publikacje/Teksty/Wolontariat%20w%20szkole_internet.pdf

ხელმწიფოებისა და მოლაპარაკების პროცესის შესახებ ცოდნის გაღრმავებაზე, რისთვისაც გამოიყენებოდა მოსწავლეთა ნებაყოფლობითი ჩართულობა სხვადასხვა საქმიანობაში. 2004 წლიდან მოყოლებული (როცა პოლონეთი ევროკავშირში გაერთიანდა), კლუბებმა განავრცეს თავიანთი საქმიანობა ადგილობრივ ხელისუფლებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე. აქედან გამომდინარე, ევროპული სკოლის კლუბების მიზნებია: სასკოლო თემების გაერთიანება ევროპული ინტეგრაციის იდეის გარშემო, დემოკრატიისა და ტოლერანტობის მხარდაჭერა, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა და ევროკავშირში ცხოვრებასთან დაკავშირებული მრავალი მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ ცოდნის გაღრმავება.

ცალკეული ევროპული სკოლის კლუბების ინტერესების შესაბამისად, მათი წევრები ადგილობრივ თემებში ატარებენ შეხვედრებს, გამოფენებს, ტრენინგებსა თუ ევროპის დღეებს, მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო შეხვედრებში, ავრცელებენ ინფორმაციას სხვა ქვეყნებისა და კულტურების შესახებ, სხვა ქვეყნებიდან თანატოლებთან ერთად ამზადებენ საერთაშორისო პროექტებს და მართავენ ადგილობრივ საინფორმაციო კამპანიებს ისეთ თემებზე, რომლებიც მათ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. ევროპული სკოლის კლუბები თვითდაფინანსების პრინციპით მუშაობენ. სკოლები, სადაც ასეთი კლუბები არსებობს, გამოყოფენ ფართობს, სადაც კლუბებს რეგულარული შეხვედრების ჩატარება შეუძლიათ; სკოლები კლუბებს ზოგჯერ მასალებითა და რესურსებითაც უზრუნველყოფენ საქმიანობის მხარდასაჭერად. უფრო ფართომასშტაბიანი აქციებისათვის კლუბებმა დაფინანსების სხვა წყაროები უნდა მოიძიონ, რისთვისაც ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და ევროპულ დონეზე არსებულ სხვადასხვა შესაძლებლობას იყენებენ.

რეკომენდაცია:

სამოქალაქო აქციებზე დაფუძნებული სკოლის კლუბები ადგილობრივ თემებში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია. ისინი ასევე განსაკუთრებულ როლს ასრულებენ მოხალისეობისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებაშიც, ევროპული საკითხების ჩათვლით.

კლუბები კონცენტრირებულნი უნდა იყვნენ თავიანთი წევრების ინტერესებზე და უნდა შეეცადონ, რომ საკუთარი საქმიანობა შეუთავსონ ოფიციალურ სასკოლო პროგრამას.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს კლუბების საქმიანობის შესახებ შემდგომი კვლევები და მონაცემები, პოლონეთის შუმანის ფონდის მიხედვით, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ კლუბებს დიდი გავლენა ჰქონდათ ახალგაზრდების და ადგილობრივი თემების წარმომადგენელთა დამოკიდებულებაზე ევროკავშირში პოლონეთის გაწევრიანების პროცესის დროს. 2004 წლის შემდეგ მათ სკოლებში წამოიწყეს საერთაშორისო თანამშრომლობა. პირველ ყოვლისა კი, ისინი თავიანთ წევრებს საშუალებას აძლევენ, ოფიციალური სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული საქმიანობების გარდა, დაკავდნენ სხვა აქტივობებით, რითაც ახალგაზრდებს შორის პოპულარიზაცია ეწევა ევროპულ და სამოქალაქო სულისკვეთებას.

კიდევ ერთი პროგრამა, რომელიც პოლონეთის ახალგაზრდობის ჩართულობას ითვალისწინებს, არის აქტიური ახალგაზრდობის პროგრამა. ეს არის ევროკავშირის კარგად ცნობილი პროგრამა 13-დან 30 წლამდე ახალგაზრდებისათვის. მის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდებს შორის აქტიური მოქალაქეობის, სოლიდარობისა და ტოლერანტობის სულისკვეთების დამკვიდრება და ევროკავშირის მომავლის ფორმირებაში მათი ჩართვა. პროგრამა მხარს უჭერს ევროკავშირის ფარგლებში და მის გარეთ მობილურობას, არატრადიციულ სწავლებას, ინტელექტუალურ დიალოგს და ზურგს უმაგრებს ინკლუზიურობას ყველა ახალგაზრდისათვის, მიუხედავად მათი განათლებისა და საზოგადოებრივი თუ კულტურული წარმომავლობისა. მოხალისეობა პროგრამის ერთ-ერთ მთავარ ელემენტს წარმოადგენს და მოხალისეობის პროგრამების უმეტესობა ხორციელდება აქცია 2 – ევროპული სამოქალაქო მომსახურების პროგრამის (Action 2 – European Voluntary Service (EVS) Program) ფარგლებში. 1998 წლიდან მოყოლებული (ხოლო ევროპული სამოქალაქო მომსახურების პროგრამის შემთხვევაში – 2000 წლიდან) მრავალმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა მოხალისეობის პროექტებში, რომლებიც განხორციელდა პროგრამების: „ახალგაზრდები ევროპისათვის“ (1998-2000 წლები); „ახალგაზრდობა“ (2000-2006 წლები) და „აქტიური ახალგაზრდობა“ (2007-2013 წლები) ფარგლებში. 2009 წელს 376 პოლონელი მოხალისე გაემგზავრა საზღვარგარეთ მოხალისეებად სამუშაოდ, ხოლო 442 ახალგაზრდა მოხალისე ჩამოვიდა პოლონეთში. საჭიროა პროგრამის შემდგომი პოპულარიზაცია ახალგაზრდებს შორის, რადგანაც მისი სარგებელი კვლავაც არ არის სათანადოდ გაცნობიერებული.

სოციალური პროგრამა „სკოლა ძალადობის გარეშე“ ჩამოყალიბდა 2005 წელს და წარმოადგენს 18 რეგიონული გაზეთისა და 2 საგამომცემლო ჯგუფის: Media და Polskapresse Regional Foundation („პოლონეთის პრესის რეგიონული ფონდი“), ისევე როგორც ორგანიზაცია Orange-

ის (ყოფილი პოლონეთის ტელეკომუნიკაციის ჯგუფის ფონდი – Polish Telecommunication Group Foundation) ინიციატივას. 2009 წელს პროგრამას ახალი პარტნიორი შეუერთდა – პედაგოგიური გამომცემლობა „ოპერონი". პროგრამა ამჟამად ფუნქციონირებს პოლონეთის პრეზიდენტის ეგიდით. პროგრამის მთავარი მიზანია სკოლაში ძალადობის, ამ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემის შესახებ ცნობიერების გაზრდა და სკოლების უზრუნველყოფა სისტემური ინსტრუმენტებით, რათა ძალადობა და აგრესია სკოლებში ეფექტურად იქნეს თავიდან აცილებული. თითოეულ პროექტს განსხვავებული თემატური ფოკუსი აქვს, მაგალითად, 2010 წლის პროექტის თემა იყო „მშობლები ჩვენთან".

2009 წლისათვის მოხალისეობა გახდა პროგრამის კონცენტრაციის ერთ-ერთი მთავარი სფერო და ინსტრუმენტი. პროგრამისათვის „სკოლის 2009 წლის შეფასება"[21] ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ძალადობა და აგრესიული ქცევა ახალგაზრდებს შორის ხშირ შემთხვევაში მოწყენილობისა და არასწორად გამოყენებული თავისუფალი დროის შედეგია. აქედან გამომდინარე, მოხალისეობის იდეის, როგორც მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა სასკოლო საზოგადოებისათვის უანგარო ერთგულების გამოხატულების, დამკვიდრება პროგრამის მიზნების შესაბამისად ჩაითვალა, ანუ იგი მხარს უჭერდა სხვა ადამიანების მიმართ პატივისცემას და ტოლერანტულ დამოკიდებულებას. თავისუფალი დროის მართვა საზოგადოებრივი საქმიანობით მისი გამოცოცხლების გზით პროგრამის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

პროგრამას მოხალისეობაზე კონცენტრირებული კიდევ ორი ელემენტი აქვს: მოხალისეობის კვირა და მოხალისეობის საუკეთესო პროექტის კონკურსი. მოხალისეობის კვირის მიზანია სკოლაში უკვე მოწყობილი პროექტებისა და საქმიანობების მხარდაჭერა და, ამავდროულად, ახალ სკოლებში მოხალისეობაში ჩართვის სურვილის გაღვივება. 2009 წელს, ასეთი კვირის დროს 850-მა სკოლამ მთელი პოლონეთის მასშტაბით განახორციელა სამოქალაქო პროექტები. სკოლების მიერ ორგანიზებული საუკეთესო სამოქალაქო პროექტის კონკურსის მიზანია, მოუწოდოს სკოლის საზოგადოებას კარგი პრაქტიკის, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისაკენ იმათთვის, ვისაც სჭირდება და სურს ასეთი სახის დახმარება. 2010 წლის პროექტის მიზანი კონკრეტულად მშობლების საქმიანობაში ჩართვა და მხარდაჭერა იყო. ჟიურიმ სულ 48 პროექტი შეარჩია, 3-3 პოლონეთის თითოეული რეგიონიდან („ვოევუძტვო"). ჯილდოს სახით საუკეთესო პროექტები ქვეყნდება და საუკეთესო ლიდერი მოხალისეები მოხალისე ლიდერების საზაფხულო

21 http://www.szkolabezprzemocy.pl/1101,diagnoza-szkolna-2009

სკოლაში მონაწილეობენ. ორივე პროექტი ორგანიზებულია მოხალისეობის ცენტრების ასოციაციასთან თანამშრომლობით და მისი მხარდაჭერით.

რეკომენდაცია:

- განათლება მოხალისეობაში, ანუ მოხალისეობის სურვილის გაღვივება და მისი ღირებულებისა და სარგებლის შესახებ ცნობიერების ამაღლება უკვე დაწყებითი განათლების სკოლებში უნდა დაიწყოს. მოხალისეობა შეიძლება სასკოლო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდეს, როგორც მშვიდობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ საგანმანათლებლო კურსის სასწავლო ინსტრუმენტი. მოხალისეთა სასკოლო კლუბები, საერთო აქციები და ეროვნული მასშტაბის პროგრამები, რომლებიც მოხალისეობის პოპულარიზაციას ემსახურება, უნდა განხორციელდეს სკოლებს, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადგილობრივ ხელისუფლებებსა (სამინისტროებს) და პერსპექტიულ ბიზნესებს (რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული საქმიანობების მხარდაჭერა, თანამშრომელთა მოხალისეობის პროგრამების ჩათვლით) შორის თანამშრომლობის გზით;
- მოხალისეობის ცენტრების ასოციაციის ინსტრუმენტების კომპლექტი მოხალისეობის კლუბების ორგანიზაციასა და მართვის შესახებ უნდა მომზადდეს და ფართოდ გავრცელდეს სკოლებში.

რაც შეეხება სტუდენტების მოხალისეობას, ისინი აქტიურად არიან ჩართული მოხალისეობის მრავალ აქციაში. მიუხედავად იმისა, რომ საქმე გვაქვს პორტალის უკმარისობასთან, რომელიც მოხალისეებსა და ორგანიზაციებს ერთმანეთთან შეათავსებდა, სტუდენტები საკმაოდ პრივილეგირებულ ჯგუფს წარმოადგენენ ამ თვალსაზრისით, რადგანაც მათთვის ადვილია საზოგადოებრივი აქციების შესახებ ინფორმაციის მოძიება, რათა მათში მიიღონ მონაწილეობა. აკადემიური კარიერის ოფისები ის ადგილებია, სადაც სტუდენტები დასაქმებას, ტრენინგს და მოხალისეობის შეთავაზებებს ეძებენ. ეს კარიერის ოფისები ასევე თანამშრომლობენ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სტუდენტთა შორის მათ აქციებს უწევენ პოპულარიზაციას.

არ არსებობს სტუდენტთა მოხალისეობის სპეციალური ორგანიზაცია, თუმცა არის ეროვნული მასშტაბის სოციალური პროგრამა – PROJECTOR – სტუდენტთა მოხალისეობა. ეს პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, თავიანთი რეგიონების დაწყებითი განათლების სკოლებში განახორციელონ საკუთარი პროექტები. ამ უკანასკნელი

ორიოდე წლის განმავლობაში დაახლოებით ხუთასი სტუდენტი იყო ჩართული ამ პროგრამაში. მოხალისეებს კიდევ ერთ შესაძლებლობას აძლევს საუნივერსიტეტო სპორტის ასოციაცია. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ სპორტული ღონისძიებების ორგანიზებაში და სხვა სტუდენტების ლიდერის ფუნქციას ასრულებენ ან წვრთნიან ამ სტუდენტებს.

დაბოლოს, სტუდენტთა მოხალისეობის პოპულარიზაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სტუდენტთა საერთაშორისო ასოციაციები, მაგალითად: „სტუდენტთა ევროპული ფორუმი" – ასოციაცია (AEGEE); Association Internationale des Étudiants en Sciences Économiques et Commerciales (AIESEC); „ტექნოლოგიის სფეროს ევროპელ სტუდენტთა საბჭო" (BEST); „იურიდიული სფეროს ევროპელ სტუდენტთა ასოციაცია" (ELSA) და მრავალი სხვა.

რეკომენდაცია:

- თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საუნივერსიტეტო მოხალისეობის ცენტრი (შეიძლება იყოს კარიერის ოფისი) ან ჰყავდეს მოხალისეობის კოორდინატორი, რომელიც მოიძიებს მოხალისეობის შესაძლებლობებს, შეაფასებს მათ ხარისხს და შეასრულებს სტუდენტებსა და მოხალისეთა მაძიებელ ორგანიზაციებს შორის შეთანხმების სისტემის როლს;
- მოხალისეობა აღიარებული უნდა იყოს, როგორც არატრადიციული საგანმანათლებლო საქმიანობა. ადამიანებს უნდა შეეძლოთ მოხალისეობის მეშვეობით ცოდნის მიღება და ახლად მიღებული კვალიფიკაციის გამოყენება. მოხალისეობის შეფასება და სერტიფიცირება სურვილისამებრ ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოხალისეთათვის.

მედია, საზოგადოებრივი ურთიერთობები (PR) და „შეთანხმების ინსტრუმენტები"

მოხალისეობა იშვიათად თუ არის პოლონეთში სარეკლამო აქციების ობიექტი. ამ ბოლო ხანებამდე არ არსებობდა ამ საკითხისადმი მიძღვნილი სატელევიზიო თუ რადიოპროგრამები. ასევე, „გარე რეკლამაც" (ქუჩაში ან დაწესებულებებში განთავსებული ბილბორდები, აბრები, პოსტერები, სარეკლამო კონსტრუქციები და ა.შ.) შეზღუდულია მაღალი ფასების გამო.

პოლონეთში მოხალისეთა ცენტრების ასოციაციამ მოამზადა ძალიან კარგი სოციალური კამპანია სახელწოდებით „დახმარების გაწევა გაგა-

ძლიერებს“ („რასაცა გასცემ, შენია“). მიუხედავად კამპანიის პროფესიონალურ დონეზე ჩატარებისა და მიმზიდველი ადგილმდებარეობებისა და პოსტერების გამოყენებისა, მედიის დასწრება და მისი მხრიდან ინტერესი ძალიან მცირე იყო.

ორგანიზებული კამპანიების გარდა არსებობს სხვა ღონისძიებები, რომლებიც ამახვილებს საზოგადოების ყურადღებას მოხალისეობაზე. ამის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ზემოთ აღწერილი საშობაო ქველმოქმედების დიდი ორკესტრი. ეს ერთდღიანი ღონისძიება ყოველწლიურად ეწყობა 19 წლის განმავლობაში და თავს უყრის 100 ათასზე მეტ მოხალისეს. ორკესტრს ყოველწლიურად აქვს სრული მედიაგაშუქება პოლონეთის წამყვან ტელეარხზე. ადამიანები ნებაყოფლობით უჭერენ მხარს ორკესტრს, ხოლო მოხალისეობა ამ ღონისძიების წარმატების ერთ-ერთი ბურჯია. მოხალისეობა ახალი ამბების თემა ხდება პოლონეთში ჩატარებულ დიდ საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, მაგალითად: 2009 წლის ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატი (EuroBasket); 2010 წელს ორგანიზაციის Special Olympics მიერ ჩატარებული ევროპის ზაფხულის თამაშები და 2012 წელს დაგეგმილი ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი. ასევე დგება კრიტიკული მომენტები, რომელთა წყალობითაც საზოგადოებრივი ყურადღება პარადოქსულად გადაინაცვლებს მოხალისეებზე და მათ მიერ საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ გაწეულ წვლილზე, მაგალითად, 2010 წლის მძლავრი წყალდიდობა, რომლის შედეგად ასობით ადამიანი ჩაერთო ურთიერთდახმარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ მოხალისეობა არასამთავრობო ორგანიზაციების ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვეულებრივი ამბავია, პოლონეთის მედიასაშუალებები იშვიათად თუ ინტერესდებიან ამ საკითხით. ისინი დროდადრო ამზადებენ ინფორმაციას მოხალისეობის შესახებ, მაგრამ, როგორც წესი, ზემოხსენებული მოვლენების კონტექსტში.

ახალი შესაძლებლობები 2011 – მოხალისეობის ევროპულ წელიწადთან ერთად გამოჩნდა. არსებობს 2011 – მოხალისეობის ევროპული წლის საკოორდინაციო უწყების მიერ შემუშავებული მოხალისეობის ეროვნული კამპანია, მომრავლდა სტატიები და ახალი ამბები ამ თემაზე. უფრო მეტიც, 2011 წელი ასევე 2012 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატისათვის ორგანიზებული პროგრამებისათვის მოხალისეთა მოზიდვის დაწყების წელიწადია. ჩემპიონატის დროს ევროპული ფეხბურთის ასოციაციების კავშირისა (UEFA) და მასპინძელი ქალაქების მიერ პოლონეთის მხრიდან 5 ათასზე მეტი მოხალისე იქნება ჩართული საქმიანობაში. ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი მედიის დიდ ყურა-

დღებას იპყრობს და, 2011 – მოხალისეობის ევროპულ წელიწადთან ერთად, იძლევა სამოქალაქო საქმიანობის პოპულარიზაციის შესანიშნავ შესაძლებლობას.

რეკომენდაცია:

- **გამოიყენეთ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი, კულტურული, სპორტული ღონისძიებები მოხალისეობის იდეის პოპულარიზაციისათვის;**
- **ისწავლეთ მოხალისეობის არსის მიწოდების მიმზიდველი ხერხები;**
- **შექმენით მიმზიდველი და განახლებადი შესაბამისობის ელექტრონული სისტემა.**

მოხალისეობაში სამოქალაქო ჩართულობის ყველაზე დიდი ბარიერი, ალბათ, პროფესიონალურ დონეზე შექმნილი, ადვილად საცნობი მონაცემთა ბაზის უქონლობაა, რომელიც შესაბამისობის სისტემის როლში იშუამავლებდა მოხალისეობის შესაძლებლობების მაძიებელ პირთა და ასეთი შეთავაზების მიმწოდებელ ორგანიზაციებს შორის. არსებობს რამდენიმე ინტერნეტ-პორტალი, რომლებიც მოხალისეობის შესახებ ინფორმაციას შეიცავს, თუმცა მათი მასშტაბი ჯერჯერობით საკმაოდ შეზღუდულია – ისინი კვლავინდებურად ფრაგმენტულ სახეს ატარებს და ხშირად მათი განახლება არ წარმოებს.

არსებულ ინტერნეტ-პორტალებს შორის, რომლებიც მოხალისეობის შეთავაზებებს შეიცავს, ყველაზე პოპულარულია:

- ngo.pl ამავდროულად უნიკალური პორტალია განახლებადი მონაცემთა ბაზით, რომელიც მთლიანად მოიცავს პოლონეთის მესამე სექტორს, უკანასკნელ კვლევებსა და იურიდიულ ინფორმაციას; სხვადასხვა საშუალებებს შორის პორტალი სთავაზობს 140 000 არასამთავრობო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზას და მოხალისეთა და ორგანიზაციებს შორის შესაბამისობის ინსტრუმენტის როლს ასრულებს. პორტალს ngo.pl აქვს საკუთარი ვებ-გვერდი: wolontariat.ngo.pl, რომელზეც მოხალისეებს და ორგანიზაციებს გზავნილების განთავსების საშუალება ეძლევათ, თუმცა ის უფრო განცხადებების დაფის პრინციპით მუშაობს, ვიდრე შესაბამისობის პორტალისა, რადგანაც არ გააჩნია ამისათვის საჭირო ყველა კომპიუტერული ფუნქცია;
- v4sport.eu ახალი, კარგად შემუშავებული პლატფორმაა, თუმცა ის მხოლოდ სპორტის სფეროში მოხალისეობას ეძღვნება. ის შეიცავს ინფორმაციას მოხალისეობისა და სპორტის შესახებ, აგებულია კომპიუტერული e-Tool პროგრამის მიხედვით, რომელიც მოხალი-

სეებისა და ორგანიზაციებისთვის მოხალისეობის შესაძლებლობების ძიების, ბლოგის წარმართვის, პროფილების შექმნის და ა.შ. საშუალებას იძლევა;

- wolontariat.org.pl – მას „სიკეთის ყუთს“ უწოდებენ. ეს არის ინტერნეტ-ინსტრუმენტი, რომელსაც ადმინისტრირებას მოხალისეთა ცენტრების ასოციაცია უწევს. ის მოხალისეებს მთელი ქვეყნის მასშტაბით მომსახურების ძიების საშუალებას აძლევს. ორგანიზაციებს შეუძლიათ განცხადებების განთავსება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო სექტორს განსხვავებული მიდგომები აქვს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. არსებობს სექტორსა და სახელმწიფო ადმინისტრაციულ უწყებებს შორის თანამშრომლობის კარგი მაგალითები (მაგალითად, საზოგადოებრივი სარგებლისა და მოხალისეობის შესახებ კანონთან, სტრატეგიებთან, რეკომენდაციებსა და ანგარიშებთან დაკავშირებით). არასამთავრობო ორგანიზაციები სულ უფრო ხშირად მიმართავენ სკოლებს, უნივერსიტეტებს და მათ პროგრამებს, რადგანაც ახალგაზრდები ხშირად არიან მათი პროექტების სამიზნეები. არსებობს შეზღუდული თანამშრომლობა სოციალურად პასუხისმგებელ ბიზნესებს, მოხალისეობის ცენტრებსა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის საინტერესო ბიზნესმოხალისეობის პროგრამების მიზნით, თუმცა ამ სფეროში კვლავინდებურად დიდი პოტენციალი არსებობს.

დაფინანსების შესაძლებლობები

არ არსებობს ხელმისაწვდომი მონაცემები ეროვნული ბიუჯეტიდან მოხალისეობისათვის ყოველწლიურად გამოყოფილი თანხის შესახებ. თუმცა პოლონეთში ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარება იზრდება ბოლო წლების განმავლობაში. 2008 წელს სათემო საბჭოების მიერ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გადარიცხული თანხები 57 პროცენტით აღემატებოდა 2003 წლის იმავე მაჩვენებელს. უფრო ადგილობრივ დონეზე (დასახლებები და ქალაქები) სუბსიდიების ჭარბი უმეტესობა გამოყოფილია სოციალური უზრუნველყოფისათვის. სოფლად ასეთი სახის ფინანსური მხარდაჭერის მთავარი ბენეფიციარები სპორტული კლუბებია, რომლებიც თანხების 38%-ით სარგებლობენ.

უკანასკნელი კვლევის თანახმად, 2006 საბიუჯეტო წელს სათემო საბჭოების 68,4-მა პროცენტმა გამოყო ფინანსური რესურსები არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის.

კლონ/იავორის ასოციაციის 2007 წლის კვლევის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის დაფინანსების წყაროებია: საწევრო გადასახადები, ადგილობრივი მმართველობის წყაროები, შემოწირულობები კერძო პირთაგან, დაწესებულებებისა და კომპანიების შემოწირულობები და სამთავრობო წყაროები.

სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციები (არაკომერციული სექტორი) დაფინანსებულია ძირითადად სახელმწიფო თანხებით (ადგილობრივი მმართველობები, სამთავრობო პროგრამები: მაგალითად, სამოქალაქო ინიციატივების ეროვნული ფონდი – FIO; და ევროპული დაფინანსება: მაგალითად, ევროპის სოციალური ფონდი – ESF). ჩვენ უკვე ვახსენეთ სამოქალაქო ინიციატივების ფონდი (FIO), რომელიც წარმოადგენს შრომისა და სოციალური სტრატეგიის სამინისტროს მიერ მართულ გრძელვადიან სამთავრობო ფონდს. ეს პროგრამა, ისევე როგორც ევროპის სოციალური ფონდის პროგრამა, გრანტის სახით გასცემს დახმარებას და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ პროექტების დაფინანსებისთვის (ინსტიტუციური მხარდაჭერის განაცხადის გარდა) განაცხადების შეტანა.

ევროპის სოციალური ფონდის პროგრამას ახორციელებს ეროვნული საოპერაციო პროგრამა – „ადამიანური კაპიტალი“ (Human Capital), რომელიც არაკომერციულ ორგანიზაციებს აძლევს საშუალებას, წარადგინონ განაცხადი ეროვნულ და რეგიონულ დონეზე დაფინანსებისათვის. ზოგიერთი პრიორიტეტი (როგორებიცაა პრიორიტეტები VI, VII და IX) შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოხალისეობის პირდაპირი მხარდაჭერისა და მისი პროექტებისათვის, ხოლო პრიორიტეტი V – მოხალისეობის ქსელის ინფრასტრუქტურის მხარდასაჭერად.

დაბოლოს, პოლონეთის არასამთავრობო ორგანიზაციები სულ უფრო ხშირად მიმართავენ ევროკავშირის ცენტრალურ დაფინანსებას პროექტების მხარდასაჭერად ისეთი პროგრამების ფარგლებში, როგორებიცაა „აქტიური ახალგაზრდობა“, „სწავლა სიბერემდე“, „კულტურა და ევროპა მოქალაქეთათვის“, რომლებიც მხარს უჭერენ სამოქალაქო პროექტებს.

მოხალისეობის კვლევა და შეფასება

პოლონეთში არ არსებობს მოხალისეობის შესახებ ინფორმაციის შემგროვებელი არც ერთი ცენტრალური უწყება. სამაგიეროდ, არსებობს რამდენიმე არასამთავრობო ცენტრი, რომლებიც ატარებენ მესამე სექტორისა და პოლონეთის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა კვლევას. ესენია:

- კლონ/იავორის ასოციაცია (Stowarzyszenie Klon/Jawor) – პოლონეთის მესამე სექტორის კვლევის, თანამშრომლობის გაძლიერებისა და დისკუსიების წარმართვისათვის აუცილებელი ტექნოლოგიური ინსტრუმენტების შექმნისა და მიწოდების ორგანიზაცია. კლონ/იავორი 10 წლის განმავლობაში აწარმოებს მოხალისეობისა და მესამე სექტორის საკითხების კვლევას. კლონ/იავორს აქვს ინფორმაციის ცენტრი, სადაც ცალკე პირებსა და ორგანიზაციებს მიეწოდებათ კვლევის შედეგები. პოლონეთში ყველაზე ცნობილი არაკომერციული პორტალი www.ngo.pl აგრეთვე ამ ასოციაციას ეკუთვნის;
- საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრი (Centrum Badania Opinii Publicznej CBOS) – სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრი, რომელიც პოლონეთში აწარმოებს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების შესახებ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებს;
- მოხალისეობის ცენტრების ასოციაცია (Stowarzyszenie Centrum Wolontariatu) – ორგანიზაცია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მოხალისეობის თემაზე; მოხალისეთა ცენტრების ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი უწყება, რომელიც აწარმოებს კორპორაციული მოხალისეობის კვლევებს;
- სოციალური ინოვაციისა და კვლევის ჯგუფი „Shipyard“ (Fundacja Pracownia Badań i Innowacji Społecznych “Stocznia“), რომელიც აწარმოებს მოხალისეობის, განათლების, ადგილობრივი განვითარებისა და სამოქალაქო მონაწილეობის საკითხების კვლევასა და ანალიზს და ახორციელებს ინოვაციურ პროექტებს;
- საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ფონდი (Fundacja Instytut Spraw Publicznych ISP) – არასამთავრობო და დამოუკიდებელი კვლევითი და ანალიტიკური ცენტრი, რომელიც ატარებს კვლევასა და ანალიზს და ამზადებს რეკომენდაციებს სახელმწიფო სტრატეგიის ძირეული საკითხების შესახებ.

რაც შეეხება საჯარო ადმინისტრირებას, კერძოდ კი სტატისტიკის ცენტრალურ ოფისს, მას ჯერჯერობით არ ჩაუტარებია მოხალისეობის სისტემატური შეფასება. ჩატარდა რაღაც კვლევა, მაგრამ ის მოხალისე-

ობას შეეხო სხვა ფენომენების შეფასებისას და, შესაბამისად, მოხალისეობის კვლევად ვერ ჩაითვლება. მაგალითად, დროის მართვის კვლევებით შეფასდა მოხალისეობის არსთან ახლოს მდგარი ზოგიერთი, მაგრამ არა ყველა საქმიანობა, რადგანაც კვლევის საგნის სხვადასხვა სპეციფიკურ საქმიანობებში ჩართული იყო საზოგადოებრივი საქმიანობაც. ამასთან ერთად, კვლევაში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ასოციაციები, ფონდები და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციები, დაისვა შეკითხვები მოხალისეთა რაოდენობისა და მათ მიერ გაწეული სამუშაოს/მომსახურების შესახებ, თუმცა ამან შედეგად არ მოგვცა პოლონეთში მოხალისეობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ზოგადი სტატისტიკური სურათი.

2011 წლის დასაწყისში სტატისტიკის ცენტრალურმა ოფისმა მოამზადა გამოკითხვა დასაქმებული ან დასაქმების მაძიებელი პირების არაკომერციული საქმიანობის შესახებ, რომლის ჩატარებაც დაგეგმილია 2011 წლის პირველ კვარტალში. ის ემყარება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას, რომელიც, თავის მხრივ, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის მიერ შექმნილი მოდულის ადაპტაციას წარმოადგენს.[22] დასაქმებული ან დასაქმების მაძიებელი პირების არაკომერციული საქმიანობის კვლევა ჩატარდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შესასწავლად შემთხვევითი წესით შერჩეულ 15 და მეტი წლის ადამიანთა ჯგუფების წარმომადგენლების გამოკითხვის სახით. კვლევაში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 13 000 ადამიანი.

რეკომენდაცია:

მოხალისეობა არის ფართომასშტაბიანი ფენომენი, რომელსაც დიდი საზოგადოებრივი და ეკონომიკური ღირებულება აქვს. სამოქალაქო სექტორი ქმნის ათასობით სამუშაო ადგილს და მოხალისეთა მიერ გაწეულ მომსახურებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მთლიან შიდა პროდუქტში. აქედან გამომდინარე, მოხალისეობის შესახებ მონაცემები და მისი წვლილი რეგულარულად უნდა შეფასდეს სტატისტიკური ოფისების მიერ. ამის მისაღწევად სამოქალაქო სექტორმა მთავრობაზე ზეწოლა უნდა განახორციელოს. მეთოდოლოგიის მოძიება შეიძლება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასა და „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეროვნული ანგარიშების სისტემის არაკომერციული დაწესებულებების სახელმძღვანელოში“ (2003 წელი), რომელშიც მოცემულია ინსტრუმენტები ეროვნული სტატისტიკური ოფისებისათვის, რათა არაკომერციული საქმიანობა შეფასდეს და შეტანილ იქნეს სატელიტურ ანგარიშებში.

22 დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. ჯონს ჰოპკინსის ვებ-გვერდი: http://www.ccss.jhu.edu/index.php?section=content&view=9&sub=12 და მოხალისეობის ევროპული ცენტრის ვებ-გვერდი: http://www.cev.be/113-economic_value_of_volunteering-EN.html

კვლევის შედეგები გამოავლენს:

- მოხალისეობის (რომელიც არაკომერციულ საქმიანობად ითვლება) დონეს ზოგადად მოსახლეობაში და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, ასევე ჯგუფებში განათლების, სქესის, საცხოვრებელი ადგილის და ა.შ. მიხედვით;
- დათმობილი დროის რაოდენობით გამოხატულ მოხალისეობის მასშტაბს;
- მოხალისეობის სტრუქტურას საქმიანობის ბენეფიციარის ტიპის მიხედვით (დაწესებულებები/ორგანიზაციები/თემი/კერძო პირი);
- მოხალისეობის სტრუქტურას შესრულებული საქმიანობის ტიპის მიხედვით;
- მოხალისეობის ღირებულებას პოლონურ ზლოტებში.[23]

იგეგმება ამ კვლევის ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ჩატარება ციკლური ტესტის სახით.

შეიძლება არსებობდეს მრავალი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ იყო მოხალისეობა დღემდე გამოკვლეული სტატისტიკის ცენტრალური ოფისის მიერ. პირველ რიგში, არ იყო ასეთი მოთხოვნა და შეკვეთა სამინისტროების, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც ყოველწლიურად მონაწილეობდნენ სტატისტიკური გამოკითხვის საკონსულტაციო პროგრამაში. მეორე მხრივ, ცენტრალური სტატისტიკური ოფისის ინიციატივებმა ვერ მოიზიდა ასეთი შეთავაზებები არსებული აზრის გამო, რომ მოხალისეობა მცირემასშტაბიანი ფენომენია და მას მცირე ეკონომიკური ღირებულება აქვს. აქედან გამომდინარე, მოხალისეობის შეფასება რენტაბელური არ არის ტესტირების ხარჯებთან შედარებით. დამატებითი შემაფერხებელი ფაქტორები იყო: სხვა ქვეყნების საჯარო სტატისტიკური ოფისების მიერ შესრულებული კვლევის არარსებობა, რაც შედარების საშუალებას მოგვცემდა; ამ მხრივ პოზიტიური საერთაშორისო გამოცდილების გაცვლის სიმწირე და სტატისტიკურ ოფისებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის ამ საკითხთან დაკავშირებით შეზღუდული თანამშრომლობა.

მოხალისეობის მართვის ხარისხის სტანდარტები

მოხალისის მართვას (მენეჯმენტს) ორგანიზაციაში ციკლური ხასიათი აქვს, რომელიც მოცემულ ორგანიზაციაში მოხალისის როლის დაგეგმვით იწყება. შემდეგი საფეხურებია ინფორმირება მოხალისეობის შესაძლე-

22 http://form.stat.gov.pl/sof/BadaniePracyNiezarobkowej.htm

ბლობების შესახებ, მოხალისეთა მოზიდვა, მათი მომზადება და ტრენინგი და, ბოლოს, მომსახურების გაწევის პერიოდში მოხალისეთა მოტივაცია და მხარდაჭერა. ამ ციკლის უკანასკნელი საფეხური უნდა იყოს მოხალისის მიღწევების აღიარება და გაწეული მომსახურების ერთობლივი შეფასება.

სოციალური ინოვაციისა და კვლევის ჯგუფ „Shipyard"-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ პოლონეთის ორგანიზაციები არასათანადოდ მართავენ მოხალისეებს. ორგანიზაციები ხშირად არ იყენებენ მოხალისეების სრულ პოტენციალს და უმარტივეს სამუშაოს ავალებენ მათ. არსებობს ცოდნის სიმწირე მოხალისეების მომზადების, მოტივაციის და შეფასების შესახებ. ამის შედეგად, მოხალისეები ხშირად გულაცრუებულნი რჩებიან და ტოვებენ ორგანიზაციას. შესაბამისად, დიდი რაოდენობით პოტენციალი და რესურსები იკარგება, რადგანაც მოხალისეებს ხშირად უქრებათ მოხალისეობის სურვილი.

ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ მონაწილეობს მოხალისეობაში პოლონელთა ასეთი მცირე რაოდენობა. ბევრ მათგანს სურს მოხალისეობა, მაგრამ ვერ პოულობს მათი ინტერესებისა და უნარ-ჩვევების შესაბამის საინტერესო შესაძლებლობებს. პროგრამების, ღონისძიებებისა და კამპანიების რიცხვი, რომლებიც პოპულარიზაციას უწევენ მოხალისეობას, ყოველწლიურად იზრდება. მოხალისეთა მენეჯმენტის პრაქტიკული წარმართვის ცოდნა კი პროპორციულად არ ვითარდება.

ამავდროულად, კვლევა ცხადყოფს, რომ თუ ორგანიზაცია იცნობს ამ ციკლის მუშაობას, მოხალისეები უფრო ხშირად და დიდი ხნით რჩებიან მოცემულ ორგანიზაციაში. მოხალისეობის მომსახურების მიწოდების შემდეგ ისინი ორგანიზაციის ელჩები ხდებიან. ეს მიუთითებს მოხალისეების მოზიდვის მსურველი ორგანიზაციების მოხალისეობის კოორდინატორის ტრენინგისა და პროფესიონალიზმის მნიშვნელობაზე.

საზოგადოებრივი სარგებლისა და მოხალისეობის საქმიანობის აქტისა და ამ კანონით დადგენილი წესების გარდა, არსებობს ეროვნული მასშტაბის სტანდარტები მოხალისეობის მენეჯმენტისა და მოხალისეობის მიმართ კეთილგანწყობილი ორგანიზაციებისათვის. ამასთან, მოხალისეობის კოორდინატორის ტრენინგ-შესაძლებლობები არ არის საკმარისი ადამიანების იმ რაოდენობისათვის, ვინც მოხალისე ხდება. არსებობს აგრეთვე ხელსაწყოების კომპლექტებისა და სახელმძღვანელოების დიდი რაოდენობა მოხალისეობის მართვის შესახებ, რომლებიც პოლონეთში ორგანიზაციებს სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ – არსებობს ევროპის, ევროპის ახალგაზრდობის დეპარტამენტის საბჭოს, ამერიკის მოხალისეობის ცენტრების ინსტრუმენტების კრებული და მოხალისეობის სახელმძღვანელოები.

მოხალისეობის ცენტრების ასოციაციას აქვს სტანდარტები ახალი ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც სურთ, გახდნენ მოხალისეობის ცენტრები. ეს სტანდარტები აგვარებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მოხალისეობის ცენტრის სამიზნე ჯგუფის რაობა, დახმარების გაწევის გზები, მოხალისეობის ცენტრის მუშაობის სპეციფიკა და მოხალისეობის ცენტრების ქსელში ჩართვის წესები. ეს სტანდარტები განკუთვნილია მოხალისეობის ცენტრებისათვის და არ გამოიყენება არაკომერციული სექტორის შემთხვევაში. უფრო მეტიც, ისინი არ აგვარებს მოხალისეობის მართვის საკითხებს. მოხალისეობის ცენტრები მხარს უჭერენ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს და აწყობენ ტრენინგებს მოხალისეობის კოორდინატორებისათვის და სარეკლამო კამპანიებს მოხალისეობის ღირებულების შესახებ, მაგრამ, როცა საქმე ეხება მოხალისეობის მართვის ტრენინგებს, ისინი არ არის სტანდარტიზებული ყველა არაკომერციული ორგანიზაციისათვის.

აქედან გამომდინარე, სოციალური ინოვაციისა და კვლევის ჯგუფი „Shipyard“ თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან პოლონეთის მასშტაბით, რათა ზემოხსენებული ციკლის საფუძველზე ჩამოყალიბდეს წესები და კრიტერიუმები მოხალისეობის მიმართ კეთილგანწყობილი ორგანიზაციებისათვის/დაწესებულებებისათვის. მიზანს კარგი პრაქტიკის დანერგვა და მოხალისეობის მართვის შესახებ ინსტრუმენტების კომპლექტის მომზადება წარმოადგენს.

არსებობს ასევე ახალი იდეა იმ ორგანიზაციების სერტიფიცირების შესახებ, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში იყენებენ მოხალისეობას. მოხალისეობის ცენტრების ასოციაციას უკვე აქვს სტანდარტები მოხალისეობის მიმართ კეთილგანწყობილი ორგანიზაციებისათვის, მაგრამ ის სერტიფიკატს გადასცემს ნდობის საფუძველზე, ანუ, თუ ორგანიზაცია განაცხადებს, რომ დადგენილ კრიტერიუმებს შეესაბამება. ახალი მიდგომა მდგომარეობს სერტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბებაში, რომელიც დაფუძნებული იქნება აუდიტზე, მონიტორინგსა და დამოწმებაზე.

3. შეჯამება: დასკვნები და რჩევები საქართველოსთვის

ძველი იგავი მოგვითხრობს: მამამ მოუხმო შვიდ ზრდასრულ შვილს. აიღო შვიდი ისარი, შეკრა ისინი და შვილებს მათი გადატეხა სთხოვა. ვერც ერთმა ვერ შეძლო ამის გაკეთება. ამის შემდეგ მამამ ცალ-ცალკე გადატეხა შვიდივე ისარი და შვილებს უთხრა: „აი, ცალკე ისრის გა-

დატეხვა ადვილია, კონად შეკრული ისრებისა კი – ძნელი“, ბოლოს კი დაამატა: „თქვენც ასე უნდა იყოთ – სანამ ერთად ხართ, ვერავინ მოგერევათ. ცალ-ცალკე კი სუსტები იქნებით“.

ეს იგავი აქ ორი მიზეზით არის მოტანილი:

- იმისათვის, რომ ხაზი გაესვას მოხალისეობის, როგორც პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ადამიანების, მათ შორის ერთიანობისა და ნდობის ჩამოყალიბების ინსტრუმენტის, უსაზღვრო მნიშვნელობას;
- იმისათვის, რომ ხაზი გაესვას ერთობლივი აქციების, ქსელების ჩამოყალიბების, კარგი პრაქტიკის გაზიარებისა და ერთმანეთის მაგალითით სწავლის ღირებულებას ყველა ქვეყანაში სამოქალაქო საქმიანობისა და სამოქალაქო სექტორის წარმატებული განვითარებისათვის.

ასე რომ, ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაციებია:

განავითარეთ მოხალისეობის ცნობადობა და მის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება

მოხალისეობის კულტურისა და სამოქალაქო სექტორის ჩამოყალიბება უნდა იყოს ერთობლივი პროცესი. თავიდანვე უნდა იყოს ჩართული ყველა სექტორი – სახელმწიფო, არასამთავრობო, კერძო და საგანმანათლებლო; ყველა დონეზე – ეროვნულ, რეგიონულ, ადგილობრივ და სათემო (სამეზობლო), ისევე როგორც ევროპულ დონეზე; ყველა თაობა – ბავშვები, მშობლები და ბებია-ბაბუები. ეს არა მხოლოდ გაზრდის მოხალისეობის შესახებ ცნობიერებას, არამედ გააფართოებს კულტურათა და თაობათა შორის დიალოგს. პროექტების სიცოცხლისუნარიანობა მხოლოდ ყველა დაინტერესებული მხარის თანამონაწილეობის გზით შეიძლება იქნეს მიღწეული.

პირველ რიგში, უნდა არსებობდეს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული და უფრო მიმზიდველი სარეკლამო კამპანიები, რომელთა სამიზნეები სხვადასხვა ასაკისა და წარმომავლობის/კუთვნილების მოხალისეები იქნებიან. მედიამ მხარი უნდა დაუჭიროს ამ ძალისხმევას და მოხალისეთა შესახებ სტატიები/სიუჟეტები უნდა გახდეს ყოველდღიური ახალი ამბების ნაწილი. ამასთან, სამოქალაქო სექტორმა უნდა ისწავლოს მედიის ყურადღების მიპყრობის გზები, როგორ წარადგინოს მოხალისეობა და გაუწიოს პოპულარიზაცია საზოგადოებაში სამოქალაქო საქმიანობებს.

მეორე: მთავრობამ და ადგილობრივმა მმართველობებმა მხარი უნდა

დაუჭირონ სკოლებში სამოქალაქო საქმიანობების განვითარებას. სკოლებში მოხალისეთა კლუბების ქსელის გაფართოება და ხელშეწყობა სასარგებლო იქნებოდა ადგილობრივ თემებში ახალგაზრდების ჩართულობისა და მათი მოხალისეობის იდეასთან გაცნობის თვალსაზრისით.

ამასთან, სტატისტიკის ეროვნულმა ოფისმა უნდა დააკვალიანოს და მხარი დაუჭიროს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს მოხალისეობის სოციალური და ეკონომიკური ღირებულების შესახებ რეგულარული კვლევების ჩატარებაში. სოციალური კაპიტალის, დასაქმებულობის, ახალი უნარების და კვალიფიკაციის შეძენისა და შიდა ეროვნული პროდუქტის გაძლიერებაში მოხალისეობის წვლილი ფართოდ უნდა იყოს აღიარებული საზოგადოებასა და პოლიტიკოსთა შორის.

სამოქალაქო სექტორის საჭიროებები ქსელებისა და ადვოკატირების თვალსაზრისით

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ მოხალისეობის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლება მოხალისეობის ცენტრებისა და მოხალისეობის მხარდამჭერი ორგანიზაციების ქსელების და მათი საქმიანობის ადვოკატირების სისუსტეა. შეუძლებელია მოხალისეობის ინფრასტრუქტურის გაძლიერება ორგანიზაციებს შორის კარგი პრაქტიკის გაცვლისა და ურთიერთდახმარების გარეშე. ბოლო ოცმა წელიწადმა ცხადყო, რომ, მართალია,პოლონეთში მრავალი სამოქალაქო ორგანიზაცია არსებობს, მაგრამ ისინი კარგად არ არიან გათვითცნობიერებულნი ახალი მედიის რეალობაში, საზოგადოებისათვის განკუთვნილი მათი შეთავაზება „მოძველებულია“, მათ არ იციან, როგორი მიდგომაა საჭირო სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისადმი, ისინი არ იყენებენ თავიანთ პოტენციალს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ისინი არ არიან ყოველთვის მზად, მიიღონ და შეინარჩუნონ მოხალისეები პროფესიონალურ დონეზე.

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კულტურის სათემო ცენტრები, რომლებიც კვლავინდებურად დრომოჭმული და მოძველებული ორგანიზაციებია და რომლებიც ადვილად შეიძლება გარდაიქმნას მოხალისეობის ინფრასტრუქტურის ნაწილად. კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მოხალისეობისათვის სივრცის შექმნა, არის სამთავრობო პროგრამა „ჩემი სპორტული მოედანი“ – „ორლიკ 2012“ (My Sports Field – ORLIK 2012), რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ითვალისწინებს თითოეული თემისათვის, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, უფასო სპორტული მოედნების კომპლექსების მშენებლობას,

რომლებშიც ასევე განთავსებული იქნება გასახდელები და საზოგადოებრივი ობიექტები. 2010 წლის ბოლოსთვის პოლონეთში 1300 ასეთი სპორტული მოედანი აშენდა, მაგრამ „ორლიკ 2012“ არ არის მოხალისეობის ან სათემო ცენტრი. ნათელია, რომ ასეთი ინფრასტრუქტურით ის სპორტის სფეროში მოხალისეობის განვითარების ობიექტი შეიძლება ყოფილიყო.

სამოქალაქო ორგანიზაციებმა უნდა ჩამოაყალიბონ ქსელები, რათა ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, განახორციელონ ინოვაციური იდეები და ადვოკატირება გაუწიონ თავიანთ საჭიროებებს ცენტრალური და რეგიონული სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე. პროფესიონალურ და გამჭვირვალე ორგანიზაციებს ბიზნესების უფრო დიდი რაოდენობის მოზიდვა შეუძლიათ. პოლონეთის სამოქალაქო ორგანიზაციები უფრო აქტიურად უნდა იღებდნენ მონაწილეობას ევროპულ ქსელებში, ხოლო მთავრობამ შეძლებისდაგვარად მხარი უნდა დაუჭიროს ქსელების და ამხანაგობების შექმნას ევროპულ, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.

ძალისხმევების სიცოცხლისუნარიანობის მიღწევა მხოლოდ ყველა სექტორსა და დაინტერესებულ მხარეს: სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობით არის შესაძლებელი. საგანმანათლებლო სექტორმაც მხარი უნდა დაუჭიროს ამ თანამშრომლობას სამოქალაქო საზოგადოების საკითხების შესახებ პოლიტიკურად ნეიტრალური ექსპერტიზისა და პროფესიონალური კვლევის მიწოდების გზით.

ინვესტირება ინფრასტრუქტურასა და ე.წ ტრენერთა ტრენერებში

იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს სამოქალაქო სექტორი, საჭიროა ინვესტიციების ჩადება მოხალისეობის ინფრასტრუქტურაში. მოამზადეთ ტრენერთა ტრენერები და სათემო ლიდერები. უზრუნველყავით მათი მდგრადობა.

პროფესიად აქციეთ მოხალისეობის მართვა (მენეჯმენტი) და შექმენით მისი ხარისხის სტანდარტები

საჭიროა სტანდარტების შექმნა ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში იყენებენ მოხალისეებს. ამის მისაღწევად, უნდა არსებობდეს ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამები მოხალისეობის კოორდინატორებისათვის. უნდა არსებობდეს მოხერხებული და ადვილი ინსტრუმენტების კომპლექტი, რომელშიც მოცემული იქნება მითითებები იმის შესახებ, თუ

როგორ უნდა წარიმართოს მოხალისეებთან მუშაობა, როგორ უნდა შენარჩუნოთ მათი მოტივაცია, როგორ მოვიზიდოთ ახალი მოხალისეები და როგორ ვიმუშაოთ მათთან მას შემდეგ, რაც ისინი მოხალისის მოვალეობას შეასრულებენ. ეს სტანდარტები დაცული უნდა იყოს და მათი დახმარებით მოხალისეობის მართვის ხარისხს მეთვალყურეობა შეიძლება გაეწიოს მოხალისეობის ცენტრებისა და მოხალისეობის სხვადასხვა ორგანიზაციების ქსელების მიერ.

მოიპოვეთ საზოგადოებრივი მხარდაჭერა

თვითმმართველობის ადგილობრივმა სტრუქტურებმა უფრო აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი ადგილობრივი მოხალისეების ინფრასტრუქტურას და მოხალისეობას ზოგადად, რადგანაც ის ადგილობრივ თემში ამდიდრებს „სოციალურ კაპიტალს“ (ურთიერთობა საზოგადოებრივი ერთეულის შიგნით და მისი ურთიერთობა სხვა საზოგადოებრივ ერთეულებთან). ორმხრივი თანამშრომლობა ადგილობრივ დონეზე უნდა შედგეს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამონაწილეობით, რომლებმაც ზუსტად იციან ადგილობრივი საჭიროებები. მოხალისეობის სექტორი იმდენად ძლიერი უნდა იყოს, რომ ტვირთად კი არ უნდა დააწვეს მთავრობას, არამედ გამოვიდეს თანასწორი პარტნიორის როლში და საჭიროებისამებრ ზეწოლაც განახორციელოს.

იყავით ევროპელები

არ არის საჭირო „ამერიკის ხელახლა აღმოჩენა“. სხვა ქვეყნების ორგანიზაციების გამოცდილების გაცნობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

იქონიეთ მოთმინება!

ლორდი დარენდორფი ამბობს, რომ პოლიტიკური სისტემის შეცვლა 6 თვეში შეიძლება, ეკონომიკური სისტემისა – 6 თვეში, საზოგადოებრივი სისტემის შეცვლას კი 60 წელი სჭირდება. საზოგადოებრივი ცვლილებები ერთ დღეში არ ხდება. იყავით შეუპოვარნი!

გამოყენებული მასალები: პუბლიკაციები, წყაროები, კვლევები

1. CBOS. (1998-2006). Report on Research: The State of Civil Society in the Years 1998-2006.
2. Centrum Wolontariatu. (2008). I ogólnopolskie badania wolontariatu pracowniczego. http://www.wolontariatpracowniczy.pl/var/resources/fi les/File/BADANIA_www.pdf
3. Civic Initiatives Fund. Retrieved from: http://www.pozytek.gov.pl/What,is,FIO,581.html
4. Czapiński, J., Panek, T. (2007/2009), Diagnoza Społeczna 2007, 2009. Warunki i jakośćżycia Polaków. (The Social Diagnosis 2007. Conditions and Quality of Life of Poles).
5. Dekker, P. Voluntary Associations, Volunteering and the Ideals of Civil Society. http://www.grupcies.com/boletin/images/stories/PDFBoletin/ArticuloI_Edic_59.pdf
6. Department of Public Benefit. (2003). Act of Law on Public Benefit t Activity and Volunteerism. http://www.pozytek.gov.pl/Law,534.html
7. Directorate General Education and Culture. GHK report. (2010). Volunteering in the European Union.
8. Kosiedowska, E., Braun, K., Wnuk, J., Misztela M., Association Volunteer Centre (2006). Wolontariat w Szkole. Organizacja i prowadzenie szkolnego klubu wolontariusza. http://www.ngo.pl/files/biblioteka.ngo.pl/public/ksiazki/wolontariat/Wolontariat_w_szkole.pdf
9. European School Clubs. Retrieved from: http://www.schuman.org.pl/index.php?option=com_content&view=article&id=208&Itemid=114
10. GUS. (2009) Sektor non-profi t w Polsce. Wyniki badań statystycznych zrealizowanychprzez GUS na formularzach SOF.
11. GUS. (2011). Badanie pracy niezarobkowej poza gospodarstwem domowym. http://form.stat.gov.pl/sof/BadaniePracyNiezarobkowej.htm
12. Herbst, J. (2008). Współpraca organizacji pozarządowych i administracji publicznej w Polsce 2008 (NGO and Public Administration Cooperation in Poland 2008)
13. Klon/Jawor Association, Volunteering, Philanthropy and 1%, Reports 2003-2010, http://civicpedia.ngo.pl/x/322225;jsessionid=BC235C1B9D01C81B382178803F0A7F17
14. Nałęcz, S. (2008). Sektor non-profit, in: Gospodarka społeczna w Polsce. Wyniki badań 2005-2007.
15. National Agency, Foundation for the Development of the Education System. (2010). Youth in Action Programme, Report for Poland 2009. Warsaw. http://www.youth.org.pl/s/p/artykuly/7/7/Raport_MwD_2009_net.pdf

16. Orliki Project. http://msport.gov.pl/en/my-sports-fi eld-orlik-2012
17. Polish Eurydice Unit, Foundation for the Development of the Education System, (2010). The System of Education in Poland. http://www.eurydice.org.pl/fi les/the_system_2010.pdf
18. Pietrowski, D., Skiba, R. (2010). Jak zgodnie z prawem współpracować z wolontariuszem? http://www.wolontariat.org.pl/repository/Publikacje/Teksty/JakZgodnieZprawem.pdf
19. Volunteer Center Network. http://www.wolontariat.org.pl/

საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები საქართველოში

მაია მესხი
„ფონდი – ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ მთავარი იურისტი

საქართველოში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური სტაბილურობის პრობლემა მათი ინსტიტუციონალური განვითარების ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ბარიერს წარმოადგენს. სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების განვითარების დონის ინდიკატორი სწორედ მისი ფინანსური რესურსია. მიუხედავად იმისა, რომ ქართული არასამეწარმეო ორგანიზაციების გარკვეულ ნაწილს გარკვეულ ეტაპზე დაფინანსების საკუთარი წყაროები აქვს, ამ შემოსავლებით მათი ბიუჯეტის სერიოზული ნაწილის ფორმირება არ ხდება.

არასამთავრობო სექტორი იმ სახით, როგორითაც იგი ფუნქციონირებს 90-იანი წლების შუახანებიდან დღემდე, დასავლური დონორების დახმარებით ჩამოყალიბდა. რადგან დაფინანსების საკუთარი წყაროები არ გააჩნია, არასამეწარმეო ორგანიზაციათა უმრავლესობა დღესაც მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული დაფინანსების მოზიდულ წყაროებზე. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი რესურსი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა – საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდი ნაწილი

შემოსავლის 50-დან 100%-მდე უცხოური დონორების მიერ გაცემული გრანტებით ფინანსდება. ალტერნატიული წყაროები ბიზნესიდან და ხელისუფლებიდან, სამწუხაროდ, მნიშნელოვან როლს არასამეწარმეო ორგანიზაციების დაფინანსებაში ჯერ კიდევ ვერ ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბიზნესის მიერ განხორციელებული ქველმოქმედების სტატისტიკური მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ბიზნესის ურთიერთობა მცირე ინტენსივობით ხასიათდება და ნაკლებად ინსტიტუციონირებულია. რაც შეეხება ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანამშრომლობასა და მათი სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმებს, სწორედ ეს საკითხები წარმოადგენს წინამდებარე სტატიის განხილვის საგანს.

ხავერდოვანი რევოლუციის შემდგომ, ახალი სოციალურ-პოლიტიკური გარემო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან სამოქმედო პრიორიტეტების გადასინჯვას მოითხოვდა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა წარმომადგენლები 2005 წელს სტრატეგიის განაცხადზე მუშაობისას სექტორის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს სტრატეგიულ ამოცანად გრძელვადიან პერსპექტივაში მიიჩნევდნენ ფინანსური მდგრადობის მექანიზმების მიღწევას. ფინანსურ რესურსებზე მეტ ორიენტაციას მნიშვნელობა არა მხოლოდ ორგანიზაციათა შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველსაყოფად ენიჭებოდა, არამედ სექტორის საკუთარ საზოგადოებასთან კავშირის განსამტკიცებლად, მისი შიდა ლეგიტიმურობის განსამტკიცებლად. ამ მიზნით, სახელმწიფოსთან თანამშრომლობით, საჭიროდ მიიჩნეოდა დიალოგის განახლება ხელისუფლებასთან სამოქალაქო საზოგადოების მხარდამჭერი სახელმწიფო ფონდის შექმნის თაობაზე, ასევე ორგანიზაციებს აქტიურად უნდა შეეთავაზებინათ სახელისუფლებო ორგანოებისათვის თავიანთი მომსახურება კონკრეტული სოციალური თუ კონცეპტუალური საკითხების გადაწყვეტის სფეროში. იმ დროისათვის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი იყო ხელმისაწვდომი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული გრანტების სახით, თუმცა, ამისდა მიუხედავად, სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმების არარსებობა ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის ხელშემშლელ ფაქტორად მიიჩნეოდა.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ 2010 წელს განხორციელებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების დინამიკისა და ტენდენციების ანგარიშის მიხედვით, დღეს მდგომარეობა უმნიშვნელოდ შეცვლილია – საზო-

გადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების წყაროების მონაცემები ადასტურებს, რომ მცირედით გაიზარდა ხელისუფლების მიერ პროექტების დაფინანსების მაჩვენებელი და შედარებით გაზრდილია სახელმწიფოს შეკვეთები/გრანტები. 2005 წელთან შედარებით მომატებულია იმ ორგანიზაციათა წილი, რომლებმაც ბოლო 2 წლის განმავლობაში სახელმწიფო შეკვეთა ან გრანტი მიიღეს. თუმცა, ამავე ორგანიზაციების წლიურ ბიუჯეტში დაფინანსების ამ წყაროს მოცულობა, როგორც წესი, 30%-ს არ აღემატება. თუკი 2005 წელს სახელმწიფო შეკვეთების/გრანტების მოცულობა ასეთი დაფინანსების მიმღები საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბიუჯეტის 14,1%-ს შეადგენდა, 2010 წლისათვის ეს მაჩვენებელი 22.1%-მდე გაიზარდა.

ცნობილია, რომ სახელმწიფო, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შემოსავლების ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინება. მექანიზმები, რასაც სახელმწიფოები იყენებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დასაფინანსებლად, შემდეგია: სახელმწიფოს მიერ გაცემული გრანტები და სუბსიდიები, ერთპროცენტიანი მოდელი (როცა სახელმწიფო უარს ამბობს საბიუჯეტო შემოსავლების გარკვეულ ნაწილზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების სასარგებლოდ) და მომსახურების შესყიდვა. სახელმწიფო საზოგადოებრივ სექტორს შეიძლება აფინანსებდეს როგორც პირდაპირ (განახორციელოს გრანტების გაცემა და მომსახურების შესყიდვა), ასევე არაპირდაპირ (მოახდინოს ფონდების აკუმულირება საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ასევე საკანონმდებლო დონეზე დაამკვიდროს ზემოხსენებული ერთპროცენტიანი მოდელი). მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების ცალკეული შემთხვევების მატებისა, მნიშვნელოვანი პროგრესი ქვეყნის კანონმდებლობაში ხსენებული მექანიზმების განსამტკიცებლად არ გადადგმულა – საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დაფინანსების ზოგიერთი მოდელი ჯერ კიდევ უმნიშვნელოა, ხოლო ზოგიერთი – საერთოდაც უცნობია ქართული საკანონმდებლო სივრცისათვის. მაგალითად, დაფინანსების ერთპროცენტიანი მოდელის საკანონმდებლო მოწესრიგების საკითხი არასოდეს გამხდარა სერიოზული განსჯის საგანი და არც რაიმე მსჯელობა ყოფილა პოლიტიკურ თუ სამოქალაქო საზოგადოებაში.

სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების მოცულობა სუსტად შეიძლება ჩავთვალოთ პრაქტიკაშიც. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ 2007 წელს ჩატარებული კვლევის ანგარიშში მითითებულია, რომ ზრუნვაზე ორიენტირებულ,

ე.წ. ველფეარ ორგანიზაციებშიც კი, რომელთა სერვისები სახელმწიფოსათვის ძალიან მნიშვნელოვანია, სახელმწიფო დაფინანსების წილი ძალიან დაბალია. მათ მიერ გამოკითხული ორგანიზაციებიდან მხოლოდ სამი მიუთითებდა, რომ ჰქონია სახელმწიფო სუბსიდია, ხოლო 13 ორგანიზაცია ამბობდა, რომ მიუღია მეტ-ნაკლებად ხელშესახები შემოსავალი სახელმწიფო შესყიდვებით. გამოკითხულ ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებში სახელმწიფო დაფინანსებით განხორციელებული პროექტების განაწილება სახელმწიფო სტრუქტურების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

- საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი – 18.4%
- ადგილობრივი თვითმმართველობა – 36.8%
- საქართველოს სოციალური დაცვისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო – 31,6%
- განათლების სამინისტრო – 2.6%
- ჯანდაცვის სამინისტრო (ჯანდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი) – 10.5%

როგორც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშშია მითითებული, გამოკითხული ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის ეფექტური მექანიზმი. სახელმწიფო ჯერ კიდევ არ ენდობა სერვის-პროვაიდერებს, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, ადრეულ წლებში ველფეარ ორგანიზაციებისათვის საგადასახადო შეღავათების უკუეფექტით სახელმწიფოს საზიანოდ (სახელმწიფო ჩინოვნიკები კორუფციულ გარიგებებში შედიოდნენ ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და ხდებოდა დიდი რაოდენობით თანხების არამიზნობრივი ხარჯვა), ხოლო მეორე მხრივ იმით, რომ სახელმწიფოს არა აქვს ბოლომდე გაცნობიერებული აუტსორსინგის ეფექტურობა და არა აქვს მოფიქრებული ადეკვატური მექანიზმები, რომლებითაც დარეგულირდება ურთიერთობა სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის.

მოკლედ მიმოვიხილოთ მსოფლიო პრაქტიკაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების თანამედროვე მოდელების გამოყენება საქართველოში.

სახელმწიფო შესყიდვა

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის საკანონმდებლო რეგულირება და შესყიდვების პროცედურების რეგლამენტაცია 1998 წლიდან იწყება – როდესაც ქვეყანამ მიიღო კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, ხოლო 1999 წლის ივლისიდან ფუნქციონირება დაიწყო სახელმწიფო შესყიდვების სისტემამ, როდესაც მიღებული კანონი ძალაში შევიდა. ამ დროიდან დღემდე სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში არაერთი ცვლილება შევიდა.

კანონი მოიცავს და არეგულირებს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგადსამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს. ამდენად, სახელმწიფოს მიერ საქონლის და სერვისების შეძენა სწორედ ამ კანონის საფუძველზე ხორციელდება და სწორედ მისი წესები გამოიყენება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვისას, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა. მოქმედი კანონის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა არის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სახელმწიფო ბიუჯეტში კონსოლიდირებული სახსრებით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრებით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით, სახელმწიფო გარანტიით მიღებული საკრედიტო და საინვესტიციო სახსრებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა) სახსრებით, ასევე იმ საწარმოს სახსრებით, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევისა.

კანონის მიხედვით, შესყიდვების პროცედურაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ პირს, ხოლო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მიზნებისათვის ტერმინი „პირი“ გულისხმობს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან საქართველოს კანონმდებლობით ან შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს. როგორც ვხედავთ, კანონი უშვებს შესყიდვების პროცესში არაკომერციული ორგანიზაციების მონაწილეობის შესაძლებლობას. ბუნებრივია, არაკომერციული ორგანიზაციების მონაწილეობისათვის ხელის შეშლად არ შეიძლება განხილულ იქნეს ის

ნორმა კანონმდებლობაში, რომელიც შემსყიდველ ორგანიზაციას ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის საშუალებას აძლევს, თავად დაადგინოს მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეიძლება დაწესებულ იქნეს პრეტენდენტთა პროფესიონალური და ტექნიკური კვალიფიკაციის, ფინანსური რესურსის, გამოცდილებისა და რეპუტაციის, ტექნიკური აღჭურვილობის და სხვა მატერიალური შესაძლებლობების, ასევე იმ საკითხების მიმართ, რომელიც ეხება მათი საქმიანობის სამართლებრივ მხარეს. როგორც ვხედავთ, კანონი იცავს სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიან და არადისკრიმინაციულ მიდგომას.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ კვლევაში გამოკითხული ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი ნაკლებად არის მორგებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების სპეციფიკას და შესყიდვების მექანიზმი არაეფექტურია. ამის მიზეზად ისინი ასახელებენ: კანონის მოუქნელობას არასამეწარმეო ორგანიზაციების მიმართ, დაბეგვრის რეჟიმს, რომელშიც ისინი ექცევიან შესყიდვებში მონაწილეობის გამო, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების სირთულეს, ტენდერის პროცედურების გაუმართაობას. გამოკითხული ორგანიზაციების 25,4%-ს მიღებული აქვს მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში. ორგანიზაციათა სხვადასხვა ნაწილი შესყიდვების პროცესში მონაწილეობას სხვადასხვაგვარად აფასებს: გამოკითხული ორგანიზაციების 35% პროცესს აფასებს, როგორც ძალიან რთულს; ორგანიზაციების 25% – უფრო რთულს; ორგანიზაციების 25% – უფრო ადვილს; ორგანიზაციების 15% – ძალიან ადვილს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესყიდვების განხორციელების პროცედურები და წაყენებული მოთხოვნებიც ერთგვაროვანია მასში მონაწილე ყველა სუბიექტისათვის, ამდენად, მხოლოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის მათი გამარტივება პრაქტიკულად განუხორციელებელ ამოცანად შეიძლება ჩავთვალოთ.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი კვლევის ანგარიშში აღნიშნავს, რომ მიუხედავად გამოკითხვის შედეგებისა, ისინი არ ფიქრობენ, რომ შესყიდვების შესახებ კანონის ამა თუ იმ ხარისხით რევიზია ის ალტერნატივაა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების ეფექტური მექანიზმის შექმნას. მათი მოსაზრებით, საქართველოში არსებული ულტრალიბერალური პოლიტიკური განწყობების პირობებში მსგავსი ცვლილებების ლობი-

რების შესაძლებლობა პრაქტიკულად ნულის ტოლია და ამ მხრივ მიმართული ყველა სახის რესურსი ფუჭად დაიხარჯება. გარდა ამისა, კანონის მორგება არასამეწარმეო ორგანიზაციებზე გამოიწვევს მის არსებით რევიზიას, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ბიზნესორგანიზაციებზე და გარკვეულწილად გამოიწვიოს არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და ბაზრის დამახინჯება. ამდენად, გამოსავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების სხვა მოდელში უნდა ვეძებოთ. რაც შეეხება შესყიდვების კანონს, იგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც ერთ-ერთი საშუალება არასამეწარმეო ორგანიზაციებისათვის, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში ბიზნესორგანიზაციებთან თანაბარ პირობებში. როგორც ვხედავთ, მოქმედი კანონი არასამეწარმეო ორგანიზაციებს ამ შესაძლებლობას არ უზღუდავს.

„ბავშვი და გარემო“ ერთ-ერთი იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციათაგანია, რომელსაც აქვს ამ ტიპის სახელმწიფო დაფინანსების მიღებისა და მართვის გამოცდილება. ორგანიზაცია მიზნად ისახავს, მრავალმხრივი დახმარება გაუწიოს უკიდურესად ხელმოკლე, ობოლ, უნარშეზღუდულ, დევნილ და ქუჩის ბავშვებს, ხელი შეუწყოს მათი განათლების დონის ამაღლებას, მათ შემოქმედებით საქმიანობას და ინტეგრაციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მიზნით ორგანიზაცია მუშაობს ქუჩის ბავშვების პრობლემებზე და მათ ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციაზე, მათი განათლების ამაღლებაზე, უნარშეზღუდულ ბავშვთა ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციაზე, უწევს მათ ფიზიკურ და სულიერ დახმარებას. ორგანიზაციას, 15 წელია, სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის ბავშვთა ცენტრები აქვს თბილისში, რუსთავში, ჭიათურაში, წყალტუბოში, მარნეულსა და ლანჩხუთში. 2004-2010 წლებში ცენტრები USAID-ის ფინანსური დახმარებით ფუნქციონირებდა, თუმცა მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელი იყო, სახელმწიფოს თავის თავზე აეღო ცენტრების დაფინანსება. სახელმწიფო ამ ცენტრების დაფინანსებაში 2007 წლიდან ჩაერთო და დღეს 5 მათგანი მთლიანად სახელმწიფო დაფინანსებით არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დაფინანსების წილი „ბავშვის და გარემოს“ მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით მესამედს შეადგენს, როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქალბატონი ნანა იაშვილი აღნიშნავს, სოციალური პროგრამები, რომლებსაც სახელმწიფო აფინანსებს, სტაბილურობის შეგრძნებას იძლევა და მეტად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ თავის თავზე აიღო გაჭირვებული და მიუსაფარი ბავშვების ცენტრების დაფინანსება.

ქალბატონი ნანა აღნიშნავს, რომ მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, სახელმწიფო ამ სახის სერვისს ტენდერის გზით შეიძენს თუ გრანტის სახით დააფინანსებს, მნიშვნელოვანია, რომ დაფინანსება იყოს მეტი; ამ სოციალური პროგრამებით ბავშვზე 15 ლარია გამოყოფილი, რაც ვერ ფარავს სკოლამდელი და ასევე სხვა ასაკის ბავშვთა პრობლემების მოგვარებას (კვება, სასწავლო წიგნები, ტანსაცმელი...). შედარებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ USAID-ის დაფინანსების დროს თანხები ამგვარად შეზღუდული არ იყო და ეს ორგანიზაციას მეტ მოქნილობას ანიჭებდა ბავშვებისათვის სხვადასხვა საჭიროებების უზრუნველსაყოფად. სხვა მხრივ, როგორც ქალბატონი ნანა აღნიშნავს, ტენდერში მონაწილეობა მათთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს, არც სატენდერო დოკუმენტაცია და პროცედურებია მათთვის რთული.

სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობასთან დაკავშირებით ქალბატონი ნანა აღნიშნავს, რომ ორგანიზაციებს, დიდი ხანია, აქვთ მცდელობა, დაარწმუნონ სახელმწიფო თანამშრომლობის საჭიროებაში, თუმცა ამ ორ სექტორს შორის გარკვეული უნდობლობა არსებობდა. მისი აზრით, რეალურად სახელმწიფოს ამ სერვისის შესყიდვა სჭირდება, და იმ გარემოებამ, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები სახელმწიფოს ხარისხიან მომსახურებას აწვდიან, განაპირობა ამ ორ სექტორს შორის თანამშრომლობის დაწყება. მართალია, დღეს თანამშრომლობა სახელმწიფოსთან არ არის ინსტიტუციონალიზებული, მაგრამ, როდესაც ამა თუ იმ უწყებაში კონსულტაცია სჭირდებათ ან მუშავდება დოკუმენტი, რომლის თემატიკაც მათი მუშაობის სფეროს შეადგენს, ყოველთვის მონაწილეობენ.

სახელმწიფო გრანტი

საქართველოში გრანტის გაცემის, მიღებისა და გამოყენების საერთო პრინციპებს არეგულირებს საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“. კანონის შესაბამისად, გრანტის გაცემა გათვალისწინებულია საერთაშორისო საქველმოქმედო, ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ადგილობრივი არასამეწარმეო იურიდიული პირისა და მთავრობის მიერ განსაზღვრული იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომლის წესდების/დებულების მიზანია სამეცნიერო გრანტების გაცემა. კანონითვე დადგენილია, რომ ფულადი სახსრები მხოლოდ მაშინ ჩაითვლება გრანტად, თუკი იგი გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელო-

ბის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის. რამდენადაც კანონი ითვალისწინებს გრანტის გამცემთა ამომწურავ ჩამონათვალს, სახელმწიფოს, მის ორგანოებს, თვითმმართველობის ორგანოებს გრანტის გაცემის შესაძლებლობა არა აქვთ. ეს კი, მარტივად იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს, საერთაშორისო და არასამეწარმეო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, არ შეუძლია დააფინანსოს ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელება.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ხსენებულისა, სახელმწიფო უკანასკნელ წლებში აფინანსებს იმ სფეროებს, რომლებიც განსაზღვრულ დროს მას პრიორიტეტად მიაჩნია და რომლებიც საჯარო ინტერესების სფეროს განეკუთვნება. ამ მიმართულებით ხაზი უნდა გაესვას განათლებისა და მეცნიერების სფეროს, სადაც კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანისა და ახალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღების გზით შემოღებულ იქნა განათლების სფეროს სახელმწიფო გრანტით დაფინანსების მექანიზმი. საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რამდენიმე მათგანი, კერძოდ: „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებებით, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილებათაგან ერთ-ერთს შეადგენს გრანტებისა და სტიპენდიების დაწესება განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა წახალისების მიზნით. ასევე „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით გათვალისწინებულია სახელმწიფო სასწავლო გრანტების, სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტებისა და სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი გრანტების გაცემა. და ასევე, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ კანონში 2005 წლის 23 დეკემბერს შეტანილი ცვლილებებით, საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებას როგორც საბიუჯეტო, ასევე სახელმწიფო საგრანტო დაფინანსებისა და არაპირდაპირი სტიმულირების გზით.

აღსანიშნავია ასევე რამდენიმე ნორმატიული აქტი, რომლებიც ექსკლუზიურად ქმნიდა საფუძველს სახელმწიფოს მიერ გრანტის გასაცემად. ასეთებად შეიძლება მივიჩნიოთ:

- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 7 ივნისის №463 ბრძანებულება საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ირმის ნახტომის“ შექმნის შესახებ, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სისტემაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის მიზნითა და ფონდის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში, ღია კონკურსის საფუძველზე გასცემდა გრანტებს;
- საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 26 მაისის №328 ბრძანებულება ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების დაწესების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2006 წლის 19 აპრილის №81 დადგენილება სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის შესახებ დებულებისა და საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 30 აგვისტოს №772 ბრძანება ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების გაცემის წესისა და საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ.

გარდა ჩამოთვლილი აქტებისა, სხვადასხვა დროს საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემულ იქნა ცალკეული დადგენილებები, რომლებიც არეგულირებს:

- მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის წესს;
- ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის წესს;
- სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის შესაძენად სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის წესს;
- ქართული ელექტრონული ლექსიკონების შექმნის მიზნით სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამართვის წესს;
- ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალების შექმნის მიზნით სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამართვის წესს;
- საკონფერენციო გრანტების გაცემის წესს.

როგორც ვხედავთ, ყოველი კონკრეტული აქტი რომელიმე საკითხის მოსაგვარებლად ექსკლუზიურად არის შექმნილი და არ არის უნივერსალური, ერთიანი და სისტემური სახისა. სახელმწიფო გრანტი მხოლოდ კონკრეტულ – განათლებისა და მეცნიერების სფეროში გაიცემა,

ხოლო სხვა, საზოგადოებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი სფეროები სახელმწიფო დაფინანსების მიღმაა დარჩენილი, რადგან არ არსებობს ქვეყნის საფინანსო სისტემაში სახელმწიფო გრანტების გაცემის უნიფიცირებული წესი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა მათ გავრცელებას ასევე სხვა სფეროებზეც.

სახელმწიფო დაფინანსებასთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი თავის კვლევაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ველფეარ ორგანიზაციებს, რადგან სწორედ ამ ტიპის ორგანიზაციები წარმოადგენენ სახელმწიფოსათვის სოციალური სერვისების ძირითად მიმწოდებლებს. ამდენად, მათი მოსაზრებით, სახელმწიფო დაფინანსების ეფექტური ალტერნატივის შერჩევა, მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა მეტად მნიშვნელოვანია, როგორც ასეთი ორგანიზაციებისათვის (როგორც სერვისის მიმწოდებლებისათვის), ასევე სახელმწიფოსათვისაც, რომელსაც სერვისის სათანადო ხარისხის მიმწოდებელი სჭირდება. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის კვლევის მიხედვით, საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად დაიწყო დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი. იგი თავისი ბუნებით მოითხოვს სოციალური სერვისების აუტსორსინგის აუცილებლობას, რიგ სახელმწიფო დაწესებულებებს უჩნდებათ მოთხოვნა, მიიღონ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან გარკვეული მომსახურება. ამიტომ, აუცილებელია არსებობდეს აუსტორსინგის ეფექტური პოლიტიკა, გამოხატული საკანონმდებლო აქტის სახით, რომელიც სახელმწიფოს მიერ ამ სერვისების მისაღებად გამოყოფილ სახსრებს მოაქცევს დაბეგვრის შეღავათიან რეჟიმში და მიზნების მისაღწევად თანხების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოსა და სერვისის მიმწოდებლებს. გარდა მოკლევადიანი, კონკრეტული შედეგებისა, სახელმწიფო დაფინანსების ეს მექანიზმი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობას, შექმნის ეფექტური საქმიანობის პრეცედენტებს, გაზრდის ურთიერთნდობას ამ ორ სექტორს შორის და ხელს შეუწყობს თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებასა და გაფართოებას.

სახელმწიფო ფონდი, როგორც სახელმწიფო დაფინანსების ერთ-ერთი მექანიზმი

ხელისუფლებამ საქართველოს სამოქალაქო ინსტიტუციონალური რეფორმების განსახორციელებლად რეფორმირებისა და განვითარების პროცესში სახელმწიფოს მიერ არასამთავრობო სექტორის როლის გა-

ძლიერების, შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნითა და საზოგადოებრივ სექტორთან ურთიერთობის ინსტიტუციონირების მიზნით 2009 წელს შექმნა სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდი. ფონდი კერძო სამართლის იურიდიული პირია, არასამეწარმეო იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რომლის შექმნის ძირითადი არსიც იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს სახელმწიფომ, განვითარებული დასავლური დემოკრატიების მსგავსად, საკუთარ თავზე აიღო ვალდებულება, ხელი შეუწყოს საქართველოში სამოქალაქო სექტორის განვითარებას, სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერასა და სამოქალაქო ინსტიტუციების დამკვიდრებას. ფონდი გრანტებს აძლევს მის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტთა შესაბამისად არაკომერციულ, არასამთავრობო, სათემო ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებს.

დეკლარირებული სახით ფონდი მიზნად ისახავს, საკუთარი წვლილი შეიტანოს იმგვარი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში, რომელსაც უნარი ექნება აამაღლოს თითოეული ადამიანის მოქალაქეობრივი თვითშეგნება, ჩართოს ისინი საერთო პრობლემების გამოვლენისა და გადაწყვეტის პროცესში, დაიცვას ყველაზე შეჭირვებული ფენების ინტერესები და ხელი შეუწყოს სამართლიანი, მიზანმიმართული და მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობით შემუშავებული რეფორმებისა და პოლიტიკის გატარებას. ამ მიზნით, ფონდი მუშაობს ახალი საინიციატივო ჯგუფების, სათემო საზოგადოებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, რეგიონების განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი აქტიური თანამშრომლობის ხელშეწყობასა და სამოქალაქო საზოგადოების წევრთა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში ჩართვაზე.

ფონდი გასცემს გრანტებს და დამტკიცებული დებულების ფარგლებში მას განსაზღვრული აქვს პრიორიტეტები, დაწესებული აქვს გრანტების გასაცემად კონკურსის გამართვის, გრანტის გაცემისა და საგრანტო პროექტების შესრულების კონტროლის წესები.

იმავე წელს, დაფუძნებიდან რამდენიმე თვეში ფონდმა 2009 წლის პირველი საგრანტო კონკურსი გამოაცხადა. კონკურსში მონაწილეობა შეეძლოთ როგორც მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე საინიციატივო ჯგუფებს. კონკურსი არ გამოჰყოფდა კონკრეტულ პრიორიტეტულ მიმართულებებს, თუმცა მან თავიდანვე განაცხადა, რომ კონკურსის ფარგლებში უფრო მეტი ყურადღება მიექცეოდა რეგიონებში არსებული პრობლემების მოგვარებას. მონაწილეებს შეეძლოთ, მოემზადებინათ განაცხადი ნებისმიერ თემატიკაზე. მთლია-

ნი საკონკურსო თანხა პირველი საგრანტო კონკურსისათვის 600 000 ლარს შეადგენდა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 531-მა განაცხადმა, მათ შორის 303 განაცხადი მომზადებული იყო საინიციატივო ჯგუფების მიერ; 292 განაცხადი მოწოდებული იყო რეგიონებიდან. ამ თანხით ფონდმა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, 65 რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაცია და საინიციატივო ჯგუფი დააფინანსა. დაფინანსებულ პროექტებს შორის მხოლოდ 23 იყო თბილისიდან, ხოლო დანარჩენი 42 პროექტი განაწილდა შემდეგ რეგიონებში: აჭარა (5), გურია (1), იმერეთი (10), კახეთი (6), მცხეთა-მთიანეთი (3), ქვემო ქართლი (2), რაჭა-ლეჩხუმი – სვანეთი (4), სამცხე-ჯავახეთი (1), სამეგრელო (8), შიდა ქართლი (2). დაფინანსებული პროექტების რაოდენობა სფეროების მიხედვით შემდეგია: ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა (4), გარემოს დაცვა (1), ჯანდაცვა, ნარკომანია (4), ეკონომიკური განვითარება (17), სამოქალაქო განვითარება/თანამონაწილეობა (20), სოციალური ინტეგრაცია (9), არასამთავრობო სექტორის განვითარება (1), ხელოვნება (1), კონფლიქტები (1), ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია (2), სხვა (5).

იმავე წელს, მეორე საგრანტო კონკურსის ფარგლებში ფონდმა მთლიანი საკონკურსო თანხის სახით 200 000 ლარი განკარგა. კონკურსი კვლავაც არ აწესებდა კონკრეტულ პრიორიტეტებს, განმცხადებლებს უნდა წარმოედგინათ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხის თაობაზე საგრანტო განაცხადი. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 72-მა საგრანტო განაცხადმა, მათგან 53 საინიციატივო ჯგუფის მიერ იყო მომზადებული. მეორე საგრანტო კონკურსში ფონდმა 26 პროექტი დააფინანსა, მათგან 18 – საინიციატივო ჯგუფების განაცხადები. მეორე საგრანტო კონკურსში დაფინანსებული პროექტების განაწილება სფეროების მიხედვით შემდეგია: სამოქალაქო განვითარება/თანამონაწილეობა (11), ეკონომიკური განვითარება (5), სოციალური ინტეგრაცია (4), ჯანდაცვა, ნარკომანია (3), მედიის განვითარება (2), სხვა (1). დაფინანსდა პროექტები ტურიზმის პოპულარიზაციის, იძულებით გადაადგილებულ ბავშვთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის, ქალთა უფლებების, ეკოლოგიის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, მედიასამართლის და სხვა საკითხებზე.

2010 წლის პირველი საგრანტო კონკურსი მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ ფონდმა პირველად გამოაცხადა პრიორიტეტები. წინა წელს ჩატარებული საგრანტო კონკურსების შედეგად გამოკვეთილი სამოქალაქო საზოგადოებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებების მიხედვით, კონკურსის პრიორიტეტს წარმოადგენდა სამოქალაქო განვითარება და თანამონაწილეობა, რომლებიც თავის თავში მოიცავდა

შემდეგ ქვემიმართულებებს:

- სამოქალაქო სექტორის მონაწილეობის გაზრდა საქართველოს საგანმანათლებლო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, სკოლიდანვე ბავშვებში სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებაზე ზრუნვა;
- არასამთავრობო სექტორის განვითარება – დამწყები სამოქალაქო სექტორის სუბიექტების, რეგიონალური ორგანიზაციების ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა;
- სამოქალაქო განათლება/თანამონაწილეობა – საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირება მათთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ; სახელმწიფო სტრუქტურების გამჭვირვალობისა და სახელმწიფო მოხელეების ანგარიშვალდებულების გაზრდა; სამოქალაქო ინიციატივების წარმოჩენა, ლობირება და ასახვა სახელმწიფო პოლიტიკაში, სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებასთან ურთიერთობის ახალი გზებისა და კომუნიკაციის ფორმების ძიება;
- სამოქალაქო მონიტორინგის ხელშეწყობა – სახელისუფლებო სტრუქტურების საქმიანობის შეფასება, საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე რეფორმებისა და გადაწყვეტილებების შესახებ, საზოგადოებრივ ინტერესზე აგებული კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება და მათი ადვოკატირება, კონკრეტულ კანონდარღვევათა პრევენცია.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 177-მა განაცხადმა, აქედან 68 განაცხადი მომზადებული იყო საინიციატივო ჯგუფის მიერ. ფონდმა ამ ეტაპზე 33 პროექტი დააფინანსა, აქედან 8 პროექტის განმცხადებელი იყო საინიციატივო ჯგუფი.

2010 წლის მეორე საგრანტო კონკურსის პრიორიტეტები კვლავაც იყო სამოქალაქო განვითარება და თანამონაწილეობა და ეკონომიკური განვითარება, რომლებიც თავის თავში მოიცავდა იმავე მიმართულებებს. პრიორიტეტად ასევე დასახული იყო იმ ღონისძიებების დაფინანსება, რომლებიც მიმართული იყო საქართველოს რეგიონებსა და თემებში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად. მთლიან საკონკურსო თანხად გამოყოფილი იყო 350 000 ლარი. თითოეული საპროექტო განაცხადის თანხა არ უნდა ყოფილიყო 10 000 ლარზე მეტი (ფონდი უფლებას იტოვებდა, არ აეთვისებინა საგრანტო თანხა სრულად, თუკი ვერ მიიღებდა კონკრეტული განაცხადების საკმარის რაოდენობას, ან გაეზარდა საკონკურსო თანხა დიდი რაოდენობით საინტერესო განაცხადების მიღების შემთხვევაში). კონკურ-

სზე შემოვიდა 204 განაცხადი. კონკურსის ფარგლებში 53 პროექტი დაფინანსდა, აქედან 25 – ორგანიზაცია, ხოლო 28 საინიციატივო ჯგუფია. უნდა აღინიშნოს, რომ მეორე საგრანტო კონკურსში ფონდმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საინიციატოვო ჯგუფებისა და ახლად დაფუძნებული ორგანიზაციების განაცხადებს, რომელთათვისაც ეს საგრანტო კონკურსი, შესაძლოა, პირველი დაფინანსების მიღების საშუალება აღმოჩენილიყო. ახლად დაფუძნებული ორგანიზაციებისათვის პირველი დაფინანსების მიღება ხშირად სირთულეებთანაა დაკავშირებული, ამდენად, მისასალმებელია ფონდის მიერ დამწყები ორგანიზაციების საქმიანობის მხარდაჭერა და საწყისი დაფინანსებით მათი უზრუნველყოფა.

როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან ფონდის საქმიანობის მიმართ ინტერესი დიდია – ამის დასტურია ყოველ საგრანტო კონკურსზე ორგანიზაციების მხრიდან წარმოდგენილი საგრანტო განაცხადების რაოდენობა. ეს შეიძლება რამდენიმე გარემოებით იყოს განპირობებული, მათ შორის კი უმთავრესად შეიძლება მივიჩნიოთ უკანასკნელ ხანებში საერთაშორისო გრანტების მოპოვების სირთულეები, დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსების კრიტერიუმებისა და პრიორიტეტების მკვეთრად შეცვლა. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ფონდის მიერ გაცემული გრანტი არ გამოირჩევა დიდი ბიუჯეტებით, რამდენადაც ფონდი უპირატესობას დაბალბიუჯეტიან საპროექტო განაცხადებს ანიჭებს. ამდენად, დიდი ალბათობით, ფონდების მიერ გაცემული გრანტები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წლიურ ბიუჯეტში მნიშვნელოვან ადგილს არ იკავებს.

გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანი საკითხია ფონდის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურების გამჭვირვალობა. ფონდი კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირია, გადაწყვეტილებების მიღება ხდება მმართველი ორგანოს – სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. საბჭოს შემადგენლობაში შედიან კონსულტაციის საფუძველზე შერჩეული არასამთავრობო სექტორის, საპარლამენტო უმცირესობის, საპარლამენტო უმრავლესობისა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. დღეს სამეთვალყურეო საბჭოს 5 წევრი ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული საგრანტო კონკურსებისა და გამარჯვებული კანდიდატების შესახებ, სამწუხაროდ, იგი არ იძლევა საშუალებას, გავეცნოთ, საგრანტო კონკურსის დროს შეფასების რა კრიტერიუმებით და როგორი პროცედურით ხელმძღვანელობს საბჭო. მიგვაჩნია, რომ ფონდს უნდა ჰქონდეს გაწერილი სახით სტრატეგია, რამეთუ საქმე ეხება საბიუჯეტო სახსრებით საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების დაფი-

ნანსებას, და კრიტერიუმები, რომლებითაც საბჭოს წევრები ხელმძღვანელობენ ამა თუ იმ საგრანტო განაცხადის შეფასებისას.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს რთული და არასტაბილური დაფინანსების პირობებში უწევთ ფუნქციონირება. როგორც არსებული საკანონმდებლო ბაზისა და ორგანიზაციების ფაქტობრივი საარსებო გარემოს ანალიზი გვიჩვენებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსება ვერ ახდენს სერიოზულ გავლენას მათ არსებობასა და განვითარებაზე.

შეჯამება / რეზიუმე

როგორც არაერთი კვლევა ადასტურებს, საზოგადოებრივი სექტორის ფინანსურ რესურსებში სახელმწიფო დაფინანსების წილი მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით არ ხასიათდება. სახელმწიფო დაფინანსებამ რომ მნიშვნელოვან მასშტაბებს მიაღწიოს, აუცილებელია არსებული სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმების მასშტაბების გაზრდა და ახალი მექანიზმების დანერგვა. არსებული მექანიზმებიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რთულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის საზოგადოებრივი ორგანიზაციების სპეციფიკაზე მორგება, რადგან იგი ერთნაირად კონკურენტულ პირობებში აყენებს, როგორც მოგებაზე ორიენტირებულ, ასევე არაკომერციულ ორგანიზაციებს და მისი რევიზია მხოლოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად, შესაძლოა, გაუმართლებელიც იყოს. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა არასამეწარმეო ორგანიზაციებისათვის დაფინანსების ერთ-ერთი ალტერნატიული წყაროს მიღების საშუალება უფროა.

ამის სანაცვლოდ, შესაძლებელია, უფრო უნიფიცირებული გახდეს სახელმწიფო გრანტის გაცემა. რამდენადაც საფინანსო სისტემაში სახელმწიფო გრანტის გაცემის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებული წესი არ არსებობს, საზოგადოებისათვის პრიორიტეტული სფეროები სახელმწიფო დაფინანსებას მოკლებულია. ხშირ შემთხვევაში ესა თუ ის საქმიანობა სახელმწიფო უწყებების პირდაპირი ფუნქცია არ არის, თუმცა სახელმწიფოს დემოკრატიული თუ სოციალური ვალდებულებები აქვს საზოგადოების წინაშე და, ამდენად, მისთვის უფრო მოსახერხებელია ამ ფუნქციათა სხვა სუბიექტებისათვის დელეგირება. მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ სახელმწიფოები გასცემენ გრანტებს ისეთი საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის ხელშესაწყობად, როგორებიცაა სოციალური მომსახურების განხორციელება, ინოვაციური პროექტები, საზოგადოებრივად

სასარგებლო საქმიანობის ხელშეწყობა, ეკოლოგიური, სამეცნიერო კვლევების, ტურიზმისა თუ აგრარული პროექტების დაფინანსება და სხვა. ბუნებრივია, სახელმწიფო არ უნდა იყოს იძულებული, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ექსკლუზიურად მოაწესრიგოს რომელიმე პრიორიტეტული სფეროს კანონმდებლობა და უზრუნველყოს მისი საგრანტო დაფინანსება, არამედ მან უნდა შექმნას მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგადი წესი, რომლითაც იხელმძღვანელებს სახელმწიფო გრანტის გაცემის, გამოყენებისა და კონტროლის დროს. სახელმწიფო გრანტების მექანიზმის გამოყენება სახელმწიფოს საშუალებას მისცემს, უწყებათაშორისი კოორდინაციის, ერთიანი საგრანტო პროგრამების დამტკიცების, საბიუჯეტო სახსრების გაცემის კონტროლისა და ანგარიშგების შედეგად თავად აკონტროლოს, რომელი სეგმენტი, რეგიონი, მიმართულება თუ სფერო საჭიროებს დამატებით რესურსებს და, ასევე, თავიდან აიცილოს საქმიანობათა გადაფარვა ან/და მსგავსი პროგრამების განხორციელება და ამ გზით მაქსიმალურად უზრუნველყოს სახსრების ეფექტიანობა.

სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდი წელიწადნახევარია, რაც ფუნქციონირებს. ჯერ კიდევ ნაადრევია, ვისაუბროთ იმაზე, თუ რა გავლენა იქონია მან საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობასა და განვითარებაზე. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ არასამთავრობო სექტორის როლის გაძლიერება, მისი შემდგომი განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოებრივ სექტორთან სახელმწიფოს ურთიერთობის ინსტიტუციონირება დღეს ორივე აქტორის – სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამდენად, ამ მიმართულებას ორივე მხარისაგან ურთიერთთანამშრომლობის ნება, მზაობა და სერიოზული რესურსი სჭირდება, და ამ პროცესში ფონდს დიდი წვლილის შეტანა შეუძლია. იმედი ვიქონიოთ, რომ მისი საქმიანობა და ფინანსური შესაძლებლობები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ორგანიზაციებს.

დასასრულ, ვფიქრობ, შესაძლოა, დღის წესრიგში დადგეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთპროცენტიანი დაფინანსების მოდელის შემოღების საკითხიც. მოდელის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გადასახადის გადამხდელს კანონმდებლობა საშუალებას აძლევს, მიმართოს გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ერთი პროცენტი თავისი შეხედულებისამებრ, რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის სასარგებლოდ. სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების თვალსაზრისით, ფიზიკური პირების საგადასახადო დეკლარირების მაჩვენებელიც ბოლო წლებში იმატებს, რამდენადაც ფიზიკური პირები ზოგ სახელშეკრულებო ურთიერთობებში თავად არიან ვალდე-

ბული, განახორციელონ საგადასახადო ანგარიშგება. მსგავსად შემოწირულობის თანხის გადასახადის გათავისუფლებისა, კანონმდებლობამ, შესაძლოა მცირე, თუმცა პირველი ნაბიჯები გადადგას ამ მოდელის დასამკვიდრებლადაც. დასაქმებულთა საერთო მასშტაბის, საზოგადოებისა და არასამეწარმეო ორგანიზაციების არასაკმარისი ურთიერთკავშირისა თუ სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, რასაკვირველია, არ იქნება გამართლებული, ვიფიქროთ, რომ ერთპროცენტიანი მოდელი საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების სერიოზულ მაჩვენებელს მიაღწევს; გარდა ამისა, მას ახლავს ისეთი სერიოზული სირთულეები, როგორებიცაა საგადასახადო ადმინისტრირების სირთულე, დამქირავებელთათვის, როგორც საგადასახადო აგენტთათვის, კიდევ ერთი დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება და სხვა. მაგრამ, უდავოა, რომ ამ მოდელის დამკვიდრებით სახელმწიფო კიდევ ერთ, დამატებით წყაროს მისცემს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაფინანსების მოსაზიდად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნოდია, გ. (2005). სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები, სტრატეგიის განაცხადი. თბილისი.
2. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი. (2007). საქართველოს არასამეწარმეო კანონმდებლობა, გამოწვევები და პერსპექტივა. თბილისი.
3. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. (2010). საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველოში - განვითარების დინამიკა და ტენდენციები. თბილისი.
4. საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.
5. საქართველოს კანონი გრანტების შესახებ.
6. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 7 ივნისის №463 ბრძანებულება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ირმის ნახტომის შექმნის შესახებ.
7. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 26 მაისის №328 ბრძანებულება ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების დაწესების შესახებ.
8. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 19 აპრილის №81 დადგენილება სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის შესახებ დებულებისა და საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ.
9. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 30 აგვისტოს №772 ბრძანება ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების გაცემის წესისა და საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ.

სოციალური მეწარმეობა

ეკა დათუაშვილი

სტატიის მიზანია, დაინტერესებულ მკითხველს გააცნოს სოციალური მეწარმეობის კონცეფცია. მასში განხილულია სოციალური მეწარმეობის განვითარების ისტორია და არსი, ამ მიმართულებით ერთ-ერთი აღმოსავლეთ-ევროპული ქვეყნის – პოლონეთის გამოცდილება და საქართველოში არსებული რეალობა.

სოციალური მეწარმეობა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შესაძლებელია განიხილონ, როგორც დაფინანსების წყაროების გამრავალფეროვნების ერთ-ერთი სტრატეგია და, ამასთანავე, სამიზნე ჯგუფებისთვის პრობლემების მოგვარების ეფექტური გზა. თუმცა გადაწყვეტილების მიღება ეკონომიკური საქმიანობის დაწყების შესახებ არ არის ადვილი და საფუძვლიან გაანალიზებას საჭიროებს.

ვიმედოვნებთ, რომ ეს სტატია საინტერესო ინფორმაციას მიაწვდის სოციალური მეწარმეობით დაინტერესებულ პირებს, როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარების, ისე მსგავსი საქმიანობის საქართველოში განხორციელებისთვის არსებული პირობების შესახებ.

რა არის სოციალური მეწარმეობა

სოციალური მეწარმეობის იდეამ უკანასკნელ წლებში ძალიან დიდი გამოძახილი ჰპოვა მრავალ ქვეყანაში, რამდენადაც იგი თავის თავში ერთდროულად ათავსებს სოციალური მისიისკენ სწრაფვას და ბიზნესის ტიპის საქმიანობას.

ტერმინი „სოციალური მეწარმეობა“ გასული საუკუნის 70-იან წლებში დამკვიდრდა და ასოცირდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაწეულ სხვადასხვა სახის ეკონომიკურ საქმიანობასთან, მათ მისიასთან და მიზნებთან. შესაბამისად, იდეა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც თავისი სამეწარმეო საქმიანობის მიზნად მოგებას ისახავს, საბოლოო ჯამში, ამ შემოსავლით პოზიტიური სოციალური ცვლილებების განხორციელებას აპირებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არასამთავრობო, არაკომერციული და მოხალისეობრივი ორგანიზაციების წარმოქმნა და განვითარება, საიდანაც სათავეს იღებენ სოციალური საწარმოები, XIX საუკუნის ბოლოდან იღებს სათავეს. გამომწვევი მიზეზი გახლდათ ის, რომ თავი იჩინა სოციალური ტიპის პრობლემებმა, რომელთა ეფექტურად გადაწყვეტასაც სახელმწიფო ვერ ახერხებდა. 70-იანი წლებიდან არამომგებიანმა ორგანიზაციებმა უფრო და უფრო მეტად დაიწყეს ეკონომიკური მიდგომების გამოყენება პრობლემების მოგვარების მიზნით. მათ დაიწყეს ბიზნესსაქმიანობები უსახლკარო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, და სხვა რისკის ქვეშ მყოფი ადამიანებისათვის სამუშაო ადგილების შესაქმნელად.

საკითხისადმი აკადემიური მიდგომა დაიწყო 1993 წელს ჰარვარდის ბიზნესსკოლის ინიციატივით. მალე მას მხარი აუბეს სხვა პრესტიჟულმა უნივერსიტეტებმაც, მათ შორის იელის და კოლუმბიის უნივერსიტეტებმა, რომლებმაც სხვადასხვა ტიპის სასწავლო და ტრენინგ-პროგრამების მომზადება დაიწყეს.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ცნება „სოციალური მეწარმეობა“ ძალიან ფართო დატვირთვის მქონეა და იგი უფრო მეტად ბაზარზე ორიენტირებულ ორგანიზაციებთან ასოცირდება, რომელთაც სოციალური მიზნები აქვთ. ასეთი ორგანიზაციების სამართლებრივი ფორმებიც ძალიან ფართოა. დაწყებული საზოგადოებრივი ტიპის ორგანიზაციიდან, დამთავრებული კერძო ბიზნესკომპანიებით, რომლებსაც სოციალური მიზნები აქვთ.

სოციალური მეწარმეობის ალიანსის განმარტებით, სოციალური საწარმო არის ***„ორგანიზაცია ან საწარმო, რომელიც ახორციელებს***

სოციალურ მისიას სამეწარმეო, შემოსავლის მომტანი სტრატეგიებით".[1]

აღსანიშნავია, რომ ეს განმარტება ალიანსმა შეიმუშავა 2006 წელს და შეცვალა წინა ვერსია:

„ნებისმიერი შემოსავლის მომტანი ბიზნესი ან სტრატეგია, რომელსაც იყენებს არამომგებიანი ორგანიზაცია შემოსავლების გენერირებისათვის, რათა უზრუნველყოს საქველმოქმედო მისია".

ამ ცვლილების შედეგად, განმარტება მოიცავს აგრეთვე მომგებიან ორგანიზაციებს, რომლებსაც სოციალური მისია აქვთ.

სოციალური მეწარმეობის კონცეფციაზე ევროპაში პირველად გასული საუკუნის 90-იან წლებში ალაპარაკდნენ. 1991 წელს იტალიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც სოციალურ კოოპერატივებს სპეციალურ სტატუსს ანიჭებდა. ცოტა მოგვიანებით ევროპაში ევროპელმა მკვლევრებმა, რომლებიც მსგავს, თუმცა ნაკლებად მასშტაბურ ინიციატივებს შეისწავლიდნენ სხვა ქვეყნებშიც, დაიწყეს ფიქრი ამ ტიპის ორგანიზაციების მხარდაჭერაზე და 1996 წელს შეიქმნა ევროპული კვლევითი ქსელი (European Research Network - EMES). მისი მიზანია, რომ საკითხის ირგვლივ ჩამოყალიბდეს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

2002 წელს სოციალური მეწარმეობისადმი ყურადღება განსაკუთრებულად გაძლიერდა დიდ ბრიტანეთში, როდესაც ტონი ბლერის მთავრობამ მოახდინა „სოციალური მეწარმეების კოალიციის" ინიცირება და დაიწყო რამდენიმე მხარდამჭერი პროგრამის განხორციელება.

ევროპის ქვეყნებში სოციალური მეწარმეობის განსხვავებული გამოცდილება და პრაქტიკაა და, შესაბამისად, შეინიშნება განმარტებების სიმრავლე. მაგალითისთვის მოვიყვანთ რამდენიმე განმარტებას:

> „სოციალური საწარმო არის ბიზნესი, რომლის უპირველესი მიზანიც სოციალური ხასიათისაა და ახდენს მოგების რეინვესტირებას თემსა ან ბიზნესში, ამ სოციალური მიზნების მისაღწევად. მისი მამოძრავებელი არ არის მოგების ზრდა მეწილეებისა და მფლობელებისათვის".
>
> **ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტი. დიდი ბრიტანეთი**[2]
>
> „სოციალური საწარმო წარმოადგენს ბიზნესპრინციპებზე აგებულ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს როგორც სოციალური,

1 www.se-alliance.org

2 Cabinet Office, "Strategy for Success" http://www.cabinetoffice.gov.uk/third_sector/social_enterprise/action_plan.aspx

ისე ეკონომიკური მიზანი და სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა იურიდიული ფორმა გააჩნია“.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD

ევროპულმა კვლევითმა ქსელმა (EMES) შეიმუშავა გარკვეული კრიტერიუმები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სოციალური საწარმო. კრიტერიუმები ორ მიმართულებად არის დაყოფილი: ეკონომიკურად და სოციალურად.

ეკონომიკური კრიტერიუმები:

1. საქონლის ან მომსახურების უწყვეტი წარმოება/მიწოდება

სოციალურ საწარმოში აუცილებელია საქონლის ან სერვისის წარმოება/მიწოდება. ტრადიციული საზოგადოებრივი ორგანიზაციისგან განსხვავებით, სოციალურ საწარმოს არ გააჩნია ადვოკატირებისა და ლობირების ფუნქცია. ის არ არის ფონდი, რომ სხვადასხვა ინიციატივები დააფინანსოს. აქედან გამომდინარე, მათთვის ეს კომპონენტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

2. დამოუკიდებლობის ხარისხი

სოციალური მეწარმე დამოუკიდებელი უნდა იყოს თავის გადაწყვეტილებაში. შესაძლოა, ის დამოკიდებული იყოს სახელმწიფო სუბსიდიებზე, მაგრამ არ უნდა იყოს მართული პირდაპირ ან არაპირდაპირ სახელმწიფო სტრუქტურების ან სხვა ორგანიზაციების (ფედერაციების, კერძო ფირმების) მხრიდან.

3. ეკონომიკური რისკის გარკვეული ხარისხი

სოციალური საწარმოს დამაარსებლები თავიანთ თავზე იღებენ გარკვეულ რისკს სრულად ან ნაწილობრივ. სახელმწიფო სტრუქტურებისაგან განსხვავებით, მათი ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია მათი წევრების და საწარმოში მომუშავე ხალხის ძალისხმევაზე.

4. დამოკიდებულება ანაზღაურებადი სამუშაოს მიმართ

როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემთხვევაში, სოციალურ საწარმოშიც შესაძლებელია, როგორც ანაზღაურებადი პერსონალის ჩართვა, ასევე მოხალისეობრივი შრომის გამოყენებაც. თუმცაღა მცირედით მაინც უნდა იყოს წარმოდგენილი ხელფასიანი პერსონალი.

სოციალური კრიტერიუმები:

1. ნათელი მიზანი, რომელიც ფოკუსირებულია საზოგადოების კეთილ-დღეობაზე:

სოციალური საწარმოს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, გარკვეული ინდივიდების პირად ინტერესებს კი არ ემსახუროს, არამედ საზოგადოებას ან კონკრეტულ სამიზნე ჯგუფს, რომელსაც აქვს საერთო საზოგადოებრივი საჭიროებები.

2. ინიციატივას მხარს უნდა უჭერდეს მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი:

სოციალური საწარმო არის თემის ან კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებში შემავალი იმ ხალხის კოლექტიური შრომის შედეგი, ვინც საწარმოს მიზნებს იზიარებს. ეს კოლექტიური სული მუდმივად უნდა თან სდევდეს საწარმოს, იმის გათვალისწინებით, რომ შენარჩუნდეს ლიდერობის სულისკვეთება.

3. გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება არ უნდა ეფუძნებოდეს კაპიტალის მფლობელობას:

ძალაუფლება არ არის განაწილებული კაპიტალის შესაბამისად. გადაწყვეტილებები გაზიარებულია მმართველ რგოლში და დაინტერესებულ პირთა მონაწილეობა ძალიან მაღალია.

4. საერთო გარემო, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა მაღალ ჩართულობას:

გადაწყვეტილების მიღების პროცესში მომხმარებელთა, ბენეფიციართა და დაინტერესებულ პირთა ჩართულობის დონე სოციალური საწარმოს მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

5. მოგების შეზღუდული განაწილება:

სოციალურ საწარმოს მიეკუთვნება არა მხოლოდ ის ორგანიზაცია, რომელიც სრულად გამორიცხავს მოგების განაწილებას, არამედ ის ორგანიზაციაც, სადაც შესაძლოა არსებობდეს მოგების მცირე ნაწილის გადანაწილებაც.

სოციალური საწარმოს როლები

იქ, სადაც სოციალური მეწარმეობა განვითარებულია, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

სოციალური მეწარმეობა ძველი პრობლემების ახლებურად მოგვა-

რების საშუალებას იძლევა. ***ინდივიდებისთვის*** სოციალური საწარმო შეიძლება იქცეს სოციალური ინკლუზიის მექანიზმად, რაც მათ დაეხმარება დამოკიდებული მდგომარეობიდან განთავისუფლებაში და დამოუკიდებლობის მოპოვების რეალურ შანსს მისცემს.

ორგანიზაციებისთვის სოციალური საწარმო არსებობისთვის საჭირო რესურსების გენერირების ეფექტური მექანიზმია, რაც უზრუნველყოფს სხვა ინსტიტუტებზე დამოკიდებულებისგან თავის დაღწევის და სექტორში ოპერირებისას მხოლოდ საკუთარი წევრებისა და დამფუძნებლების თვალსაზრისის გათვალისწინების საშუალებას.

თემისთვის სოციალური საწარმო წარმოადგენს დამოუკიდებელი განვითარების სტრატეგიას, დაფუძნებულს მხოლოდ საკუთარ რესურსებზე, რასაც შედეგად მოაქვს ჭეშმარიტი თვითრეგულირება და საერთო კეთილდღეობა.

სახელმწიფოსთვის კი სოციალური საწარმო წარმოადგენს „სოცუზრუნველყოფის /welfare/ მახიდან“ თავის დაღწევის რეალურ გზას.

სოციალური მეწარმეობის მნიშვნელობა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის

სოციალური მეწარმეობა ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმატებისათვის, რადგან დღეს, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის სულ უფრო და უფრო ძლიერი ხდება კონკურენცია დონორთა და მხარდამჭერთა შემოწირულობების, კონტრაქტებისა და გრანტების მოსაპოვებლად და, უფრო მეტიც, კვალიფიციური თანამშრომლებისა და მოხალისეების მოსაზიდად.

ჩვეულებრივ, წარმატებული ბიზნესორგანიზაციები თავიანთ საქმიანობაში ბაზრის მოთხოვნებიდან გამოდიან. მათ ყოველდღიური შეხება აქვთ მომხმარებელთან, განსაზღვრული აქვთ თავიანთი ბაზარი, ამოწმებენ მოთხოვნას და ახდენენ პროდუქციის ადაპტირებას მასთან, ეყრდნობიან საკუთარ კომპეტენციებს, იციან, ვინ არიან მათი კონკურენტები ბაზარზე და ფლობენ მათ შესახებ ინფორმაციას. ისინი ფოკუსირებული არიან მომხმარებელთა კმაყოფილებაზე და ზრუნავენ ამისთვის. მაგრამ მეწარმეობა და ბიზნესის ტიპის საქმიანობა მისიაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის კვლავაც რამდენადმე ურთიერთსაწინააღმდეგო კონცეფციებია. არცთუ ისე დიდი ხნის წინ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა დიდ ნაწილს მიაჩნდა, რომ მათ არაფერი აქვთ საერთო ბიზნესთან, და რომ მათი მამოძრავებელი ძალა არ არის მოგება და ფული.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანია, რომ საქმიანობაში ბიზნესის ანალოგიურ მიდგომებს იყენებდეს. მათ მიმართ მუდმივად მატულობს მოლოდინი და მოთხოვნა, რომ მიიღონ მეტი შედეგი, ჰქონდეთ ანგარიშგება საზოგადოებასთან, დონორებთან თუ ხელისუფლებასთან.

სოციალური მეწარმეობა მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, რამდენადაც:

- ის იძლევა შესაძლებლობას, ახლებურად და უფრო ეფექტურად მოგვარდეს პრობლემები. გარდა ამისა, ფონდების მოძიების სულ უფრო მზარდი კონკურენციის პირობებში სოციალური საწარმოები ქმნიან რესურსებს მდგრადი განვითარებისათვის;
- ხელს უწყობს ორგანიზაციებს მისიის უფრო სრულად შესრულებასა და გრძელვადიანი მიზნების დასახვა-განხორციელებაში;
- გამომუშავებული შემოსავალი პროგრამებს სძენს მეტ მოქნილობას და წარმოადგენს ახალ პროგრამებში ინვესტირების წყაროს შეზღუდვების გარეშე;
- ეხმარება ორგანიზაციებს, უფრო მეტად დარჩნენ მისიაზე ორიენტირებულნი და არ მოუხდეთ მიმართულებების მუდმივად ცვლა დონორთა მოთხოვნების თანახმად (ამცირებს დონორთა დაფინანსებაზე დამოკიდებულებას).

II. სოციალური მეწარმეობა – აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება

სოციალური მეწარმეობის განვითარების წინაპირობები და ახალი ტალღა აღმოსავლეთ ევროპაში

აღმოსავლეთ ევროპაში სოციალური მეწარმეობის კონცეფცია მესამე სექტორიდან წამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი სექტორის განვითარება უკანასკნელ ათწლეულებს უკავშირდება, სოციალურ მეწარმეობას გაცილებით ღრმა ფესვები აქვს. მე-2 მსოფლიო ომამდე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ასოციაციები, ფონდები, საკრედიტო თუ სხვა ტიპის კოოპერატივები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუმცა მესამე სექტორის მასშტაბი და ფორმები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული იყო. 1989 წლიდან სოციალური მეწარმეობის ორგანიზაციების განვითარება რეგიონის ქვეყნებში, ერთი მხრივ, უკავშირდება ქვეყანაში დემოკრა-

ტიზაციას, დეცენტრალიზაციასა და სტრუქტურული ცვლილებების პროცესს, რომლის შედეგადაც გაიზარდა უმუშევრობა და დეფიციტი სოციალური სერვისების მიწოდებაში, ხოლო მეორე მხრივ, ევროკავშირის რეკომენდაციებს, რომლის მიხედვითაც კანდიდატ ქვეყნებში მეტი ყურადღება უნდა დასთმობოდა გარიყული ფენების ინტეგრაციის და დასაქმების საკითხებს.

სოციალურ საწარმოთა უმეტესობა აღმოსავლეთ ევროპაში ძირითადად სერვისზე ორიენტირებული ორგანიზაციები, სამუშაო ინტეგრაციის საწარმოები და ორგანიზაციებია, რომლებიც ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ადგილებში ხელს უწყობენ განვითარებას ისეთი ინიციატივებით, როგორიცაა, მაგალითად, IT ტექნოლოგიების შეტანა ან კაპიტალზე ხელმისაწვდომობის ზრდა სოფლებში.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური საწარმოები ავსებენ სოციალური პროგრამების შემცირების შედეგად წარმოქმნილ დეფიციტებს საზოგადოებაში, მათი განვითარება ძირითადად ხდებოდა დაინტერესებულ ადამიანთა ჯგუფის ინიციატივით და საერთაშორისო აქტორების პროექტების შედეგად და არა სოციალური პოლიტიკის რეფორმების გზით. თუმცა აღნიშნული საერთაშორისო პროგრამები მიმდინარეობდა ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან – სამინისტროებთან და ადგილობრივ ხელისუფლებებთან, ასევე საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

რაც შეეხება სოციალური საწარმოების ხელშემწყობ საოპერაციო გარემოს ამ ქვეყნებში, და მათი ლეგალურად აღიარების ხარისხს, ეს ძალიან განსხვავებულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის.

სოცსაწარმოთა უმეტესობა რეგიონის ქვეყნებში ოპერირებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების და კოოპერატივების კანონმდებლობის ფარგლებში. გარდა ამ რეგულაციებისა, სხვადასხვა ქვეყნებში გვხვდება სპეციალური, განსხვავებული ტიპის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორებიცაა „საზოგადოებრივი სარგებლობის კომპანიები“ ჩეხეთში, უნგრეთსა და სლოვაკეთში. ზოგიერთ ქვეყანაში გვხვდება სპეციალური იურიდიული ფორმები. მაგალითად, ლიტვაში მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც, საბჭოთა პერიოდის ინვალიდთა საწარმოებს აქვთ შესაძლებლობა, ტრანსფორმირდნენ სოციალურ საწარმოდ. პოლონეთში 2006 წელს მიიღეს კანონი სოციალური კოოპერატივების შესახებ, რომლის მიხედვითაც, ადამიანებს, რომელთათვისაც განსაკუთრებით რთულია დასაქმება, აქვთ შესაძლებლობა, შექმნან სოციალური კოოპერატივები.

ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ რეგიონის ქვეყნების უმეტესობაში კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს სოციალურ საწარმოებს, წარმართონ საქმიანობა, მაგრამ არ არის შემუშავებული მათი განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკა და მექანიზმები.

სოციალური მეწარმეობა – პოლონეთის გამოცდილება

პოლონეთში თანამედროვე მესამე სექტორი (კოოპერატივები, ასოციაციები, ფონდები, ერთობლივი საზოგადოებები, საკრედიტო კოოპერატივები და ა.შ.) დასაბამს იღებს მე-19 საუკუნის ბოლოდან. მეორე მსოფლიო ომამდე ფონდები და ასოციაციები საგანმანათლებლო, სოციალურ და ჯანდაცვის სერვისებით იყვნენ დაკავებული. 1934 წლისათვის პოლონეთში 22 700 კოოპერატივი არსებობდა, რომელიც 2,6 მილიონ წევრს აერთიანებდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარი რიგი ცვლილებების შედეგად კოოპერატივები კვაზისახელმწიფო უწყებებად იქცა, დაიწყო პროდუქციის და სერვისის მიწოდება და ნაციონალიზებულ ეკონომიკაში ჩაერთო; საკრედიტო კავშირები და ერთობლივი საზოგადოებები საერთოდ გაქრა; ფონდები შეერწყა საჯარო ინფრასტრუქტურას; ასოციაციებმა მხოლოდ ვიწრო სახის სერვისების მიწოდება დაიწყეს.

თანამედროვე საზოგადოებრივი სექტორის აღორძინება პოლონეთში სოციალისტური სისტემის ცვლილებას მოჰყვა.

ბოლო წლებია, რაც სოციალური ეკონომიკის, სოციალური მეწარმეობის და სოციალური საწარმოს კონცეფცია სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს პოლონეთში. მზარდი პოპულარობის მიზეზად ორი ძირითადი ფაქტორი შეიძლება დასახელდეს. პირველი: იდეის ფართო პოპულარიზაცია სხვადასხვა აქტორებს შორის გამოიწვია იმ არაერთმა პროექტმა, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის დაფინანსების ახალი შესაძლებლობების მოძიებას, ან საქმიანობების ახლებურ ორგანიზებას სოციალური მიზნების ან საზოგადო ინტერესების განხორციელებისთვის. მეორე, ეს კონცეფცია ძველი პრობლემების ახალებურად მოგვარების საშუალებას იძლევა.

სოციალურ საწარმოთა იურიდიული ფორმები

სოციალური საწარმოების უმრავლესობა პოლონეთში ტრადიციული სამართლებრივი ფორმებით – ფონდები, ასოციაციები, კოოპერატივები – ოპერირებს.

ამასთან ერთად გვხვდება ახალი სამართლებრივი ფორმებიც: სოციალური კოოპერატივები, პროფესიული რეაბილიტაციის საშუალებე-

ბი, სოციალური ინტეგრაციის ცენტრები, სოციალური ინტეგრაციის კლუბები.

ფონდები და ასოციაციები – გარკვეული სახის ეკონომიკური საქმიანობა პოლონეთში შეუძლიათ როგორც ფონდებს, ისე ასოციაციებს. ასოციაციისთვის პოლონეთში დასაშვებია ეკონომიკური საქმიანობის წარმოება იმ პირობით, რომ მოგება მიმართული იქნება მხოლოდ საქველმოქმედო მიზნებზე. წევრებს ეკრძალებათ მოგების განაწილება.

ფონდს არ ეკრძალება ეკონომიკური საქმიანობა, თუ ის მის მიზანთან არის დაკავშირებული. ეკონომიკური საქმიანობისთვის განკუთვნილი კაპიტალი არ უნდა იყოს 1 000 პოლონურ ზლოტზე (€ 240) ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ფონდის ძირითადი, მისიით განსაზღვრული მიზნისთვის განკუთვნილი კაპიტალის ოდენობას.[3]

კოოპერატივები – კოოპერატივებს განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს პოლონეთში. მეორე მსოფლიო ომამდე ქვეყანაში 20 000-ზე მეტი კოოპერატივი იყო რეგისტრირებული, რომელიც 2,6 მილიონ წევრს აერთიანებდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კოოპერატივები ნაციონალიზებულ ეკონომიკაში ჩაერთო. გარდამავალი პერიოდის შემდეგ კოოპერატივებმა დაიბრუნა ძველი ფუნქცია. კოოპერატივების ეროვნული საბჭოს 2006 წლის მონაცემებით, პოლონეთში 12 500-ზე მეტი რეგისტრირებული კოოპერატივია, რომელთაგანაც 11 000-ზე მეტი აქტიურად ოპერირებს.

ერთობლივი საზოგადოებები – ერთობლივ საზოგადოებებს ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვთ პოლონეთში. ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სოფლის განვითარებაში. საზოგადოებები ერთობლივი მონაწილეობის პრინციპით ფუნქციონირებდნენ და თემის სასიკეთოდ ოპერირებდნენ. მაგალითისათვის, უზრუნველყოფდნენ სამეზობლოში კოლექტიურ თავდაცვას ბუნებრივი საფრთხეების წინააღმდეგ, გასცემდნენ შეღავათიან კრედიტებს და სესხებს, უღარიბესებს აძლევდნენ გრანტებს, სახანძრო ასოციაციები მოქმედებდნენ, როგორც საზოგადო მზღვეველნი და ანაზღაურებდნენ ხანძრით გამოწვეულ ზიანს.

საზოგადოებებში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ ერთობლივ სადაზღვევო ასოციაციებს. მათი საბაზრო წილი მეორე მსოფლიო ომამდე 50%-ს აღწევდა. ომის შემდეგ ერთობლივი საზოგადოებები სა-

3 Cabinet Office, "Strategy for Success" http://www.cabinetoffice.gov.uk/third_sector/social_enterprise/action_plan.aspx

ერთოდ გაქრა. ბოლო პერიოდში კი ისევ დაიწყო აღდგენა. დღეისათვის პოლონეთში 9 ერთობლივი სადაზღვევო კომპანია ოპერირებს, რომელთა საერთო ბრუნვამ 2005 წლისთვის 50 მილიონ ევროს გადააჭარბა. გარდა ამისა, ფუნქციონირებს 900-ზე მეტი საზოგადოება, რომელთაგან უმრავლესობა საკრედიტო ასოციაციებია.

ახალი აქტორები

ქვეყანაში სოციალური ეკონომიკის კონცეფციის პოპულარიზაციას მოჰყვა ახალი ჰიბრიდული ერთეულების გაჩენა, რომელსაც აქვს სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის მახასიათებლები და არ გააჩნია განსაზღვრული სამართლებრივი სტატუსი. შესაბამისად, ისინი მოქმედებენ, როგორც სამართლის არსებული სუბიექტების (ასოციაციების, ფონდების და კოოპერატივების) ქვესტრუქტურები. ასეთ ერთეულებს მიეკუთვნებიან ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა მაგალითად, სოციალური ინტეგრაციის ცენტრები და კლუბები, მენტალური და ფიზიკური შეზღუდულობის მქონეთა პროფესიული საწარმოები, პროფესიული რეაბილიტაციის საშუალებები.[4]

ქვეყანაში სოციალური საწარმოების ინსტიტუციური და სამართლებრივი აღიარების კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა 2003-2004 წლებში, როდესაც მიიღეს ორი სპეციალური აქტი: „სოციალური დასაქმების“ აქტი და „დასაქმების პოპულარიზაციისა და დასაქმების ბაზრის ინსტიტუტების“ აქტი, რასაც მოგვიანებით, 2006 წლის აპრილში, მოჰყვა სპეციალური კანონის მიღება „სოციალური კოოპერატივების“ შესახებ.

დღეს პოლონეთი აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია სოციალური მეწარმეობის განვითარების მხრივ, განსხვავებით ბალკანეთისა და დსთ-ს ქვეყნებისგან. სოციალური მეწარმეობის განვითარების მიმართულებით პოლონეთის წარმატება უმეტესწილად განპირობებულია პროცესში სახელმწიფოს აქტიური ჩართულობით. საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ზემოთ უკვე დეტალურად განვიხილეთ, ცხადად ადასტურებს ამ ფაქტს.

2006 წლის აპრილიდან მოყოლებული, პოლონეთში გაჩნდა ახალი სამართლებრივი ფორმა – სოციალური კოოპერატივი, რომელიც სპეციალურად სოციალური საწარმოსთვის შეიქმნა. ეს ორგანიზაციები

4 European Research Network http://www.emes.net/fileadmin/emes/Images_folder/Book_covers/social_enterprise_INTRO_June06.pdf

წარმოადგენდა ეკონომიკური საქმიანობის და სოციალური ინტეგრაციის ერთგვარ ნაერთს და მიზნად ისახავდა ეკონომიკურად ნაკლებად აქტიური ჯგუფებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნას.

კანონი „სოციალურ კოოპერატივებზე“ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, იმდენად რამდენადაც ეს არის პირველი საკანონმდებლო მცდელობა სოციალური მეწარმეობისთვის იურიდიული ფორმის შერჩევის და პოპულარიზაციისა. კანონის თანახმად, სოციალური კოოპერატივების მიზანია ისეთი სამიზნე ჯგუფების ინტეგრაცია, როგორებიც არიან უსახლკაროები, ნარკოტიკსა და სასმელზე დამოკიდებულები, მენტალური პრობლემების მქონეები, ყოფილი პატიმრები და ლტოლვილები. შესაბამისად, მხოლოდ ამ ჯგუფების წარმომადგენლები შეიძლება გახდნენ სოციალური კოოპერატივების დამფუძნებლები ან უბრალო წევრები.

2006 წლის ბოლოსთვის ქვეყნის მასშტაბით 60 სოციალური კოოპერატივი ფუნქციონირებდა.

პროფესიული რეაბილიტაციის საშუალებები – ამ ორგანიზაციების დაფუძნება ემყარება 1997 წლის 27 აგვისტოს აქტს „პროფესიული რეაბილიტაციისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა დასაქმების“ შესახებ. ძირითადად, ეს ერთეულები წარმოადგენენ დასაქმების ხელშემწყობ ბიზნესებს, ეხმარებიან რა იმ პირებს, ვისაც შეზღუდული აქვს დასაქმების ბაზარზე წვდომა. ამ ორგანიზაციების უმეტესობა თვითმმართველობის ერთეულების მიერაა დაფუძნებული და, შესაბამისად, გაკონტროლებული, რამაც, თავის მხრივ, გავლენა იქონია მათ განვითარებაზე. 2006 წლის ბოლოსთვის მხოლოდ 35 ასეთი ორგანიზაცია ფუნქციონირებდა.

სოციალური ინტეგრაციის ცენტრები და კლუბები – სოციალური ინტეგრაციის ცენტრებისა და კლუბების შექმნა ითვალისწინებდა ეკონომიკურად არააქტიური ჯგუფების რეინტეგრაციას. ორივე სახის ორგანიზაციის მიზანი იყო ამ ჯგუფების სოციალური ადაპტაცია და მათთვის სამუშაო ადგილების შექმნა. სოციალური ინტეგრაციის ცენტრების და კლუბების დაფუძნება შეუძლიათ, როგორც საჯარო, ასევე კერძო ორგანიზაციებს. თუმცაღა, დღეისათვის პოლონეთში სოციალური ინტეგრაციის ცენტრებისა და კლუბების დამფუძნებლები, ძირითადად, საჯარო ინსტიტუტებია – ადგილობრივი ხელისუფლება ან სოციალურ სფეროში მოღვაწე საჯარო დაწესებულებები.

2006 წლის მონაცემებით, ქვეყანაში 35 სოციალური ინტეგრაციის ცენტრი და 90-ზე მეტი ასეთი კლუბია რეგისტრირებული.

ამგვარად, პოლონეთში სოციალური ეკონომიკა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მესამე სექტორი ფართო გაგებით, აერთიანებს ჰეტეროგენული ინსტიტუტების ფართო სპექტრს. სექტორი მიახლოებითი მონაცემებით მოიცავს 83 000 ორგანიზაციას, დასაქმებული ჰყავს 600 000 ადამიანი და აერთიანებს 15 მილიონ წევრს.

სოციალური კოოპერატივი ACTUS

სოციალური კოოპერატივი ACTUS უნარშეზღუდულ პირთა გაერთიანებაა, რომელიც ფუნქციონირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონეთა პროფესიული და სოციალური ინტეგრაციის ასოციაციის ფარგლებში. აღნიშნული ასოციაცია მდებარეობს ვარშავაში და აერთიანებს სამუშაოს მაძიებელ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, რომლებიც ინვალიდობის პენსიით ირჩენენ თავს.

ამ ადამიანებიდან შეიკრიბნენ საინფორმაციო ტექნოლოგიებით დაინტერესებული პირები და ასოციაციის ფარგლებში შექმნეს არაფორმალური ჯგუფი „www.promotion“. მოგვიანებით, კერძოდ, 2005 წლის მაისში, აღნიშნულმა ჯგუფმა დააფუძნა სოციალური კოოპერატივი. კოოპერატივი მომხმარებელს სთავაზობს IT მომსახურებას ვებ-დაგეგმარების, დიზაინის და ჰოსტინგის მიმართულებით. ACTUS-ი საწყისი კაპიტალით (€ 4000) დააფინანსა სოციალური ეკონომიკის ხელშემწყობმა ფონდმა. დღეისათვის კოოპერატივი საკმაოდ წარმატებულია და მხოლოდ საკუთარი შემოსავლებით არსებობს.

http://actus.free.ngo.pl

სოციალური საწარმო – The Emmaus Association

ასოციაცია ემაუსი ფრანგმა ბერმა ლ’ აბ პიერმა ჯერ კიდევ 1949 წელს დააარსა. ეს მოძრაობა ეხმარება საზოგადოებიდან გარიყულ პირებს, რომლებსაც დამოუკიდებლად არსებობა უჭირთ. ემაუსის თემები თავს ძირითადად მეორადი ტანსაცმლის, ავეჯის და საყოფაცხოვრებო ნივთების შეგროვებით და რეალიზაციით ირჩენენ. ამ თემებისთვის საერთო საქმიანობა თერაპიის როლს ასრულებს. თემის წევრებს ასწავლიან, როგორ უნდა იგრძნო თავი საჭიროდ, რადგან თემში ცხოვრება სხვის მომსახურებასაც გულისხმობს.

ემაუსი 1995 წელს დააარსა ზბიგნევ დრაჟკოვსკიმ კრეჟნიკა იარაში (ლიუბლინის გარეუბანი). ასოციაცია თავშესაფრით უზრუნველყოფს მენტალური პრობლემების მქონე პირებს, უსახლკაროებს, ალკოჰოლზე დამოკიდებულებს და სხვა მიუსაფარ ჯგუფებს. თემში 26 წევრია გაერთიანებული, რომლებიც სამ სახლში არიან განთავსებულნი. პოლო-

ნეთში ემაუსი ერთადერთი თემია, რომელიც მენტალური პრობლემების მქონე პირებს თავშესაფრით უზრუნველყოფს.

ბენეფიციარები თემში უმეტესწილად სპეციალური ინსტიტუციებიდან, ჰოსტელებიდან და ფსიქიატრიული საავადმყოფოებიდან ხვდებიან. მათგან უმეტესობას სახლი არასოდეს ჰქონია. მუშაობის უნარის მქონე ბენეფიციარები უვლიან სახლს, ამუშავებენ მიწის ნაკვეთს ან მუშაობენ მაღაზიაში. ფერმის წყალობით თემში საკვების პრობლემა არ დგას. ემაუსს საკუთარი წარმოების ხორცი, ხილი და ბოსტნეული აქვს.

ასოციაციაში ფუნქციონირებს ცენტრი, რომელიც შრომით თერაპიასა და დახმარებას სთავაზობს საზოგადოებისგან გარიყულ და ავადმყოფ ადამიანებს. 2004-2005 წლებში ფონდ PHARE-ს ფინანსური მხარდაჭერით ასოციაციამ განახორციელა პროექტი „ჩემი ცხოვრება, ჩემი სამუშაო“ (Moje życie, moja praca), რომელიც მიზნად ისახავდა ბენეფიციართა პროფესიულ გადამზადებას და თემის ბაზაზე სოციალური საწარმოს განვითარების შესაძლებლობას. პროექტის ფარგლებში 12 პირი გადამზადდა, რის შედეგადაც თემმა შეიძინა სხვადასხვა სახის სპეციალისტები: ზეინკლები, შემდუღებლები, ვულკანიზაციის სპეციალისტები, ხის მჭრელები და დურგლები.

2006 წლიდან ასოციაციის ბაზაზე შეიქმნა მანუფაქტურის სახის საწარმო, რომელიც სხვადასხვა სახის მიმართულებას (ვულკანიზაცია, ხის გადამამუშავებელი საამქრო, საზეინკლო და სადურგლო) აერთიანებდა. დღეისათვის ასოციაციის შემოსავლები ძირითადად ამ საწარმოებზე მოდის.

III. სოციალური მეწარმეობა – ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოცდილება

ეკონომიკური საქმიანობის გამოცდილება ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში

დაფინანსების წყაროების გამრავალფეროვნების მიზნით შემოსავლის მომტან საქმიანობას საქართველოში ცალკეული საზოგადოებრივი ორგანიზაციები 1990-იანი წლებიდან ეწევიან, თუმცა ეკონომიკური საქმიანობის დაწყების შემთხვევებმა საგრძნობლად მოიმატა 2005-2008 წლებში.

ორგანიზაციათა დიდი უმეტესობისათვის ეკონომიკური საქმიანობის წამოწყების ძირითადი მოტივი, ორგანიზაციის ფინანსური სტაბილუ-

რობის მიღწევაა. თუმცა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დიდი ნაწილისათვის მამოტივირებელი ფაქტორი საკმაოდ ხშირად პროგრამული საქმიანობის განხორციელება და მიზნების უფრო ეფექტურად მიღწევაა, რადგან ხშირად ორგანიზაციის კონკრეტული პროგრამული მიზნები დონორების პრიორიტეტებში არ ჯდება და რთულია დაფინანსების მოპოვება ამ წყაროდან.

2010 წელს განხორციელებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების კვლევის ფარგლებში გამოკითხული ორგანიზაციებიდან რაიმე სახის ეკონომიკურ საქმიანობას ორგანიზაციების დაახლოებით მეხუთედი აწარმოებს. ყველაზე ხშირია მომსახურების გაყიდვა (92%), ორგანიზაციათა 26.5% ყიდის საქონელს, ორგანიზაციათა 16.3% აქირავებს უძრავ ქონებას. გარდა ამისა, გვხვდება სხვა სახის ეკონომიკური საქმიანობებიც, როგორიცაა, მაგალითად, საკუთარი რადიო, მიკროსაფინანსო სესხების გაცემა და სხვა.

ყველაზე მეტად გავრცელებული მომსახურების ფორმები, რომელსაც მომხმარებელს საზოგადოებრივი ორგანიზაციები აწვდიან, არის: სასწავლო კურსები, კომპიუტერული კლასები; ტრენინგები, საექსპერტო და საკონსულტაციო მომსახურება; მომსახურების ცენტრები, მედიამომსახურება; შედარებით უფრო იშვიათად გვხვდება შემოქმედებითი სკოლა, თეატრი, ღონისძიებების ორგანიზება, ფასიანი სკოლა და ბაღი.

პროდუქციის დამზადებას და რეალიზებას ეკონომიკური საქმიანობის მქონე ორგანიზაციათა დაახლოებით 26% ახორციელებს. მათ შორის გვხვდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია, ბეჭდვითი პროდუქციის წარმოება. ერთეული ორგანიზაციები ამზადებენ ხელნაკეთ ნივთებს და ყიდიან.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოცდილება, რომლებიც ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას, გვიჩვენებს, რომ მათი ორგანიზაციებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის საქმიანობა, რადგან

- ეკონომიკური შემოსავალი ორგანიზაციას აძლევს სტაბილურობის განცდას;
- საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში ორგანიზაციას აძლევს ძირითადი ხარჯების დაფინანსების შესაძლებლობას;
- ანიჭებს ორგანიზაციას მოქნილობას და აძლევს მას საშუალებას, დააფინანსოს საკუთარი ინიციატივები, რომლებიც არ ჯდება მოქმედ დონორთა პრიორიტეტებში;
- ხშირად, საქართველოში მოქმედი დონორების მოთხოვნების მიხედვით, მათგან დაფინანსების მოსაპოვებლად საჭიროა თა-

ნადაფინანსების უზრუნველყოფა. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი აძლევს ორგანიზაციას ამ წვლილის უზრუნველყოფის შესაძლებლობას;

- და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ხშირად ამ საქმიანობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ორგანიზაციის საქმიანობის წარმოჩენაში.

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ მოგებას ორგანიზაციები ძირითადად პროგრამების თანადაფინანსების, რეზერვის შექმნის, თანამშრომლების წახალისებისა და ხელფასების, ორგანიზაციული განვითარებისა და რეინვესტირებისაკენ მიმართავენ.

ეკონომიკური საქმიანობის წვლილი ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსურ მდგრადობაში

ეკონომიკური საქმიანობის მქონე ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჯამურ ბიუჯეტში შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან უმეტეს შემთხვევებში 5-30%-ია (ორგანიზაციათა 51%). არის შემთხვევები (13%), როდესაც ეკონომიკური საქმიანობის წილი ორგანიზაციის ბიუჯეტში 50-100%-ს შეადგენს, თუმცა, უმეტეს შემთხვევებში (50%) ასეთი ორგანიზაციების წლიური ბიუჯეტი 5000-10000-მდე დოლარის ფარგლებში მერყეობს.

საკანონმდებლო საფუძვლები სოციალური მეწარმეობისათვის საქართველოში

იურიდიული ფორმები

საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ცნება „სოციალურ მეწარმეობას“ და, შესაბამისად, ქართული სოციალური საწარმოებისათვის არ არსებობს რაიმე სახის განსაკუთრებული ნორმები. თუმცა, სოციალურ მეწარმეებს აქვთ საშუალება, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში განახორციელონ მსგავსი ინიციატივები.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სოციალური მეწარმეობით დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირებს, აქვთ უფლება, აწარმოონ დამხმარე ხასიათის ეკონომიკური საქმიანობა საკუთარი ორგანიზაციის ბაზაზე. მათ აგრეთვე აქვთ საშუალება, დააფუძნონ საწარმო სამეწარმეო

იურიდიული პირის ფორმით, დამხმარე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით.

2010 წელს განხორციელებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების კვლევის მიხედვით, ძირითადად, ორგანიზაციები ეკონომიკურ საქმიანობას ორგანიზაციის ფარგლებში ეწევიან (76%), ცალკე საწარმო დაფუძნებული აქვს 24%-ს; მათ შორის, იმას, ვისაც დაფუძნებული აქვს ცალკე საწარმო, უმეტესობას (72,7%) არჩეული აქვს შპს-ს ფორმა. გარდა შპს-სა, დაფიქსირდა ცალკე საწარმოდ რეგისტრაციის სპს-სა და კოოპერატივის ფორმები.

ეკონომიკური საქმიანობის უფლება

საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციები იურიდიული სტატუსით წარმოადგენენ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს (აიპ). მიუხედავად იმისა, რომ აიპ იქმნებიან არასამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობა მათ უფლებას აძლევს, აწარმოონ დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა. არასამეწარმეო იურიდიულ პირს უფლება აქვს, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, გათვალისწინებულია თუ არა ეს მის წესდებაში. თუმცა, შემდეგი პირობებით:

- ამ საქმიანობის განხორციელება არ უნდა იყოს აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით;
- ზოგიერთი საქმიანობის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის ან/და ნებართვის აღების შემდეგ;
- სამეწარმეო საქმიანობა უნდა იყოს დამხმარე ხასიათისა – არასამეწარმეო იურიდიული პირი იქმნება არასამეწარმეო, არამომგებიანი საქმიანობის განხორციელების მიზნით. შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობა უნდა ატარებდეს დამხმარე ხასიათს და ორგანიზაცია არსებითად არ უნდა გადავიდეს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაზე;
- სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს ორგანიზაციის მიზნების რეალიზებას – საზოგადოებრივი ორგანიზაციები იქმნება კონკრეტული საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს სწორედ ამ მიზნების განხორციელებას. სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღ-

ვანელობასა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

სოციალური საწარმოს დაბეგვრის რეჟიმი

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ტერმინს „სოციალური მეწარმეობა“ და, შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, სოციალური მეწარმეობა, ისევე როგორც სხვა ტიპის სამეწარმეო საქმიანობა განიმარტება, როგორც ეკონომიკური საქმიანობა და მასზე განსხვავებული დაბეგვრის რეჟიმი არ ვრცელდება. საგადასახადო კოდექსის თანახმად, არაკომერციული იურიდიული პირის მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობა, მიუხედავად სოციალური მიზნისა, იბეგრება როგორც საწარმოს მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობა.

ძირითადი სირთულეები

როგორც აღვნიშნეთ, სოციალური მეწარმეობით დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მსგავსი საქმიანობა შესაძლოა განახორციელონ არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ისინი ექცევიან სხვა ტიპის სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების და ნორმების ჩარჩოებში.

თუმცა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას, დამატებითი სირთულეები აქვთ.

ორგანიზაციები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან თავად ორგანიზაციის ფარგლებში, ძირითადად შემდეგ სირთულეებს აღნიშნავენ:

- როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქვთ ორგანიზაციის ფარგლებში ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლება, თუმცა, ორგანიზაცია არ უნდა გადავიდეს არსებითად სამეწარმეო საქმიანობაზე. საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა პირდაპირ განმარტებას, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაზე არსებითად გადასვლად. ამასთანავე, თუ აიპ არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურის, ან დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე შესაძლოა ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის საკითხის განხილვა.
- პრობლემას წარმოადგენს ქონების გადასახადის გაანგარიშების პროცესიც. აიპ-ები, თუ არ ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას, გა-

> თავისუფლებული არიან ქონების (გარდა მიწისა) გადასახადისაგან. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაცია ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მისი ქონება ან ქონების ნაწილი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისთვის, იბეგრება საწარმოს ქონების მსგავსად.

ამ შემთხვევაში ხშირად პრობლემას წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება. ეკონომიკური საქმიანობის წარმოების დროს აუცილებელია, ეკონომიკური საქმიანობისათვის საჭირო საბუღალტრო დოკუმენტაცია იწარმოებოდეს და ცალკე ინახებოდეს. ხშირია პრობლემები ქვითრის გაყოფასთან დაკავშირებით. ეს ეხება კომუნალურ გადასახადებს, ბენზინსა და საკომუნიკაციო ხარჯებს. ეს ქვითრები ერთად იწერება ორგანიზაციის სახელზე და ძალიან რთულია მისი მიკუთვნება კონკრეტული საქმიანობის სფეროსთვის. გაანგარიშების აღნიშნული საკითხები, შესაძლოა, გახდეს დავის საგანი საგადასახადო შემოწმების დროს. საგადასახადო კოდექსის თანახმად, თუ ვერ დგინდება ეკონომიკურის საქმიანობისთვის გამოყენებული ქონებისა თუ ხარჯების მოცულობა, შესაძლებელია შემოსავლების პროპორციული მეთოდის გამოყენება. ეს რიგ შემთხვევებში გვაძლევს არაზუსტ მაჩვენებელს.

ეკონომიკური საქმიანობის წარმოების პროცესში საჭიროა დავადგინოთ ამ საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების ჩამონათვალი, რაც საკმაოდ რთულია, რადგან ქონების გარკვეული ნაწილი მოიხმარება ორივე საქმიანობის განსახორციელებლად. ამ შემთხვევაშიც უნდა მოხდეს შემოსავლების პროპორციული მეთოდის გამოყენება.

გარდა ამისა, აიპ-ის მიერ ეკონომიკური საქმიანობის წარმოების პროცესში საგადასახადოს მიერ სანქციის დაკისრების შემთხვევაში შესაძლებელია გრანტით მიღებული თანხების ავტომატურ რეჟიმში ჩამოჭრა და ბიუჯეტში გადარიცხვა (ინკასოს გამოყენება). ეს ქმედება კი აიპ-ის პრობლემას უქმნის დონორებთან.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აიპ-ის ფორმით ეკონომიკური საქმიანობის წარმოება საკმაოდ დიდ რისკებთანაა დაკავშირებული და უმჯობესია, ეკონომიკური საქმიანობისთვის ცალკე სუბიექტი დაფუძნდეს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით. კანონის თანახმად, მეწარმე სუბიექტის დაფუძნება შეუძლია აიპ-საც.

თუმცა ამ მოდელის გამოყენებისას აქტუალურია სირთულეები დივიდენდის სახით მიღებული მოგების ხელმეორედ დაბეგვრასთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, დღევანდელ კანონმდებლობაში არსებობს აიპ-ს დივიდენდით დაბეგვრის პრინციპში დისკრიმინაციული მიდგომა. საქარ-

თველოს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი და სამეწარმეო ამხანაგობისა) მიერ მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები საწარმოს მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება. გარდა ზემოაღნიშნულისა, ახალი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ფიზიკური პირებისა (მათ შორის ინდივიდუალური მეწარმე) და უცხოური საწარმოების მიერ საქართველოს საწარმოდან მიღებული დივიდენდები 2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის – 5-პროცენტიანი განაკვეთით, 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე – 3-პროცენტიანი განაკვეთით, ხოლო 2014 წლის 1 იანვრიდან ნულოვანი განაკვეთით.

იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციები (საგადასახადო კოდექსის გაგებით), მათ შორის – არასამეწარმეო იურიდიული პირები, არ წარმოადგენენ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საწარმოებს, მათზე არ ვრცელდება საწარმოებისათვის დადგენილი საგადასახადო დაბეგვრა დივიდენდებთან დაკავშირებით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ საწარმოდან მიღებული დივიდენდი ექცევა დისკრიმინაციულ დაბეგვრის რეჟიმში. კერძოდ, მის მიერ მიღებული დივიდენდი იბეგრება 15% მოგების გადასახადით, მაშინ, როცა საქართველოს ერთი საწარმოს მიერ მეორე საწარმოდან მიღებული დივიდენდი საერთოდ არ იბეგრება. გარდა ამისა, ფიზიკური პირებისა და უცხოური საწარმოების მიერ საქართველოს საწარმოდან მიღებული დივიდენდი იბეგრება დაბალი საგადასახადო განაკვეთით, ხოლო 2014 წლიდან იბეგრება ნულოვანი განაკვეთით.

სოციალური მეწარმეობის მაგალითები საქართველოში

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის არის 23 ორგანიზაციის გაერთიანება, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის პირთა საკითხებზე მუშაობენ.

კოალიციის მისიაა, ნებისმიერი ადამიანისთვის შეიქმნას თანაბარი პირობები პოტენციალის გამოსავლენად და ხელი შეუწყოს შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე პირების მაქსიმალურ ჩართვას საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ორგანიზაციის ძირითად სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენს ინვალიდობის თემაზე მომუშავე ორგანიზაციები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათი ოჯახის წევრები და ახლობლები. თუმცა, ორგანიზაცია ასევე მუშაობს ხელისუფლებასთან, ახალგაზრდებთან, მედიასთან და სხვა მიზნობრივ ჯგუფებთან, აღნიშნული საკითხის ირგვლივ ცნობიერების ამაღლების კუთხით.

ორგანიზაციის დაარსების პირველივე დღეებიდან დამფუძნებლებს ჰქონდათ სურვილი, რომ გადაწყვეტილებები მაქსიმალურად დამოუკიდებელად მიეღოთ და, აქედან გამომდინარე, მუდმივად ფიქრობდნენ ორგანიზაციის ფინანსურ და ინტელექტუალურ დამოუკიდებლობაზე. 2003 წელს დაიბადა იდეა, ეწარმოებინათ ეტლები, რომლის მომხმარებლებიც იქნებოდნენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინვალიდები. კოალიციის საწარმოში ეტლების დამზადების იდეა გაჩნდა, რადგან საქართველოში, ინვალიდებისათვის არაადაპტირებული გარემოს პირობებში, ხარისხიანი ეტლების დეფიციტი არსებობდა. ამ პერიოდამდე საქართველოში ხორციელდებოდა დაბალი ხარისხის სტანდარტული ეტლების იმპორტი და არ იყო გათვალისწინებული მომხმარებლის მონაცემები (წონა, სიმაღლე და ა.შ.).

იდეის განხორციელებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა, მაგრამ 2009 წლიდან კოალიციამ აქტიურად დაიწყო ეტლების დამოუკიდებლად წარმოება. კოალიციის წარმოებული ეტლები უნიკალური კონსტრუქციისაა, მოქნილია მოძრაობისას, აქვს საუკეთესო ბალანსი და ადვილად სამართავია. ამ ტიპის ეტლებს შეარქვეს „ყველგანმავალი“, რადგან მისი მეშვეობით ბორდიურების გადალახვა და მოხრეშილ გზებზე სიარული დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშეც შეიძლება, ხოლო მისი კონსტრუქცია ეტლით მოსარგებლე პირს, რალფ ჰოჩკისს ეკუთვნის.

„ყველგანმავალი საინვალიდო ეტლების“ საწარმოს ამოქმედება კოალიციამ შეძლო აშშ-საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით და პარტნიორ ორგანიზაციებთან – „ინვალიდების მსოფლიო ინსტიტუტთან“ და „WhirlWind Wheelchair“-თან თანამშრომლობით განახორციელა. ამჟამად საწარმოში 13 ადამიანია დასაქმებული, მათგან 7 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოსა და კოალიციას შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ეტლების წარმოება სუბსიდირე-

ბულია. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების სამინისტრო, ეტლით მოსარგებლე პირებს აძლევს ვაუჩერებს საწარმოში დამზადებული ეტლების შესაძენად.

www.disability.ge

სათემო კავშირი „ჰერეთი“

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელ ჰერეთისკარში ცხოვრობს 1989 წლის აჭარის სტიქიური მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობა. სულ სოფელში 130 კომლია.

ახალგაზრდული სათემო კავშირი „ჰერეთი“ 2008 წელს ჩამოყალიბდა. სათემო ცენტრის ახალგაზრდებმა მიზნად დაისახეს, ეზრუნათ სოფელში არსებული პრობლემების მოგვარებაზე, მოსახლეობის ინფორმირებასა და ცნობიერების ამაღლებაზე. დაფუძნების დღიდან აქტიური ახალგაზრდების ძალისხმევით სოფელში მრავალი პრობლემა მოგვარდა: საბავშვო ბაღს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, გაიწმინდა ქუჩის სანიაღვრე არხები, სოფელში, რომელშიც არ არსებობს არანაირი კულტურული და გასართობი ცენტრი, შენდება საზაფხულო კლუბი. ორგანიზაციის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებთან – მონაწილეობენ ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვის პროცესში, რათა მასში უკეთ იყოს გათვალისწინებული სოფელში არსებული პრობლემები.

სოფლის მოსახლეობისათვის კიდევ ერთი აქტუალური საკითხი სათემო კავშირმა სოციალური საწარმოს ინიცირებით მოაგვარა.

მოსახლეობისათვის მწვავე პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ სოფელს საკუთარი ტრაქტორი არ გააჩნდა, და იმის გამო, რომ აგრარულ ვადებში ტრაქტორის დაქირავება მეზობელი სოფლებიდან გართულებული იყო, სავარგულების დიდი ნაწილი დაუმუშავებელი რჩებოდა.

სათემო ცენტრმა მოამზადა პროექტი, რომელმაც სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა და, შედეგად, 2010 წლის სექტემბერში შეიძინა მინი-ტრაქტორი, რომელიც სოფელ ჰერეთისკარის მოსახლეობას მოემსახურება.

სათემო კავშირ „ჰერეთს“ სამეწარმეო საქმიანობა სულ ახალი დაწყებული აქვს, მაგრამ დღეისათვის სოციალური საწარმოს მიერ უკვე დამუშავებულია ოთხ ჰექტარამდე მიწის ფართობი, საწარმო მოემსახურა 65 ოჯახს. მომსახურების ფასი თითოეული გლეხისათვის მისაღებია, თანაც გლეხს აღარ უწევს სხვა ტრაქტორის მოძიება და, შესაბამისად, დამატებითი დროის და თანხის დახარჯვა. ორგანიზაციამ ასევე დაა-

წესა შეღავათები ადამიანთა გარკვეული ჯგუფების: მარტოხელა დედების, მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა მოხუცებისა და პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის. შეღავათებით მომსახურება გაუწია 12 ოჯახს.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის სამეწარმეო საქმიანობა თავს უკვე თვითონ ინახავს, მიუხედავად იმისა, რომ საქმიანობა განხორციელდა მხოლოდ ერთ, საშემოდგომო სეზონზე.

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია – „ელკანა“

ასოციაცია „ელკანა“ დაფუძნდა 1994 წელს, 1996 წლიდან ის ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაციის (IFOAM) წევრია. ორგანიზაციის წევრები არიან საქართველოს ფერმერები, სოფლის მეურნეობის მუშაკები, მეცნიერები, საქართველოში ბიომეურნეობის მდგრადი განვითარებითა და გარემოს დაცვით დაინტერესებული პირები. „ელკანაში“ დღეისათვის 450 პირია გაწევრიანებული.

ასოციაციის მისიაა, ხელი შეუწყოს საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და გარემოს დაცვას სიცოცხლისუნარიანი (მდგრადი) ბიომეურნეობების განვითარებისა და სოფლად მოსახლეობის თვითაქტივობის გაზრდის გზით.

ასოციაციის წევრებს მიაჩნიათ, რომ განვითარებული ბიომეურნეობების, როგორც სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის საუკეთესო ფორმის, დამკვიდრება სახელმწიფოში არა მარტო საღი საკვებისა და გარემოს, მომავალი თაობების ჯანმრთელობის საწინდარია, არამედ მას მზარდი ეკონომიკური პოტენციაც მოეპოვება, რომლის რეალიზაციას ხელს შეუწყობს სოფლად ძლიერი თემის ჩამოყალიბება.

ორგანიზაცია შემდეგი სახის მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს:

- მეურნეობის მართვის ბიომეთოდებზე გადასვლის გეგმის შემუშავებას;
- მეურნეობის ეკონომიკურ დაგეგმვას, ოპტიმიზაციას; ტრენინგებსა და სემინარებს ბიოაგროწარმოების, სამრჩევლო მომსახურების, სოფლის ტურიზმისა და ბიოუსაფრთხოების საკითხებზე;
- საკონსულტაციო მომსახურებას ბიომეურნეობის სფეროში;
- ადგილობრივი ტრადიციული ქართული ჯიშების სათესლე და სარგავი მასალის მიწოდებას ფერმერთათვის.

ორგანიზაცია „ელკანა“ ყოველთვის ზრუნავდა წევრი ფერმერებისა-

თვის პროდუქციის გასაღების ბაზრის შექმნაზე.

ფერმერებისათვის პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობის გაზრდის მიზნით, ორგანიზაციის ინიციატივით 2010 წლის ოქტომბრიდან ფუნქციონირებს მაღაზია „ბიოველი“. მაღაზიაში წარმოდგენილია „ელკანას“ წევრ მეურნეთა პროდუქტები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მაღაზიის პროდუქციის მრავალფეროვნებაზე თავად ჩამონათვალიც მიგვითითებს: ჩაი – მწვანე და შავი, თაფლი – მინდვრის, წაბლის, აკაციის, ალპური, გოლეული ფიჭის (ფიჭის თაფლი), ცივი გამოხდით დამზადებული მზესუმზირის ზეთი, სვანური მარილი, სუნელების ასორტიმენტი, აჯიკა, ვაშლის ძმარი, მჭადის ფქვილი, სხვადასხვა სახის პარკოსანი მცენარეები, ნატურალური წვენები, ბოსტნეული – კარტოფილი, ხახვი, სტაფილო, ჭარხალი, გოგრა, ვაშლი, თხილი. ღვინო – საფერავის და თეთრი ღვინოს რამდენიმე სახეობა.

ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა ძველი ქართული ჯიშების და ტრადიციული ქართული კერძების შენარჩუნება-გადარჩენაზე ზრუნვა. სწორედ ამ საქმიანობის გამოძახილია ის, რომ დღეს მაღაზიაში წარმოდგენილია გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი ადგილობრივი ტრადიციული კულტურები: ცულისპირა, ცერცვი, მუხუდო, ღომი, ძაძა, ოსპი და ასევე ახალციხური წითელი დოლის ფქვილისაგან გამომცხვარი პური, რომელიც ცხვება საფუარისა და ხელოვნური დანამატების გარეშე და ჯანსაღი პროდუქტია.

მაღაზიის ორი თვის საქმიანობამ უკვე აჩვენა პირველი შედეგები. „ბიოველის“ შემოსავლები მთლიანად ფარავს მის ხარჯებს, „ბიოველის“ მოგება კი სრულად რეინვესტირდება საწარმოში. დღეს მაღაზიაში პროდუქციის რეალიზაციის საშუალება აქვს 54 ფერმერს.

www.elkana.org

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Defourny, J., Nyssen, M. Social Enterprise in Europe: Recent Trends and Developments. EMES , WP no. 08/01.
2. Institute of Social Policy Warsaw University and Centre of Non-Profit Research, Institute of Political Studies, Polish Academy of Science . (2006). Opportunities and Obstacles for Social Entrepreneurship Development.
3. Leś E., Galera G. Social Economy in East Central Europe. Concepts and Perspectives. ISSAN.
4. Kerlin, J. A. (2009). Social Enterprise A Global Comparison.
5. Kuba Wygnanski, J. H. (n.d.). Searching for a Polish model of the social economy - systemic approach.
6. Schwab Foundation for Social Entrepreneurship. (2006). Fostering Social Entrepreneurship. Legal, Regulatory and Tax Barriers: A Comparative Study.
7. Social Economy in Poland. (2011, February). Retrieved from Social Economy in Poland: http://www.bezrobocie.org.pl/x/433523
8. UNDP, EMES. (2008). Social Enterprise: A New Model for Poverty Reduction and Employment Generation.
9. ლევან ფანიაშვილი, შოთა მურღულია (2010). სოციალური მეწარმეობის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობაში. თბილისი: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.
10. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. (2010). სოციალური მეწარმეობა – საერთაშორისო გამოცდილება ათი ქვეყნის მაგალითზე. თბილისი.
11. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. (2010). საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველოში – განვითარების დინამიკა და ტენდენციები. თბილისი.
12. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. (2010). სოციალური მეწარმეობა – საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოცდილება. თბილისი.

ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“
ჭოველიძის ქ. 10, თბილისი, 0108, საქართველო
ტელ.: +995 32 25 04 63
ფაქსი: +995 32 29 10 52
ელ.ფოსტა: contact@osgf.ge
ვებგვერდი: www.osgf.ge

ISBN 978-9941-0-3451-0

9 789941 034510

თბილისი 2011